ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნთ-საცავებსა და სამკითხველოთ ჟურნალი „მოამბე“
დაეთმობათ **ხუთ მანეთად, მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1896

„მოამბე"

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . .	**10** მან.	**6** მან.	**4** მან.
საზღვარ-გარედ	**13** მან.	**7** მან.	**5** მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—**4** მან., 1 აპრილამდე—**3** მან. და 1 სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე **№ 13.**

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე"-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური**, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе".**

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს **რვა მანეთად წელიწადში.** ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში **ოთხი** მანეთი შემოიტანოს და **ორ-ორი** მანეთიც მარტში და აგვისტოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა წლის 25 დეკემბრიდან

უფასოდ

კედლის ქართული კალენდარი

1896 წლისა

საშვლვარ გარეთიდან მიღებულ სხვადასხვა

ლამაზ სურათებზე

დ ა კ რ უ ლ ი

მიეცემა ყველა იმათ, ვინც იყიდის

„ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიაში

(ძველ ეთის ეკლესიასთან)

„ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ

წიგნებს არა ნაკლებ 1 მ. 20 კაპ—სას.

ქალაქ-გარედ მგზავრებთაც გაეგზავნებათ, თუ ფოსტის ხარჯს გამოჰგზავნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოამბე

05
მ-75

თვიური ჟურნალი

წელიწადი მესამე

11Ե
1896 | 2

№ I

438

იანვარი, 1896

ტფილისი
სტამბა წიგ.გამ.ქართ.ამხანაგობისა ※ ТИП.ГРУЗ.ИЗД.Т—ВА. Л.—МЕЛ.№13
1896

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 января 1896 г.

436



ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

I გამარჯვებული ნიკო.—მოთხრობა ეგ. გაბაშვილისა. . . . 1

II ევა.—მოთხრობა რევაზ ფავლენიშვილისა . . . 27

III ელზასელი ქალი.—მოთხრობა —ლი—გ.-სა . . . 71

IV ცეცხლითა და მახვილითა.—ნაწილი მესამე.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—მისა (გაგრძელება). . . . 83

V იულიუს კეისარი.—ხუთ-მოქმედებიანი დრამა უილიამ შექსპირისა, თარგ. ინგლისურიდან ივ. მაჩაბლისა. 123

VI მეფე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი.—ზ. ცხვი-ლოელისა. . . . 1

VII რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.—V.—კარაქი და ერბო.—პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება). . . . 21

VIII მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან.—III.—ზ. ჭარაიასი . . . 38

IX მთიულეთი 1804 წელსა.—XII.—ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა (დასასრული). . . . 56

X სიტყვა თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. სვიმონ წერეთლის-მიერ. . . . 86

ქრონიკა:

XI სალიტერატურო მიმოხილვა.—ზრდა ჩვენის ლიტერატურისა.—50-იანი წელნი და მის შემდეგნი ათეულნი.—რით იჩინა თავი 80-იანმა წლებმა?—ერთი მისი სამსახურიცა.—საერო კილო ჩვენს პოეზიაში.—როგორ ასურათებენ ჩვენს ცხოვრებას ახალნი მწერალნი?—ვინ გვაძლევს იმედს?—გ. ყიფშიძისა 90

XII შინაური მიმოწერილვა.—კმარა!—მეთვალყურეს სვე-ბედი.—რას ვეძებთ წარსულში.—კრწანისის ამბავი.—თ. რ. ერისთავის იუბილეი.—ცხრათავიანი დევი.—სათავად-აზნაურო სკოლის საქმე.—„ივერიის“ ნაჩვენები გზა. 101

XIII უცხოეთის მიმოწერილვა. 115

XIV † გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (ნეკროლოგი) . 127

XV განცხადებანი.

დამატება:

XVI საქართველოს სიძველენი. . . 145—160

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული ნიკო

მოთხრობა

I

ქალაქი დილის ტკბილს ძილში იყო. არავითარი მოძრაობა არ არღვევდა მოქალაქეთა მოსვენებას; მხოლოდ აქა-იქ დუქნის წინ ასასები ზმორებით და შმუშვნით ილაგებდნენ ლოგინს და მიეშურებოდნენ სახლში. ორი-სამი ეტლი ძილმორეულ მეეტლეთი ზლაზვნით და ტაატით მიარიხინებდა შინისკენა

აღმოსავლეთი ოქროს-ფრად იყო შეღებილი. ჰაერი არ იძვროდა. ცხადი იყო, რომ იმ დღეს საკმაოდ ეცხელებოდა. ამ დილის რიჟრაჟზედ ორი მანდილოსანი ავლაბრის აღმართს შეუდგნენ. უმფროსს მძიმედ გატენილი ბოხჩა ჰქონდა იღლიაში გახუნებულ დრაფის ტალმის ქვეშ და მეორე ხელით წამ და უწუმ იწევდა თავის კაბის უშველებელ ბოლოს, რომელიც მახესავით ედებოდა ფეხებში და უშლიდა სიარულს. მეორე თანამგზავრი კუდიანის კაბის პატრონისა ახალგაზდა თვრამეტ-ცხრამეტის წლის ქალი იყო; ეს დაღონებულისა და დაძმარებულის სახით მისდევდა თავის დედას, თუმცა ფიქრით კი სულ სხვაგან იყო.

მზემ ამოაშუქა და ეს ორნი შევიდნენ ავლაბრის მოედნის ერთ „ბაკში“, სადაც კახეთში წასასვლელი დილიჟანები სდგას ხოლმე. მეეტლე ცხენებს უვლიდა. ქალების დანახვაზედ მეეტლემ ზიზღითა და დაცინვით გადააყლო თვალი ახალ მოსულთ და უზრდელად წაიტუტუნა: „ვა, მამალს ფთას აღარ

შემოაკვრევინებდით, თქვენი სახლი ხომ წყალს არ წაუღია, რომ ასე ადრე მობძანდით!?“

— რას მიჰქარავ, რასა, ვილაცა ოხერი გდიხარ?—შეუტია უმფროსმა ქალმა:—ადრე მოვსულვართ, გვიან ხომ არა, რას ბურტყუნებ? რომ გვეცდევინებინა, მაშინ უფრო მადლობელი იქნებოდი?

— დედა, რას ელაპარაკები? წავიდეთ იქით, კუნჭულში დავსხდეთ სადმე, მანამ სხვა მგზავრებიც შეიკრიბებიან.

ბაკის გარშემო ბოსლები, საქათმეები, საღორეები და კიდევ ბევრი წვრილმანი შენობანი იყო შემორიგებული და ამისათვის ეზო პატივითა და ჭუჭყით იყო მოცული. ჩამოსაგდომი ალაგი ძნელი სანდო იყო ამ უსუფთაობის გამო და ამისათვის დედა და შვილი მივიდნენ დანგრეულ, გახუნებულ, ადამის ჟამის გაკეთებულ დილიჟანთან და ჩასხდნენ შიგა. მეეტლემ ეხლა უფრო უზრდელად და ხმამაღლა დაიღრიალა: „არა, რომ სხდებით, რას სხდებით? ხომ ჰხედავთ, ჯერ ორი საათიც გაივლის წასვლამდე; ყველა ხომ თქვენსავით ღამის მთეველი არ არის, რომ გაუთენებლივ მოვიდეს და ორი საათი უნდა ტყუილად ხეხოთ დილიჟნის სკამის მაუდი?

— ქა, რას ჩაგვაცივდა ეს მამაოხერი? გაგონილა! დედავ და თვალო, ფული ხომ მიღებული გაქვს, რაღას გვერჩი, თავი დაგვანებე? ჩვენის მოსვლით შენ რა დაგაკლდება, სასმელს არა გთხოვთ და საჭმელსა.

— ეგღა გაკლდათ, რაღა, საჭმელ-სასმელიც მოგართვათ! მე შენ გითხრა, „ნავოდკათ“ სულ ჭრელ აბაზებს გადმომიყრით. ვოიმ, მანდილოსნის მგზავრობა კი..... და აქ საშინელის სიტყვით გაილანძღა ქალაქელი კინტო, რაღაც მანქანებით „კუჩრად“ გადაქცეული.

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ეს რა მოგვივიდა?—თვალებზე ხელის დაფარებით ამოიკვნესა უნაკრასმა ქალმა,—უკაცოდ ამ ბრიყვებში რა გვეშველება?

— რა დაგემართა, ქა? გულს რაზედ იხეთქამ, შვილო. ამდენი მიჰქაროს, მინამ მოსწყინდებოდეს. ერთ დროს ათი მა-

გისთანა ძაღლი მდგომია თავსა, მაგრამ რა ექნათ, „ჟამნი მეფობენო“, ნათქვამია.

— შენ, ეი, ადამიანო, ნუ ილანძღები, თორემ მამა-ჩემი საქუა არ წამიწყდება, განანიებ. თუ კნეინა ბძანდები, რატო შენი საკუთარი „ერეკლეს“ ეკიპაჟით არ მიბძანდები გომბორის მთაზე!

ვინ იცის, სადამდის მივიდოდა „კუჩრის“ ზრდილობიანი ბაასი, რომ ახალი „პასაჟირი“ არ მოჰმატებოდა მარცხენა ფეხზედ ამდგარ ეტლის პატრონს. ახალი მოსული, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იყო, ოც და სამისა, თუ ოც და ხუთის წლისა. თავის პატარა, მხრებში წახრილ, გულჩავარდნილ ტანზედ ეცვა სუფთა, ახლად შეკერილი შავი ტანისამოსი და ნაცრისფერი, ფეხებამდინ გრძელი პალტო. თავზედ ახალიევ შავი „კარტუზი“ ეხურა.

პირველ შეხედვაზედ მოგაგონებდათ ქარავასლის „პრიკაზჩიკს“, მაგრამ როდესაც დააკვირდებოდით იმის გაუბედავ, მორცხვს მიხვრა-მოხვრას და სათნოებით სავსე პირისახეს, დარწმუნდებოდით, რომ უფრო პატივსაცემის ჯურის კაცი იყო. ყმაწვილმა კაცმა უჩუმრად შესდო დილიჟნის ჩამოსაჯდომ სკამ ქვეშ თავისი პატარა ბოხჩა და უჩუმრადვე, დაბლა თავ-დაღუნული მიჯდა დილიჟნის მეორე თავში ქალების მოშორებით. შემდეგ მოვიდა მღებარი, საღებავით მამაკვდავივით გალურჯებულ ფრჩხილებით. კალმუხის გარიბალდი კოხტად გვერდზე ჰქონდა წამოდებული და ყელზედ ჰრელი ქალაღაია ეხვია. მისი ჩალვადრისებური ხურჯინი კარგა რიგიანად იყო გაჭიკნილი და თითქმის ნახევარ-დილიჟანი დაიჭირა. შემდეგ მოვიდნენ: სირაჯი, ოქრომჭედელი თავისის ნივთეულობის ყუთებით და ერთი ვიღაც ძნელად მისახვედრის ხარისხის კაცი, სამხედრო ქუდით, ყურთმაჯებიანი კაბით და ზედ ეცვა მეტად მოკლე, ახალ მოდაზედ შეკერილი, ბურძგლიანი პალტო. ყველა ამ მგზავრთა ბარგმა ისე აავსო დილიჟნის ორ სკამ შუა დარჩენილი ალაგი, რომ ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ევროპულად ჩამოჯდომა და მგზავრებმა ნება-უნებურად მუხლთმოიკეცეს ჩვენებურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ახალგაზდა მგზავრ ქალს საშინლად ეძნელებოდა მოკეცვა და წამ-და-უწუმ გაღვიებულ მჭადივით იღმეჭდა პირისახეს, მაგრამ ბოლოს ესეც დეემორჩილა თავის ხვედრს და მღებრის ხურჯინზედ შეაწყო თავისი კოპწია „ტუფლებში“ გამოკრული ფეხები.

დილიჟანი მძიმედ დაიძრა. პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ მგზავრებმა გააბეს ჩვეულებრივი საგზაო საუბარი: სად მიხვალ? რისთვის? რა საქმე გაქვს? რამდენიმე წამის განმავლობაში, ყველანი მეგობრულად ბაასობდნენ ერთმანეთში, გარდა ყმაწვილის ქალისა და ყმაწვილის კაცისა, რამეთუნიც დილიჟანის თავსა და ბოლოს ისხდნენ და უფრო ბევრს ყურადღებას აქცევდნენ გარშემო ბუნების გაღვიძებას და თავის აზრების მსვლელობას.

ახალგაზდა ქალი იყო ლიზა კოშკაძისა და თავის დედით მართათი მიემგზავრებოდა კახეთს ძნელის და ფრიად სავალდებულო თანამდებობის აღსასრულებლად — სასოფლო სკოლის მასწავლებლად იყო დანიშნული. მან მხოლოდ მაისში გაათავა სწავლა და, როგორც უმოწყალეო ღარიბმა, ითხოვა ალაგი ერთ სასოფლო სკოლაში. მართა ტყუილად არა ტრაბახობდა დილიჟანს „კუჩერთან“ — შენისთანა ხუთი და ათი თავს-მდგომი და მოსამსახურე მყავდაო. ფრიად გაკეთებულის თავდიშვილის ქალი იყო და ბევრი ბიჭი და მოახლე ჰყავდა ლალად სიყმაწვილეში, მაგრამ, როგორაც თითონა სთქვა: „ჟამნი მეფობენო“, და დღეს თავისის ხელის თითების ნამუშაერით იკვებავდა თავსა და თითო-ოროლა გროშსაც უნახავდა თავის კურს-დასასრულებელ საყვარელ ლიზას. აი ეს მოდაზედ შეკერილი ლიზას კაბა, კოხტა შლიაპა, ლამაზი გამოკვართული ბაშმაკები, ხელთათმანები და სხვა, სულ ამის დღედაღამ ნატეხის ნამუშავრით არის შეძენილი.

მართა ამირხანაძისა კარგა ხნის გასათხოვარი ქალი იყო, როდესაც იმის მამის სოფელში ლილიფარიანში „მეჟავოი კომისია“ მოვიდა.

მიწის მზომელი რუსი იყო და თან თარჯიმნად ჰყავდა ახალგაზდა აზნაურშვილი, მეხუთე თუ მეექვსე კლასიდან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსული, ივანე კოშკაძე. მიწის მზომელი მართას მამის სახლში დასახლდა, რადგანაც მთელ სოფელში ამის მეტი რიგიანი სახლი არსაით მოიძებნებოდა. მართამ დიდი ყურადღება მიაქცია ყმაწვილს და მოხდენილს თარჯიმანს და შემოდგომაზედ, როდესაც „კომისია" ქალაქს დაბრუნდა, მართაც მამის ჩუმად კოშკაძეს თან გაჰყვა იმ იმედით, რომ გაანჩხლებული მშობელი მალე დაშოშმინდებოდა და აპატიებდა დანაშაულს თავის ქალ-სიძეს. მაგრამ მამა საშინლად განრისხდა ასეთის შეურაცხყოფისათვის და მიტევების მაგიერად ქალი შეაჩვენა და თავის საცხოვრებელი თავის უმცროს ქალს დაუმტკიცა; ესეც არ აკმარა განრისხებულმა თავადმა თავის საცოდავ ქალს, ყოველი ღონისძიება იხმარა და სამსახურიდან გამოაგდებინა ივანე. მართა, სიმდიდრეში და ფუფუნებაში აღზრდილი, შეიქმნა თავის გატაცების მსხვერპლად და ჩავარდა საშინელ სიღარიბეში. ორი-სამის წლის შემდეგ ქმარიც მოუკვდა და დარჩა პატარა ლიზათი სრულიად უმოწყალოდ. ბევრის წვითა და დაგვით გამოზარდა მართამ თავისი ლიზა რვა-ცხრა წლამდე და, შემდეგ ბევრის ცდისა და დიდკაცების ფეხების ლოკვისა, ბინა გაუჩინა „ზავედენიაში".

ლიზა დღეს კურს-შესრულებულია და აი ახლა თითონ იწყებს შრომას, რომ მოამაგე დედას ლუკმა პური გაუჩინოს და თითონაც პატიოსანის შრომით იცხოვროს.

ლიზა დიდის გულის ტკივილით განშორდა ქალაქს. მისი გულითადი სურვილი იყო, ქალაქში ეშოვნა ალაგი მასწავლებელისა, მაგრამ, საუბედუროდ, იმისი დიპლომი პირველის ხარისხისა არ იყო, და მუდმივი ალაგი სახელმწიფო პანსიონებში ასცდა და დღიურად „უროკებით" ცხოვრება ვერ იკისრა, კონკურენციისა ეშინოდა; ისევ სოფლის მასწავლებლობა ირჩია და აი მიდის სოფელში გულ-გატეხილი და დაძმარებული. ლიზას თვალთ წარმოდგენილი იქვს სოფელი თავისის დედის ნაამბობის მიხედვით:

— სიმარტოვე, სიმარტოვე და უფერული და ერთგვარი ცხოვრება. შვილო, სხვას ნურას მოელი, — ეტყოდა ხოლმე მართა

და ამის გამო ლიზაც უნუგეშოდ უყურებდა თავის მომავალს, სოფლის სკოლის მასწავლებლობას.

— ყოველთვის ერთი და იგივე, დილიდან საღამომდე!— ამოიოხრებდა ხოლმე ლიზა:—ბავშვები, ბავშვები და ბავშვები. არც წასაკითხი წიგნი ჩემთვის, არც ერთი განათლებული ადამიანი ხმის გასაცემად! მთელი ჩემი სიყმაწვილე მარტოდ-მარტო უნდა გაეატარო მხოლოდ ლუკმა-პურის შესაძენად! ჩემი ამხანაგები კი ეხლა, ვინ იცის, რა სიამოვნებასა და დროს გატარებაში არიან; თავიანთ სახლებში, მორთულნი, მხიარულნი, ბედნიერნი თავისის თავისუფლებით და მე კი!—მე უბედური მივარდნილ სოფელში, გამოყრუებული, ოც და ხუთის მანეთის შემაკქერალი. ოჰ, ღმერთო! რად გააჩინე ღარიბი ადამიანი ქვეყანაზედ!

ყველა ეს ფიქრები ცხადად ებეჭდებოდა ლიზას პირისახეზედ და ნაღვლით და ცრემლებით ავსებდა იმის გონიერ თვალებს.

დილიჟნის მეორე ბოლოში მჯდომი უფრო სხვა ფიქრებში იყო გართული. ეს იყო სოფლის შვილი და სიამოვნებით მიივლტოდა სოფლისაკენ. ყმაწვილის კაცის ოცნება სავსე იყო მრავალის მაღალის აზრებით. იმედი ჰქონდა თავისი კეთილი აზრები დეემყნო სოფლის ნიადაგზედ. ესეც იმავე აზრით მიდიოდა კახეთში, როგორც ლიზა; ამასაც სოფლის მასწავლებლობა ჰქონდა მინდობილი, მაგრამ ეს თანამდებობა უფრო სანუგეშო და სასიამოვნო აზრებს ჰბადავდა მის გულში, ვიდრე სამწუხაროს. ლიზა იტანჯებოდა მხოლოდ პირადის უბედურებით, სწუხდა მხოლოდ თავის მარტოობას, თავის ოც და ხუთ მანათის ჯამაგირის სიმცირეს და ნიკო ბერიშვილს კი, საკუთარ პირადობის ფიქრი აინუნში არ მოსდიოდა. ჰფიქრობდა მხოლოდ იმ მოვალეობისათვის, რომელიც თავის ცხოვრების ასპარეზად აირჩია და რომელიც თავის ქვეყანაში საუკეთესო შრომად მიაჩნდა. თვალ-წინ ჰყვანდა მხოლოდ ის პატარა მოწაფეები, რომლებისთვისაც გონების თვალები უნდა აეხილნა, რომლებისთვისაც სინათლის გზა უნდა ესწავლებინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა გულში სწავლა და მეცნიერება უნდა დაენერგა. სოფლის მღვდლის შვილი იყო, სიღარიბეში წვა და დაგვით გამოზრდილი. ამიტომ ძალიან კარგად იცოდა სოფლის ავი და კარგი, მისი მწვავე და წყლულნი და ჰფიქრობდა, რომ ერთად ერთი სინათლის მომფენი სოფლის ბნელს ცხოვრებაში სკოლა იყო, და ამ სინათლის მოფენა, ამ სიბნელის გაშუქება საბედნიერო საქმედ მიაჩნდა და სხვაგვარი პირადი ბედნიერება სრულიად მიეიწყებული ჰქონდა.

ნიკო ბერიშვილს როდესაც დილიჟნის ჯანჯღარში ხანდისხან ფიქრი შეუწყდებოდა, უნებლიედ გადაჰხედავდა ლიზას და, თუ შენიშნავდა, რომ ისიც მე მიყურებსო, მორცხობით თავს ჩაჰღუნავდა ხოლმე.

კარგა დასაღამოჟამებულიყო, როდესაც დილიჟანი ნელა-ნელა შეუდგა გომბორის მთის აღმართს. ქალაქის ახლო-მახლო მიდამონი, გვალვისაგან გარუჯულნი შეიცვალა მშვენიერის ბუნებით: ყვითელ, თვალ-გაუწვდენელ მინდვრის და ზედ გველივით გაწოლილ მტკვრის მაგივრად, გამოჩნდა სასიამოვნო მწვანე ტყე და ველი. მაგრამ მთის ბურუსმა მალე იწყო ძირს ჩამოსვლა და ერთის საათის განმავლობაში სულ მთლად მოიცვა არე-მარე. „კუჩერი“ მაღლა ხმით უშტიალებდა ცხენებს, მგზავრებმა თავები ჩაქინდრეს და იწყეს მარჯვნივ და მარცხნივ რხევა. მართა ბავშვივით მიეყრდო თავის ლიზას და ამოუშვა ხვრინვა. დილიჟანში სრული სიბნელე იყო და სიბნელისაგე შესაფერი მყუდროება. მხოლოდ ლიზა და ნიკო ფხიზლობდნენ და ეხლა უფრო შხირად და გაბედვით გადაჰხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და იქნება ხშირი ცქერაც იყო მიზეზი ამათის სიფხიზლისა, თორემ დილიჟნის ნელი რყევა, იქ მსხდომთა მადიანი ხვრინვა და გარშემო ჩამოვარდნილი ბინდი და ბურუსი ძრიელ ხელს უწყობდა მგზავრობის გამო შემოკლებულ დღევანდელ დილის ძილის გასაგრძობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც დილიჟანი შევიდა კარგა დიდ ეზოში სოფელ გომბორას. ეზო გაჩაღებული იყო ორის ფარნით. ეზოს აქეთ-იქით დიდის ხის ფარდულების ქვეშ რამდენიმე ცხენი ქერსა სჭამდა და ისმოდა ხმა ხრამა-ხრუმისა. ეზოში ახალ მოსულს დილიჟანს გარდა ორი სხვა დილიჟანიც იდგა. სახლიდან ჟღავი-ჟღუვი გამოდიოდა. ლიზა და მართა თავიანთ ბოხჩით მოწიწებით შეიდნენ ოთახში. სქელი, ფაშფაშა დედაკაცი მოეგება, გაუარფარებულის, განიერს კაბით, თავზე ხელსახოცგაკრული.

— მობძანდით, მობძანდით, აი ქალების ოთახი, დამახინჯებულის ქართულის ენით უთხრა ქალებს სახლის პატრონმა, რუსის დედაკაცმა.

ოთახი, რომელშიაც შეიწვია სახლის პატრონმა დედა და შვილი, რიგიანად მოწყობილი იყო; სტოლზედ ლამპარი ენთო და ცხოველად ანათებდა პატარა ოთახს, რომელსაც სუფთა შალიერი ეკრა, ფანჯრებს თეთრი კისაის ფარდები ეფარა და კედლებთან ორი საწოლი ედგა ზედ გაშლილის სუფთა ლოგინით. ამ სადგურ სახლში, რომელსაც „ანასტასიას“ უწოდებდნენ, რამდენიმე ოთახი იყო მგზავრებისათვის და დღეს თითქმის ყველა ოთახი გაეცვლოთ მგზავრებს, რადგანაც ენკენისთვის ათი იყო და „ალავერდობისათვის“ ბევრი მიეშურებოდა კახეთს. მომცეტებული მათგანი ვაჭარი ხალხი იყო, ზოგი თელავიდან და სიღნაღიდან და ზოგიც ქალაქიდან. ანასტასიამ საჩქაროზედ აადგილა ოთახი-ხუთი სამოვარი, ყველა ოთახში თითო-თითო შეიტანა თავის ჩაის იარაღით და ცხელ-ცხელის რძით დიდრონ ჭიქანურის სარძევეებით.

მართა და ლიზაც შემოუსხდნენ სამოვარს და მდუმარებით შეექცეოდნენ ჩაის. მარტო ნიკო ბერიშვილი შედიოდგადიოდა აივნიდან ოთახში და ოთახიდან აივანზედ; ყმაწვილს

კაცს თითქო ეკრძალებოდა სახლის პატრონისა და ვერ ბედავდა ერთი სტაქანი ჩაი მოეკითხნა.

— დედა, გენაცვა, დაუძახე იმ ყმაწვილს,—უთხრა ლიზამ მართას,—საწყალი სულ მარტოა, არავის ეკარება. ან იქნება ფულიც არა აქვს, რომ ჩაი დალიოს.

— დავუძახოთ, შვილო, დამიანები არა ვართ. ერთი სტაქანი ცხელი წყალი რა დასაზოგავია.—და მაშინვე კარებიდან გასძახა ნიკოს: —ყმაწვილო, დაგვეწვიეთ, შვილო, ჩაიზედ, ჩვენც მარტონი ვართ და დიდად ვისიამოვნებთ.

ნიკო მოკრძალებით შემოვიდა ოთახში. დაბლა თავჩაღუნული მივიდა ლიზასთან ხელის ჩამოსართმევად და საჩქაროდ წაიჩურჩულა თავისი გვარი და სახელი.

რამდენისამე წამის შემდეგ ლიზამა და ნიკომ უამბეს ერთმანეთს თავიანთ მოგზაურობის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ესენი ახლო მეზობლები იქნებიან ერთმანეთისა, რადგანაც სულ რამდენიმე ვერსია ნაკიხურალსა და ლეკისკარას შუა, სადაც ამათი სკოლებია.

— თქვენც პირველად მიხვალთ, თუ გამოცდილი ბძანდებით მასწავლებლობაში?—ჰკითხა მართამ ნიკოს.

— არა, წელს მესამე წელიწადია. კანიკულებში შინ გახლდით, ზემო ქართლში მყავს დედ-მამა და ახლა ისევ ვუბრუნდები ჩემს თანამდებობას.

— ზემო ქართლში? მაშ აქ რა გინდათ, განა თქვენში კი არ არის სკოლები, რომ თქვენ სახლთან ახლო ყოფილიყავით?

— ზემო ქართლში, ბატონო, საუბედუროდ, აგრე რიგად ხშირი არ გახლავთ სკოლები. მეც ბევრი ვეჩიჩინე ჩვენის სოფლის გლეხებს, მაგრამ ხარჯისა ეშინიანთ და არც არავინ მეთაური ჰყავთ, გულის შემატკივარი; ამას გარდა ქართლში ძნელი იმისათვის არის სკოლის დაარსება, რომ სოფლები ძლიერ პატარებია, ოც და ათი—ორმოცი კომლი სკოლას ვერ შეინახავს და რამდენისამე სოფლისთვის ერთად საძნელოა, შვილების გაგზავნა სხვა სოფელში ძლიერ მოუხერხებელია. კახეთში კი სოფელი არ არის, რომ ხუთას, რვაასი კომლი არ

სცხოვრობდეს და ამისათვის მთავრობას არ უძნელდება სკოლების დაარსება.

ყველა ამეებს ლიზა გულის ხმიერებით უგდებდა ყურსა; მისთვის სოფელი ქართლშიაც და კახეთშიაც ერთგვარად უცნობი იყო. ლიზა თუმცა ყოფილა თავის სიცოცხლეში ორიოდსამჯერ სოფლად თავის ამხანაგების სახლობაში, მებატონეებთან და მხოლოდ შორიდან თუ მოუკრავს თვალი გლეხკაცის ცხოვრებისათვის, თორემ იმათი ავი და კარგი გაგონებითაც არ გაუგონია და ეხლა კი გარემოებამ წილად არგუნა მდაბიო ხალხში ტრიალი, იმათის შვილების განვითარება და, ცოტად თუ ბევრად, იმათი შემზადება თავიანთ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— ყმაწვილები როგორ სწავლობენ, ადვილად? ნიჭიერები არიან?—დეეკითხა ლიზა ნიკოს.

— ნიჭით, როგორ შოგახსენოთ, ქალაქის მემკვიდრეთა შვილებზე უნიჭოები არ არიან, მაგრამ სოფლელები უფრო ძნელად შეიგნებენ ხოლმე საგანს და მეორ-მესამე წელიწადს კი უფრო დაკვირვებით ექცევიან საქმეს. საუბედუროდ, სწავლისათვის ცოტა დროა დანიშნული და, როდესაც გონება ეხსნებათ, სწავლის გემოს იღებენ, იძულებულნი არიან სკოლას თავი დაანებონ.

— ოჰ, რანაირად მეშინიან უნიჭო ყმაწვილებისა!—მწუხარებით წამოსთქვა ლიზამ. დაბალ კლასებში ვასწავლიდი და უნიჭოები ამატირებდნენ ხოლმე თავიანთის სისულელით, გაუგებრობით!

— არა, გლეხებთან ტირილით ვერას გააწყობთ, —ღიმილით მიუგო ბერიშვილმა.—იმათთან მხოლოდ დიდის მოთმინებით და გულ-მხურვალებით თუ გახდებით რასმე.

ამათ ბაასში სხვა ოთახების სტუმრებმა ჩაიც გაათავეს და ვახშამიც გაიშალეს. გაიმართა „ალავერდი“ და „იახშიოლ“, ზედ მოჰყვა „მრავალ-ჟამიერ“, შემდეგ „გარმონის“ ჰკვიტინი და შეუქლებელი შეიქმნა ლაპარაკის განგრძობა. ბერიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეთხოვა დედაშვილთ და წავიდა ღამე გაეთია სადმე, რომელისამე ოთახის კუნჭულში.

სიმღერა, „ალავერდი“, ხანდისხან დოლის მაგივრად სტოლის ფიცრის შემწეობით ლეკური არ შეწყვეტილა გათენებამდინ. ირაჟრაჟა თუ არა, ორმა-სამმა თანამგზაერმა ფანჯარა დაურაკუნეს ლიზას: „ადექით, რაღა! გათენდა, გეყოფათ მოსვენება, დროა წავიდეთ“.

— ჯერ ხომ დილიჟანი მზად არ არის, დეე, ცოტა მოისვენონ, — მოწიწებით სთხოვა ნაბახურევებს ბერიშვილმა. მთელი ღამე სულ ხმაურობა იყო... იქნება თვალი არც კი მოუხუჭნიათ უბედურებს.

— დეე, მოისვენონ, დეე,—უთხრა ერთმა მიკიტანმა მეორეს თვალის ქნევით და დაცინვით.—ხომ ჰხედავ ამ „ტუდენტს“ გული სტკივა! ბარიშნას თვალები! ვა რა თვალებია, იალბუზის მარსკვლავივით კი აბრიალებს-და!

— გაჩუმდით-მეთქი!—მუქარით შეუტია ნიკომ ლაზღანდარებს და მუშტზედ დაიხედა.

— ვა, ვა ეს რა „სტროგი“ ვინმე ყოფილა. ვა, შენი ვინმე ხომ არ არის, რომ აგრე ცხარობ?

— გაჩუმდი-მეთქი!

ამ ორ სიტყვაში იმდენი სიმამაცე და გულის სიამაყე იყო, რომ მიკიტნები ჩაჩუმდნენ, აქეთ-იქით გაიფანტნენ და მხოლოდ იქ მისცეს ნება თავის გესლიან ენას და ავს ბუნებას.

ლიზა სწორედ ამ ფანჯარასთან იწვა, საცა ეს ბაასი მოხდა და ყოველივე დაწერილებით გაიგონა. დედაკაცის თაემოყვარეობამ გაიღვიძა და სიამაყით ჩაიცინა. თუმცა მართა აჩქარებდა ლიზას. ჩქარა, შვილო, ცხენებს აბმენ, იმ ოხერი „კუჩრის“ სალაპარაკოდ აღარ გავხდეთო, მაგრამ ლიზა ზლაზვნით იკრავდა ბაშმაკის ღილებს და ფიქრით თავის ახალ კავალერს დასტრიალებდა.

— რა შვილია!—ტუჩის აბზუებით ამბობდა ლიზა:—ტანდაბალი, ქათამივით პაწაწინა თვალები აქვსო, ყურებამდინ

შავი ბალანი ასხია. ტანისამოსი, ტანისამოსი?! სწორედ იარმუკაზედ ექნება ნაყიდი. ახლა იმის რუსული ლაპარაკი: „ღოსპოდინ ისპეკტორ“. ხა, ხა, ხა!—უცებ გადიხარხარა ლიზამ და საშინლად გააშტერა თავის დედა მართა.

— ქა, რა დაგემართა, ქალო, რა ეშმაკები მოგეჭვენა? ეკრე უსაბაბოდ ხარხარი გაგონილა! ვინც გაიგონებს, რას იტყვის!

— ეხლავე, დედაჯან, ეხლავ მზად ვიქნები,—და საჩქაროდ ფეხზედ წამოხტა.

III

მშვენიერი რამ იყო ამ შემოდგომის დილაზედ სოფელი გომბორი, ახოვან მთის მწვანე კალთებზედ მოკეცილი! რა მსუბუქი და ნესტით გაჟღენთილი იყო ეს მთის ჰაერი! ცხოველ სურათად წარმოუდგა ლიზას ეს სოფელი თვისის პატარა თეთრის სახლებით და სოფლის შუა მწვანე მეიდანზედ გაშლილ საქონლით. ბრწყინვალე ვარაყიანის რკალით იყო შემორკალული გომბორის მთის წვერები ამომავალ მზის სხივების წყალობით. ყმაწვილი ქალი მთლად ცქერად გადაიქცა. ეს მშვენიერი სურათი უფრო ცხოველად იხატებოდა იმის შეუჩვეველ თვალ-წინა და უფრო ღრმად იბეჭდებოდა მის გულში ეს მდიდრულად შეხამებული ბუნება.

დღეს დილიჟანში, განგებ თუ შემთხვევით, ნიკოლოზის გვერდით იჯდა და ამაყად უცქეროდა თავიანთ პირდაპირ მჯდომარე ქალაქელ ეპრებს; ისინიც მოწიწებით ექცეოდნენ დღეს ქალებს და დიდის სიფხიზლით ირიგვდნენ საუბრის საგანს.

— დედი,—უთხრა, მართას ოქრომჭედელმა,— „ალავერდს“ ხომ არ მიბძანდები? ისეთი ნივთები მიმაქვს, რომ კაცს თვალს მოსტაცებს, უყიდე რამე შენ მშვენიერ ქალსა, იაფად მოგირიგდები.

— არა, შვილო, ჩვენ ნივთების ფული ვინ მოგვცა. ჩემი ქალი ერთი საწყალი მასწავლებელი არის. ალავერდში თუ მიხვალ, იქ ბევრი კნეინები იქნებიან, იმათზე გაასაღე.

— „ბარიშნა“, ბროწეულს არ მიირთმევ? ისეთი ბროწეულია, ისეთი, როგორც შაქარლამა! პირდაპირ ჰერევნიდან მიმიღია, მედა ჩემმა ღმერთმა.

ლიზამ ღიმილით მიიღო ბროწეული და თან ბერიშვილს გადაჰხედა, თითქო ამ გადახედვით მადლობა უნდა ეთქვა იმისთვის, რომ დღეს მგზავრები ასე თავაზიანად ექცეოდნენ.

— ლიზა, შვილო, გაიხედე, რა მშვენიერი ტყეა! ჰხედავ შიგადაშიგ რა ახოვანი ხეებია წაქცეული კაცის მოუსვენარის ხელისაგან.

მართლაც, მშვენიერი რამ არის ბუნება, გომბორის პირველ მაღლობიდან რომ დეეშვება შოსე ახოვან ტყეში. განიერი, სუფთა, ვერცხლივით მოჭედილი გზა, თითქმის გადახურულია აქეთ-იქიდან დაბურულის ტყის ტოტებით. თავდაღმართში ცხენებმაც გაიღვიძეს და ამაყად გააქროლეს თავისი მძიმე ტვირთი. ბუნების მეტის-მეტმა მშვენიერებამ და დილიჟნის ჩქარმა სრიალმა კარგს გუნებაზედ დააყენა ყველა.

— შენი ჭირიმე, შენი, ვანიჩკა, აბა, თუ „ნაოტკი“ გინდა, გაჰკა! — შესჩურიღნენ მგზავრები დაღვრემილ მეეტლეს.— აბა, მარჯვედ, ვანიჩკოჯან, მარჯვედ! თელავში ადრე ჩაგვიყვანე და იქ ჩაგაჭყაპებთ წითელ ღვინოს!

მაგრამ ამათმა სიხარულმა დიდ ხანს არ გასტანა, დაღმართი შესწყდა, დილიჟანი შეუდგა გომბორის უდიდესს და უკანასკნელ აღმართს და ცხენებმა ისევ ჩაჰკიდეს თავები. ბერიშვილს გულით უნდოდა ეთქვა რამე ლიზასთვის, განეგრძო წუხანდელი დაწყებული ბაასი, შეეტყო მისი აზრი, მიმართულება, შეხედულობა იმ საგანზედ, იმ შრომაზედ, რომელსაც ეს ქალი უნდა შესდგომოდა, მაგრამ წყეული ხასიათი, ბურსაში აღმოცენებული მუდმივი კრძალვა, ენაზედ მუხრუჭს უჭერდა და მთელი გზა ლიზამ და ნიკომ თითქმის უსიტყვოდ გაიარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც დილიჟანი შევიდა კახეთის დედა-ქალაქში. ნეტა იმის ნეტარებას, ვისაც შორიდან დაუნახავს თელავი და შიგ კი არ გაუვლია. თელავი გარედან შეხედვით წარმოადგენს ხელოვნურად შეკრულ ვარდის კონას, რომლის ცქერაც არ დაჰღლაეს არც თვალს და არც გონებას: მაღალს სერზედ გადმადგარი ქალაქი მთლად გატენილია ბაღ-ვენახებით, რომლებ შუა აქა-იქ წითელის კრამიტით დახურულ ლამაზად აგებულ სახლებს ვარდივით ამოუყვიათ თავები. ზემო და ქვემო თელავი, ერთი-ერთმანეთზედ ჩამოკიდებულ ნინევიის ბაღებს წარმოგიდგენთ, მაგრამ შიგ ქალაქში კი რომ შეხვალ, ვაი შენს ოცნებას. ვიწრო, ნაგვით სავსე ქუჩები და ზოგან ქუჩების მაგივრად გამშრალი, განიერი და დიდრონის ქვებით სავსე ხევები, გიკარგავენ ყოველ გვარ ილიუზიას, შორიდან დანახულის სურათით აღძრულს.

შუა ქუჩას, რომელიც ქალაქს ორად ჰყოფს, ჩამომწკრივებული აქვს ორივე მხრივ დუქან-ბაზარი, სადაც ეპჭრობა კარგა რიგიანად უნდა მიდიოდეს, თუ იმ აუარებელ ხალხს მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ირეოდა იმ დღეს, როდესაც ჩვენი ნაცნობი დილიჟანი, შემდეგ ბევრის რახრახისა გაუთავებელ რიყეებზედ, გაჩერდა შიგ შუა ბაზარში.

დილიჟანში მსხდომნი თავიანთის ბარკით ეშურებოდნენ გადაბძანებას. მხოლოდ ლიზა და მართა გაშტერებული იცქირებოდნენ.

— გადმოდით, რაღა! — თავისებურის უზდელობით უთხრა „ვანიჩკამ“ ქალებს.—ვერ გაიგეთ, მოვედით! ცხენები მინდა დავაბინავო. ხვალამდინ ხომ აქ არ ისხდებით!

— წავალთ, შვილო, წავალთ,—თითქო ახალი გამოფხიზლებულიაო, ისე წამოხტა მართა. ღმერთი მოწყალეა, ქვეყანაზედ კეთილი ადამიანი არ გაწყვეტილა, ერთიც არის ვინმე გზას გვიჩვენებს.

ლიზა ეხლა უფრო საშინლად ჰგრძნობდა თავის მარტოობას. რა ექნა უცხო ქალაქში, ვისთვის მიემართნა, როგორ გაეგო, საით იყო იმისი ახალი ბინა. მანამ მართა ამოალაგებდა თავის ბარგ-ბარხანას, ლიზა ხელებ-ჩამოყრილი, ყოვლად უმწყალოდ, იდგა შუა-ბაზარში; გარს შემოეხვივნენ ქუჩის გოგო-ბიჭები, გამვლელ-გამომვლელნი, შესჩერდებოდნენ და დაკვირვებით უყურებდნენ ვზაში გაჩერებულ უცხო ქალსა.

ბოლოს მართაც ჩამოვიდა და ბარგით ხელში მიჰმართა ერთ მედუქნეს:

— შვილო, ვერ მიგვასწავლი სადმე ბინას, რომ ღამე გავათიოთ? დღეს სადღა წვავალთ, დაღამებულია.

— რა ვიცი, როგორი ბინა გინდათ? თუ გსურთ, აი პირდაპირ „გოსტინიცაა“, იქ მიდით; გინდათ აი ამას იქით რომ დუქანია, იქ მიდით; დუქნის ოთახი აქვთ, გაქირავებენ.

— უჰ, კაცები! ბრიყვები!—სასტიკადა სთქვა ლიზამ:—ის ბერიშვილი იყო თუ ვიღაც, რა იქნა! აქაური იყო და ასე თავი დაგვანება, გზას ვერ გვასწავლიდა, ზურგზე ხომ არ ავეკიდებოდით.....

ლიზას ეს სიტყვები ჯერ არ გაეთავებინა, რომ ნიკო საჩქაროდ მოვიდა და უთხრა ქალებს:

— მობძანდით, აი აქეთ მობრძანდით, ერთი ნომერი ვიშოვნე სასტუმროში. სუფთა ოთახია. საჭმელსაც ცოტაოდენს იშოვნით რასმე.

ლიზას შერცხვა თავის უალაგო აჩქარებისა და გაწითლებულმა მაგრა ხელი ჩამოართვა ნიკოს და უთხრა:

— თქვენ ძლიერ კეთილი ხართ. მე შეგონა, რომ ამ უცხო ალაგას თავი დაგვანებეთ-მეთქი. მაპატიეთ, რომ ამგვარი ეჭვი გავივლე გულში. ნიკომ მორცხვად გაიღიმა და საჩქაროდ ავიდა სასტუმროს დაფერხვილ კიბეზედ.

თელავის „გოსტინიცა“ ერთად ერთია მთელ ქალაქში და ისიც მთლად ცარიელი დაუხვდათ ჩვენს მგზავრებს. სასტუმროს მისავალი კარი და კიბე ისე ფამფალებდა, რომ მგზავრებმა დიდის სიფრთხილით ძლივს მოახერხეს ასვლა; აივანი, ოთახები წარმოადგენდნენ ერთ რაღაცა ნაოხარს, მტვრითა და

აბლაბუდით გატენილს. პირმოტეხილი კოკა, გვერდზედ გადახრილი ხის სტოლი, ადმის ჟამის გაუხეხავი ცალ-ყურა სამოვარი და ჭრელის ნაჭრების საბნით გადაფარებული ხის ტახტი, აი რა იყო მორთულობა საუკეთესო ოთახისა ამ სადგურში.

ლიზამ თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც თავისი თავი ჭერ-ქვეშ დაინახა. პირი დაიბანა, თმა გაისწორა და გავიდა სასტუმროს აივანზედ, რომელიც გადაჰყურებდა მთელ ალაზნის ხეობას და მის დანახვაზედ აღტაცებით შესძახა: ეჰ, ღმერთო, რა მშვენიერებაა! რა სურათია! და მართლაც, თითქო სამოთხე იყო იმის თვალ-წინ გადაშლილი: აყვავებული, კეკლუცად მორთული ალაზნის ველი, განიერი, მწვანე ჭალებით და აჭრელებული, ხნულ-ნაწვერლებით სავსე მინდორი, თვალ-გაუწვდენელი მდელო, შუაზედ გაყოფილი ალაზნის ვერცხლისებრივად მობრჟყვარიალე ზოლით და შემოკალთული ცალ-მხრივ დაღესტნის ახოვანის მთებით და მეორე მხრივ გომბორის სიმაღლეებით. ამ მთების კალთებზედ ხშირ მწვანეში გახვეული, წითელ კრამიტით დახურული სახლები სოფლებისა აგვირგვინებდნენ ძვირფას სურათს კახეთისას, ამ საუკეთესო და სასიქადულო მხარეს საქართველოსას. ჩამავალი მზე რაღაც რბილს, ნაზს შუქს აყენებდა მთლად ამწვანებულ არე-მარეს და მათ ზემოდან თოვლით თავ-წაყრილ დაღისტნის მთების ზოლსა. ლიზა არ იყო შეჩვეული დაკვირვებასა; იმისი ბუნება ძნელად შთაიბეჭდავდა ხოლმე მშვენიერების ძაღას, მაგრამ ამ დიადმა, ბრწყინვალე ბუნების სიმდიდრემ მთლად დაატყვევა იმისი თვალი. ნიადაგზედ დაყრდომილი ხშირად ბინდამდე ხარბად სტკბებოდა ბუნების მშვენიერებით; ბინდმა მხოლოდ სურათის ფერი შესცვალა და უფრო სიტურფეთი და პოეტურის საიდუმლოებით შეავსო. აქა-იქ, ალაზნის გალმა და გამოღმა ცეცხლები აენთო, დაღისტნის მთებს ბურუსი შემოეხვია, გარშემო სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მიწყდა კაცთა ხმაურობა, სიოც კი არ არხევდა შემოდგომის სიტკბოებით გატენილს ჰაერს. ლიზა ისევ იდაყვზე დაყრდომილი იყო და გონება-დაუტანებლივ, უაზროდ, მთელის თავის არსებით შთანთქმულიყო ბუნების მზერით.

ოთახში მართას მიეძინა, აივნის კარები ღია იყო და იქიდან მკრთალი ნათელი გამოდიოდა გარედ; უცებ ამ შუქს რაღაც აეფარა და აივანზედ სრულიად ჩამობნელდა; ამ შემთხვევამ შესწყვიტა ლიზას ოცნება; ყმაწვილი ქალი ნელა წამოდგა და ოთახისკენ გეეშურა. ოთახის კარებში შეხვდა ვიღაც ყმაწვილ კაცს ჩარქეზულის ტანისამოსით და სახლის პატრონ ქალს, რომელიც ყმაწვილს მოწიწებით თავს უხრიდა და ბოდიშს იხდიდა იმასთან: „კნიაზო“, მაპატიეთ, რომ თქვენი ოთახი სხვას მივეცი, არ ვიცოდი თქვენი მოსვლა, თორემ რა ღმერთი გამიწყრებოდა!

— არ ვიცოდი, არ ვიცოდი!—მედიდურად, ხმა-მაღლა უწყრებოდა კნიაზი ქალს.—განა არ შეიძლება ერთი ოთახი ყოველთვის ჩემთვის იყოს დარჩენილი, რა იშვიათი სტუმარი მე აქ ვარ! სხვა თქვენს ოთახებში კაცს არ ედგომინება. მე, საცა იქნება, იქ წავალ და დღეიდან კი აღარ ვიცნობ თქვენს ჯუჯუიან, გოსტინიცას კი არა, ტრახტირს, ბოსელს, საქათმეს!

— რადა სჯავრობთ, ბატონო,—წყნარად უთხრა ლიზამ თავადს.—ჩვენ ადვილად შეგვიძლიან სხვა ოთახში გაეათიოთ ღამე და ეს ოთახი ერთ წამში თავისუფალი იქნება თქვენთვის. დედა!—მიუბრუნდა მერე ლიზა გამოფხიზლებულ მართას, ამ ბატონს ჰქონია ყოველთვის ეს ოთახი დაქირავებული, ადე, ჩვენ მეორეში გადაეიდეთ, სახლიპატრონს პირს ნუ გავუტეხავთ.

— უკაცრაოდ, უკაცრაოდ, ნუ შესწუხდებით, ქალები ბრძანებულხართ, არ ვიცოდი!—დაბლა თავის დაკვრით წაიტუტუნა თავადმა, როდესაც ლიზას მშვიდი და ზრდილობიანი სიტყვები გაიგონა, ამასთანავე, რასაკვირველია, არც ლიზას ლამაზი თვალები და ლაზათიანი ფიგურა დარჩა შეუნიშნავი კნიაზს.

— მე თვითონ არა მიშავს-რა სხვა ოთახში. ნინო,—მიუბრუნდა შემდეგ სახლიპატრონს,—მეორე ოთახი დააგვევინე, როგორც იქნება, გავათევ ღამეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკაცრაოდ, მადმოაზელ, მაპატიეთ, თქვენი ღვთის გულისათვის, ჩემი სიბრიყვე, რომ ასე უდროოდ დავარღვიე თქვენი მყუდროება! გთხოვთ მიცნობდეთ დღეიდან თქვენს პატივისმცემელ თავ. იასონ ჯანბადრუკიანს.

— ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვისაც თქვენი გაცნობა. დაბძანდით, ბატონო, მანამ თქვენს ოთახს მოამზადებდნენ.—კეკლუცობით და მიმოხვრით უთხრა ლიზამ თავადს.

— დიდად გმადლობთ.—მოხდენით დაუკრა თავი იასონმა ყმაწვილ ქალს და ჰკითხა:—თუ უკაცრაოდ არ გახლდებით, საიდან მობრძანდებით, ან აქ სად აპირობთ ჩამოხდომას?

— ნაცისტურალის სოფლის მასწავლებლის ალაგი უნდა დავიჭირო,—მიუგო ლიზამ და, თითქო არ იყო, სირცხვილის სიწითლემ გადაჰკრა პირისახეზედ.

ეს შენიშნა თავადმა და სიბრალულით უთხრა:

— სოფლის სკოლის მასწავლებლად, თქვენ? ეგ შეუძლებელია! მთელი დღე გლეხკაცების ჭუჭყიან, ბრიყვ ბავშვებთან, ხომ ჰკუაზედ შესცდებით, მადმოაზელ!

„მადმოაზელს“ დიდის მეცადინეობით გამოსთქვამდა ხოლმე იასონ ჯანბადრუკიანი, თითქო ამ სიტყვით უნდოდა დეერწმუნებინა ლიზა, რომ განათლებული და სხვა-და-სხვა ევროპულ ენების მცოდნე ვარო, და ლიზაც, ცოტა არ იყოს, მოჰხიბლა იასონის გაწვრთნილმა მიხვრა-მოხვრამ, იმისმა გამოლაშინებულმა ბაასმა; ამასთან იასონ ჯანბადრუკიანი მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი იყო. იმის წერწეტი, კარგად მოყვანილი ტანი ხელოვნებით შეკერილ ჩერკესკაში იყო გამოწყობილი, ბროწეულის ფერი ატლასის ახალუხი ძრიელ უხდებოდა იმის ცხვრის ფერ თვალებს და ხორბლის ფერ პირისახეს. შავი ქამარ-ხანჯალი და შავი უბრალო მასრები რაღაც სიდარბაისლის ხასიათსა სდებდა იმის მორთულობას.

იასონი ტკბილად აცეცებდა თავის დიდრონ ბეცე თვალებს ლიზას და კმაყოფილებას უღვიძებდა ნორჩ, გამოუცდელ გულში.

იასონი ერთი-ორის წამით სახლის პატრონს რაღასაც დეეხმაურა და ერთის საათის შემდეგ, მართასა და ლიზას დაუ-

კითხვად, სადგურის პატრონის მოსამსახურემ სუფრას დაუწყო შლა მათ ოთახში.

ძეირფასმა კახურმა ღვინომ, ცერიანმა წვადებმა და ცივმა დელიკატესების მაგვარად ძალიან შეაშინა მართა. რა ხუმრობაა ამისთანა მასპინძლობა! იქნება მე მშიერსაც დამეძინა, ვინ ეხვეწებოდა იმ დალოცვილს სახლის პატრონს. მაგრამ ვახშამი ტყუილად გაიშხამა ამ საშინელის ფიქრებით. იასონმა მიიწვია ისინი ვახშმად და თითონვე დაუწყო მასპინძლობა:

— მიირთვით, შენი ჭირიმე, მიირთვით. მერე არა სთქვათ ქალაქელებმა, კახეთში მასპინძლობა არ იციანო. ნაციხურალი ახლოა ჩემ სოფელზედ და იმედი მაქვს იქ უფრო რიგიანად გაგიმასპინძლდებით; რაც შეეხება თქვენს სამძიმო თანამდებობას, მადმოაზელ, ვეცდებით როგორმე უფრო სუფთა საქმე გაგიჩინოთ, ვიდრე სოფლის მასწავლებლობა. ოჰ, სოფლის მასწავლებლობა ცმაწვილი, გაზდილი და ლამაზი ქალისათვის, это нѣчто весьма грубое,— ჩაურუსულა იასონმა რადგან ეგონა, რომ ქართულად ასე ცხოვლად ვერ გამოსახავდა თავის მძულვარებას სასოფლო სკოლის მიმართ. Предоставьте это дѣло семинаристамъ. ვერ წარმოიდგენთ, ზედ გამოჭრილები არიან „ბურსელები“ სკოლებზედ, აი თუნდ ჩვენი სოფლის, ლეკიკარას სკოლის მასწავლებელი, მთელი დღე, კვირაობითაც კი, განუყრელად გლეხებში ზის, იმათ ელაპარაკება, იმათში ერთობა; ჩვენ კი ვერას გზით ვერ შევიჩვიეთ. გასაკვირველი არ არის, განათლებული კაცი და განათლებულ საზოგადოებას ერიდებოდეს? და გლეხებში, იმ უმეცარ, თითქმის გაპარიტყვებულ ხალხში დროს ატარებდეს და თანაც კმაყოფილებით ჰგრძნობდეს თავს!

— ჩვენ ის გზაში გავიცანით, ერთის დილიჟნით მოვედით,— უთხრა მართამ იასონს.— ეტყობა ძალიან სვინიდისიანი ცმაწვილი კაცია; უთუოდ თავის თანამდებობასაც სვინიდისიერად ეკიდება, გლეხები მიუნდვიათ იმისათვის და ცდილობს სარგებლობა მოუტანოს რამე.

— დიაღ, ლიბერალობა მე თითონ კარგად მესმის, მე თითონ ხშირად ვეხმარები გლეხებს გაჭირვებაში, მაგრამ მთელი თავისი დრო რომ იმათ შესწიროს განათლებულმა კაცმა, этого рѣшительно понять не могу. Помилуйте, это равносильно самоубійству!

ამ სიტყვებით, რასაკვირველია, იასონმა მიჰმართა ლიზას, რადგან მართა ღირსად არა სცნო ამ მაღალ აზრების გასაზიარებლად.

— ოხ, რა რიგად მიხარიან, კნიაზო იასონ, რომ თქვენისთანა მეზობლები მეყოლებიან. Вообразите, მე კი მეგონა, რომ გამოყრუებულ სოფელში ჭკუაზედ შევიშლებოდი.—გულის სიწრფელით ეუბნებოდა ლიზა იასონს.

— За Ваше здоровье, прелестная гостья наша!—აღტაცებით უთხრა იასონმა, ხუთი-ექვსის სტაქნის შემდეგ, ყმაწვილ ქალსა.—სიმშვენიერეს სიფაქიზე ეკუთვნის და ჩვენც ვეცდებით, რისიც ღირსი ხართ, ის მოგიზღვნათ.

ამ სიტყვებთან ერთად იასონმა უფრო სიტკბოება მისცა თავის მზერას და შეუწყვეტელმა ცქერამ და ალერსიანმა ბაასმა მთლად მოაჯადოვა ჩვენი ლიზა. ყმაწვილი ქალი კეკლუცობით იხრიდა დაბლა კისერს და ტკბილისავე ღიმილით მადლობას უხდიდა კნიაზს.

კარგა შუაღამე გავიდა; იასონმა მესამე ბოთლი გამოსცალა და ბაასის შეწყვეტას კი არ აპირობდა; მართას თუმცა სთვლემდა, დაღალულობა თავს ართმევდა, მაგრამ ზრდილობა ნებას არ აძლევდა სტუმარი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ ძალად მასპინძელი, დეეთხოვნა.

ლიზა თავის სიცოცხლეში პირველად ელაპარაკებოდა ასე თავისუფლად, უზედამხედველოდ ყმაწვილ კაცს და ეს ძლიერ აღელვებდა და დაღალვასა და მოსვენებას სულ ავიწყებდა. წამოწითლებული, თვალებ-გაბრწყვინვალებული ეტიტინებოდა იასონს და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ რა მახეს უბამდა თავის გულს და რა ზიანს აძლევდა თავის სახელს ულმობელ საზოგადოების თვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ნაციხურალი თითქმის ერთს ვერსზეა გაჭიმული. განიერი ჩინებულად მოვლილი „შოსსე“ ორად ჰყოფს სოფელს. გზის ორთავე მხრივ დუქან-ბაზარია გამართული და აქეთ-იქით სოფლის შენობებია ჩამწკრივებული თავ-თავისის დიდრონის ამწვანებულ ეზოებით. აქ ხშირად შეხვდებით ორ-სართულიან, ჩინებულად ნაგებ ქვითკირის სახლებს, რომლებიც გაკეთებულის გლეხკაცების საკუთრებაა და საზოგადოდ კი მომეტებულ მოსახლეთ ხის დარბაზები უდგიათ, კრამიტით ან ჩალით დახურული საბძლურად. შესანიშნავია, რომ ამ სოფელში და თითქმის სხვაგანაც მთელს კახეთში იშვიათად შეხვდებით ბოლის ასასვლელს; უთუოდ ტკბილი „კახური“ უცებ-ცხლოდაც ათბობს აქაურებს, ან ამათი თვალები ადვილად იტანს კომლის სიმწარეს.

კარგა მოზდილ მინდორზედ, სოფლის ბოლოს, სდგას ნაციხურალის სკოლის შენობა; მშვენივრად არის აგებული, კედლები თეთრად აქვს გალესილი და წითელის კრამიტით დახურული. გარეგანი შეხედულობა მნახველს საკმაოდ ასიამოვნებს. დღეს, თორმეტ სექტემბერს, სკოლის ეზო მთლად სავსე იყო გლეხკაცობით. სკოლის მეორე მხარეს, განიერ აივანზედ შეკრებილნი იყვნენ სოფლის დედაკაცები და შიგ სკოლის ოთახში სამოცამდე ყმაწვილები, რომელთა უმეტესობა გოგოები იყო. ბავშვებსაც და დედ-მამასაც კახეთში წმინდად აქვთ დაცული ძველებური ტანთსაცმელი: აბორკიანი, კერასიანი კაბა და კინტოური ყელიანი ჩუსტები, რომელიც ქართლში ძლიერ გაბზირებულია, აქ იშვიათად, თითქმის არცკი მოიპოვება ოთხ-კუთხი გულ-ამოჭრილი კაბა სარტყელ-გულისპირით, თითქმის ყველა დედაკაცს უმშვენებს წამისადეგ წერწეტს ტანსა.

მასწავლებლის ოთახშიაც კარგა ბლომად ირევა ხალხი: ამ სოფლის მღვდელი თავისის კრებულით, მთავრობისაგან დანიშნული და გამოგზავნილი მოხელე სკოლის კურთხევაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასწრებად, ამ სოფლის ორიოდე-სამი თავადიშვილი, სოფლის მოსამართლენი და მამასახლისი და რამდენიმე ახლო-მახლო სკოლების მასწავლებელი, მათ შორის ჩვენი ნაცნობი ნიკო ბერიშვილიცა.

ლიზა კოშკაძისა, სადღესასწაულო ტანისამოსით მორთული, თუმცა ჩვეულებრივად ჰშვენის, მაგრამ დღეს საშინლად ფერ-მიმკრთალია, ცოტა არ არის, აშინებს ის აზრი, რომ ამოდენა ხალხში, მღვდლისა და მთაერობის წარმომადგენელის თანასწრებით, უნდა შეუდგეს თავის თანამდებობას და ვი ი თუ შევკრთე, როგორც რიგია, ისე ვერ დავიწყო ჩემი პირველი გაკვეთილიო.

ორ საათზე ყველანი სასკოლო ოთახში შეიყარნენ. მღვდელმა ოლარი გადიგდო და დაიწყო პარაკლისი. ლიზა ფანჯარასთან იდგა და მოუთმენლად უყურებდა გზას.

— უთუოდ მომატყუა იასონმა,—ფიქრობდა მწუხარებით.—იმ ღამეს, მე მგონი, ღვინო მეტი მოუვიდა და იმიტომ მექცეოდა ისე ალერსიანად: „ჩვენო მშვენიერო, ძვირფასო სტუმაროო!“ რამდენი სიტკბოება იყო ამ ორ უბრალო სიტყვაში. რა სიამოვნებით და მეგობრულად დამაშტერებდა ხოლმე თავის ლამაზ ბეც თვალებს! ოჰ, ნეტავი კი აასრულოს დაპირება და დღეს ამ სკოლის კურთხევის ცერემონიას დაესწროს. ასე ადრე რად დაიწყეს პარაკლისი, ათი საათია, იქნება იმას ჯერ არც კი გაუღვიძნია!

პარაკლისი თავდებოდა, როდესაც სკოლის ეზოში შემოგრიალდა ლაზათიანი საგზაო „კალიასკა“. კალიასკაში გადაწოლილი იჯდა იასონ და მის გვერდით ვიღაც ზორბა, გულზვიადობით სავსე, მოხუცი კაცი, ძვირფასის ქართულის ტანისამოსით.

იასონმა მოწიწებით ხელი მოჰკიდა მოხუცს და კალიასკიდან გადმოსვა. ამათ შემოსვლაზედ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ყველამ გზა დაუთმო მოხუცს და პირმოთნეობით სავსე სალამი მისცა.

— ეს ის ყმაწვილია, გუშინ რომ „უჩიტელი“ ქალი მოიყვანა,—უთხრა ერთმა აივანზედ მდგომმა დედაკაცმა მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა? ქა, ეგ ხომ ლეკიკარიანთ ბატონიშვილია! ამბობენ გზაზე გოგოს არ გაატარებს, რომ უკან არ აედევნოსო. ქა, მაგას რათ მისდევდა, თუ ეგ კარგი ქალია?!

— ვინ იცის, რა წყლისა და რა სვინდისისაა! — წაიტუტუნა მესამემ. — ერთი შეჰხედეთ, რა რიგად გაუყარა თვალი თვალში იმ ყმაწვილს, ლეკიკარიანთ ბატონიშვილს!

მართლადაც და ლიზა მთლად ცქერად გადაიქცა. იასონი დღეს საშინლად ჰშვენოდა: ამაყად ყელმოღერებული, თავიდან ფეხამდე ლაზათიანად გამოწყობილი, მამაცურად ხანჯალზედ ხელდაყრდომილი დიდად ერჩეოდა აქ შეყრილებში. ხშირად მიიდებდა ხოლმე ბეც თვალებზედ ოქროს პენსნეს და ისე ათვალიერებდა აივანზედ მდგომ ქალებს და შემდეგ, თითქო ადარებსო, ისევ დაუშტერდებოდა ლიზას სახეს.

პარაკლისის შემდეგ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა სკოლის მნიშვნელობის შესახებ, მერე მოხელემ განიხილა ყოველივე მოწყობილება სკოლისა, გადასცა ლიზას მთავრობის პროგრამა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა წლის განმავლობაში მასწავლებელს და მოიწადინა მოსმენა სამაგალითო გაკვეთილისა.

ლიზამ ხმის კანკალით უბძანა ბავშვებს დამსხდარიყვნენ და შეუდგა გაკვეთილს; ჯერ თრდოდა გაუბედაობით, მკვდრის ფერი დეედო, მუხლთ ეკეცებოდა, მაგრამ მოაგონდა, რომ აქ სხვათა შორის იასონიც არისო და წელში გასწორდა და ხმა მაღლა დაიწყო ყმაწვილებას სწავლება.

სასწავლებელში უფროს კლასების შეგირდები ხშირად ასწავლიდნენ სანიმუშოდ უმცროს კლასების შეგირდებსა და ამისათვის ლიზა, როგორც გამოცდილი, რივიანად გაუძღვა თავის გამოსაცდელ გაკვეთილს. მოხელე კმაყოფილი დარჩა, თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი, ორიოდე-სამი ტკბილი სიტყვა უთხრა მასწავლებელს და გაეშურა. იმას გაჰყვნენ სხვებიცა... ოთახში დარჩნენ მხოლოდ იასონ თავისის მამით და ნიკო ბერიშვილი, რომელსაც გულით უნდოდა მიელოცნა ლიზასთვის გამარჯვება.

იასონის მამა, ლუარსაბ ჯამბადრუკიანი, კარგა ხნის მოხუცი იყო, მაგრამ წელი ჯერ სწორედ ეჭირა და თავის სიბერის ნისლით გადაკრულ თვალებს არშიყობით აჭყეტდა ლიზას:

— მიხარიან, თქვენმა მზემ, მიხარიან, რომ სკოლებში თქვენისთანა კეთილშობილ ქალებს აძლევენ ალაგებს. განათლებული ადამიანი ყოველთვის სასიამოვნოა სოფელში და ეს ჩვენი ბატონი „უჩიტელები“ კი ბუსავით გვიყურებენ თავადიშვილებს. თქვენ კი, იმედი მაქვს, აგრე არ გვიზამთ, მიხვალთ, მოხვალთ, პატივსა გვცემთ და პატივსაც მიიღებთ.

— დიდად ბედნიერი ვარ, ბატონო, რომ ინებეთ სკოლის დათვალიერება და იმედი მაქვს, ყურადღებას არ მოგვაკლებთ შემდეგშიაც,— ზრდილობიანად უპასუხა მოხუცს ლიზამ.

— არა, არა, ნუ გეშინიან, ყოველთვის თვალ-ყურს ვადევნებთ თქვენს საქმიანობას. ნუ გეშინიან... ხა... ხა... ხა.., ნაძალადევად, უაზროდ გადიხარხარა ლუარსაბმა, და მხარზედ ხელი დაადო ლიზას:—ნუ გეშინიან, ნუ ჩვენო შავთვალავ. მშვიდობით, მშვიდობით, ლამაზი და კარგი ქალი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა!—მსუნაგ კატასავით ტუჩები გაიწკმატუნა თავადმა ლუარსაბმა.

იასონი უსიტყვოდ გამოეთხოვა ლიზას და მხოლოდ დიდ-მნიშვნელოვანებით ჩამოართვა ხელი.

ნიკო კლასში იდგა ჩაფიქრებული და არ იცოდა, რა ეთქვა ლიზასთვის იმის დღევანდელის ქცევის შემდეგ. ყმაწვილი კაცი გულის ტკივილით ჰხედავდა, რომ ლიზას იზიდავდა სულ სხვა საზოგადოება, სულ სხვა მისწრაფება აღელვებდა და არა ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა გაეძლიერებინა თავისი მოღვაწეობა. ლიზამ ხმაც არ გასცა დღეს ყმაწვილების მშობლებს, არც თითონ ყმაწვილებს; ის თავს ევლებოდა სულ სხვებს, აჰყოლოდა მხოლოდ თავის გულის თქმას და სრულიად ივიწყებდა თავის მოვალეობის საგანს.

— ოჰ, ბატონო ნიკო,—კმაყოფილების სიცილით უთხრა ლიზამ,—როდესაც სტუმრები გააცილა და ოთახში შემობრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და.—რა რიგად მომწონს ეს მოხუცებული ლუარსაბ, რა კეთილი, რა ლმობიერი თავადია! იმედი მაქვს, რომ დიდ შემწეობას გაუწევს ჩემს სკოლას!

— ტყუილი იმედია! ლუარსაბი მხოლოდ ბებერი ყბედია და უნამუსო კაცი: ნუ მიენდობით მაგის ტკბილ სიტყვებს და მაცდურ ენას. თუ შემწეობა უნდა, განა თავის სოფელში არა აქვს სკოლა, რატომ არ უნდა შეჰხედოს და თანაგრძნობის მაგივრად რად სდევნის ყოველ ჩემ განზრახვას? მე ვიცი იმისი ბოროტი სული და სწორედ ბოროტის განზრახვითაც მოვიდა დღეს თქვენს სკოლაში. ერთი შვილი ჰყავს კიდევ პატიოსნებით საცხე! მე თქვენ გირჩევთ, ბატონო ლიზა, იმათთან დაახლოვებას ერიდეთ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა არის მაგგვარი თქვენი სიავკაცე,—ოხუნჯობით უთხრა ლიზამ ნიკოს.—თქვენ რაც გინდათ ისა სთქვით და მე კი აღტაცებული ვარ მამისაგანაცა და შვილისაგანაც, მაგრამ ახლა იმათ კი თავი დავანებოთ. რატომ არ მილოცავთ, რომ ასე კარგად გადავრჩი დღევანდელ განსაცდელს?

— მაგისთვის დავრჩი, მაგრამ....

— რაღა მაგრამ? არ იცით, როგორ, რა სიტყვით მომმართოთ? გინდათ გასწავლოთ? მაგრამ დრო არ არის, კვლავ იყოს, ეხლა კი წავიდეთ მეორე ოთახში, დედა დიდი ხანია სადილად გველის. ეგ რა წიგნები გიჭირავთ ხელში, არ შეიძლება გადავათვალიეროთ? სპენსერი, უშინსკი, პესტალოცი, ჰა, ჰა, ჰა! სად შეგროვებიათ მაგდენი გენიოსნი ერთად.

— ეს წიგნები თქვენთვის მოვიტანე, მაგრამ...

— ოჰ, ღმერთო, რა არის მაგდენი მაგრამ! მაგრამ რა? ახლა კი გნებავთ ისევ უკან წაიღოთ?

— მე მგონი აგრე ემჯობინება. თქვენ დრო სად გექნებათ ამათის კითხვისათვის. კლასებს შემდეგ აღარავინ მოგაცლით: ტანცაობა, სეირნობა, სტუმრობა მოინდომებს თქვენს დანარჩენ თავისუფალს დროსა.

— რებსა ლაპარაკობთ, ბატონო ნიკო! მაშ თქვენ გინდათ, რომ მე მთელი დღე თქვენსავით, როგორც იასონი ამბობს, გლეხებში ვიყდე და იმათთან ვილაპარაკო?

— დიაღ, ჩემის აზრით, ეგ საუკეთესო დროს გატარება უნდა იყოს სოფლის მასწავლებლისათვის, თუ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რა ელაპარაკოთ. ამისთვის მომზადებაა საჭირო.

— ეგ თავის დღეშიაც არ იქნება! — მოუთმენლად დაჰკრა ფეხი ლიზამ მიწას. — ნახევარი დღეც საკმარისია იმათ შვილებთან თავის სახეთქად. დანარჩენი დრო მე ისე მინდა მოვიხმარო, როგორც ჩემი ნებაა: ვიტანცაო, ვისეირნო, სტუმრად ვიარო, როგორც თქვენ დამცინით, და მე კი სრულებით საკვირველოდ არ მიმაჩნია, — ცოტა არ იყოს გაბუტვითა სთქვა ლიზამ.

ეგ. გაბაშვილისა

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძ მ ა

მოთხრობა

(ვუძღვნი კნიაჟნა ოლა ფავლენიშვილს)

მშვენიერია ჩვენი ქვეყანა!.. რაც გინდათ ბრძანეთ და თქვენს უმორჩილეს მონას საშინლად მიყვარს და მომწონს!.. მეტადრე ჩვენი კურთხეული სოფლები. ისეა მორთულ-მოკაზმული: მდებარეობით, ჭაერით, მამულით, ცივის ანკარა წყაროებით, რომ გეგონებათ, ბუნებას მთელის ქვეყნისას ამაზე დაუბერტყია თავისი მადლ-ღონე, სიტურფე, სიკეკლუცე, სიმდიდრე და ხელოვნებაო!.. მაგალითად, თუ გნებავთ, აიღეთ სოფელი №..... ერთი საუკეთესო სოფელია მთელ გორის მაზრაში. სოფელი გაშენებულია მაღლობზედ. ჩრდილოეთით უძევს ტყიანი მთა, ცივი ანკარა წყაროებით სავსე; სამხრეთით კი მრავალი სოფლების ჩამორიგებული ვაკეზე და ყველას უპირატესობა დაუთმია №......სათვის. ესეც ამაყად დაჰყურებს ზეიდან, თითქო ეუბნებაო: თქვენ ჩემთან ჭიანი ხართო!..

ამ ყოვლად შემკულის და ტურფა სოფლის თავში მაღლობ ადგილზედ განმარტოებით იდგა ორ-სართულიანი, პატარა, მაგრამ მოხდენილი ქვითკირის სახლი, რომლის გარშემოც დაუამირებულ ადგილზედ ზურმუხტის-ფერს წმინდა ბალახს გააქვს ბიბინი. აი ამ სახლების მახლობლად აღმოსავლეთით გაშენებულია ხეხილის ბაღი, რომელსაც არ ეტყობა ნიშან-წყალი გამრჯელის მუშის ხელისა. მხოლოდ უწინ, აქა-იქა ჩაურიგებიათ ვაშლისა, მსხლისა და

სხვა სესილი და შუა-გულ ადგილის დაუტოვებიათ კალთა ოქროს ვადგილი. გარ-შემოკლებულს სესილს გადუსტარებით ერთმანეთში შტოები, შეუგრავს მშვენიერი თავი, რომლის ქვეშაც ბნელოდა და წმინდა ბადისს მწკრივ სავერდიეთ გაჭრილა ბზინვა!..

ერთს ამგვარ თავად შეკრულს ჩრდილს ქვეშ წამოწოლილიყო ქალი, ესე ცხრამეტ—ოცის წლისა, საკმაოდ ტან-მაღალი, რომელსაც ქვეშ გაუშლია თავისთვისი შალი, იდაყვი დაეყრდნო ძირს, სელის გული კი მიებჯინა სახეთქილთან და ბრწყინვალე სურმა თითები გაეფარა ბაც-წაბდისფერს თმაში; თაბახთის გრილი ნიავი არხევდა ამ თმის და ქალის თეთრს და მაღალს შუბლს ეთამაშებოდა... ხან დაეცემოდა შუბრწყულ დაფაზე, თითქო ტყდება მოარშიყება და უნდა ამოსწოროს დაფის კედელიო!.. ცალი მკლავი ჭქონდა კალთაწვდილი თქოზედ, რომლის ბრწყინვით თეთრი თითები დურჯ ზოლიან ჩითის მახდენილს კაბაზე უფრო თეთრი და მშვენიერი სჩანდა. ცალი ხაწნავი მსარზე ჭქონდა გადმოგდებული, რომლის გაშლილი ბოლოც უმტვერო ქვესკნელივით თეთრს კოფთაზე სასამურად მოჭედნოდა გულს, თითქო იმიტომ რომ კაცის მაცდურმა თვალმა არ დაინახოს ადიტაცი გულ-მკერდი ქალისაო. კოფთის სავედლაზე შემოკლებული დეწაქის ხრშია შემოჭედრესხოდა ფსურ-კაზის წნელივით ბრილის ყელზე, როგორც მსურკვალე სატრფო!.. დურჯი, დიდრონი, წულისი, ყუყუნა და ნაწით სავსე თვალები დაეჭერებინა ერთის ადგილს, თითქო სანობად აკვირდება რასმეო. ადისფერი ზომიერი ტუჩები ოდნავ გახსნილი ჭქონდა და იქიდან გამოსწვიოდა თეთრი მძივივით მწკრივი კბილები. ქალს გული მაღზე უცემდა, სწრაფად ამოდიოდა-დაღიოდა, თითქო ტკივა ადის და დადნობა. კაცს გეგონებოდა, რომ ამ ქალს რაღაცა ტკივილი დასწოლია და ზიდვა უნელდებაო. სუნთქვა გახშირებოდა და მშვენიერის სურათის ცხვირის ნესტოები სშიერად ებერ-ეკუმშებოდა!..

ბუნებას უსვამდა ეკლიდგებინა ეს ტურფა, ედემით-მოსილი არსება! იქნება ბუნება ასე უსვამდა იმიტომ მოიქცა, რომ განესხორციელებინა ანდაზა: როგორიც ერიო, ისეთიც მღვდლიო!... სხვისა რა მოგასსენოთ და მე კი რომ მგითხოთ, გიპასუხებთ:—მართალია, თუ ჩვენი ქვეყანაა ტურფა, დედის მადლმა, არც სანსი გართ

ნაკლები, მაგრამ კაი რამ ჩვენის დამზახა და ტურფად შემკულის ძმეულის შეიძინა ძალად გამხანაგებთა თავსა?!.. ჩვენის უგუნურობით გონიერთაც კაცუსჯარებთ!?.. განა ტუილდა ჩვენის ზოეტის სიტყვები?!...

„კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული“. და სხვა.

დამზახა ქალი რამ ასე სიოტნებო სანახავი იყო, ასე გუტანა სასიამოვნო ოტნებას, სურათებს, ამ დროს დიდი ბრძოლა ჭქონდათ მზის სხივებს, თაბათვის ცეკვს ნაკუს, თავად შეკრულს ხეებს და ფოთლებს... სხივნი ცდილობდნენ სიადილმე ჩაჭვარეოდნენ და დაენახათ: მწოლარე ტურფა ქალი და დამტკბარიყუნენ მისის ხილვით, მაგრამ დამმაბილებულიყუნენ ცეკვი ნაკუი და ხეები ფოთლებითურთ. ნაკუი არხეკდა ხეებს და ფოთლები ხან იქით მიეუუქებოდა ხან აქეთ და არ აძლეკდა მზის სხივებს ნებას თავდა მოეკრა სიადილმე ტურფასათვის. მზის სხივნი თავისას არ იშლიდნენ და ათასში ერთხეკ მოასწრებდნენ სუსტ ფოთლებს, გუსხლტებოდნენ, დაეკონებოდნენ ქალის კდემა-მოსილს სახეს, თითქო უნდა ამოეწუწნათ ქალის მშვენიერებანო, მაგრამ ამაოდ: ქალი შეუქზე ოდნავ შეირხეუოდა, მიდეულიდა ეუეუნა თავდებს და მზის სხივების ჯაბირზე ორკეცებოდა მისი სიტურფე-სიკეკლუცე!

ეს ქალი გახდდათ თავად ამერინდო-ეუეუამის სულ უნცროსი ქალი ეკა, რომელსაც ჩვეულებრივ დიდა ადრიან წაეუვანა თავისი ბატარა მოწაფეები მინდორში, რადგან ეოველ უქმე დღეს დაჭეუდა ხოლმე სასეირნოდ, ასწავლიდა მცენარეების სახელებს, კითარებას და სიზოგადოდ ბუნების ამბავს. შეგირდებად ჭყავდა ოცი გოგო-ბიჭი და სუთიოდე ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები. დღესაც, რადგან კეირა დღე იეო, წამოეეკანა ბავშვები, დაჭყოდა კარგა ხანი დუესა და მინდორში და, წამოცსა თუ არა, ბავშვები დათხოეა შინ და უთხრა: სდამზადდეთ, რადეისც ავრიდდება, მოდით კიდეკ და სასეირნოდ წავიდეთო. თითონ კი წეგნით სელში შეკიდა ზემოადწერილ ბაღში, წამოწეა ჩრდილ-ქკეშ და მიეცა ოტნება-ფიქრსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან შან ესპრებოდა მასჯდა, კაი თუ უსამოკობა რამ ენახა და ტუდ გუნებაზედ დადგეკ. მართალია, ეკას უნდოდა წაგნის კითხვა, მაგრამ რაკი დაღლილი იყო და ჩრდილში წამოწვა, გრილმა ასაიმოკნა და ბუნების ნაზმა სმაურობამ მასი გონება გაატყა.

დოთ სჯმე: ზოგმა წერილ-ფესი, ზოგმა სადილ-ვახშმი, ზოგმა ჭრა-კერვა, ბრაშემის მოვლა ანუ სხვა რამ სჯმე. ერთის სიტყვით, არც ერთი ჩვენგანი არ უნდა იყოს უსაქმური, თუ ჩვენის თავის სიკეთე და ბედნიერება გვინდა, ყველამ უნდა ვიმხნეთ და ამ რიგად მოვისპოთ ყოველ-დღიური უიზვასი ცხუბი ერთმანეთში. მივყურდნოთ ზერგი ერთმანეთს, ვიშრომოთ, როგორც რიგი და წესია. ამ უმცროსულო ქცევას თავი დავანებოთ. თუ არ გვიფიქრიგვია შემოსავალს ტყუილ-უბრალოდ, უანგარიშოდ, ოჯახი ფეხზედ დადგება და მაშინ შეგვიძლიან გავემართოთ წვეულება, თუნდა თვეში წელიწადში დროს-გასატარებლად და მეზობლების პატივსაცემლად. ამასთან ჩვენც გავიდთ სტუმრად და ჩვენს ცხოვრების დატუება ადამიანურის ცხოვრების ხასიათი. თუ არა, ძმაო ჰქონ-იქით დადიხარ, სასდი ადილ ბედზე მიგატოვებიათ; დები არიან და ამ დღე ეზუბსა და ჭორაობას უნდებიან და რა ადამიანება ვართ, სწორედ შესაფერს ჩვენთან მომსვლელს ჩვენი ეოფა. აკი არც არავინ დადის რიგიანი?! ყველა ზემო ჩამოთვლილს თუ ისიც მიეკუმტეთ, რომ ეონების სიზრდისაც კეთილები და გამოცოწართ რუსულ-ქართულს ყველა რიგიან ურწყვა-გაზეთს, წეგნებს შეიძენთ და თავის-უფლს დროს—ან კი რადის არ გვექნება დრო,—ერთად თვე-მოყრილდი ამოდენა სახსი გიკითხვით. ერთი ჩვენგანი წაიკითხავს, დანარჩენები ეურს დაუგდებთ. აი, მაგალითებრ, ნინო ძალიერ კარგად და თავის-უფლად კითხულობს ქართულს. ეს წაგიკითხავს და ჩვენ ყველანი ეურს დაუგდებთ. ვისწავლით წერა-კითხვას, ეონება განვითარდება. ჩვენს შორის უნდა სუფევდეს სრული თანხმობა, მეგობრობა, ერთი ბიჭი, სიყვარული და მაშინ ჭკასვით, რომ ყველანი ჩვენ შემოგვნატრებენ და სამოთხედ გადაქცევა ჩვენი ცხოვრება!.. ყველა ჩემ მიერ ნათქვამს რადი უნდა დიდი ეური, დიდი შეძლება, არა, მხოლოდ უნდა მოსდომა.

ამის მაგიერად რომ დასთანხმებოდნენ ეკას რჩევა-დარიგებას, ძმები და დები უფრო აიწყნენ შურით და მისტეხდნენ:

— რაო, რუსიანკა, რომ ყველაფერში მეტიჩარობ?! იმისი არ იყოს, ჩაერევა სოდმე დარბაისელ სადხში, დაეპრანჭოს, რაც შენ თი-

თოხაც არ იცი. იმდენად გონება დაბნეული სარ, რომ დაჭიანას და გერგეი ამბნევ!—უთხრა გაკვეთილებით თავფალმა.

— გერე რომ არ იყვეს, ასე ხშირად რატომ მე არ მეთამაშებიან ხოლმე ყმაწვილები, როგორც მაგასა?—სთქვა ნინომ.

— ჭკოლო, გე კარშიყვა ყველასა და ასიანიც მაგას ეტანებიან.—დაუმატა ფალფალმა.

— ყველა იმ ყმაწვილებს მაგაზე ადრე ვიცნობ, მაგრამ არცერთს ჩემთვის ბერაჟინი და კამფეტი არ უყიდნია.—სთქვა ნინომ.

— მაგან შალითაბ-ბალთაბი კარგად იცის და იმიტომ,—დასძინა მარიამმა.

— ახლა შარით რად ივსებიო თქვენზე?.. თქვენზე კარგად თამაშობს ლეკურსაც, ზოლგა-მაზურკასაც და კადრილსაც და იმიტომ ეტანებიან.—ჩაერია კეტო.

— ხმა ჩაიწყვიტეთ, ჭინგა, შენც გაგეგება რამე?—მისცეველდენ ყველანი კეტოს ეკას წასარჩენებისათვის. აი ამაზე კაბეს ლაპარაკი და იქიდან მიიყვანეს სახლში, რომ კინალამ სტეპეს ეკას. ეკა ამგვარს ქცევას სრულიად არ მოელოდა. მას დღეს აქეთი, ეკა არ ეკარებოდა ოჯახს, იყო თავის ოთახში განდეგილივით, კითხულობდა წიგნებს, სწერდა, სთარგმნიდა, მაგრამ არ ჩენდა, რაღაც, ჯერ იყო და—ეწყინა თვალით უყურებდა თავის ნაწერებს და ნათარგმნებს, და არც არავინ ჭკვიდა იმისთანა, რომ რჩევა ეკითხნა. ამ სისით, ეკა სრულიად დაშორდა სახლობას, აღარც სადილსა სწყობდა ამისთანა, აღარც გახშმს. თუ დედა უგზავნიდა რასმე, ხომ რა კარგი, თუ არა და—ბიჭის ბერით მოსთოვლად ბურს დედას ან კეტოს. დებმა და ძმებმა ის შარიც კი აიღეს, სუფთად მორთულ სახლში რაღა სდგასო; სცადეს კიდეც სიშარით ამისი ამ ოთახიდან გამოგდება, მაგრამ დედამ გამოადგა თავი, ერთი ომი და ორთ-ტრიალი გადაიხადა თავის ჭკლის გულისათვის და, რითიც იყო, დაშლეკინა თავქეიფა შეიღებს ეკას შეწუხება. ეკა ურს არ ეუბნეოდა, არ დაუცდია ამ ოთახისაო, მხოლოდ ეტყოდა ხოლმე:

— ერთ-ერთი ოთახი კი დამიცლეთ, რომ თქვენ დაგშორდეთ, თავისუფლად ამოგისუნთქო და ჩემთვის სულ ერთია, რომელი ოთახიც უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ თავსა, დაიღე, შენ სულუთარი ოთხი გენებავს, გეითომ შენ ჩვენი ქალბატონი ხარ და ჩვენ კი შენი მოახლენი!..—ეტყოდნენ სოლომე უველანი თითქმის ერთად.

— ასე სუფთად და გვარიანად თქვენც შეგიძლიანთ ცხოვრება, თუ მოინდომებთ, მაგრამ თქვენი გონება მოუტყვს რალაც სულელურს შერს ჩემდამი და ალარ იცით, რა ქნათ, თქვე საბრალონო.

ბეერის უსიამოვნობისა და ჩხუბის შემდეგ ეკამ მაინც დედის დასმარებით თავისი გაიუკანა და დარჩა იმავე ოთახში, რომელიც ამოირჩია მოსულისთანავე. სხვა მიზეზიც გამოუნდათ შერისა ეკას დებს. ეკას მოახერეს თითქმის ორმა შეძლებულმა გლეხ-კაცმა და სუფთად დარიგმა თავად-ზნაურობა თავიანთი შვილები სასწავლებლად. ეკა საიხარულოთ მიეკედა ბავშვებს და დაუწყო სწავლება. განგლო ერთმა თვემ და ბავშვების მატრონებმა მიუტანეს თითო მანეთი. ეკას ეწუნეს ჰიერეულში, დიდი ურიი უთხრა და, ტოტა არ იყოს, თითქოს კიდეც მაგრამ რომ დასკერდა თავის ცხოვრებას, გაითვალისწინა, სომ ჩვენა-დასურვა მინდა სუფთად, ყურნელ-გაზეთების გამოწერაა საჭირო, ახალის წიგნების შეძენაც აუცილებელიაო; ამასთან სწავლის გავრცელება დღეს თუ არა, სვალ მაინც, უთუოდ უნდა მოკასრხოო,—დაიწყო ფიქრის ღება. ეკამ იცოდა, რომ სახლი არას მისცემდა ამაებისთვის და ამიტომ უფრო იტიკერთა თავის გასამრჯელოს ღება. დებმა რომ შეიტყეს ჰიერეულში, კიდეც სწავლას ჰპირობს ქალაქშიო, ტკბილი მოიგონეს.

— როგორ! ჩვენი ქალბატონი ძმრთლა?!—სმობდნენ ერთნი.

— ჩვენი ცხოვრება მაგას მოუნდება და ჩვენ რიღითი ვიცხოვროთ?—დასძინეს მეორეთ. მეტი რალა გზა იყო, უნდა ვყოფ თავისი შრომის ფასი და, თუმცა გულს უკლავდა, სტკენოდა, მაგრამ მაინც იღებდა. სამაგიეროდ, ამკვიდრა თავ-გამოდებით და გულმოდგინებით ასწავლიდა, რომ აშვილთი შეიგონოს დაუფენდა ისე მალე და რიგიანს წერაზე ბავშვებს, როგორც ეკამ დაუფენ. თავის მეცადინეობით ბავშვებს დაუწყებინა თავის-უფალი წერა-კითხვა სამის თვის განმავლობაში და ქმეს თვეს შემდეგ რუსულიც დაუწყებინა, ესეც გამოადგებათო. ამასთან ყოველ უქმე დღეს დაჭყავდა, როგორც

სათაურშიაც მოგახსენეთ, ტუესა და მანდორში და ავარჯიშებდა იმათს ჯან-დრონეს და ასწავლიდა ბუნების მეტყველებას. კვირ კარგად იცოდა, რა სნაი ყმაწვილს რა დროს რაი გაგება შეუძლიან და რა უფრო აზიდავს იმათს გონებას. ბავშვების თავის-უფლება ლამაზი წერა-კითხვის გლეხ-კაცობა აღტაცებაში მოიყვანა. მშობლები მისცდნენ სწავლა-ცოდნის სარგებლობას და უფრო ამიტომ აგისრეს გლესებმა სკოლის აშენება და მასწავლებლის ხარჯი. ამგვარად კვა დაუსხლოდა გლესებს და გლესებიც შეეჯავშნენ ამ კეთილს და გონიერს აწესებას. რაც უნდა ჭკოლდათ დასწერა, ან რამ საკითხველი, გამორბოდნენ კვასთან და ესენც არ ჭზოგავდა არაფერს, რაც კი შეეძლო, აძლევდა რჩევა-დარიგებას და უწერდა ქაღალდებს. მართალია, ბიჭვილში არ ესერხებოდა ქაღალდების წერა, რადგან არ იცოდა, მაგრამ მაღე მისცდა უოველისფერს და შეიქმნა სოფლის მწერალი და უოველივე საქმის მრჩეველი. დიდს ბატონსაც სცემდა მადლიერი გლეხ-კაცობა. სასხლში კი კვას მუდამ უშტახებდნენ, დასძღვნებნენ, ჭიტასაცდნენ და კინ მოსთვლის, რა საწუენს სასხლებს არ უძახდნენ. კვა ყურს არ უგდებდა, თითქო ადარც კი აწესებდნენ ჩემი და-ძმისთან და თავისას არ აშლიდა, შრომობდა დაულაზვად. თავის მეცადინეობით სამის წლის განმავლობაში ოც და ათს თუმანს მოუყრა თავი, გარდა იმისა, რომ იცვამდა სუფთად, რიგიანად. ერთი ძანუკიც არ მოუსმრებია ოჯახისა, ბიჩიქით, უოველს წელიწადს უკიდა სოლმე დედს ერთს სელს ტანისამოსს და თავით-ფესვიდგ შეჭმოსავდა სოლმე.

V

ამ მოთხრობის სათაურში აღწერილ სცენის შემდეგ, როგორც ვიცით, კვა წავიდა შინ და გადასწყვიტა, მოჭრობოდა იმ უკუმურს სახლობას, რომლის უკრებაც კიდარ აიტანა მისმა გულმა. აქამდისაც წავიდოდა, მაგრამ ამისი კეთილის-მოყოველი მასწავლებელი ქადი რომ დაითხოვა სასწავლებლის უმფროსმა, ის აღარ იყო ქალაქში, სხვაგან გაშორდა ადგილი; მეორეც, თუნდ რომ წასულიყო კიდეც, უფულოდ და უარარაოდ კისთან მივიდოდა?!. კხლა კი წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიიღო მასწავლებლის ჭკუისა, რომელიც ატუობინებდა, ისეც ჭკუაში გადმოეცა და ჩამოდი, ნუ გასთფლულდიო. გარდა ამისა, ოც და ათი თუმანი თუღიცა ჭქონდა და ესლა კი დრო იყო წასუდიეო და, რაკი დედამ და დამ თავში მოასენებული შეურცხება მიაუენეს, უფრო მტკიცედ დაადგა იმ აზრს, რომ უეჭეელად, ცხადლივ აქნება, თუ მალეთ, უნდა წაიდე აქედანაო. მალეთ იმიტომ, რომ კარგად იცოდა, ერთს ადრიანად დაუწეებდნენ, კიდეც რასმე ჭკადრებდნენ და ეს კი არ უნდოდა ეკას. სათაურში დაწერილ დღეს შეეენიერი გრიდი თამბათეის ასამერი სალამო იყო და სოფელი № მიუურ-მიწყარებული იყო, თითქო გამალებული მოსდარეა და ნადიმს ელოდა. მკრთალი მთვარე დაჭნათოდა მიუურებულს სოფელს. ცაზე დაუკრდა ცა მოწეინდილიყო და ზედ კარესკეპი კაჭკონდო ციმციმი. სან-დასიმით აქა-იქ კაისიმდა ჭოტის ეიამოეონა ხმა; ამას მოსდეედა ჭრაჭინების ჭრაჭინი. ათასში ერთხელ კი ამ კაცის დამალონებელს მეუდრაებას არდეედა ბულბულის ასამერი ხმა და კალობა.

ის-იყო დაბრუნდა ეკა თავის ბატარა ბაეშეებით მინდერიდან. შეგირდება დაითხოეა შინ, თითონ მიეიდა თავის ნათლია-დედა მარიამთან, გამოიხმო კარედ და უთხრა: «დილაზე უნდა წაიდეთ უეჭეელად და, ბაბა, თქეენ იცით!-ო. ბეკრს კნეინა მპრიამა, შემობძანდით, კასპაში მიიპრუეითო. თუმცა თქეენს სპკადრისად კერ დაგხედებითო, მაგრამ თქეენი ანგელოზი გულისგან გეცით, რომ გეკადრებითო. მაგრამ ეკას ამ დროს კასპაში გული არა ჭქონდა, გაკჭარა შინ და სახლის წინ დაიწყო ბოლთის ცემა, ამ ყმაედ მის თაეში იფეოდა ათასნაირი ფიქრი. ეკა სულ ამას ამბობდა გულში: «სამი წელიწადია აქა კარ, კერც არა გაგიკეთ-არა, სული და გული შეხუთული მქონდა, სწაგლასც მოკედი!-ო. მართალია ეკას სამის წლის ყოფნას არ ჩაეეალა უნაყოფოდ, ამისი მოსწაგლე ბაეშეები, რომელნიც წლითი-წლამდე მატუელობდნენ და ესლა თითქმის ორმოცი ბატარა გოგო-ბიჭები ჭეიანდა, ძლიერ კარგადა სწაგლობდნენ, ჩანებულად სწერდნენ, კითხულობდნენ; ამასთან სოფელი №-იც დაითანხმა, სკოლას აეაშენებო, მასწაგლებლის ხარჯსაც გიტეირთეებითო. დღეს შურტულიც ჯიბეში ჭქონდა, მაგრამ ამას არა სჯერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა კაკა. იმას უნდოდა ადამიანური ცხოვრება, სიცოცხლე, საქმიანობა, ჭეშმარიტება კარგად, რომ მაკლია ცოდნაო, სწყუროდა გოლგოთის დამარცხება, ერთის სიტყვით, აკლდა დონე უმეტესის წარმტებისა და ნაყოფის გამოღებისა. რამდენჯერმე გამოუცხადა თავისი განზრახვა თავის სახლობას, მაგრამ მან ეს საქმე შორს დაიწყოო:

— ჭო, დაშორდი შენს დუშინგებს და კედარ იითმენ, გინდა გაკარდე?!—მისცეოდნენ სოდემ დებიცა და ძმებიც. მეტი გზა არ იყო, უნდა წუმად გაპარულიყო და ის დღეს უკანასკნელად წაეყვანა თავისი მოწაფენი მინდორში. გამოსალმების დროს, შემოისხა გვერდით ყველანი, მისცა სასწორო დრიგებს, ეკედას გულ-მხურვალედ გაკადუსკა და დაჭკოცნა. მოამაგე უმწეოდ-ქალს ამოუჯდა გული და კარგა ხანი იტირა. იმის ტრემლების დანახვაზედ ატირდნენ ბავშვებიც. ბოდოს თავი შეიმაგრა და მიჭმართა თავლებ დაწითლებულმა:

— ნუ გეშინიათ, ჩემო მაღალნო! მიკდივარ ქალაქში უფრო იმიტომ, რომ მეტი ცოდნა შეკიძინო თქვენსაკე სასარგებლოდ... კიდრე ბიჭში სულიი მიდგა, არ დამაკოწუდებით და მარად თავლ-წინ მეყოლებით, რომ არ დამაკოწუდეს ჩემი და საზოგადოდ ეროვნული ბიტოსანის ადამიანის მოკლეობას!.. ოოჰ, რომ იცოდეთ, რანდენი საეყარულია თქვენი ჩემს გულში!.. თქვენ იყავით ჩემი სამის წლის შვილიანის ცხოვრების მაღხინებელნი, გამხარებელნი, გულის მაგიმანი და მატკბელებელნი!.. თქვენით კაბიჭუნებდი შენოულს სულს, თქვენითა გეძინობდი, რომ მეც ადამიანი კარ-მეთქი... სხვა არა მასაღისებდა-რა და არა მასულდგმულებდა-რა!..—კაკა გაიტაცა გულზედ მოწოდიდმა კარამმა, უნდოდა ამოეთხია, რაც მოწოდიდი დარდი აწვა გულზე და გაუცა თავისდა უნებურად, შეუმჩნეველად ბავშვებს ლაპარაკი; იმათ კი თითმქის არა გისმოდათ-რა, მხოლოდ ბიჭდებულნი, თვალ-ცრემლიანნი შემოჰხედნენ გარს, როგორც წაწითლები კრუსს, ზოგს ჩაეწვა მის კაბაში სული და გაფატიებულნი შესცქეროდნენ ბიჭში ცრემლ-მორეულის თვალებით! თითქმის ბინდამდის ეპასესებოდა კაკა ბავშვებს; ამ დროს თვალები და ხასე უბრწყინდებოდა, გული უღელვდა და ხშირად ებერ-კეკუმშებოდა ცხვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორები. მშვენიერი სანახავი იყო იმ დროს კაცი. როდესაც დაბინდდა, მაშინ მოკიდა გონს. მოაგონდა რომ მინდორშია ბატარა ბავშვებით, უცებ შეცრთა, შეცნება თავის თავისა. წამოასხა სხეულად შინაბერებ ბავშვები, გაისუფთავა თავისთან სასდგებისაგან და თან სთხოვა, ნურავის ეტყვით, რომ ქალაქს მიგიდივარ ამ სამს დღეს და მერე კი, თუ გინდათ, უკელას უთხრით, რომ მიგიდივარ სასწავლებლად და სკოლის დახრისების თაობაზედა-თქო. დაუარა უკელას, კიდევ ტრემდმორეულმა დაჭკონა და დანაღვლიანებული, ბოდმა-მოწოლილი მიკიდა მარიამთან; შეატეობინა ამისაც, დიდაზედ მზად უთვლიეთ და გამოეშურა სახლში, სცა კარ-წინ დაიწყო სიარული. კარგა ხანი იარა ვიდ სახლის წინ შინაურების შეშჩნეველად. ეს რომ მწარე ფიქრებით გართული და გულზე ბოდმა-მოწოლილი დადიოდა, მიხის სართულის მოზრდილს ოთახში ერთი ორონ-ტრიალი, საცილი, ტირილი, კისკისი ისმოდა და აი რად: გაეშალათ სუფრა ტახტზედ და უკელანი სარბად შეეძეგნენ. ერთმანეთს სელიდან დუგმას სტაცებდნენ. თავადი ელიზბარიც აჭყოლოდა დებს ფესის ხმას: ხან ერთს წაუთავსებდა კისერში, ხან მეორეს, რომელთაც წამოუწითდებოდათ სახე და მეტის სამწავსისგან თავლები ტრემდით უვსებოდათ. ამას არა სჯერდებოდა თავადი, ითლებდა გათხრილს ბზის კოკზს, ხან ერთს მოუსვამდა თავხიზეზე, ხან მეორეს. ამიტომ ისინი, ვინც გადარჩებოდნენ ელიზბარისაგან მოთხუვნას, იცინოდნენ და ვინც კი აწუნეველ წვენს ძმის სუმრობით, სტირდნენ და სწყენდნენ უდაერად. კუნც წაუთავსებდა კისერში და იყო ერთი ყრაშული და ბასტა-ბუბუ!..

— რაკუნა, სად არის აქმდის ის ქალი, რომ არ ისმის იმისი ფესის ხმა. ან ჭამა არ უნდა, ან სმა?!. რა ნაირი ადმიანიშვილია, რომ არ კიცი?!. რითი სულდგმულობს ნეტა, ჭამით ის არასა სჭამს და სმით არასა სკამს!.. დადი სჯერა, დღეში ნახეკარ ბერი შეჭამოს. თუ ეჭნება რამე და აუგზავნა, სჭამს, არა-და — არის ასე!.. თუ მაგის ადმიანის სული ედგას და მეც სულ ადარას კიტყვი! — სთქვა გნეინა ედენემ.

— იმის თავის გასეთქმა, არასა სჭამს, თქვენ ეგრე გგონიათ. გოგო-ბიჭები ზიდგენ თავიანთვის ბერსა, უკელასა, კარაქსა, და იმასა

სჭამს. ბავშვები რო გამოვლენ ხოლმე სათამაშოდ, ის დაჯდება და შექცევა,—სთქვა თაფლომ.

— ტყუილია, რამდენჯერმე ვიყავი იქა და გემოდაც არა უნახამს-რა. ბავშვები რო გამოვლენ, ის დაჯდება თავისთვის, ხან ასწორებს ბავშვების დაწერილს და ხან წიგნსა კითხულობს. თქვენს გამტკიცულს პურს ვერა სჭამს ქალი და მრიელ არ შესჭამს ქერჭრელსა ან ჭად-პურასა?!—უპასუხა კატომ.

— რუსინკები, დედა-ჩემო, სულ ეგრე არიან თურმე.—დაუმატა ფოფომ.

— მოიტა, დედა, იმისი წილი ჩვენ მოგვეცი.—წაატანეს ხელი ზოგიერთებმა.

— ნუ მიჭქარამთ, უნამუსოებო, არა გრცხვენიათ?! დღეს პური არ უჭამია, რაც დილას ერთი ნათალი პური და ერთიბეწვა ყველი არ შეჭამა.

— ის სულ ეგრე ბმანდება გაბუსხული და ჩვენ რა ჰქნათ?! ბუტიას წილი გემრიელიაო, დედა, მოიტა აქა, ჩვენ შევჭამთ. იმას ისიც ეყოფა, გაზდილია და ნასწავლი. იმისავით რო ნასწავლი ვიყო, სულაც არა ვჭამ პურსა. მოიტა აქა ეგ მათლაფა!..—წაატანა ხელი მარიამმა.

— იქით, შე არ დასაცალებელო!..— შეუტია ელენემ.

— სადა გდია აქამდინ გასათხოვარი ქალი?!. გვარიგებს ხოლმე, ცუდად იქცევითო და თითონ შუაღამემდის გარედ დაწანწალებს გოგო-ბიჭებში გაზრდილი ქალი?!.—დაუმატა ვითომდა წყრომით ელიზბარმა, წაატანა ჩუმად ხელი, წაართვა ელენეს მათლაფა ევასათვის სავსე მაწვნით და დაუწყო ჭამა უაზრო ღრეჭით.

— შეგარცხვინოს ღმერთმა, თუ შეჭამო. ცოდოა, შვილო,—ეუბნებოდა თითქმის ვედრებით ელენე.

— გეხუმრება, იმისთანა რუსის მათუშკას ასე უნდა!—დასძინა სიცილით გახარებულმა თაფლომ.

— ჩემს ფეხებს, თუ ცოდოა! ვისაც სადილ-ვახშამი უნდა, აქ უნდა იყვეს, სთქვა ელიზბარმა და თან ხარბად შეექცეოდა მაწონს.

— აი, გამიწყდით ადრე და მალე, გამიწყდით! თავს შემოევლენით ყველანი იმასა.

— თავსაც შემოგვეკლოს და მტკლავც დაგვდოს!—წაიჩურჩულა ცხვირჭიარა ფოფომ და დაუმატა:—რაო, რითი გეჯობიან ის ჩვენზე?

— თქვენმა სიცოცხლემ, თქვენსავით ცუდა - მშვიდად გდია, არა?!. ის სამთუშაოს ფულს იღებს თუ ეშში და თქვენ ჭამის მეტს, ბაბ, რას აკეთებთ?.. სამი წელიწადია, თქვენი ამხანაგი არა იცის-რა და მე. ოცის წლის ქალია და ბაზზე არ მოჭმარებია სახლისა. რო დაიყოლიტნეთ, იმისი ფერჩხილი გაჯობიათ ქალებსაც და კაცებსაც.—უთხრა წყრომით კლენემ შვილებს.

— აკი იმიტომ არა კადრულობს ჩვენთან ბურის ჭამასა და ლაპარაკს! —დაიწყო თავდაჯერებით და განაგრძო:—თქვენ წათამამეთ, დედა ჩემო, კეკა, წაუყენეთ კეკლაზე წინ და ჩვენ ძალდაცდა აღარავინ გვაგდებს. აქამდის ათასში ერთხელ მაინც მოდიოდნენ მაჭანკლები და ეხლა, ვინც მოკა, კეკა და კეკა... მაგგვარი აღებული ფულით ღმერთმა ნუ მომასმაროს. დალაჯუნებს ოც და ათი სათი გლეხის გოგობაიშვილში. რა თავადიშვილის წესია?! კითხეთ კასპელიო! თვითონ რომ არა იცის-რა, სხვას რა უნდა ასწავლოს?.. თავადიშვილის ქალს კარგად უნდა ესმოდეს თავისი დირსება, თორემ დოფის ტიდი ფეხზედ დაისვი, თავზე ამოგაცოცდებაო, ნათქვამია და მართლიც არის. აქაო და «ჩტო ტი კაკოა» იცისო, კრთი ბეწვა ქალდადი რომ გაუჩნდებათ, მაგასთან მოარბენინებენ და ისე ეძლეოდნენ, როგორც თავიანთს მახლობელს. ისიც ეტიტანება და გლეხებს დიდი მეცნიერი ჰგონიათ. თუ არა, რა გასაკვირველია, შვიდი-რვა წელიწადი შკოლაში ეგდო და სწავლობდა. ჩვენც გვასწავლიდით რასმე და აქნება მეტიც ვგცოდო.

კარგა ხანი აჩხუბეს ამგვარად. ხოდო კეკა, რაკი მოაღწია ძალზე, ავიდა თავის ოთახში. შეესმა დაპარაკი დედისა და სხვათა, ჩაიცინა მწარედ, შეიკეტა კარები, წამოწვა და ლოდად წასვლის დროს.

გათენდა თაბახთვის მშვენიერი გრილი დილა. მზემ მოჭფინა ქვეყანას თავისი ცხოველ-მყოფელი სხივები სოფლად დიდის ცვარის ასაკრეფად. მწვანედ მოშაშინე ყანებს და ვაშენდებულს სათიბეებს გაჭრთნდათ ზღვასავით ღელვა. გრილი ზეს ქარი ჭრიდა და ხეებიდან დიდის ცვარს გაჭრთნდა მარგალიტებივით ძირს დედა-მიწაზე

ტკაცა-ტკუცი. ბაღებიდან და ვენახებიდან მოისმოდა ბულბულთ სასამური სტვენა და სხვა ფრინველების ყივილ-ხივილი. მინდორში გაისმა «ოროველას» ხმა ანეულის გუთნის მეხრეებისა. სოფელი მოძრაობაში იყო. ისმოდა ხშირი ბღავილი ძროხებისა და ხბოებისა, ღორების ყღურტუნ-ჭყივილი პატრონებს ატყობინებდა: «მოგვშივდა, გაგვიშვით, ვინავარდოთ მინდორშიო!» წიწილ-კრუხის ყივილ-ხივილი იკლებდა კარ-მიდამოებს. დარბოდნენ მწყემსები და მკაფიოდ გაიძახოდნენ: «გამორეკეთ ღორები, გამორეკეთ!»-ო. აქა-იქ დარბოდნენ თმა-გაბურძგნილი, ფეხშიშველა პატარა გოგობი, შავის ცოცხალის მაყვალა, ძილისაგან დაჯირჯვებულის თვალებით და მიუდიოდათ მოცადი საქონელი სანახიროზე. არ დაგვიგვიანდესო, მალზე მიერეკებოდნენ. იმათს შავს დახეთქილს პატარა ფეხებს გაჰქონდათ დედა-მიწაზედ მაგა-მუგი და შებრაწული ლოყები უციმციმებდათ. მშვენიერს შეღანმულს სახეზე ხვითქი გადასდიოდათ. ერთის სიტყვით, ყველა მოძრაობაში იყო, ცა, დედა-მიწა, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, კუტი, ბრმა, მღვდელი და ერი, მხოლოდ განისვენებდა თავ. ამირინდო ფუყაძის სახლობა, რომელსაც ეძინა საღათა ღრმა ძილით. ამ დროს შორს, დიდ შარა გზაზე, გამჭრიახი თვალი დაინახავდა დაბარგებულს მიმავალს ურემს, ურემში ორი ადამიანი იყო. ესენი გახლდნენ: ეკა თავის ნათლის-დედით მარიამითა და ამისი უმფროსი შვილი შაქრო, რომელიც მიერეკებოდა სწრაფად გაბრთვინებულ კამეჩებს. მგზავრნი მიაშურებდნენ მახლობელ დაბაში, რომ იქიდან ქალაქს წასულიყვნენ. მარიამს ქალაქში ადგილის შოვნა უნდოდა. ერთი რვაოდე თუმანი ფული ემართა ურიისა, რომლისაგანაც სულის დგმა აღარა ჰქონდა და გადასწყვიტა, ჩემის ჯანით მოვიშორებ უდიერ მოვალესაო.

ეკას ბარგი მზადა ჰქონდა და განთიადისას ისე გაალაგეს მარიამმა, თითონ ეკამ და შაქრომ, რომ ძირს და ზეით, სადაც იწვა ელიზბარი, არა გაუგიათ-რა. ამგვარად საათ-ნახევარს შემდეგ დაბაში იქნება და ეტლი გააქროლებს რკინის გზის სადგურამდე და საღამოზე ქალაქს იქნებიან. ეკა თუმცა მიაჩქარებდა, დროზე უნდოდა გაცლა, მაგრამ რაღაც გამოურკვეველს მდგომარეობაში იყო. გული დაუმძიმდა, სუნთქვა შეეკრა, ყელში მოებჯინა, თითქო უჭერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამე და ახრჩობსო. რაღაც ნაირი სიშიში ფეიქრები უტრიალებდა გონებაში: «დასწყევლოს ღმერთმა, რა მემართება?!» ჭკითხავდე თავის თავს.

— გული მიწუხს, მეხუთება, მარიამ, შენ რაღას გაჩუმებულხარ, სთქვი რამე?—უთხრა ბოდიას კვამ.

— რა მოგახსენოთ?!. დასწყევლა, მეც რაღაც მემართებას!? გული რაღაცნაირად შქმაგვნესიხ!. კი ვრა ვგიტუდეს-რა ამ მგზავრობაში?!.—დაუმატა მარიამმა.

— კიდეც ტრფ-მოტრწუნებას ჭქადაგებ!? ან გითხრათ, მაგისთანებს ნუ ჰკვეებით-მეთქი?! სრული სამი წელიწადია მაგას ჩაგჩიჩინებთ და გერა შეგასმინეთ-რა. რა უტრწუნახი ხართ, ხალხო?!—უპასუხა კვამ, ტოტა ან იყოს, წყენით.

ჩამოვარდა ისეკ სიჩუმე, ამ ორთით ჩვიდნენ დაბაში. კვამ სიჩქარით დაიწირა ტკლი, გადაალაგეს ბარგი ურმიდან, გამოეთხენენ შაქრის, ჩასხდნენ მარიამი და კვა და ტკლი გაჭქანდა. ამ კვას თვალიდა უნებურად ადმოხდა გულიდან ოხერა. თითქო გულ-გული თან ამოადენია... განცდეს გზა, კვამ შეგვა მაინც ან იგრძნო. რაღაცა ჭუსებდა, რაღაცა სტანჯავდა!..—რა სტანჯავდა?! რა ქმართებოდა კვას?! ნუ თუ ემძიმებოდა ქადაქში ჩასვლა და სჭვალის განგრძობა?!. დაენახა თავისი სამშობლო ქოხი, თუ თავისი ბატონ-რა მოსწყენოდაო?! ამიზედ ჭოც ითქმის და ვრაფ. კი კია, რომ ბშიერად კეითხებოდა თავის თავს: «რო ან მოძენ სჭვალის განგრძობის ნება და კუნსის გათავების ქალდი, რაღა ქნა?! უნაყოფოდ უნდა ჩაიარას ჩემმა შრომამ?!. მე სო ჯერ-ჯერობით ვერ დავბრუნდები შინ და რას მეუთება ოტ და ათი თუმანი?!. კიშრომა, რით, რაგორ?!. ვინ მიმიღებს, ან სად მიმიღებენ უმოწრმობოდ?! მეტადრე ახალდელს დრიში, რაღაისც უმიღეს სჭვალა-დამთავრებულთაც ან იღებენ უშუწოდ, უბრატკნოდ?!. კის შესტკივა ჩემთვის გული?! ვინ რად ჩამაგდებს გასათხოვრ უარარაა უმწეველს ქალს?! რა მომელის?!» ია ეს ფიქრი იყო კვას ამ ყმაწვილ დაღონების მიზეზი. ეს ფიქრი გულს უღონებდა, სულს უხუთავდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა გამოუცდელს კვას. «დაბრუნდე?!» გაუელვა თავში, მაგრამ მოაგონდა თავისი ჯოჯოხეთი სახლობა, გააკრთოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უარესად დაეთუთქა გული. «ღმერთო, მიხსენ ყოველ უბედურებისა და გაჭირვებისაგან!» ამბობდა ევა თავისთვის და იხედებოდა აქეთ-იქით, ეგებ გავფანტო შავი ფიქრებიო, მაგრამ ამაოდ; თანდათან უმძიმდებოდა გული და წინად-გრძნობა რაღაცა საშიშროებაში აგდებდა. სუნთქვა გაუხშირდა, მისმა ნორჩმა გულმა იწყო ძალზე ბაგი-ბუგი და სასოებას ეკარგებოდა!.. ამ ყოფით ეტლმა მიატანა მშვენიერს ჭალას, სადაც უნდა გაევლოთ. უზრუნველისა და მხიარულის ადამიანისათვის დაუფასებელია ეს ჭალა. ნაკეთებ გზის ორსავე მხარეზე ამოღებულია ღრმა თხრილი და მირბის საჩქაროდ წყალი. გზის პირად ჩაყრილია ლარზე ვერხვნი, რომელნიც დაზრდილან, წასულან მაღლა, შტოები გაუდგამთ განზე და გზას აბნელებენ, თითქო საგანგებოდ თავი გაუკეთებიათო. ევა უფრო დაღონდა, უფრო მოიცვა ადამიანის სულის შემხუთავმა ფიქრებმა. ეტლმა უმატა სიარულს. გზა თუმცა ლამაზად იყო შემკული ვერხვის თაღით, მაგრამ მიწა გათქვეფილიყო საშინლად და ეტლის თვლები მიარღვევდა, თითქო ფიფქი თოვლიაო. ეტლმა განვლო სწრაფად თითქმის ნახევარ ჭალა და მიატანა ერთ უშველებელს ვერხვს. ამ დროს დაიფრთხიალა უშველებელმა არწივმა, რომელსაც მძლავრს კლანჭებში ეჭირა რაღაცა ლეში. შეფრთხნენ უცებ ცხენები და მოტრიალდნენ ისე სწრაფად, რომ ადამიანი თვალს ვერ მოასწრებდა. გაისმა კივილი: «უი!» ამ ხმას მოსცა ბანი ყრუ ჭალამ და უცებ მიწყდა იქაურობა. ავარდა საშინელი კორიანტელი და უფრო დაბნელდა. მტვერმაც დაჰფარა ეტლიც და შიგ მსხდომნიც. აღარა სჩანდარა, მხოლოდ ისმოდა ეტლის რახა-რუხი და ცხენების თქარა-თქური. ეს ხმა კარგა მანძილზე დაშორდა ამ ადგილს. სიომ გაჰფანტა მტვერი, კორიანტელი და აღმოჩნდა შემაძრწუნებელი სურათი: აქა-იქ ეყარა ევას ბარგი, ძალზე გაფანტული. კარგა მოშორებით ეგდო პირქვე მეეტლე, მთლად სისხლში მოთხუპნული, რადგან წინ გადავარდნილიყო, ცხენს სახეში ჩაეკრა რუსული ნალი და საზიზღრად დაესახიჩრებინა. ამასთან ცალ ფეხზე გადაევლო თვალს. დიდი ვერხვის პირდაპირ ერთს ბალახებიან ადგილს, გზას იქიდან, იჯდა გაფითრებული და გაბოცებული მარიამი, რომელსაც სუმბუქად ეღრძო მკლავი და ბარძაყი. საბრალო ევა კი უცებ მიტრიალებულს ეტლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მძლავრად გაესროლნა, რომ თავი მიესარტყებინა კერპებზე და ზედ შეესხმია ტკბილი..

კარგა ხანი იყო მარიამი გაბოცებული. ბოდოს მოიკრიბა გონება, მაცალ-მაცადო თვალი არემარეს და დაინახა: მეცხრე სართხეში მოთხუნძული, კვის ბარგი გათანტული. ამ სართხეშიც მარიამი წრიალის ფოთოლივით ასართოლა, მაჭხუკა თვალები, უარესი არა დაინახა-რა და იყო კარგა ხანს ასე. ბოდოს წამოიწია ზეზე, იგრძნო საშინელი ტკივილები, მაგრამ მოიკრიბა ძალ-ღონე, რის კვი-კვალობით და სახის მანჭვით წამოდგა, დაიწყო გათანტებული რალაც თვალიერება, დაინახა კვი, კერპის ქვეშ გამოტანილი და გასწია მისკენ კოჭლობით. დაშტერდა ქალს და შეჰღრიალა საშინლად: «კვი, დამიდგეს თვა-დე-ბი! არ დაცალდა, შე სპობრალო განო?!» და დაცა გულ-შემოყრილი მკვდარს კვის!.. თითქმის შუა დღემდის კერპენ ესენი ასე უშატრონოდ. ცხენებმაც კარგა ხანი იტლტლეინეს და, როდესაც ძალუ-მოძალეწეს ეტლი, გამოაშენეს თასმებიდან და დაიწყეს ტრიალს მინდორზე ჭინასწალის ძაენს.

სალამდის არც კი მოუკითხავთ კვა სახლში. რომ დაბინდდა, კერზე მიადგათ მახლობელ დაბის ბოქაულისაგან გაგზავნილი ჩაფარი, სოფლის მამასახლისითურთ, რომელთაც გადასცეს კენინა ელენეს მომხდარი ამბავი, ნასმობი მარიამისაგან. შექნა თავდის შეშლილ გიჟივი, თავშე-ტეშე. დებს და ძმებს კი, თითქო არა სჯეროთო, გაბოცებული დარჩენ. ამოიტანეს კვა და ახდა კი დარწმუნდნენ დები, გაელებით სიდღეს მაინცნებული და-ძმური გრძნობა და მოროთეს ტირილი. თავ-ზარი დასცა ამ ამბავმა ყველას, კინც კი იცნობდა კვას. მეტადრე სოფლელ ხალხს, რომელთაც კვა ცდან მოკლენილ ანგელოზად მიაჩნდათ. ბევრი ცრემლიც დაანორქვიეს. მარიამმა ხომ წასსა კვას მოწაფენი და ამოსვა ყველანი კვას გაყვითლებულს სელს. ამგვარად დასსოფლეს ასაღაზდა, ქვეყნის საეკოისთვის შებრძოლი ქალი. თითქმის ექვსი თვე ჭკდროგობდნენ დედა და დები; ძმები კი მეორე კვირაზეე გაეძახდნენ: «შე შენი მაძოწას შავი თვალები!» და სხვა. დებმა კი ექვსის თვის შემდეგ გაიგრილეს გული და ამბობდნენ ანდაზებს: «ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეურება ცხებასა!»-ო და კიდევ: «დედის წან რა კვეცი და-

იწყებს ხტუნვასა, ან მგელი შესჭამს ან ტურა!»-ო და მრავალ სხვა ამისთანებს. კნეინა ელენემ კი და კატომ იგლოვეს წლამდის ევა. მარიამი დღესაც ყველას ეუბნევა: «არ იცოდით, რა ანგელოზი იყო ისა!.. ვაი რო არ დასცალდა საბრალოსა?!»-ო.

მართლაც, არ დასცალდა ევას თავის აზრებისა და ფიქრების განხორციელება!.. არ დასცალდა ევას, მაგრამ სხვას ვიღას-რა და-სცლია ამ უჟამურ წუთის სოფელში?!.

რევაზ ფავლენიშვილი

სოფ. ერედვი.
15 იანვარს 1894 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელზასელი ქალი

(კ—იას ნაამბობი)

188.... წელს პარიჟში მომიხდა ყოფნა. ის დრო იყო, როდესაც ბულანჟეს ვარსკვლავი ჯერ კიდევ ნათლად ბრწყინავდა საფრანგეთში და დიდსა და პატარას ჰხიბლავდა; ის დრო იყო, როდესაც მთელი პარიჟი და მასთან მთელი საფრანგეთიც მოუთმენლად ელოდა გერმანიასთან შებრძოლებას და მას დამზობას თუ არა—ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებას მაინც. „დავიბრუნოთ ელზას-ლოტარინგია! გადავუხადოთ ჩვენის დამარცხებისათვის გერმანელებს!“—„1870 წელს დამარცხებულთ ერთა უნდა გავიმარჯვოთ გერმანელებზედ!...“ აი რა ძახილი გაისმოდა მთელს საფრანგეთში.

ამ ძახილს იმეორებდა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი, L' Soleil-ი და L'Intransigeant-ი*). სადაც უნდა მივსულიყავი, ყველგან და ყოველთვის ელზას-ლოტარინგია იყო სალაპარაკო. შევიდოდი სადმე რესტორანში სადილის საჭმელად—მაგას ამბობდნენ, შევიდოდი მაღაზიაში რისამე სასყიდლად, იქაც ანგარიშის გასწორების დროს, ორიოდე სიტყვას მაგაზედ გადამიკრაყდნენ: „monsieur, ეხლა კი, ღვთით, შეფუცხუნდნენ გერმანელები!“ ანუ „ჩააჩუმა თუ არა ბულანჟემ გერმანიის მემკვიდრის შვილი!“ (ეხლანდელი გერმანიის იმპერატორი).

*) პირველი გაზეთი მონარქისტებისაა, ხოლო მეორე როშფორისა.

ერთხელ სახაბაზოში შევედი, სადაც ლამაზი, კეკლუცი ფრანგის ქალი ჰყიდდა პურს. ხშირად ვხედავდი ამ ქალს და ერთხელაც არ მახსოვს, რომ მის ბაგეთ ღიმილი და კეკლუცობა მოჰშორებოდეს; ამ ქალმაც კი, როდესაც თავის შუშა თითებით გამიხვია ქაღალდში პური, ამანაც კი — merci monsieur-ს ბულანჟეს ქება და გერმანელების კიცხვა დაურთო: „დღევანდელი le Petit journal'-ი წაიკითხეთ, monsieur? აბა, ახი არ არის, რომ ბულანჟემ სულ ააოხროს იქაურობა, ჰა? არა, რას ერჩოდნენ ერთი ის წყეული გერმანელები ჩვენს ყარაულებს საზღვარზედა?“ „სწორედ ახია, ახი, mademoiselle!“ დავუმატე მე და გამოვედი.

საზოგადოდ ძლიერ აიყოლია ჩემი გული და გონება პარიჟელების აღელვებამ. მალე ელზას-ლოტარინგიის დაბრუნების სურვილმა მეც ისე გამიტაცა, რომ ფრანგებთან ერთად მზად ვიყავი მთელი გერმანია დამემხო, ბისმარკი მაზასში დამემწყვდია და მოლტკესთვის კიდევ — თვით ბასტილიის ციხე აღმედგინა. ამ აზრით გატაცებული იქამდინ მივედი, რომ ელზას-ლოტარინგია ჩემ სამშობლოდ, საქართველოდ მიმაჩნდა და გული მიკვდებოდა, რომ ტყვეობაში იტანჯებოდა, განთავისუფლებას ჰლამობდა, გერმანიას კი საქართველოს მტრად ვრაცხდი. ასე მეგონა, ეს ქვეყანა აღა-მაჰმად ხანია, შაჰ-აბასია და სხვა ათასი ამგვარი მტერია საქართველოსი-მეთქი.

რაკი ასე იყო საქმე, ადვილად წარმოსადგენია, რა მდგომარეობაშიაც ვიქნებოდი. დღეები ისე გადიოდა, რომ ვერც კი ვიგებდი, ყოველი სხვა ინტერესი დახშული იყო ჩემთვის: დღე და ღამ ჩემი ფიქრი იყო მხოლოდ ბულანჟეს ამაღლება და მისი გამკლავება გერმანიის შესამუსრავად. ვიმეორებ, ასეთს მდგომარეობაში იმყოფებოდა თვითეული პარიჟელი — და მეც, უცხოელი, გამიტაცა, ამიყოლია საყოველთაო მღელვარებამ.

—

ერთ ღამეს სახლში მივდიოდი ფეხით. Grand Opera-ში ვიყავი ახალის ოპერის „სამშობლოს“ სანახავად. ამ ოპერის ჰანგებმა და თვით პიესის ცნობილმა შინაარსმა სულ ერთიანად

ამანთო. მივდიოდი დაფიქრებული და სრულებით ვერ შევამჩნიე, როგორ გავიარე კარგა დიდი მანძილი ოპერიდან: Saint-Michel-ის ხიდამდე. Saint-Michel-ის ბულვარს რომ შევუდექი (Quartien Latin'-ში მეჩირა სახლი), მხოლოდ აქ გამოვფხიზლდი ცოტათი და არე-მარე დავინახე. სტუდენტების ბულგარი თავისებურობას არ იშლიდა. გარეშემო სწორედ იმ სცენებს ვხედავდი, რაც შეეფერებოდა ამ ალაგს და ამ დროს: შუადამე იყო და ბულვარზედ ახალგაზდობა, ქალი და კაცი ირეოდა. ზოგი კაფეში შედიოდა, ზოგი გამოდიოდა, ტროტუარზედ მთელი გუნდი მიდიოდა სტუდენტებისა თავიანთ სატრფო-გულისვარდებითა. ახალგაზდანი მიდიოდნენ და მიმღეროდნენ, ხტუნაობდნენ, ცეკვამდნენ და კისკისობდნენ, ხარხარობდნენ; ცოტა მოშორებით ვიღაც ქალი და კაცი კოცნა-ხვევნით ეთხოვებოდნენ ერთმანეთს.

ყოველივე ესე, რასაც მე ვხედავდი, მართალია, არ ეთანხმებოდა ჩემის სულის მდგომარეობას, მაგრამ ამ სანახაობამ მაინც მიიზიდა ჩემი ყურადღება. ამ ქუჩაში და ამ დროს ნამდვილ პარიჟელებს ვხედავდი, იმ პარიჟელებს, რომელთაც ყველგან და ყველაფრის დრო იციან. მართალია, დილით გატაცებულნი იყვნენ ომისა და გერმანიის დამხობის სურვილითა და ქუჩა-ქუჩა გაიძახოდნენ: „C'est Boulanger qu'il nous faut“ და A bas les Allemands“, მაგრამ ამასთანავე არ ივიწყებდნენ, რომ ადამიანის შეილები ვართ და ლხენა-გართობაც გვინდაო, და აი ამ დროს, ამ შუადამისას პარიჟელი თავისებურ დროს - გატარებაში იყო.

ფრანგს საქმე—საქმის დროს უყვარს და გართობა კიდევ თავის დროზედა-მეთქი, ვფიქრობდი მე.

ამ ფიქრში ვიყავი, როდესაც ერთმა, სულ უცნობმა ქალმა შემაჩერა ბულვარზედ. ერთბაშად ვერ მივხვდი, რა უნდოდა ჩემგან ამ ქალს და გაშტერებული დავაცქერდი. ორივენი ფარანს ახლო ვიდექით და კარგად ვხედავდით ერთმანეთს. ჩემს წინ იდგა ლამაზი, თვალ-ჟუჟუნა, სასიამოვნოდ მომღიმარე ქალი, გასაოცარად მიმზიდველის სახისა. ტანთ ეცვა მუქი

კაბა; მოკლე, წელზედ გამოწყობილი პალტო საუცხოოდ ამშვენებდა მის ზედა-ტანს. მეტყველი შავი თვალები და ნაზად გადაჭიმული წარბები კეკლუცისა ლხენით ავსებდა ადამიანის გულსა. მოხდენილი, ყვავილების შაპო თმასა და თმას შუა ჰქონდა საოცრად ჩაწნული. ხელში ქოლგა ეჭირა და ზედ იყო ოდნავ დახრილი. პაწია ფეხებს მორცხვად გამოეყო თავი კაბის ქობიდან.

მე, ერთის მხრით, ნასიამოვნები ვიყავი ამ სანახაობით. ქალი თითქო მომიხვდა ამას და მხიარულად დამეკითხა:

— მოგწონვარ, განა? ლამაზი არა ვარ?

— ძალიან, ძალიან მოსაწონი ბრძანებულხართ, ქალბატონო,—მივუგე მე.

— საით მიეჩქარებოდი, ჩემო ანგელოზო?..

— შინისაკენ,—ვუპასუხე მე.

— აბა, ახლა რაღა დროს შინ წასვლა არის! მოდი დღეს ჩემი სტუმარი იყავი.

ჩემმა გულმა თითქო სიამოვნებით შეიფანთხალა და ქალის ასეთმა ქცევამ გამაცნობისმოყვარულა.

— არა, თქვენთან სტუმრად წამოსვლა არ შემიძლიან, სახლში მივეჩქარები—საქმე მაქვს,—ვუპასუხე მე და დავანახვე წიგნი, რომელიც ამხანაგს გამოვართვი წასაკითხავად. ეს წიგნი ერთ ვიღაც გამოჩენილ დიპლომატს დაეწერა, და სხვა-და-სხვა საიდუმლო ამბებს ამყლავნებდა საფრანგეთის და გერმანიის ომის შესახებ 1870 წელს.

ქალი მაინც თავისას არ იშლიდა; ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა თავი მოეწონებინა: ხან გამიცინებდა, ხან ხუმრობას დამიწყებდა, ხან თავის ლამაზ სახეს და ანთებულ თვალებს მომიახლოვებდა და სხვა-და სხვა საალერსო სიტყვებს ჩამჩურჩულებდა; ხან ბავშვივით გამებუტებოდა და მერე, კვლავ შემირიგდებოდა როგორც დიდის ხნის მეგობარს.

მე დიდ ხანს ვიმაგრებდი თავს, უარს ვეუბნებოდი და ქალის კეკლუცობას არა ვნებდებოდი, მაგრამ ბოლოს კი... არ ვიცი, როგორ მოხდა ის, რაც მოხდა, მაგრამ მოხდა კი: რო-

ცა გონზედ მოვედი, ვნახე რომ ერთ კარგად მორთულს, თბილს ოთახში ვართ მე და ის ქალი. ქალი სავარძელში იჯდა ბუხრის წინა და მოქანცულ-მოწყვეტილი დაღალულის სახით დაჰყურებდა ცეცხლს. მეც, დაღალული სიარულით და ბოლთის ცემით ოთახში, წამოწოლილი ვიყავ თბილ და სუფთა მდივანზედ და ნეტარება-სიამოვნებასა ვგრძნობდი.

საოცარი სანახავი იყო ამ დროს ჩემი მასპინძელი ქალი, რომელიც პერანგის ამარა იჯდა სავარძელში, ცეცხლის შუქით იყო განათებული და რაღაც ფიქრით გატაცებული. ნებივრად გადაედო ფეხი-ფეხზედ; ზედ შავი აჟურიანი ჩულქები ეცვა და ცეცხლისაკენა ჰქონდა გაწვდილი. მარჯვენა მხარზედ პერანგის ღილი შეხსნოდა და მშვენიერი, მარმარილოსავით თეთრი მკლავ-იღლია გადაღებილი ჰქონდა. შავი, გაშლილი თმა გადაჰფარებოდა გულს და მით უფრო ჰხიბლავდა თვალს, რომელიც ხარბად დასცქეროდა მშვენიერს ტანს და ახალგაზდა ნაზს კანს. იღლიამდე ტიტველი, დამრგვალებული მკლავები სავარძლის სახელურზედა ჰქონდა დაპყრობილი... სწორედ მშვენიერი სანახავი იყო ეს ქალი: ის სიჩუმე, ის დაღონებული ცქერა და ფიქრით გატაცება საოცრად უხდებოდა, ჰხატავდა. ეხლა უფრო მომხიბლავი იყო, ვიდრე წელან, ბულვარზედ, როდესაც ყოველ ღონეს ჰხმარობდა, რომ მომწონებოდა. ეხლა ჩვენ თითქო როლები შეგვეცვალა: ეხლა მე შევცქეროდი ციცინათელასავით ანთებული, მე ვცდილობდი თავი მომეწონებინა როგორმე, მაგრამ ამაოდ—ქალი ყურადღებას არ მაქცევდა!

— მარი! მარი! mademoiselle მარი!—ტრფიალებით შევყეფდი მე, მაგრამ ამაო იყო ყოველივე.

ბოლოს თვითონვე შესწყვიტა სიჩუმე და ნელის, გულის სიღრმიდან ამოსულის ხმით დამეკითხა:

— შენ სადაური ხარ? გეტყობა უცხოელი უნდა იყო.

— დიაღ, უცხოელი ვარ. საქართველოდან, ქართველი ვარ,—ვუპასუხე ქალს, რომელიც სულ ცეცხლს დასცქეროდა და ჩემსკენ არ იხედებოდა.

მარიმ პირველად გაიგონა ქართველების სახელი და ჩვენის ქვეყნის ამბებს მეკითხებოდა.

დიდ ხანს ვცდილობდი გამერკვია როგორმე მისთვის, როგორც ჩემი ვინაობა, ისე ჩემის ქვეყნის სვე-ბედი, მაგრამ მარი მაინც ვერას მიხვდა.

ბოლოს მოუთმენლად მოიბრუნა ჩემსკენ სახე და მკითხა:

— ეს მაინც მითხარი, ბედნიერია შენი სამშობლო, საქართველო?

მეც ვუამბე საქართველოს ბედნიერება.

ქალი გაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა და ნელა, თითქო არ უნდა, გაიგონოს ვინმემ, წარმოსთქვა თავისთვის:

— ჩემის სამშობლოს ბედი ჰქონია!

საშინლად გამაკვირვა ქალის ამგვარმა სიტყვებმა; რა მოიფიქრებდა, რომ ამნაირ ქალსაც შეეძლო ფიქრი სამშობლოსთვის, წუხილი და ოხვრა მისთვის!

— შენ ვიღა ხარ, სადაური ხარ?—დავეკითხე მე.—ფრანგსა ჰგევხარ და ნუ თუ საფრანგეთი არ არის შენი ქვეყანა?

ქალი პასუხს არ მაძლევდა. თითქო არ იამა, რომ ვინაობას ვეკითხებოდი.

— რად გინდა იცოდე, ვინა ვარ და სადაური ვარ?.. ჩემისთანა ქალს განა სხვა რამ ვინაობა და სახელი აქვს იმის მეტი, რასაც ქყეყანა გვიძახის? თქვენთვის, ქვეყნისთვის მე მხოლოდ დაცმული არსება ვარ, კოკოტკა და სხვა არაფერი; ჩემი სამშობლო ბულვარი და სასტუმროს ნომრებია...

ქალი ისევ ცეცხლს მიუბრუნდა. თვალებში მორეული ცრემლები ცხადად შევამჩნიე. მისს სახეს სასტიკი მეტყველება დაეტყო, წარბები მოეღუშა, კოპები შეეკრა.

— ეგ რა პასუხია, თქვი მაინც, ვინა ხარ?—არ ვეშვებოდი მე.—შენ სულ არა ჰგევხარ იმ ქალებს; მე მრწამს რომ, თუ ხორცით „დაცმულხარ“, სულით ჯერ კიდევ მაღალი უნდა იყო.—ყმაწვილურის აღტაცებით ვუთხარი მე.—დღეს პირველად და უკანასკნელადა გხედავ; ხომ იცი, უცხოელი ვარ; ამ დღეებში სრულებით დავტოვებ საფრანგეთს და სამშო-

ბლოში დავბრუნდები; ველარსად შევხვდები: მაშ რად მიმალავ, ვინცა ხარ?

მარიმ გადმომხედა, დამაშტერდა, დიდ ხანს მიყურა, თითქო უნდოდა გაეგო, ხომ არ დავცინოდი და, როდესაც დარწმუნდა, რომ გულწრფელად ვეკითხებოდი, წარმოსთქვა:

— ელზასელი ვარ. აგერ თორმეტი წელიწადია, რაც პარიჟში ვცხოვრობ. მას აქეთ, რაც გერმანელები ელზას-ლოტარინგიას დაეპატრონენ, სამშობლო ქვეყანაში აღარ ვყოფილვარ.

— შენი მშობლები და ძმები სად არიან?

— იქ, იქ არიან, თავის სამშობლო ქვეყანაში,—მიპასუხა ქალმა ათრთოლებულის ხმით.

— მერე რატომ შენც იმათთან არა ხარ?

— იმიტომ რომ მე ჯერ, საუბედუროდ, ცოცხალი ვარ და ისინი კი დაიხოცნენ; არა, დაიხოცნენ კი არა, მოჰკლეს, თოფით დახვრიტეს გერმანელებმა,—წარმოსთქვა აღელვებით და მის ხმას დაეტყო კილო მუქარისა, გულ-ზვაობისა, შურისძიების წყურვილისა...

— განა ჯარის-კაცები იყვნენ,—დავეკითხე მე.

— არა, მამა-ჩემი უბრალო სოფლელი, მუშა კაცი იყო, კაცი პატიოსანი, გამრჯე და ცოლ-შვილის მოყვარული. როდესაც გერმანელებმა ჩვენი ქვეყანა დაიჭირეს, მამა-ჩემმა შეჰკრიბა მთელი სოფელი და მტრის ჯარის უფროსს შეუთვალა: ჩვენ ფრანგები ვართ და საფრანგეთის შვილები, იცოდეთ რომ ნებით ერთ ბიჯსაც არ დაგანებებთ. ჩვენმა სამშობლომ, საფრანგეთმა, ჩვენის ბედნიერებისათვის არასფერი არ დაიშურა და დღეს მოვალენი ვართ მას შევწიროთ სიცოცხლე. მოდით და, რაც გინდათ, ძალით წაიღეთ! ამის შემდეგ გერმანიის ჯარი გარს შემოერტყა ჩვენს სოფელს; მოხდა ბრძოლა, ჩვენი სოფლელნი ბევრნი დაჰხოცეს: აბა, რას იზამდა პატარა სოფელი იმოდენა ჯარის წინააღმდეგ?! მამა-ჩემი და ორი ჩემი ძმა გერმანელებმა დაიჭირეს და სახალხოდ, დედა-ჩემისა და

ჩემს თვალ-წინ დახვრიტეს თოფებით. მე მაშინ რვა წლისა ვიყავი...

ქალმა ღრმად ამოიოხრა. შეეტყო, რომ წარსულის მოგონებამ ძლიერ დაალონა. მე თითქმის შევსწუხდი, რად ვათქმევინე თავის ამბავი და ძველი იარები რად გავუახლე-მეთქი. მაგრამ ახლა თვით მარის დაეტყო სურვილი ლაპარაკისა; ქალი ლაპარაკობდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე ვუსმენდი, პირიქით, თითქო დაავიწყდა კიდეც, რომ მე იქ ვიყავი. ლაპარაკობდა და სადღაც სივრცეში იყურებოდა, თითქო თანამგრძნობელს და გულის შემატკივარს იქ ეძებსო. ხმა თანდათან უფრო უკანკალებდა, ეტყობოდა, მისი სიტყვები გულის სიღრმიდან ამოდიოდა.

— ორი ძმის მეტი არა გყოლია?—კვლავ ვკითხე მე.

— როგორ არა, მყავდა. ჩემი უფროსი ძმა ჯარში შევიდა და იქ მოკლეს... აი ჰკვიანი და მხნე ბიჭი ის იყო, სოფლის თვალი და საყვარელი! ოჰ, მორისის კარგი ყმაწვილ-კაცობა ეხლაც ბევრს ეხსომებათ ელზასში. საფრანგეთს რომ საქმე გაუჭირდა, მორისმა შეაგროვა ახალგაზდათა ჯარი და ეახლა ჩვენის ჯარის უფროსსა: გვიბძანე, გენერალო, სად შევაკლათ თავი მტერსაო, მხოლოდ ამას კი გთხოვთ, რომ უთუოდ წინა ჯარში დაგვაყენოთო!.. ყოჩაღად იბრძოლეს ახალგაზდებმა, იბრძოლეს მანამდე, სანამ სულ არ გაწყდნენ... ერთ დროს ჩემის ძმის დაწერილს ლექს მთელი ელზასი მღეროდა. თუმცა სოფლურად იყო გაზრდილი, მაგრამ ლექსების წერის ნიჭი ძლიერა ჰქონდა. მე ჯერ შვიდის წლისა ვიყავი, როდესაც მთელი ლექსი ზეპირად ვიცოდი.

— ეხლაც ხომ გახსოვს? თუ არ დაგვიწყებია, აბა, სთქვი,— ვსთხოვე მე.

— მახსოვსო?! როგორ დავიეწყებ! ის ლექსია ჩემი ლოცვა, ჩემი ჯვარი და სახარება. როდესაც სურვილი მომივა ღმერთს შევეხვეწო, ვილოცო, ან კარგი საქმე გავაკეთო რამე, სულ პირველად მაგ ლექსს ვიტყვი ხოლმე. ეს ლექსი გარეშე კაცისათვის, რასაკვირველია, არაფერია, დიდის ჰკუის ნაწარ-

მოები არ არის, მაგრამ წრფელი გულიდან არის ამოკვნესილი და სამშობლოს სიყვარულით არის გამსჭვალული. ეგ ლექსი-ღა შემრჩა მამი-ჩემის პატიოსანის ოჯახიდან; მაგ ლექსში ვხედავ, როგორც თოფით დახვრეტილ მამასა და ძმებს, ისე უბედურს ტანჯვით მოკლულს დედას. თვითეული სიტყვა მისი—მშობლის ალერსია ჩემთვის, თვითეული ასო—ცრემლია აოხრებულის ოჯახისა და მთლად ლექსი კი—იმედია ჩემი, სული, გული... შენ კეთილი კაცი უნდა იყო. არ დამცინებ არც მე და არც იმ ლექსის დამწერს. აი გეტყვი:

აბა, დედილო, გზა დამილოცე!
აწ წავალ ჯარში საბრძოლველადა,
ჩვენ სამშობლოსთვის მხოლოდ ილოცე
და ჰნახავ შენ შვილს ხელ-უხლებლადა.

ხომ იცი, დედი, ვალი გვდევს კისრად
მამულსა ჭირში თავიც შევწიროთ:
აგერ მოვიდა ჭირიც უცრად—
დედებმა შვილნი უნდა გასწიროთ.

წავალ აქედან გზა-დალოცვილი,
ვეცემი მტერსა როგორც ტყის მგელი,
ხელში მეჭნება წინაპართ „მჭრელი“,
ობლის ქომაგი, ბოროტთ მდევნელი!

არ მომატყუებს ეს ძველი ხმალი
თავის მეგობართ ჩამომავალსა,
იგი მასწავლის, სადაც კი ვალი
ითხოვს ჩემგანა თავ-განწირვასა!

მაშ ნუღარ სტირი, დედავ, ჭირიმე,
თუ ეს ერთგული თანა მყოლია:
ჩემი პირი მას, მისი პირი მე,
დავმეგობრდებით, ვითა ტოლია!

აბა, დედილო, გზა დამილოცე!
აწ წავალ ჯარში საბრძოლველადა;
ჩვენ სამშობლოსთვის მხოლოდ ილოცე.
და ჰნახავ შენ შვილს ხელ-უხლებლადა...

—

მარიმ ეს უბრალო და სადა, პოეზიის მოკლებული ლექსი ისეთის გრძნობით წაიკითხა, [illegible]რომ სწორედ აღტაცებაში მომიყვანა. არა, ეს არ იყო უბრალო კითხვა ლექსისა, ეს არ იყო მხოლოდ ლექსის სიტყვების გამეორება. ეს თვით გულის გადახსნა, აღსარება და ტანჯვა იყო.

შემებრალა საბრალო მარი. ამ წამს იგი მთლად გატაცებული იყო მწარე მოგონებით; მშობლებისა და ძმების დაკარგვა, თავისი დაობლება, სამშობლო ქვეყნის დამხობა—ყოველივე ესე ერთნაირად სტკენდა გულს საბრალო ქალსა.

მარი თრთოლამ აიტანა. სახე გამოეცვალა და თითქმის გაუბრწყინდა.

— შე საწყალო,—უნებურად წარმოვსთქვი მე სიბრალულით,—მერე ვინ დაგაყენა ამ გზაზე? განა შეჰფერის მაგ შენს გულს და გრძნობას შენი ხელობა, ბულვარის ქალობა?

მარიმ მწარედ გაიღიმა. სავარძელში უფრო მოხერხებით გაიმართა, თითქო ძალა უნდა მოიკრიბოს, რომ მიამბოს უკანასკნელი აქტიცა თვისის საშინელის ცხოვრებისაო.

— ვინ დაგაყენა ამ გზაზედ!—მწარე დაცინვით გაიმეორა მან ჩემი სიტყვები.—ვინ! რა ვიცი ვინ? ადამიანმა! რვა წლისა დავრჩი ობლად. ის დრო, როდესაც ჩვენი ოჯახი ამოწყვიტეს, მეტად არეული დრო იყო. კაცი კაცს ეელარ სცნობდა, შვილი—პატრონსა. დავრჩი უსუსური ბავშვი მარტოდ: ჩემთვის არავის სცალოდა. მთელი ერთი თუ ორი კვირა ხან აქეთ დავეხეტებოდი, ხან იქით; ხან ვინ მაჭმევდა სამადლოდ პურს, ხან ვინა. ამ დროს ჩვენს სოფელში ერთი ვიღაც დედაკაცი მოვიდა და მითხრა, შენ ჩემი ნათესავი ხარ, დედაშენი ჩემი მაზლის-წული იყოვო, დედა-შენს შემდეგ მე უნდა გიპატრონოვო და წამიყვანა სადღაც შორს, ერთს პატარა ქალაქში; იქ ათ წლამდინ მზდიდა თავისთან. შინ დაჩვეული ვიყავ სუბუქ მუშაობას დედი-ჩემის ხელმძღვანელობით, მე ახალ ბინაზედაც ვცდილობდი საქმე რამ გამეკეთებინა, მაგრამ იმ ჩემმა ნათესავმა ქალმა ნება არ მომცა. ეს გარემოება ჯერ მაკვირვებდა და მერე კი ისე მიეჩვიე უსაქმობას, რომ მიხარო-

და კიდეც უსაქმოდ ყოფნა; მხოლოდ მორთვა-დახურვის ფრჩხილი მჭონდა და ამისთანებში დედი-ჩემის ძალუაც ხელს მიმართავდა. „შენისთანა ლამაზმა ქალმა მუშაობით ხელები არ უნდა გაიფუჭოსო, თვალები არ უნდა გამოიბნელოსო—ეგ მახინჯების ხვედრიაო,“—მეტყოდა ხოლმე ჩემი ნათესავი. მეთორმეტე წელიწადში რომ გადავდექი, აქ, პარიჟში ჩამომიყვანა; მთელი ხუთი წელიწადი მუქთად ყოფნას და გართობას მაჩვევდა. ეს ცირკიო, ეს ბაღიო, ეს კაფე-შანტანიო და სხვა ამისთანა დროს გატარებას არ მაკლებდა.

მარი პატარა ხანს გაჩუმდა. მერე კიდევ განაგრძო.

— ჩვენსა ვიღაცა კაცები დაიარებოდნენ, რომელნიც ხშირად ფულს აძლევდნენ ჩემს ნათესავს და მეც საჩუქრებს მიზიდავდნენ. ერთ მათგანს უფრო შევეჩვიე: ცირკში დაეყვედი ხშირად. მეჩვიდმეტე წელიწადში რომ გადავდექი, ამ კაცმა ცირკიდან გარეთ-უბნის ერთს რესტორანში წამიყვანა ვახშამად; იქ მხიარულად გამატარებინა დრო, მერე რაღაც წამალი დამალევინა და, გათენებისას რომ გამოვიღვიძე, ჩემი თავი რესტორანის ნომერში დავინახე, აქ მიეხვედი, რა უბედურებაც დამმართოდა... გაეცქანე ჩემ ნათესავთან, მაგრამ სადღა იყო! სახლი გამოეცვალა. აქეთ მივაწყდი, იქით მივაწყდი და ბოლოს თავი ქუჩაში კი ამოვყავი. ხან ვინ მიწევდა, მითომდა, მფარველობას, ხან ვინ. გადიოდა დრო და ამნაირმა ცხოვრებამ სულ ერთიანად ჩამითრია. ლოცვა მე არ ვიცოდი და მუშაობა, გარეგანი სილამაზე მქონდა მხოლოდ და ქვეყანაზედ არსად მფარველი არ გამომიჩნდა. სიცოცხლე მომწყურდა, ჰამა-სმა მინდოდა და... ჩავვარდი ამ ბინძურ ცხოვრებაში...

— ქალის ხმა თითქო მიწყდაო, ორჯელ-სამჯერ მწუხარედ დაიქნია მარიმ თავი და ჩაფიქრდა....

— შე საბრალო, ნუ თუ პატიოსან გზას ვეღარ დაადგებიო? ან რა სიკეთის იმედი-ღა უნდა გქონდეს?

— პატიოსანი გზა ჩემთვის ჯერ დახშულია,—ყრუდ მოიგო ქალმა,—მაგრამ იმედს მაინც არა ვკარგავ, რომ ბრწყინვალე დღე მეც დამიდგება და ჩემის მშობლების პატიოსანს ოჯახს შევუერთდები. ხომ კითხულობ ჩვენს გაზეთებს. დღეს თუ ხვალ საზიზღარ გერმანელებს ომი უნდა ავუტეხოთ, დროა რომ პასუხი მოვსთხოვოთ, ჩვენის დამარცხებისათვის; ელზას-ლოტარინგია უკანვე უნდა დავიბრუნოთ, ჩვენს მტერს უნდა

სამაგიერო გადვუხადოთ! და აი მეც სწორედ ამისი იმედი მაქვს. ატყდება თუ არა ომი, იქ ჩავვარდები, სადაც ბრძოლა უფრო გაცხარებული იქნება, ჩემს მზრუნველობას დაჭრილ მეომართ მივაპყრობ. ყოველს მათს იარას, ჭრილობას ჩემის პირით ამოვწუწნი, ჩემის ცრემლით დავუნამავ გახურებულ გულს, და ყოველ ღონეს ვიხმარ სნეულთ ტანჯვა შევუმსუბუქო; ერთ წამსაც არ დავანებებ თავს ომის ველს, ვიქნები იქ, მანამ გერმანელების ტყვია არ გამიგმირამს ამ ტანჯულ გულს და, როდესაც ეს მოხდება, მხოლოდ მაშინ შემეძლება ვიფიქრო, რომ მეპატივება ჩემი მძიმე შეცოდებანი; მხოლოდ მაშინ შემეძლება ჩემი ბედი შევუერთო ჩემის მშობლების და ძმების ბედს, რომელნიც იმავე გერმანელების ტყვიით იქმნენ განგმირულნი.... და როდესაც ჩემი ელზასი კვლავ შეუერთდება საფრანგეთს, ჩვენს საერთო სამშობლოს, მაშინ მეც შევუერთდები ჩემ წამებულ წინაპართ. ოჰ, ღმერთო! როდის, როდის მოვა ის დრო!—ამოიკვნესა ქალმა და დაიწყო ქვითინი....

ყოველმავე გაგონილმა და ნახულმა საშინლად ამაღელვა, გული მომიკლა და თავ-ბრუ დამახვია. არ ვიცოდი, რა მემართებოდა. თანაგრძნობითა და აღტაცებით შევყურებდი ამ „დაცემულ ქალს“ და თანაც მრცხვენოდა, რომ ისე კადნიერად, პირუტყვულად ვეხტუმრე... არ ვიცი, როგორ წამოვდექი, ტანისამოსი როგორ ჩავიცვი. ის კი მახსოვს, რომ, რაც ჯიბეში ფული მქონდა, სულ იქვე მოკრძალებით დავუტოვე იმ ქალს და, სირცხვილით დამწვარი, გიჟივით გამოვვარდი გარედ. მივრბოდი ქუჩაში და იმ ნახევრად ტიტველა ქალის სახე არ მშორდებოდა თვალთაგან; მივრბოდი, მაგრამ მარის ლანდი მაინც თან მდევდა!...

— ოჰ, უბედურო ელზასელო ქალო,—ვფიქრობდი მე,— ზნეობით დაცემულო და ცოდვილო არსებავ—თუმცა ყოველი სათნოება დაგიკარგავს, სამშობლოს სიყვარული მაინც შეგირჩენია!...

გარნა რამდენია ქვეყნად, რომ ყოელის სიკეთით სავსეა და ეგ დიდი მადლი კი არ ეკარება მის გულს!...

—ლი—ბ.

2 იანვარს 1896 წელს
ქ. ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი მესამე

V *)

პან სქშეტუსკის თავისი რაზმი მხოლოდ ღამ-ღამე მიჰყავდა წინა, ხოლო დღისით ისვენებდა. მიუახლოვდებოდა თუ არა, ვსთქვათ, რომელსამე სოფელს, მაშინვე ალყას შემოარტყავდა, ნუზლ-სურასთს დაიმზადებდა ჯარის-კაცთათვის, იკითხავდა, იწვრილებდა მტრის ამბავსა და გასწევდა ახლა სხვა სოფლისაკენ. მცხოვრებელთ სრულიად უვნებლად სტოვებდა. პატარას გასცდებოდა თუ არა სოფელს, მაშინვე გზას გადაუხვევდა, რომ მტერს არ გაეგო, საით წავიდოო. სქშეტუსკის ლაშქრობას აზრად ჰქონდა გაეგო, კრივანოსს და იმის ორმოც-ათასს ჯარს ისევ ალყა აქვს შემორტყმული კამენეცის ქალაქის გარშემო, თუ ალყა ახსნა და წავიდა ხმელნიცკის მისაშველებლადაო, რას აკეთებენ დობრუჯელი თათრები, გამოვიდნენ დნესტრში და შეუერთდნენ კრივონოსსა, თუ ჯერ ისევ გალმა-მხარში არიანო. ამის ცოდნა ძალიან საჭირო იყო პოლონელთა მხედრობისათვის, მაგრამ გეტმანებმა ამისათვის დროზედ არ შეიდეს თავი. თუ კრივანოსმა აკერმანისა და დობრუჯის თათრებით ალყა ახსნა მიუდგომელს კამენეცს და ხმელნიცკისთან შეერთებას ისწრაფოდა, საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე, გაელაშქრა მხედრობას ხმელნიცკის წინააღ-

*) «მოამბე» № XII. 1895 წ.

მდეგ, რათა არ გაძლიერებულიყო, მაგრამ მხედართ-მთავარი, თავადი დომინიკ ზასლავსკი-ასტროვსკი, არა ჩქარობდა. დომინიკს ორის დღის შემდეგ ელოდნენ ერემიას ბანაკში. ალბად, გზა-გზა ნადიმობდა, თავის ჩვეულებისამებრ, დრო კი მიდიოდა, ძვირფასი დრო, და მთავარს ერემიას სასოება ეკვეთებოდა, თუ ასე ვიმეორ ჩვენა, არა თუ კრივანოსი, დნესტრ-გაღმა დაბანაკებული ურდონი მოასწრობენ ხმელნიცკის მიშველებას, არამედ თვით ხანიც კი მოასწრებს მასთან შეერთებას მთელი თვისის პერეკოპისა, ნოღაისა და აზოვის ურდოებითა.

ერემიას ბანაკში უკვე ამბობდნენ კილოკავად, რომ ხანი გამოვიდა კიდეც დნეპრ-გამოღმა და თან მოჰყავს ორასი ათასი კაცი, და მთავარი დომინიკი კი მაინც არსად იყო.

ყოველივე ისე მოეწყო, რომ შესაძლო იყო ერემიას მხედრობას ისეთს მტერთან შეჰმთხვეოდა ბრძოლა, რომელიც ხუთჯერ მაინც მეტი იქნებოდა რიცხვით. და თუ, ვინიცობაა, ამ მხედრობას დასძლევდა მტერი, მაშინ რაღა დაუშლიდა, თვით შიგ შუა-გულ რესპუბლიკას დასხმოდა თავს და კრაკოვსა და ვარშავას ახლო ამოეყო თავი.

კრივანოსი იყო ყველაზედ საშიში. გეტმანები რომ, ვსთქვათ, შუა-გულ უკრაინისაკენ წასულიყვნენ, კრივანოსი, კამენეცკიდან წამოსული ჩრდილოეთად, გადაუღობავდა გზას და პოლონელთა მხედრობა ორ-წყალ შუა ჩავარდებოდა. სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, არა თუ გავიგებ იმის ამბავსა, არამედ შევაყენებ, დავაბრკოლებ კიდეცაო. პარუჩიკი გაიმსჭვალა ამ საქმის დიდ-მნიშვნელოვნებით და მზად იყო თავი გაეწირა მისთვის თვისის რაზმითურთ. ცხადია, პირდაპირ შებრძოლება კრივანოსის ორმოცი-ათას ჯართან სრული უგუნურება იქნებოდა; პან სქშეტუსკი იმდონად გამოცდილი იყო, რომ ამისთანა საქმეს არ იტვირთებდა. ესეც იცოდა, რომ ყაზახნი ერთს წუთსვე ფეხ-ქვეშ გამთელავენო, და ამიტომ სხვა ღონეს მიჰმართა. პირველ ყოვლისა გაავრცელა ხმა თვისთა ჯარის-კაცთა შორის, რომ ჩვენ წინა რაზმი ვართ საშინელის თავადის ერემიას დივიზიისაო, ჯარის-კაცნიც, რასაკვირველია, ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობდნენ ყველგან, საცა კი სოფელსა და დაბაში მივიდოდნენ. და ეს ხმა ელვასავით სწრაფად ვრცელდებოდა ზბრუჩში თვით დნესტრამდე და მიჰქროდა კიდევ უფრო შორს, კამენეციდან ემორლიკამდე. ეს ამბავი ეკერათ ენაზე ოსმალთა ფაშებსაც ხოტინში, იმიერ-ჰორომელთაც იამპოლში და თაორებსაც რაშკოვში. და კვლავ გაისმა ნაცნობი ძახილი: „ერიომა მოდის“!—ის ძახილი, რომლის გამოც შიშითა ძრწოდა გული მეამბოხესი.

ეჭვი არავის არა ჰქონდა, რომ ეს ხმა მართალი არ იყო. რა საკვირველია განა, გეტმანები შეუტევენ ხმელნიცკის, ხოლო ერიომა კრივანოსსაო. ამას რაღა ლარი და ხაზი უნდაო. თვით კრივონოსმა დაიჯერა ეს ხმა და ყურები ჩამოჰყარა. რა ვქნა ახლაო? შევუტიო მთავარსა? კონსტანტინოეთან უფრო მეტი ჯარი მყავდა, მდაბიონიც უფრო გულადად იყვნენ, მაგრამ ვიძლიევენით, დავმარცხდით, სულ თავზედ კაკალი გვამტვრიეს. კრივანოსი დარწმუნებული იყო, რომ ჩემი ყაზახნი გამგელებით შეებრძვიან, რა ჯარიც უნდა იყოს რესპუბლიკისაო, ვინც უნდა ჰყავდეს იმ ჯარს მხედართ-მთავრადაო, მაგრამ დაინახავენ თუ არა ერემიას, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებიან, როგორც გედთა გუნდი არწივის დანახვაზედ, როგორც ბუმბულის გინგლი მინდორში ქარის ამოვარდნაზედაო.

მაშ კამენცთან ველოდო? ეგ კიდევ უარესიო. და კრივონოსმა გადასწყვიტა, წავალ აღმოსავლეთად, ბრაცლავისაკენ, მოვარიდებ თავს საშინელს მტერს და შევუერთდები ხმელნიცკისაო.

ამავე დროს გაისმა ახლა სხვა ხმაცა, რომ ვითომ ხმელნიცკი უკვე იძლიაო (ეს ხმა პან სქშეტუსკის გაავრცელა). საწყალს კრივანოსს სულ გონება დაებნა. მაგრამ სულ ერთია, სხვა ხსნა არ არის, თუ არ აღმოსავლეთად გაქცევაო. წავალ მინდვრად; იქნება იქ თათრებს შევხვდე და იმათ შევუერთდებიო.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ნამდვილად გაეგო საქმის ვითარებაო. კრივანოსმა დაიწყო ფიქრი, არავინ იქნება

ნეტავი ჩემს პოლკოვნიკებში ისეთი ერთგული და გულღია, რომ ის გავგზავნო ახლო მახლო მიდამოთა მოსათვალიერებლადო? ძნელი ამოსარჩევია ასეთი კაცი, მსურველი არავინა სჩანს, საჭირო კია ისეთი კაცი, რომელმაც, თუ ვინიცობაა მტერს ჩაუვარდა ხელში, არას გზით, წამების ქვეშაც კი არ გამცეს და ჩემი განზრახვა ლტოლვისა არ გაამჟღავნოსო.

ბოლოს ასეთი კაციც იპოვა.

ერთს ღამეს კრივანოსმა ბრძანა, დამიძახეთ ბოგუნსაო.

— გამიგონე, ძმაო იურკო,—უთხრა იმან,—ჩვენთან შემოსაბძოლად მოდის ერემია დიდის ლაშქრითა. ჩვენ უბედურნი ყველანი დავიღუპებით!

— მეც გავიგონე, რომ მოდისო. აკი წინადაც მოვილაპარაკეთ, მამავ და ბატონო, მაგ საგნის გამო და რაო, რად დავიღუპებით განა?

— ვერ გავუმაგრდებით. სხვას იქნება გავმკლავებოდით, მაგრამ ერემიას კი ვერა. ყაზახებს ეშინიანთ იმისი.

— მე იმისი არ მეშინიან. გალმა-მხარში, ვასილიევსკის მთელი პოლკი ამოვწყვიტე იმისი.

— ვიცი, რომ შენ არ გეშინიან იმისი. შენი ყაზახური ვაჟკაცობა და სახელი იმის თავადურს დიდებას არ ჩამოუვარდება, მაგრამ მე არ შემიძლიან შევება, და არც ყაზახნი მოინდომებენ... მოიგონე, როგორა ყაყანობდნენ თათბირზედა, რა ნაირ მოიწევდნენ ჩემზედ ხმალ-ამოწვდილი და მიყვიროდნენ, რას გვიპირობ, სასიკვდილოდ სად მიგყევართო.

— მაშ წავიდეთ ხმელნიცკისთან; იქ არც სისხლის-ღვრა მოგვაკლდება და არც დავლა ალაფი.

— ამბობენ, რომ ხმელნიცკი გეტმანებმა სძლიესო.

— მე ეგ არა მჯერა, მამავ და ბატონო; ხმელი კუდიანი მელაა, თუ არ თათრებთან ერთად, ისე არ შეებრძოლება ლიახებს.

— იქნება აგრეც იყოს, მაგრამ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეგ ეგრეა. მაშინ მოვარიდებდით თავს მაგ ტარტაროზ ერემიასა, შეუუერთდებოდით ხმელნიცკის, მაგრამ ჯერ უნდა დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნდეთ მაინცა! აი, რომ იყოს ვინმე, არ შეუშინდებოდეს ერემიას და წავიდოდეს ახლო-მახლო მიდამოთა მოსათვალიერებლად. იქნება ჯაშუშიც შეიპყრას სადმე. აი ამ ქუდით ერთს სულ ბაჯაღლო ოქროს დავუთვლიდი.

— მე წავალ, ბატონო, არა ბაჯაღლოს გულისათვის, არამედ სახელისა და ვაჟკაცობის მოსაპოვებლად!

— ჩემ შემდეგ მეორე ატამანი შენ ხარ და წასვლა კი გინდა? მალე პირველი ატამანიც იქნები და წინ წაუძღვები ყაზახთა, ამა ვაჟკაცთა რჩეულთა, იმიტომ რომ არ გეშინიან ერემიასი. წადი, გმირო, წადი და მერე მთხოვე, რაც გინდა. ჰო, ახლა აი რას გეტყვი: შენ რომ არ წასულიყავ, მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ ვაი რომ ჩემი წასვლა არ შეიძლება.

— თქვენი წასვლა არ შეიძლება; თქვენ რომ წასულიყავით, ყაზახნი აყაყანდებოდნენ, აიგერა წავიდა და თაეს უშველაო, და გაიფანტებოდნენ აქეთ-იქითა. მე რომ წავიდე კი, გული მოეცემათ.

— ამალა ბევრი გინდა?

— არა, ბევრს არაფის წავიყვან; მცირე გუნდით უფრო ადვილია მალვით სიარული. ერთი ხუთასიოდე კაცი მიბოძეთ და თავს მოვიჩრი, თუ ჯაშუში არ მოგგვარეთ.

— მაშ, წადი ეხლავე. კამენცას ზარბაზნებს ისვრიან სიხარულით, ლიახნი გადავრჩით და დეე ყაზახნი ამოსწყდნენო.

ბოგუნი წავიდა და მაშინვე სამგზავროდ დაიწყო მზადება. იმისმა ყაზახებმა, თვისის უცვალებელის ჩვეულებისამებრ, დაიწყეს ჭირვეული სმა და შიგ იხრჩობდნენ თავს არაყში. „ვცეცხლოთ და ვჭყურტოთ, სანამ სიკვდილი მოვა და მოუსვენარს სულს ამოგვაძრობსო“; ბოგუნიც სხვასთან ერთად სვამდა; ბოლოს სულ გადირია, ბრძანა, მოაგორეთ კუბრით სავსე ბოჩკაო და, როცა მოაგორეს მარილა, როგორც იყო ხავერდ-ატლასით მოსილი, ისე იმიან-იმიანად შიგ ჩაჰყო თავი, ამოეველო ერთჯელ, ორჯელ, სამჯერ და დაიძახა:

— შავი ვარ ახლა, როგორც ბნელი ღამე! ვეღარ დამინახავენ ლიახთა დასაბრმავებელი თვალები.

მოახტა ცხენსა და გააქროლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. უკან გაჰყვა მხლებელთა რაზმიცა. ხოლო პან სქოტტუსკი ამასობაში იარმოლინცამდე მოვიდა და, რადგან იქაურებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, უწყალოდ დასაჯა საცოდავნი, დაეშუქრა, ერემია მოვა დაუყოვნებლივაო და იმ-ღამეს იქვე დარჩა.

საღამოზედ უთხრა თავის ამხანაგებს:

— ჯერ-ჯერობით ღმერთი გვშველის. მართლა მოწინავე ჯარი ვგონივართ თავადის მხედრობისა, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ რამე-კი, რომ ჩვენი საიდუმლო არ გამჟღავნდეს.

— დიდ ხანს ვივლით კიდევ ასე?—ჰკითხა ზაგლობამ.

— მანამ, სანამ არ გავიგებთ, რა უდევს გულში კრივნოსსა.

— მაგრე თუ ვიარეთ, იქნება ომიც მოჰხდეს და ჩვენ კი ვერა გავიგოთ-რა, ჩვენებს ველარ შევუერთდეთ.

— ადვილად შეიძლება.

— ეგ ვერფრად მომწონს. მართალია, კარგად მოჰხვდათ ყაზახებს კონსტანტინოვთან, მაგრამ ის არ ეყოფათ. ისეთი მაქვს ხელები, სულ მექაფება...

— შესაძლოა, აქ უფრო დიდის ომის გადახდა შეგემთხვეს, ვიდრე გგონია.

— ოჰ, საიდანა?—ჰკითხა პან ზაგლობამ, მოუსვენრობით შეპყრობილმა.

— ყოველ-დღე მოსალოდნელია, რომ მტერს შევეფეთოთ და, თუმცა იმიტომ არ წამოვსულვართ, რომ იარაღით გზა გადვულობოთ, მაინც, თუ თავს დაგვესხმიან, უნდა მოვიგერიოთ. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საქმეს. საჭიროა ბლომად მოვიაროთ სოფლები, რომ ერთსა და იმავე დროს ბევრგან იყოს ლაპარაკი ჩვენ შესახებ, მეამბოხენი ვსაჯოთ შეუწყალებლად, რაც შეიძლება მეტი შიში და ძრწოლა მივაყენოთ და ყველგან ვავრცელოთ ჩვენი ამბავი. ამიტომ, ჩემის ფიქრით, დასებად გავიყენეთ.

— მეც მაგ აზრისა ვარ,—დაეთანხმა ეოლოდიევსკი,—შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია და ისინი, ვინც კრივნოს-

თან გაიქცევიან, დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ასი-ათასზედ მეტი ჯარი მოდისო.

— თქვენ აქ უფროსი ხართ,—სთქვა პოლბიპენტამ,—განაგეთ საქმე, როგორც გინდათ.

— მე ზანკოს წავალ, ხალადკოვცისაკენ, და თუ შესაძლო იქნება, კიდევ უფრო შორსაც, თქვენ, პან ჯინაშანო პოლბიპენტა, პირდაპირ სამხრეთად წადით, შენ, ვოლოდიევსკი, კუპინს წახვალ, ხოლო პან ზაგლობა ზბრუჩს, სატანოვისაკენ.

— მე?—ვითომ კარგად ვერ გავიგონე რა სთქვიო და ამიტომ ჰკითხა პან ზაგლობამ.

— შენა. ჭკვიანი და მოხერხებული კაცი ხარ; მე მეგონა, სიამოვნებით იკისრებდი ამ საქმეს; თუ არ გინდა, ვახმისტრ კოსმაჩს მივანდობ.

— ოჰ, არა, არა!—შეჰყვირა ზაგლობამ, რომელსაც უეცრად გაუელვა თავში სასიამოვნო აზრმა, რომ ცალკე რაზმის უფროსი ვიქნებოო.—თუ გკითხე რამე, მხოლოდ იმიტომ რომ თქვენი მოშორება არ მინდოდა.

— კარგად კი იცი ახლა ზნენი სამამაცონია, ესე იგი საშხედრო საქმე?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— კარგად კი ვიცი? შენ ჯერ დაბადებულიც არ იყავ, რომ ამაზედ რიცხვ-მრავალნი რაზმნი მიტარებია სალაშქროდ. მთელი საუკუნე ომში გავატარე და სამხედრო სამსახურში მაქვს ჯილი მოჭრილი; დღესაც სამსახურში ვიქნებოდი, ის დაწყეველილი დაობებული რომ არა ყოფილიყო: კუჭში ჩამრჩა ერთხელ ის ოხრად დასარჩენი და სამი წელიწადი დაჰყო შიგა. გალატს მომიხდა წასვლა წამლისათვის... მაგრამ ამ მოგზაურობის ამბავს მერე გიამბობთ როდისმე დაწვრილებით, ახლა კი დროა გზას გაეუდგე.

— წადი და ყველგან ავრცელეთ ხმა, რომ ხმელნიცკი დამარცხდა-თქო, რომ თავადი ახლოა-თქო. ჩიხა-მახოებს ტყვედ ნუ შეიპყრობთ, ხოლო თუ კამენცთან ნამყოფი შეგხვდეთ ვინმე, ეცადეთ იმისთანანი შეიპყროთ, რომ კრივანოსის ამბავი რამ შეგვატყობინონ.

— დეე, თუნდ კრივანოსი მობრძანდეს ჩემს საწინააღმდეგოდ, მე ვაჩვენებ იმას სეირს: კაი-კაის ვუთავაზებ! ნუ გეშინიან, პან სქშეტუსკი, როგორც ჩემი ნებაა, ისე ვატლინკებ მეამბოხეთა!

— სამს დღეს უკან, ისევ იარმოლინცს მოვიყაროთ თავი, ახლა კი ყველა თავის გზას გაუდგეს. ხალხს გაუფრხილდით!

— სამს დღეს უკან იარმოლინცს უნდა ვიყვნეთ? — გაიმეორეს ზაგლობამ, ვოლოდიევსკიმ და პოდბიპენტამ.

VI

როცა პან ზაგლობა მარტოდ-მარტო დარჩა თავის რაზმითურთ, როგორღაც უხერხულად იგრძნო თავი. ერთის სიტყვით, ეშინოდა კაცსა. რას არ გაიღებდა, რომ თავის მახლობლად ან სქშეტუსკი დაენახა, ან ვოლოდიევსკი, ან თუნდა პან ლონგინუსი, რომელთა გმირობაც გულში ძალიან უკვირდა და რომელთა მახლობლადაც ისე ეგონა, თითქო ღვთის უბეში ვზივაროო.

პატარა ხანს წინ მიდიოდა ჩვენი შლიახტიჩი და სულ თავ-პირი ჩამოსტიროდა, ისე იყო დაღვრემილი. თან შეკრთომით იცქირებოდა აქეთ-იქით და ითვალისწინებდა იმ საფრთხეგანსაცდელს, რომელშიაც, შესაძლოა, ჩავვარდეო.

— მაინც სასიამოვნო იქნებოდა, რომ ერთ-ერთი მათ შორის აქა ყოფილიყოვო, — ბურტყუნებდა ზაგლობა, — ყველას ღმერთმა თავისი რამ მისცა და ეგ სამნი კი თითქო წურბელებად გაჩენილან, ისე მუსუსად ედებიან ადამიანის სისხლს. ომში ისე ჰგრძნობენ თავს, თითქო კაი კამპანიაში ვართ და სასმელს შევექცევითო, თითქო თევზნი ვართ და წყალში ჩაგვყარესო. ნურც ასმევ, ნურც აჭმევ, ოღონდ კი აომე. მუცელი ქანქლე აქვთ, მკლავი კი მჭედლის უროსავით მძიმე. ჩემის თვალით მინახავს სქშეტუსკი პირ-ოფლიანი ომში... ღმერთო, რა ნაირ იქნევს ხმალსა!... ან კი რა ლაპარაკი უნდა, მაგისი საყვარელი საქმე ეგ არის. ისა, საკუთარი გოგრა რომ არა აქვს

და სამს სხვისას ეძებს ერთადა? იმისთვის ყოველივე სულ ერთია, ერთ მანყუსად არა ჰღირს რა. იმ ქონდრის კაცს ვოლოდიევსკის ყველაზედ ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ისიც დიდი კუდიანი უნდა იყოს... აიგერა თუნდა კონსტანტინოვს ახლო რა ქნა, მაგალითად. ჩემი ბედი კიდევ, რომ ის აქ ახლოა თავის რაზმით. მოდი იმას შევუერთდე? თუ ვიცოდე ეხლა, სად მივდივარ, დეე თათარი დამიძახონ.

პან ზაგლობამ ძრიელ ობლად იგრძნო თავი და თვითონვე უკვდებოდა გული ასეთის სიმარტოვის გამო.

— მაშა, მაშა! ყველას ჰყავს ვინმე მახლობელი და მე კი ვინა მყავს? არც მეგობარო, არც მამა და არც დედა ჩემთვის. ობოლი ვარ, მორჩა და გათავდა!

ამ დროს ზაგლობასთან მოვიდა ვახმისტრი კოსმაჩი.

— ბატონო, სად მივდივართ?

— სად მივდივართ—გაიმეორა პან ზაგლობამ, —რაო?

უცბად გასწორდა უნაგირზედ და გადიგრიხა ულვაში.

— კამენცს, თუ ჩემი ნება იქნება! გესმის, ბატონო ვახმისტრო?

ვახმისტრმა თავი დაუკრა და ხმა-ამოუღებლივ გატრიალდა უკან; ვერ მოეფიქრებინა, რაზედ გაწყრა ბატონი უფროსიო; ხოლო პან ზაგლობამ აქეთ-იქით გადაბრიალა კიდევ თვალები მრისხანებით, მერე დამშვიდდა და განაგრძო ფიქრი:

— თუ მე კამენცს წავიდე, ასი ჯოხი დამკრან ზედ ფეხის ჭუსლებზედ ოსმალურის წესითა. ფუი, ფუი! ერთ-ერთი მათგანი რომ აქ იყოს, ბევრად უკეთეს გუნებაზედ ვიქნებოდი. რა უნდა მოვუხერხო ამ ჩემს კაცებს? მე და ჩემმა ღმერთმა, სულ რომ მარტო ვიყო, ის მირჩევნია, მაშინ მოხერხების უნარი მაინც ექნებოდა კაცს. ახლა კი ძრიელ ბევრნი ვართ ერთად და რისამე მოხერხება ძალიან ძნელია; თან ისე ცოტანიცა ვართ, რომ მტრის მოგერება შეუძლებელია. ძალიან სულელური აზრი მოუვიდა სჩეტუსკის, რომ რაზმი გუნდებად დაჰყო. აბა, ერთი სად უნდა წავიდე ახლა? რაც აქამდე იყო, ის ვიცი, და, აბა, ვინ გეტყვის წინ რა იქნება, ვინ მითავდებებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმამე ტარტაროზმა მახე არ დაგვიგო სადმე? კრივანოსი და ბოგუნი! კაი წყვილი კია, იმათმა აშენებამა! გადაუწყდეთ და გადაჰყვნენ თანა! ღმერთმა დამიფაროს მეტადრე ბოგუნისაგან. აი სქშეტუსკის უნდა, ნეტავი ერთი იმას შემახვედრაო, და, დეე, ღმერთმა ისევ იმისი ლოცვა შეისმინოს. მეც ის მინდა იმისთვის, რაც თავადა სურს: მაშ, რა? ტყუილად ხომ არა ვართ მეგობრები, ამინ! მივჩაჩალდები როგორმე ზბარუჩამდე და მერე, იალან! გავწვეე ისევ იარმოლინცსა; ჯაშუშებს იმდენს მივუყვან, რომ სულ „არ მინდა“ იძახონ.

კოსმაჩი კვლავ მივიდა ზაგლობასთან.

— ბატონო, აიქ გორას იქიდან, ვიღაც ცხენოსანი ხალხი მოსჩანს.

— ჯანდაბას იმათი თავი!... სადა? სადა?

— აიგერა, სერს იქიდანა ნაკვალევი სჩანს იმათი.

— ჯარია?

— მგონია, ჯარია.

— აი მგლებსაც დაუჭამიათ! მერე ბევრნი არიან?

— კარგად არა სჩანს, შორს არიან. აიმ კლდეებს რომ ამოვეფაროთ, უცბად დავესხმით თავსა; სხვა გზა არსაითა აქვთ. თუ ბევრნი არიან, პან ვოლოდიევსკი შორს არ არის აქედან; თოფის ხმას რომ გაიგონებს, მოსაშველებლად გამოეშურება.

პან ზაგლობას ვაჟკაცობის გამოჩენის ჟინი მოუვიდა უცბადა. ეს გარემოება იქნება სასოწარკვეთილების ნიშანიც იყო, ან იქნება ვოლოდიევსკის ახლო ყოფნის იმედმა გამოიწვია. შლიახტიჩმა შემოიქნია ამოწვდილი ხმალი, მრისხანედ მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და დაიძახა:

— ჩასაფრდით კლდეებში! უცბად დავესხათ თავს. ვაჩვენებთ სეირს მაგ წუწკებსა, მაგათა!...

თავადის გამოკდილნი ჯარის-კაცნი მაშინვე გატრიალდნენ კლდეებისაკენ, ერთის თვალის დახამხამებაში დაეწყვნენ საომრად და მზად იყვნენ თავ-დასხმისათვის.

გაიარა საათმა; ბოლოს მოისმა ხმაურობა მოახლოებულის ხალხისა; გარემო კლდე-ღრემ ბანი მისცა მხიარულს სი-

მღერას, რომელსაც ის ხალხი ამბობდა; ცოტა კიდევ და მოისმა ხმა ჰიანურისა, სტვირ-სალამურისა და დაირისა. ვახმისტრი მივიდა პან ზაგლობასთან.

— ის ჯარი არ არის, ბატონო, ყაზახნი არ არიან. ქორწილია.

— ქორწილია?—ჰკითხა ზაგლობამ.—კარგ ქორწილს მიეცემ მე იმათა.

გუნდის უფროსმა ჰკრა ქუსლი ცხენსა, ჯარის-კაცნი გაჰყვნენ თან და დაეწყვნენ რიგზედ.

— მომყევით!—შეუძახა ზაგლობამ თავის გუნდს.

ჯარის-კაცნი გაჰყვნენ იერიშით, მერე ჭენებით, შემოერტყნენ კლდეს და გაჩერდნენ მექორწინეთა წინაშე, რომელთაც გული გაჰხეთქოდათ შიშით ამათ დანახვაზედ.

— დაიკათ, შესდექით!—მოისმა აქეთ-იქიდან.

მართლა მექორწინენი იყვნენ. წინ მოდიოდნენ ცხენებით მეფანტურე და მეჰიანურე, კარგად შეზარხოშებულები და უკრავდნენ სამხიარულო საცეკვაო ხმებს. იმათ მოსდევდა პატარძალი, ლამაზი ყმაწვილი ქალი, მუქის ფერის ჯუბით მოსილი; ქალს თმა-ჩამოშლილი ჰქონდა და მხრებზედ ეყარა. პატარძალს გარს ეხვივნენ მისი ტოლ-ამხანაგნი, დობილნი, ყველანი ცხენებზედ ისხდნენ და თმები მინდვრის ყვავილებით შეემკოთ. შორიდან წითელ-ყეითლად შემოსილ ყაზახებსა ჰგვანდნენ. მეორე მხარეზედ მოდიოდა ფიცხ ცხენზედ მჯდომი „მეფე“. მეფე-დედოფალს მოსდევდნენ უკან ნათესავნი და სტუმარნი, სულ ცხენებითა, მხოლოდ ბოჩკები, სავსე თაფლითა, არაყითა და ლუდით მოჰქონდათ სუბუქის ოთხ-თვლიანის ურმებითა, რომლებსაც ღადა-ღუდა გზაზედ საშინელი ჯაყჯახი და ხრიგინი გაჰქონდათ.

— შესდექით, შესდექით!

მექორწინენი აირივნენ. გოგოებმა წივილ-კივილი ასტეხეს, ყმაწვილი ბიჭები ლა ხნიერი სტუმრები წინ გამოეიდნენ, რომ თავიანთი გული მიეშვირათ მოულოდნელის მტრისათვის და ისე დაეფარათ პატარძალი და მისი საკუთარი ამალა.

პან ზაგლობა მიუხტა და იქნევდა ხმალს შეშინებულ გლეხთა წინაშე.

— ჰაი, თქვე ავაზაკნო, ძაღლისშვილებო, მეამბოხენო! ამბოხი მომინდომეთ?! კრივანოსს მიემხრენით, თქვე უწმინდურნო? საჯაშუშოდ იყავით განა?—ჯარს გზას უკრავთ?—ჰბედავთ და შლიახტას ხელი გინდათ შეუბრუნოთ? მე თქვენ გაყურებინებთ თქვენს სეირს, თქვე არამზადანო, თქვენა! ბოძ-ზედ, მარგილზედ ჩამოგაცვამთ, თქვე რჯულ-დაკარგულებო, თქვენა! რაც ღალატი გაგიწვიათ, სულ ახლა გადაგახდევინებთ!

მოხუცი, თოვლივით გათეთრებული კაცი სასწრაფოდ ჩამოხდა ცხენიდან, მივიდა შლიახტიჩთან და მორჩილებით შემოეხვია მუხლებზედ.

— შეგვიბრალე, დიდებულო რაინდო, ნუ დაჰღუპავ საწყალ ხალხს. ღმერთია მოწამე, უბრალონი ვართ, ამბოხი რა ჩვენი საქმეა, ეკლესიიდან მოვდივართ; ჩვენს ნათესავს დიმიტრისა და მებოჩკის ქალს ქსენიას ჯვარი დავწერეთ. ქორწინებიდან გიახლებით.

— ეგენი უდანაშაულონი არიან, ბატონო,—წასჩურჩულა ვახმისტრმა.

— გამეცა! არამზადანი არიან! ჯერ კრივანოსთან იყვნენ და მერე იქიდან ქორწილში წავიდნენ!—დაიღრიალა ზაგლობამ.

— კისერიც მოუტეხნია იმასა! თვალითაც არ გვინახავს, ერთი საწყალი ხალხი გახლავართ. შეგვიბრალე, დიდებულო რაინდო, ნება მოგვეც ჩვენს გზაზედ წავიდეთ, არავის ვნებას არ ვაძლევთ, ჩვენთვისა ვყრიავართ.

— ყველას იარმოლინცს წაგიყვანთ თოკით დაკოჭილებსა.

— საცა გვიბრძანებ, იქ გიახლებით, ბატონო! თქვენი საქმე ბრძანებაა, ჩვენი—მორჩილება! მხოლოდ შეგვიბრალეთ კი, უბრძანეთ ბატონ ჯარის-კაცებს, ნურას დაგვიშავებენ, ჩვენ კი, თუ უკაცრავად არ ვიქნებით და მოგვიტევებთ კადნიერებას ჩვენისთანა სულელებსა და უგუნურებს, გთხოვთ უმორჩილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ინებოთ. მიირთვით, ჩვენო მწყალობელო ბატონო, ჩვენი სადღეგრძელო როგორც გვასწავებს ღმერთი და წმინდა სახარება და გაგვახარეთ საწყალი ხალხი.

— ეს კი მაინც არ იფიქროთ, რომ თქვენ მოგთარჯოთ რამე და ლოლაობა დაგიწყოთ, — სთქვა მრისხანედ პან ზაგლობამ.

— ოჰ, ბატონო, არა, — გაიხარა მოხუცმა. — მაგას როგორ ვიფიქრებთ! ეი, მემუსიკენო, დაუკარით დიდებულის რაინდის სასიამოვნოდ, დიდებული რაინდი გულ-კეთილია, ხოლო თქვენ ყოჩაღნო ახალგაზდანო, აბა ჩქარა თაფლის ღვინო, შუშხუნა ღვინო დიდებულის რაინდისათვის; საწყალს ხალხს არ აწყევინებს. მალე, ბიჭებო, მალე! გმადლობთ, პანე!

ახალგაზდა ბიჭები გაექანნენ სასმლის მოსატანად. ამასობაში დაჰკრეს ჟღარუნიან დაირა-ნაღარებს, ჭიანურმა დაიწყო წრიპინი, პოლონელი ჯარის-კაცნი ახლო მიიწევდნენ მექორწინეებისაკენ, იგრეხდნენ ულვაშებს და ეწონგოდნენ გასათხოვარს გოგოებს. შემოსძახეს კვლავ სიმღერები და შიში ისე გაჰქრა, როგორც შარშანდელი თოვლი.

მაგრამ პან ზაგლობა მაინც მალე არ დამშვიდდა. მაშინაც კი, როცა ჩარექიანის პინით თაფლის ღვინო მოართვეს, ის მაინც ბურტყუნებდა ხმა-დაბლა: „ჰმ, ავაზაკნი, ჰმ, არამზადანი!“ მაშინაც კი, როცა დაეწაფა სქელს სასმელს და ჩაასველა შიგ თავისი ულვაშები, კოპები ისევ შეკრული ჰქონდა; აიღო მაღლა თავი და დიდ ხანს აწკლატუნებდა ტუჩებს, ბოლოს გაკვირვება და მასთან გულის-წყრომა გამოიხატა პან ზაგლობას სახეზედ.

— რა დრო დადგა! — წაიბუტბუტა შლიახტიჩმა. — ტეტიები არიან და ამისთანა თაფლს კი სვამენ. ღმერთო, ღმერთო! შენ ჰხედავ ამას და არ გინდა კი დასაჯო!

მოიწაფა მეორედ პინა და უსუნთქებლივ დასცალა.

იმედ-მოცემულნი და გულ-გაკეთებულნი გლეხნი შემოეხვივნენ და დაუწყეს ხვეწნა, ნუღარას დაგვიშავებო და მშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით განგვიტევეთო; იმათთან ერთად მოვიდა პატარძალიცა, მოკრძალებული, ათრთოლებული, თვალ-ცრემლიანი, ატლასივით გაწითლებული და ისეთის შვენებით-მოსილი, თითქო დილის მთიებიაო. დედოფალი მიუახლოვდა გულ-ხელ-დაკრეფილი. „შეგვიწყალეთ, პანე!“ და პან ზაგლობას ყვითელ წაღაზედ აკოცა. ხანში შესულ შლიახტიჩის გული სულ დადნა მაშინვე.

ჩაიყო ხელი ტყავის პრტყელ ქამარში, ამოიღო იქიდან რამდენიმე ოქრო (ეს-ღა დარჩენოდა თავადის ნაჩუქართაგან) და მისცა ქსენიას:

— აჰა!.. ღმერთმა ისე გაკურთხოს შენცა, როგორც სხვა ყოველი უმანკება.

მღელვარებამ აღარ მისცა ნება მეტის ლაპარაკისა. ტანადმა, შავ-თვალ-წარბა ქსენიამ გაახსენა ზაგლობას კნიაჟნა, რომელიც ისე უყვარდა თავისებურად. „ვინ იცის, სად არის ეხლა საწყალობელი! იფარავენ თუ არა წმინდა ანგელოზნი?“—გაიფიქრა შლიახტიჩმა და იმდენად აუჩუყდა გული, რომ მზად იყო გადახვეოდა და დაძმობილებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო.

მექორწინენი ამისთანა უხვის საჩუქრის დანახვაზედ კინადამ ჭკუაზედ არ შეიშალნენ სიხარულითა. „კეთილი ბატონია! სახელოვანი ლიახია! ოქროს არიგებს საჩუქრად!“ მეჯიანურე ისეთი იყო, რომ გაჰქონდა და გამოჰქონდა, მესტვირე ხომ სულ იჭაჭებოდა, ისე ერთგულად უკრავდა სტვირსა. მოხუცი მებოჩკე, კაცი მშიშარა და მხდალი, აქამდე მოშორებით იდგა, ახლა კი ისიც წინ წამოდგა მოხუც მძახალთან, მჭედლის ქვრივთან ერთად, რომელიც „ნეფის“ დედა იყო და, დაუკრა რა დაბლა თავი, დაუწყო ხვეწნა ძვირფასს სტუმარს, გვეწვიეთ სახლში და გაგვაბედნიერეთო; თუ ჩვენს ხვეწნას არ შეგვისრულებთ, ძალიან გვაწყენინებთო. იმას უკან დაუწყეს ხვეწნა თვით მეფემა და შავ-თვალ-წარბა ქსენიამ, რომელიც უცბად მიჰხვდა, რომ ჩემი თხოვნა უფრო გასჭრისო. მაყრებიც არწმუნებდნენ, ჩვენი სოფელი აქვე ახლოაო, გზა არ გაგიმრუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათ, მოხუცი მებოქკე კაი შეძლებული კაცია და კიდევ უფრო უკეთესს ჰაშნიკს მოგვიხდისო.

პან ზაგლობამ გადაჰხედა თავის ჯარის-კაცთა: ყველანი ისეთი იყვნენ, რომ სულ კატებივით შესცქნავოდნენ უფროსს, თითქო უსიტყვოდ ეხვეწებოდნენ: წაგვიყვანე ერთი, კარგად ჩავიქორწილოთო. პან ზაგლობას შეეცოდა საწყლები და ერთ წუთს შემდეგ თეითონაც, მაყრიონიცა, გოგოებიცა და ჯარის-კაცთა გუნდნი დიდის თანხმობითა და სიამოვნებით გაემართნენ სოფლისაკენ.

სოფელი, მართლა, შორს არ იყო; მოხუცი მებოქკე კარგა შეძლებული ოჯახიშვილი აღმოჩნდა. ყველამ ძალიან გადაჰკრა, პან ზაგლობა ხომ ისე გამხიარულდა, რომ ყველგან ის იყო პირველი. მეფეს მამა არა ჰყავდა, პან ზაგლობასა სთხოვეს, მამის მაგიერი იყავიო და ხანში შესულმა შლიახტიჩმაც არ იუარა. მებოქკე სულ ახალ-ახალ ჯაშნიკებსა ჰხდიდა, ბოლოს ჰიაკოკონებიც დაანთეს და შეიქნა დიდი უზომო სმა-ღრეობა.

პან ზაგლობა გაწითლდა ჭარხალივით და ფეხზედ ძლივსღა დგებოდა. სულ გადააეიწყდა ყოველივე; თითქო ბურანშიაო, ისე ეჩვენებოდნენ მონადიმენი, მაგრამ, თუნდ მოგეკლათ, ვერ იტყოდა, ვინ იყვნენ მისნი მეინახენი და თანამოქეიფენი. ეს კი ახსოვდა, რომ ქორწილში ეართო, მაგრამ ვისი ქორწილი იყო? ჰოო, უთუოდ სქშეტუსკისა და კნიაჟნას ქორწილიაო. ეს აზრი ისე მოეწონა, რომ სულ გადირია სიხარულით და გიჟივით დაიწყო ღრიალი: „გაუმარჯოს! ჩვენს მეფე-დედოფალს გაუმარჯოს! ბატონებო, ძმებო გადავეხვიენეთ ერთმანეთს!“ სვამდა და სვამდა სულ ახალ-ახალს სადღეგრძელოებს: „ეს ჩვენის მთავარისა და თავადის სადღეგრძელო იყოს! ღმერთმა ბრძანოს, რომ მალე ასცილებოდეს ჩვენს სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება!“ ამ დროს ცრემლები მოერია, სასმელით სავსე ბოჭკისაკენ გაემართა, მაგრამ სიარულში წაბარბაცდა და კინაღამ კისერი არ მოიტეხა. ან რა საკვირველი იყო: ძირს, თითქო ნაომარი ადგილიაო, მრავლად ეყარნენ უგრძნობლად დამთვრალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთო!—ღაღად-ჰყო პან ზაგლობამ ხმითა დიდითა.—განჰქრა ქველობა მთელს რესპუბლიკაში. ერთი ლაშჩი სვამს კარგად და მეორე ზაგლობა, ხოლო დანარჩენნი... ღმერთო! ღმერთო!

და შლიახტიჩმა აღმართა მწუხარე თვალნი ცად-მიმართ და მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, რომ ცის მნათობნი ისე არა ვლენან გზასა თვისსა ზედა, როგორც სათანადო არს მათთვის, გარნა ზოგნი თრთიან და ციმციმებენ, თითქო ჰნებავთ მოიშორონ თვისნი სამკაულნიო, ხოლო ზოგნი უცნაურს წრეს ავლებენო. პან ზაგლობა საგონებელში ჩაეარდა და შეეკითხა სულსა თვისსა:

— ნუ თუ მხოლოდ მე არა ვარ მთვრალ in universo?

მაგრამ უცბად დედა-მიწამ, ვარსკვლავების მზგავსად, დაიწყო თრთოლა და ნძრევა, პროწიალი ციბრუტივით და პან ზაგლობა, როგორც მოჭრილი ხე, ისე გაიშხლართა დედა-მიწაზედ.

საშინელი სიზმრები ჰნახა. ესიზმრა, რომ ვითომ ვიღაც ავაზაკნი დასწოლიან გულზედ, ჰბოჭავენ და ხელ-ფეხს უკვრენ. ამავე დროს მის ყურებს ჩაესმოდა რაღაც ხმაურობა, ხმა თოფის-სროლისა, რაღაც სისხლის ფერი ნათელი მისდგომოდა ვითომ ზედ პირი-სახეზედ და სჭრიდა თვალებს აუტანელის სიმწვავითა. უნდოდა გაეღვიძნა, თვალები გაეხილა, მაგრამ არ შეეძლო. ჰგრძნობდა, რომ ჩემს თავს რაღაც ჩვეულებრივი ამბავი არ არისო, რომ თავს ძირსა ჰქინდრავდა, რომ თითქო ფეხებითა და ხელებით მიმათრევენო.. მერე ზაგლობა რაღაც შიშმა შეიპყრო; ძალიან ცუდად იყო, ძალიან ცუდად, დიდს გაჭირვებაში ჰგრძნობდა თავს. ცნობაზედ მოვიდა რამდენჯერმე, მაგრამ ისეთს უღონობასა ჰგრძნობდა, როგორიც თავის ღღეში არ გამოეცადნა. სცადა, პატარას მივიშმუშნ-მოვიშმუშნები, შევინძრევიო, მაგრამ ვერ მოახერხა; ახლა კი გამოეღვიძა, სრულიად გამოფხიზლდა და თვალები გაახილა.

პირველ ყოვლისა დაინახა თვალები, რომელიც საშინელის სიხარბით დაშტერებოდა პან ზაგლობას, ხოლო ის თვა-

ლები კუნაპეტივით შავები იყო და ისეთის ბოროტის მეტყველებისა, რომ გამოღვიძებულმა ზაგლობამ პირველში იფიქრა, თვით ჯოჯოხეთიდან მოსული ტარტაროზი დამყურებსო და ამიტომ კვლავ დაჰხუჭა თვალები, მაგრამ კვალადვე სწრაფად გაახელა. გარნა ის წყეული თვალები ისევ დაშინებით ჩაშტერებოდა საცოდავს... სახეც თითქო ნაცნობი სახე იყო... უცბად პან ზაგლობა შეაკრთოლა საშინელის ამაზრზენის შეკრთოლებითა, შუბლზედ ცივმა ოფლმა დაასხა საწყალს, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

ზაგლობას წინ ბოგუნი იყო გამოჭიმული.

VII

ხელ-ფეხ შეკრული ზაგლობა ეგდო სწორედ იმ ოთახში, საცა საქორწილო ლხინი იყო გაჩაღებული, ხოლო საშინელი ატამანი იჯდა სკამზედ ცოტა მოშორებით და სტკბებოდა ტყვედ-შეპყრობილის ტანჯვა მწუხარებით.

— საღამო მშვიდობისა, პან ზაგლობა!—სთქვა ატამანმა.

პან ზაგლობამ პასუხი არ მისცა, მხოლოდ ერთის თვალის დახამხამებაში ისე გამოფხიზლდა, თითქო ზედ არ დაჰკარებია სულ სასმელსაო; ჟრუანტელმა კვლავ დაუარა ტანში ფერხით-თხემამდე და ისე გააჟრჟოლა, თითქო ყინულებში ჩაყვანესო. ამბობენ, რომ, როცა კაცი წყალში ირჩობა, სულის დალევის წინად ცხადად ხხედავს მთელს თავის წარსულს, ცხადად ჰგრძნობს რაც ემართებაო. სწორედ ასე მოუვიდა პან ზაგლობასაც. თვალ-წინ წარმოუდგა ყოველივე წარსული თვისი გარემოება და მთელი მისი თავ-გარდასავალი ერთს საგანს ეხვეოდა მუმლივით გარშემო:

— მაყურებინებს ახლა ჩემს სეირს!

ხოლო ატამანმა დამშვიდებით განიმეორა:

— საღამო მშვიდობისა, პან ზაგლობა!

„ბრრ!—იფიქრა პან ზაგლობამ,—ის მერჩივნა, შიგ ჯოჯოხეთში ჩავეგდეთ თავ-დაყირა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერა მცნობთ, ბატონო შლიახტიჩო?

— თავს გიკრავთ და სალამს გაძლევთ! ხომ კარგადა ბძანდებით?

— არა მიშავს-რა. ხოლო თქვენს კარგად თუ ავად ყოფნის საქმეს მე თვითონ გავარიგებ.

— ღმერთმა ხომ იცის, არ მითხოვნია მისთვის შენისთანა მკურნალი და ვეჰვოშ კიდეცა, რომ შენი წამლები სასარგებლო იყოს ჩემთვის, მაგრამ რა გაეწყობა, დეე აღსრულდეს ნება უფლისა.

— შენ რომ მივლიდი მე, ახლა ჩემი რიგია. ძველი მეგობრები ვართ. გახსოვს, როგორ შემიხვია თავ-პირი, როგორ შემბორბლევი რაზლოგში?.. ჰა?

ბოგუნის თვალები ისე აენთო, როგორც ნაკვერჩხალი, ხოლო ტუჩებს დაეტყო საშინელი ღიმილი დაცინვისა.

— მახსოვს, რომ შემეძლო ხანჯალი ჩამეცა გულში მაგრამ არ ჩაგეცი კი.

— მე როდის-ღა გიპირობ ხანჯლის ჩაცემას? არა! შენ ჩემი ძვირფასი, სასურველი მეგობარი ხარ; ისე გაგიფრთხილდები, როგორც ჩემის თვალის ჩინსა.

— მე სულ იმას ვამბობდი, რომ შენ ჭეშმარიტი რაინდი ხარ. (ზაგლობა თავს იკატუნებდა და ისე ლაპარაკობდა, ვითომ შენი ლაპარაკი სულ წმინდად მკერაო, თავში კი სულ ერთი აზრი უტრიალებდა განუშორებლად: „ცხადია განსაკუთრებულს რასმეს მოიგონებს ეგ ჩემთვის, ჩვეულებრივის სიკვდილით არ მომკლავს“).

— მართალს ამბობ; შენც ჭეშმარიტი რაინდი ხარ. ვეძებდით ერთმანეთსა და აი ვიპოვეთ კიდეცა.

— სწორე გითხრა, მე შენ არ გეძებდი, მაგრამ მაინც გმადლობ ტკბილის სიტყვისათვის.

— მალე უფრო მეტს მადლობას მეტყვი, მე კი გმადლობ იმისათვის, რომ ჩემი საცოლო ქალი გააცილე რაზლოგიდან ბარამდე, მე იქ ვიპოვე ის ქალი და ახლა ქორწილში დაგპატიჟებდი, მაგრამ ეხლა ქორწილის დრო არ არის—ომი

მოგველის, ხოლო შენ მოხუცი ხარ და ვაი თუ მანამდე ვეღარც კი იცოცხლო.

ზაგლობამ, თუმცა საშინელს მდგომარეობაში იყო, ყურები სცქვიტა.

— ქორწილში?

— მაშ შენ რა გეგონა? ტეტია ხომ არა ვარ, რომ ძალით გავიტაცო, ან ფული ან სიმდიდრე არა მაქვს თუ, რომ კიევში წავიყვანო და იქ ჯვარი დავიწერო? ტეტიასათვის კი არ მოიყვანე ის ქალი ბარს, არამედ ატამანისა და გეტმანისათვის.

— კარგი და პატიოსანი.—სთქვა გულში ზაგლობამ და მერე ხმა-მაღლა წამოიძახა:—უბრძანე, გეთაყვა, ე ხელ-ფეხი გამიხსნან.

— იწექ, იწექი; შორი გზა გვაქვს გასავლელი, ცოტა მოხუცი ხარ და მოსვენება გეჭირვება.

— სად უნდა წამიყვანო განა?

— ჩემი მეგობარი ხარ, ჰო და მერე ჩემ ძმობილ კაცთან წაგიყვან, კრივანოსთან. იქ მოვიფიქრებთ ორივენი ერთად, როგორ დაგაბინაოთ უფრო საუკეთესოდ.

— კარგია დამცირება, როგორცა ვხედავ!—წაიბუტბუტა შლიახტიჩმა და კვლავ ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

ბოლოს დაიწყო როგორც იყო:

— ვიცი, რომ რაღასაც ჰფიქრობ ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ღმერთია მოწამე, მე დანაშაული არა ვარ შენ წინაშე. ერთად ვსცხოვრობდით, ჩიგირინში არა ერთი და ორი ბოთლი გამოგვიცლია ერთადა, იმიტომ რომ შვილივით მიყვარდა, რაკი რაინდი-კაცის ხასიათები გქონდა. მერე რა მოჰხდა? რა დაგიშავე ისეთი? რაზღოგს რომ არ წამოგყოლოდი, ეხლაც ისეთივე მეგობარი ვიქნებოდით, როგორც წინად. მერე რისთვის წამოგყე, თუ არ იმიტომ რომ გულ-წრფელად თანაგიგრძნობდი? და შენ რომ იქ ისე არ გადარეულიყავ, არ ამოგწყვიტნა ის საცოდავნი, გეფიცები წინ არ გადაგეღობებოდი. მე რა დავა მაქვს, რად გავერევი სხვის საქმეში? საკუთრად მე ის

უფრო მსურდა, რომ ქალი შენა გრგებოდა, ვიდრე სხვა ვისმე. მაგრამ იმ შენის უადამიანო მხეცობის შემდეგ, იმ შენის თავრობის გამო სვინდისმა მამხილა... იფიქრე, ის სახლი ხომ შლიახტიჩის ოჯახი იყო. შენ რომ ჩემს ალაგას ყოფილიყავ, შენც სხვაფრივ არ მოიქცეოდი. განა არ შემეძლო, თუ კი ჩემი უშიშროება მდომებოდა, გამეგზავრებინე მაშინვე საქიოს, მაგრამ მე ეგ არ მოვიქმედე. რისთვის? იმისთვის, რომ მე შლიახტიჩი ვარ და სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის. გრცხვენოდეს მაშ ეხლა შენცა, იმიტომ რომ ვიცი შენ ჩემი მასხარად აგდება გინდა. კნიაჟნა ხომ შენს ხელშია. მაშ რაღა გინდა ჩემგან? ან იქნება არ გავუფრთხილდი მე იმ ქალს, როგორც ჩემს მარჯვენა თვალს, არ მოვუარე შენს ძვირფას განძს? თუ შენც გაუფრთხილდი და ცოცხალი გადაარჩინე ის ქალი, მაშ სჩანს, შენც რაინდული პატიოსნება და სვინდისი გქონია... იფიქრე ერთი, როგორ-ღა გაუწვდი იმას ხელს, თუ-კი ეგ ხელი შესვრილი იქნება ჩემის უბრალო სისხლითა? როგორ-ღა ან რა აზრით ეტყვით, რომ იმ კაცს, რომელმაც უვნებლად გაგატარა თათრების ურდო და აჯანყებულ გლეხ-კაცობის ბრბოთა შორის, გაგუჩინე ტანჯვა და წამებაო? შეირცხვინე მაშ და გამანთავისუფლე ბორკილთაგან და დამიხსენ იმ ტყვეობიდან, რომელშიაც ჩამაგდო შენმა მოღალატობამ. შენ ჯერ ცმაწვილი ხარ და არ იცი, რა შეგემთხვევა, ხოლო ჩემის სიკვდილისათვის ღმერთი დაგსჯის იმ საქმეში, რომელიც ყველაზედ ძვირფასია შენთვის.

ბოგუნი წამოდგა სკამიდან, სიბრაზით გაფითრებული, მიუახლოვდა ზაგლობას და დაუწყო ხმა-დაბლა, შიშინითა:

— გარეულო უწმინდურო ღორო, ვუბრძანებ, რომ ეხლავე ცოცხალს გაგაძრონ ტყავი, ცეცხლზედ დაგწვამ ნელ-ნელა, დაგლურსმავ თავიდან ფეხებამდე, ასო-ასო დაგფლეთავ!

და გაცეცხლების კვეთებით გატაცებულმა იძრო დანა, რომელიც წელზედ ჰქონდა ჩამოკიდული, ამჰართა ათრთოლებული ხელი და რამდენსამე წუთს ისე ეჭირა... ერთი წუთიცა და... აგერ პან ზაგლობას თვალ-წინ გაუელვა უკვე აბჭყვრია-

ლებულმა დანამ, მაგრამ ატამანი გონს მოვიდა მალე, ისევ ქარქაშში ჩაიგო დანა და დაიძახა:

— თქვენ, ეი!

ექვს-ექვსი იმერი-ჭორომელნი შემოცვივდნენ ოთახში.

— წაიყვანეთ ეს ძოვრი და ჩაიგდეთ კარ-ჩაკეტილ ბოსელში. ყური უგდეთ, თორემ ხომ იცით...

ყაზახებმა წაავლეს ხელი პან ზაგლობას, ორ-ორმა ხელფეხში, ერთმა თავსა და თმაში, გაატარეს ეზო და დაადგეს თივა-ბზეზედ განმარტოებულს ბოსელში. კარი გამოუკეტეს და დატყვევებული უკუმეთს სიბნელეში დარჩა, მხოლოდ აქა-იქ, სახურავის ჭიჭტანებიდან მოჩანდა მოშავებედებული ცა ოდნავ მბჟუტავის ვარსკვლავებით. პან ზაგლობამ მალე შეაჩვია კი თვალი სიბნელეს. მიიხედ-მოიხედ ბოსელში და მიხვდა, რომ არც ღორები იყვნენ იქა და არც ყაზახნი. მაინც ყაზახების ხმაურობა ცხადად ისმოდა კედლების იქიდან. ცხადი იყო, რომ ბოსლის გარშემო ყარაულები ეყენა ყველგან, მაგრამ ზაგლობამ მაინც თავისუფლად ამოისუნთქა. პირველი საქმე ის არის, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ვარო. როცა ბოგუნმა ჰმართა დანა, ზაგლობა დარწმუნდა, რომ ეს არის მოვიდა ჩემი აღსასრულის დღეო და ღმერთს ავედრებდა თავის სულს, თუმცა კი ძალიან ეშინოდა. გარნა, სჩანს, რომ ბოგუნი უფრო დიდის სატანჯველით მიმზადებს სიკვდილსაო. ატამანს არამც თუ შური გადახდა უნდოდა, არამედ უნდა გამაძღარიყო კიდეც ამ შურის-ძიებით და ეწამებინა ის, ვინც გაიტაცა მისის ხელიდან საყვარელი არსება, ვინც საშინლად დასცინა მის გმირობასა და რაინდულს დიდობას. ვერაფერი სანუგეშო მომავალი ელოდა პან ზაგლობას, მაგრამ მაინც გულს იმითი იკეთებდა, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ვარო, წამიყვანენ აღბად კრივანოსთან, მაშასადამე, რამდენიმე დღე მაქვს ხელთა, ამ საათში ბოსელში ვგდივარ მარტოდ-მარტო და შეიძლება მოვიფიქრო რამე, ხერხი რამ მოვიგონო ამ მარტოკაობაშიო.

ეს ფიქრი იყო მისთვის მცირეოდენი ნუგეში, ხოლო რამდენი რამ იყო მისთვის ამისთანა გარემოებაში სამწუხარო და სავალალო, ვინ იცის!

წადი, აბა, და მოიგონე რამე ამისთანა ვაგლახს ყოფაში!

— თვით სოლომონ ბრძენიც რომ შეებოჭათ ასე, როგორც მე შემბოჭეს, ისიც კი ვერას მოიგონებდა, მგონია,— ბუზღუნებდა პან ზაგლობა.—ოჰ, ღმერთო, რაზედა მტანჯავ ასე მწარედა? ყველაზედ მეტად ამ ავაზაკს ვერიდებოდი და, დახეთ ჩემს ბედს, სწორედ ამას ვერ ავარიდე თავი! ღვთისწყალობა გაქვთ, კარგად ის მოჰქნის ჩემს საცოდავს ტყავს! სხვას რომ ვისმე შევეპყარი, ვეტყოდი, ამბოხს ვემზრობი-მეთქი და მერე გავექცეოდი როგორმე. მაგრამ ჯერ სხვაც კი არ დაიჯერებდა ჩემს სიტყვას (სულელები ცოტანი-ღა არიან ეხლა), და ეს ღვთის-რისხვა კაცი რაღას დაიჯერებს. ვგრძნობ, რომ გული მიფერდება. ან კი რა ეშმაკმა მომახეტა აქა... ოჰ, ღმერთო, ვერც ხელი და ვერც ფეხი განძრევითაც კი ვერ გამინძრევია.

პან ზაგლობას აზრად მოუვიდა, რომ ეს ხელ-ფეხი მაინც რომ გავინთავისუფლოვო, იქნება მაშინ უფრო ადვილად მივაწუდე რაიმე ფიქრს თავის დახსნისასა და გადარჩენისასაო. მოდი ეცადო? ე ხმალი კი თუ როგორმე ამოვიწვდინე, დანარჩენი ადვილია... მაგრამ წადი და ამოიწვდინე, ეშმაკიც ვერ ამოაძრობს ეხლა იმას ქარქაშიდან! მეორე გვერდზედ გადავბრუნდე? ესეც არ შეიძლება. პან ზაგლობა ღრმად ჩაფიქრდა.

ბოლოს, დაიწყო მან ხოხვა ზურგზედ, რაც შეეძლო ჩქარ-ჩქარა და ცოტ-ცოტათი წინ-წინ მიხოხავდა. სულ ხვითქში გაცურდა, ისე მოიღალა და უნებლიედ შეჩერდებოდა ხოლმე შესასვენებლად. მეტადრე მაშინ განაბავდა ხოლმე სულს, როცა მოეჩვენებოდა, რომ ვითომ კარებთან მოვიდა ვინმე და ყურს მიგდებსო. ბოლოს და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით მიხოხდა კედელთან. კარგი, მაგრამ როგორ ამოვიღო ხმალიო? ხმალი ხელსა და ბარძაყ შუაა და ისეა მაგრად დაკოჭილი, რომ თოკი თითქმის შიგ სხეულშია ჩაჭრილიო.

პან ზაგლობამ დაიწყო კვლავ ქანაობა და ხოხვა. თვითეულ გაქნევაზედ, ხმლის ბოლო ხვდებოდა კედელს და მოცურავდა ზემოდ, ვადისაკენ. გულმა ძგერა დაუწყო ზაგლო-

ბას; შენიშნა, რომ ამ სახით შესაძლო იყო ხმლის განთავისუფლება. აგერ ბოლო ხმლისა თიქმის იდაყვთან მოვიდა. კედელს აღარ უნდა მიჯახება, იმიტომ, რომ ხმლის ვადა სიმძიმის გამო სულ წინ წასულიყო.

ვადაზედ ხმალს ჯვარი ჰქონდა; აი ამ ჯვარის იმედი უფრო ძლიერა ჰქონდა პან ზაგლობას. დაიწყო კიდევ ხოხვა კედლის აყოლება. ხმალი ჯერ ისევ ქარქაშში იყო წვერ-მოკიდებული, ხოლო ვადა უფრო ხშირ-ხშირად ედებოდა მიწას, ბოლოს უფრო ძლიერ მოედო, ერთიც კიდევ გაიჭირა საქმე პან ზაგლობამ და ხმალი მიწაზე დავარდა. შლიახტიჩმა გაინთავისუფლა ხელები და, თუმცა თითები ჯერ კიევ შებოჭვილი ჰქონდა, მაინც წაავლო ხელი ხმალს და ამოაძრო ქარქაშიდან.

ერთ წუთს დასჭრა თოკები, რომლითაც ფეხები ჰქონდა შეკრული. ხელების განთავისუფლებისთვის უფრო ბევრ ხანს ეწვალა, მაგრამ მაინც მალე დადგა სასიხარულო წუთი, როდესაც ზაგლობამ დაინახა თავისი თავი არა თუ თავისუფალი, არამედ შეიარაღებულიცა, ღრმად ამოიოხრა და რამდენჯერმე დაიწერა პირჯვარი. მაგრამ ბოგუნის ხელიდან განთავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

„ახლა რაღა ეუყო?—ჰკითხავდა თავის თავს პან ზაგლობა და პასუხი ვერ მოეხერხებინა.—ბოსელს გარშემო ყაზახები არტყიან; სულ ცოტა, ასამდე იქნებიან; თავიც ვერასად წაუვათ და აბა მე ამოდენა სიმძიმის კაცს სად შემიძლიან ისე გავუსხლტე ხელიდან, რომ ვერ შემამჩნიონო. მე მგონია კელკემალულასა ვთამაშობო,—სთქვა გულში ზაგლობამ,—და მთელი ჩემი ჭკუა იმისთვის თუ ვარგა, რომ წაღებს წაუსვას კაცმა, თუმცა უკეთესს წასასმელს უნგრელთან იყიდის კაცი ბაზრობაში. თუ ღმერთი არას ჩამაგონებს, ყვავ-ყორანის საკორტნელად გავხდები, ხოლო თუ ჩამაგონებს რასმე, აღვთქვამ, რომ ისე დავიცვა უბიწოება, როგორც პან ლონგინუსი იცავს".

ყაზახთა ხმა-მაღლა ლაპარაკმა შესწყვიტა პან ზაგლობას ფიქრი. მივარდა კედელს და ყური მიადო ფიცრებ-შუა დარჩენილს ხანს.

— სად წავალთ აქედან?—ჰკითხავდა ერთი მეორესა.

— არ ვიცი, ალბად, კამენეცს თუ წავალთ,—უპასუხა მეორემ.

— ცხენები ფეხებს ძლივს დაათრევენ, იქამდინ ვერ მიაღწევენ.

— იმიტომა ვართ აქ გაჩერებულები; დილამდე დაისვენებენ.

ჩამოვარდა სიჩუმე, შემდეგ პირველმა ყაზახმა სთქვა, მხოლოდ ნელის ხმით კი:

— მე კი მგონია, რომ ატამანი კამენეციდან იამპოლისკენ წავა.

ზაგლობამ განაბა სული.

— გაჩუმდი ე მანდა, თუ სიცოცხლე არ მოგძულებია!— მოისმა პასუხად.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ მეორე მხრიდან მოისმა ჩურჩული.

— ყველგანა სდგანან, ჰყარაულობენ!—წაიბუტბუტა ბუზღუნით ზაგლობამ და მეორე კედლისაკენ გადვიდა.

— ფაცხა-ფუცხით მოვაჭენებდით ცხენებს აქეთკენ,— ამბობდა ერთი,—არა გვძინებია, არა გეჩამია-რა, ცხენები მშიერები დავხოცეთ კიდევ, ოლონდ კი ერიომას არ ჩავუვარდეთ ხელშიო.

— მაშ, მართალია, აქ არის ერიომა?

— იარმოლინციდან რომ გაიქცნენ, იმათ თურმე ჰნახეს ისე, როგორც ეხლა მე შენა გხედავ. საშინელებას ამბობენ: ისეთი უზარმაზარია თურმე, როგორც ნაძვის ხე, შუბლში ორი ანთებული მუგუზალი თურმე აქვს ჩარჭობილი, იმისი ცხენი ხომ ცხენი კი არ არის თურმე, გველვეშაპია.

— ღმერთო, შემიწყალე!

— ჩვენ ეს ლიახი უნდა გავიტაცოთ ჯარის-კაცებითურთ და გავიქცეთ.

— როგორ გავიქცეთ? ცხენები ფეხზედ ძლივსა სდგებიან.

— ვერაფერი საქმე მოგვდის, ძმებო. მე რომ ატამანი ვიყო, ამ ლიახს თავს მოვსჭრიდი და მერე თუნდ ფეხით დავბრუნდებოდი კამენცსა.

— მაინც კამენცს წაიყვანენ მაგას. იქ ათამაშებენ მაგას ჩვენი ატამანები.

— უწინ თქვენ გათამაშებენ ეშმაკი და ქაჯები!—სთქვა ჩუმად ზაგლობამ.

ბოგუნისაც რომ არა ჰშინებოდა, ან იქნება იმიტომაც, რომ იმისი ეშინოდა მეტად, პან ზაგლობამ დაიფიცა, ცოცხალი არ დავნებდებიო. შეკრულ-შებოჭილი აღარა ვარ, ხელში ხმალი მიჭირავს, შევებრძოლები და არ დავნებდები კი. მომკლამენ და მომკლან, ცოცხალი კი ხელში არ მივეცემი.

ცხენების ფრუტუნმა და ფეხების ბაკა-ბუკმა აღარა გააგონა-რა პან ზაგლობას, მაგრამ თან ერთი აზრიც კი მოუვიდა ამ დროს ფიქრად.

„ამ კედელს რომ გაუვიდე როგორმე და შეუმჩნეველად შემეძლოს, მოვახტე ერთ-ერთს ცხენს!—ფიქრობდა გულში.—ახლა ღამეა; ვიდრე შემამჩნევდენ, უკვე მივეკარებოდი სამზე იმათ თვალთაგან. აქაურ ხევ-ხუვებში და ღადა-ღუდა გზებზედ დღისითაც ძნელია კაცი კაცს დაეწიოს, თორემ ღამით ხომ უფრო ძნელია და ძნელი... ოი, ნეტა კი ღმერთი მიშველიდეს როგორმე"!

მაგრამ როგორ უნდა მოვახერხო? ან კედელი უნდა გადავაქციო, მაგრამ სადა მაქვს ძალა პოდბიპენტასი, ან უნდა ქვეშ გამოვუთხარო მიწა. მაგრამ ორსავე შემთხვევაში, ხმაურობას გაიგონებენ, დამინახავენ და ქეჩოში წამავლებენ ხელს ისე, რომ იქნება უზანგში ვერც კი შევდგა ფეხიო.

ზაგლობას თავში ათასგვარი აზრი ტრიალობდა, მაგრამ ყველა ძნელი ასასრულებელი იყო.

„ეჰ, როგორც ვხედავ, მეტი ღონე არ არის, უნდა გადავდო თავი სასიკვდილოდ",—სთქვა გულში ზაგლობამ და გასწია მესამე კედლისაკენა.

უცბად თავი დააკვიხა რაღაც მაგარს საკანსა და დაუწყო ხელით სინჯვა: ეს მაგარი კიბე იყო. ბოსელი ხარების სადგომი თურმე იყო. ნახევარი ბოსლისა მაღლა გაკეთებულს სხვენს ეჭირა და იქ თიეა და ბურდო იყო დადგმული. პან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაგლობამ აღარც აცივა, აღარც აცხელა და დაუყოვნებლივ ავარდა სხვენზედ.

დაჯდა იქა, შეისვენა და დაუწყო ათრევა კიბესაცა.

„ჰო, ახლა კი ციხეში ვარ! მეორე კიბეც რომ იშოვონ, აქ მალე ვეღარ ამოვლენ. თუ თავი არ გავუჩეხე პირველსავე, ვინც აქ ფეხის ამოდგმას გაბედავს, ნებას მივცემ ლორად გამომიყვანონ. მაგრამ, ვაი, რომ არამც თუ ლორად გამომიყვანენ, შეუძლიანთ შემწვან და შემხრაკონ კიდეცა. მაგრამ ჯანაბას იმათი თავი! დასწვენ ბოსელსა და დასწვან; ე ცოცხალი კი არ დავნებდები და ჩემთვის სულ ერთია, უმს გამკორტნიან ყვავები თუ შემწვარსა. ოღონდ კი ავაზაკს გავუსხლტე ხელიდან და სხვისი დარდი არა მაქვს. ენახოთ ჯერ კიდევ, რა იქნება“.

პან ზაგლობას ხან სრულიად ეკვეთებოდა სასოება, ხან იმედი ეძლეოდა. ეხლაც ისე ეგონა, ვითომ თავად ერემიას ბანაკში ვზივარო, თუმცა მისი მდგომარეობა არაფრით იყო საიმისოდ განკარგებული. სხვენზედ იჯდა და ხელში ხმალი ეჭირა, რომელითაც დიდ ხანს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია, ეს იყო და ეს. გარნა სხვენზედ ჯდომა და თავისუფლად ყოფნა სულ შორი-შორი საქმე იყო, მით უმეტეს, რომ ძირს ასი და ორასი ხმალი და შუბი ელოდა და იმისი მოდარაჯე იყო.

„ენახოთ, რა იქნება“!—გაიმეორა პან ზაგლობამ და, მივიდა რა საყვავესთან, დაუწყო წალამს გამოღება, სარკმელს გავაკეთებ prospectus-ს, რომ ღვთის ნათელი დავინახოვო.

ჯერ-ჯეროზით კარგად მიდიოდა საქმე; ყაზახები ჯერ ისევ ლაყბობდნენ საბძლურად დახურულ ბოსლის კედელს ახლოს; მერე ძლიერი ქარიც ამოვარდა და სულ არა ესმოდათ-რა, როცა ზაგლობა წალამს ჰგლეჯამდა ბოსლის სახურავსა.

მალე სარკმელიც მზად იყო; ცის აღმოსავლეთის კიდურზედ დილის მთიები გამოჩნდა. მტრედის ფრად იყო ნანათლი და პან ზაგლობამ დაინახა, რომ მთლად ეზო სავსე

იყო ცხენებით, სახლს წინ ასობით ყაზახნი წაყრილიყვნენ და ეძინათ, ჰას ახლოც ეყარნენ ბლომად ჯარის-კაცნი, ხოლო ცოტა მოშორებით იდგნენ დარაჯნი, რომელთაც ამოწვდილი ხმლები ეჭირათ ხელში.

— ისინი ჩემი ჯარის-კაცნი არიან... ყველანი დაუკოჭნიათ,— სთქვა პან ზაგლობამ.— ჰმ, ძალიან კარგი, რომ მართლა ჩემები იყვნენ, თორემ თავადისანი არიან. კარგი უფროსი კი გამოვდექი, ერთის სიტყვით, მეტი აღარ შეიძლება! წავიყვანე და შიგ პირში კი ჩაეუყარე მხეცს. სირცხვილითაც თავსაც კი ვეღარ გამოვყოფ, თუნდა ღმერთმა თავისუფლება მომანიჭოს. მერე ვისი ბრალია ყოველივე ესა? სულ სიყვარულისა და ლოთობისა. არა, მე რა მსჯოდა მერე, რომ გლეხკაცებს ქორწილი ჰქონდათ. ახლა ის დაწყევლილი თაფლის ღვინოცა, რომელიც ფეხებს უფრო უდუნებს კაცს, ვიდრე თავსა. ყოველივე ბოროტება სიმთვრალისაგან წარმოსდგება, თორემ ეგენი რომ ფხიზლებს დაგვსხმოდნენ თავსა, მალე ვძლევდი და თვითონ მე ჩავაგდებდი ბოგუნს ამ ბოსელში.

ზაგლობას თვალი დააშტერდა ამ დროს სახლს, საცა ეძინა ატამანსა, და იმის დაკეტილს კარებს.

„ჰოი, იძინე, ბოროტო, იძინე! გესიზმროს მაინცა ერთი, რომ ეშმაკები ტყავს გაძრობენ... იქნება ასეც მოჰხდეს როდისმე. შენ გინდოდა, რომ ჩემის ტყავისაგან ჩული გაგეკეთებინა; არა, ერთი სცადე აქ ამოსვლა, ჩემთან, ჭინახავ, დავაცხავებ თუ არა შენსას ისე, რომ ძაღლსაც აღარ გამოადგეს ფეხსაცმელებად? ოჰ, აქედან რომ გავიდოდე როგორმე, აქედანა?! მაგრამ როგორ“?

მართლაცა-და, მეტად ძნელი გამოსაცნობი და გადასაწყვეტი საქმე იყო. მთელი ეზო ისე იყო ავსებული ცხენებითა და ხალხითა, რომ პან ზაგლობა ბოსლიდანაც რომ გამოსულიყო, თუნდ საყვავედანაც პირდაპირ ზედ ცხენზედ ჩამომხტარიყო, მაშინაც-კი ძნელი იქნებოდა ალაყაფის კარებამდე მიღწევა.

მაინც ისე ეგონა, რომ თითქმის სანახევროდ გაგიკეთე საქმეო: თავისუფალი ვარ, შეიარაღებული და ვზივარ სახურავ ქვეშ სხვენზედ ისე, როგორც კოშკში იჯდეს კაცო.

„რა ხათაბალაა!—ფიქრობდა ზაგლობა,—განა იმიტომ გავინთავისუფლე თოკებისაგან თავი, რომ ახლა ისევ თოკებითვე ჩამომახრჩონ“?

და აი კვლავ ათასი ფიქრი მოუვდა აზრად ბოსლიდან გასვლისა.

თან და თან თენდებოდა. სახლის გარემო ყურე-ყუნჭულს შორდებოდა ნელ-ნელა სიბნელე. ახლა პან ზაგლობას თავისუფლად შეეძლო გაერჩია გუნდნი ხალხისა ეზოში: აგერ წითელი ტანისამოსი ჩემის ჯარის-კაცთაო, აიგერა დურა-ტყავები, რომელიც წაუხურავეთ ყაზახებს და სძინავთ ისეო.

ვნახოთ, ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და ნელის ნაბიჯით გასწია ბოსლისაკენ. ზაგლობას ეგონა ჯერ, რომ ის უთუოდ ბოგუნიაო, რადგან დარჯნი დიდის პატივის-ცემით ეკიდებოდნენ.

— ვაიჰ! —სთქვა მან,—ერთი თოფი მქონდეს ეხლა, გაჩვენებდი, როგორ დაიწყებდი ფეხებით ფანთხალს.

ამ დროს მომავალმა თავი მაღლა აიღო; ის კაცი ბოგუნი კი არ იყო, არამედ ასისთავი გოლოდა, რომელსაც ზაგლობა კარგად იცნობდა ჩიგირინში.

— ვაქკაცო,—სთქვა გოლოდამ,—არა გძინავთ?

— არა, მამავ-ბატონო, ძილი კი საშინლად გვინდა. დროა ვგონებთ სხვანი დაგვენაცვლონ.

— ეხლავე მოვლენ სხვანი. ის ძაღლის შვილი ხომ არ გაიქცა?

— სული თუ გაიქცა იმისი, თორემ თითონ არც კი განძრეულა.

— კუდიანი მელაა! ჰნახეთ მაინც, რა ამბავშია, თორემ ისე მოახერხებს, რომ შიგ მიწაში დაიმალება.

— ეხლავე,—და რამდენიმე ყაზახი მიუახლოვდა ბოსლის კარებს.

— მართლა, ბარემ თივაც ჩამოიღეთ სხვენიდან. ამოვა თუ არა მზე, წაიდეთ.

— კარგი, ბატონო.

პან ზაგლობამ მაშინვე დაანება თავი საზვერავს ადგილს და დადგა სახურავის სარკმელთან. აი გაიჭრიალა ხის ურდულმა, დაიწყო შრიალი თივა-ბუჩქმა ყაზახთა ფეხ-ქვეშ. გულმა ძგერა დაუწყო პან ზაგლობას, ხელი მაგრად ჩაჰკიდა ხმალს და გაიმეორა თავისი ფიცი, რომ ის მირჩევნიან აქ ამომწვან ამ ბოსელთან ერთად, ვიდრე ცოცხალი ჩავუვარდე მაგათ ხელშიო. იფიქრა, აი ეხლავე ფეხზედ დააყენებენ ყაზახნი თავიანთ ხალხსაო, მაგრამ შესცდა. პატარა ხანს ისმოდა იმათი ფეხის-ხმა ბოსელში, ხოლო ბოლოს სთქვა ერთმა:

— სად გადაკარგულა ის წყეული? კი აღარსადა სჩანს და! აგერ ზედ ამაზედ დავაგდეთ.

— კუდიანია თუ რა არის, დასწყევლოს წმინდა გიორგიმა! კვესი გაჰკარი ერთი, ვასილ, თორემ აქ ისე ბნელა, როგორც ტყეში.

ჩამოვარდა მდუმარება; ვასილი, როგორც ეტყობოდა, ტალ-კვესსა და აბედს ეძებდა, ხოლო მეორე ყაზახი ნელის ხმით ეჭახდა პან ზაგლობას:

— პან შლიახტიჩ, სადა ბრძანდებით?

— დიაღ, როგორ-არა, რა სულელი მნახეს მეცა!—წაიტუტუნა ზაგლობამ.

ბოლოს, ვასილიმ იპოვა ტალ-კვესი. ბღორჭლ-ბღორჭლმა ნაპერწკლებმა გააშუქა ბნელი ბოსელი და ყაზახური ქუდ-დახურული თავები, ხოლო შემდეგ კვლავ სიბნელემ მოიცვა იქაურობა.

— არა სჩანს, არა!—ამბობდნენ ჩურჩულითა და მოუსვენრობით ყაზახნი.

— ბატონო გოლოდა! ბატონო გოლოდა!

— რა ამბავია?—მისცა ხმა ასის-თავმა.

— ლიახი აქ არ არის!

— როგორ თუ არ არის?

— რა ვიცი. თითქო მიწამ უყო პირიო! არსად არ არის. ოჰ, უფალო, შეგვიწყალე! ცეცხლი დავაკვესეთ და არა სჩანს!

— შეუძლებელია! ოჰ, ხო დაგვხოცა ატამანმა! გაიქცა, თუ რა ამბავია? დაგეძინათ განა?

— არა, ბატონო, არა გვძინებია. ბოსლიდან ვერსაით ვერ გავიდოდა.

— ჩუმად იყავით, ატამანმა არ გაიღვიძოს! თუ ბოსლიდან არ გამოვიდა, ალბად, მანდვე იქნება სადმე. ყველგან კი ჰნახეთ?

— ყველგანა ვნახეთ.

— სხვენზედ?

— იქ როგორ აფოფხდებოდა, როცა შეკრულ-შებოჭილი იყო?

— სულელო! თუ თოკები არ შეეხსნა, ხომ ისევ აქ იქნებოდა. მოსძებნეთ სხვენზედ! აანთეთ სანთელი!

ნაპერწკლებმა კვლავ დაიწყო ცვენა ტალიდან. ბოსელში შეგროვდნენ ყველა დარაჯნი. ასტყდა საშინელი ფაცა-ფუცი. ერთი ერთს ამბობდა, მეორე—მეორეს.

— სხვენზედ ავიდეთ, სხვენზედა!

— გარედან დაათვალიერეთ!

— ატამანი არ გაიღვიძოთ, თორემ ვაი თქვენ გინდათ!

— კიბე არსად არის!

— მოიტანეთ სხვა კიბე!

— არსად არ არის.

— გაიქე სახლში, იქნება იქ იყოს.

— ჰაი, შე წყეულო ლიახო, შენა!

— კუთხიდან აფოფხდით სახურავზედ, იქიდან შეიძლება ჩასვლა.

— არ შეიძლება, კუთხეს ფიცრები აქვს აკრული.

— შუბები მოიტანეთ!—დაიგრიალა გოლოდამ.

ზოგნი გაიქცნენ შუბებზედ, ზოგმა აიღო მაღლა თავი და უყურებდა სხვენსა. ღია კარებიდან შემოიპარა განთიადის სინათლე და გააშუქა პატარა ამოჭრილი კარები, რომლიდანაც

შეიძლებოდა სხვენზედ ასვლა და რომელიც შავადა და მდუმარედ გამოიცქირებოდა.

ყაზახნი იცქირებოდნენ ზემოდ და უქოლიებდნენ პან ზაგლობას:

— პან შლიახტიჩ! ჩამოუშვი კიბე და ჩამოდი. ხომ ეერსად წახვალ და ტყუილად რაზედ გვაწუხებ? ჩამოდი, ჩამოდი!

კვლავ მდუმარებაა.

— ჰკვიანი კაცი ხარ! ეგ რომ გიშველიდეს, იჯექ რამდენიც გინდა, მაგრამ რაკი ეგ შენ ვერას გიშველის, შენის ნებით ჩამოხვალ; შენ კეთილი კაცი ხარ!

კვლავ მდუმარებაა.

— ჩამოდი, თორემ თავზედ ტყავს გადაგაძრობთ და მერე თავ-დაყირა ჩაგფლავთ ნეხვში!

პან ზაგლობა მაინც ბაი-ბურში არ იყო და ერთნაირად გულ-გრილად ეკიდებოდა, როგორც ხვეწნა-მუდარას, ისე მუქარას, იჯდა ბნელაში, როგორც მაჩვი ზის თავის სოროში და ემზადებოდა თავ-განწირვით მტერთ მოგერებისათვის. მხოლოდ რადაც ლოცვას ამბობდა ტუჩების ცმაცუნით და ხელს მაგრად უჭერდა ხმალს.

ყაზახნი დაბრუნდნენ, შეჰკრეს ერთად სამ-სამი შუბი და წვერით მაღლა დაამაგრეს სხვენზედ ასასვლელად. პან ზაგლობას გაუელვა ფიქრად აზრმა, ვტაცებ ხელს ამ შუბებს და აქ ამოვიტანო, მაგრამ თავი დაანება ამ აზრსა: სულ ერთია, მერე სხვებს მოიტანებენო.

ნელ-ნელა მთელი ბოსელი ხალხით გაივსო. ზოგს კვარი ეჭირა და ანათებდა იქაურობას, ზოგმა ლატნები და კიბეები მოათრია. კიბეები ყველა მოკლე აღმოჩნდა. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს, კიბეები ერთმანეთზედ გადავბათ თოკებითა, რადგან მართლა ძნელია შუბებზედ ასვლა სხვენზედაო. მაინც ზოგი ამობდა, შუბებზედაც ავალთო.

— მე ავალო!—დაიძახა რამდენმამე ერთად.

— კიბეს დაუცადეთ!—ბრძანა გოლოდმა.

— რა უშავს, ბატონო, რომ შუბებზედაც ვსცადოთ ასვლა?

— ვასილი აცოცდება; კატასავით ავარდება ხოლმე ხეზედა.

— მაშ, აბა, სცადე.

სხვებმა მასხარაობა დაიწყეს.

— შენ ეი! ფრთხილად იყავ! ხმალი აქვს, თავს გაგიხეთქავს, თორემ აი ნახავ.

— მე თვითონ ჩავკიდებ ქოჩორში ხელსა და ძირს ჩამოვათრევ.

ვასილი მაინც არა შიშობდა.

— იმან კარგად იცის, რომ თითი თუ დამაკარა, ატამანი გაუსწორდება... და თქვენც, ძმებო.

ამით გააფრთხილეს პან ზაგლობა, რომელიც სულ-განაბული იჯდა თავის ალაგას.

ყაზახნი თან-და-თან კარგს გუნებაზედ დადგნენ; პან ზაგლობას ამბავმა გაართო და გაახალისა.

— ერთი ტუტუცი მოაკლდება ქვეყანას, დიდი ამბავია!

— იმას როდი იდარდებს, რომ სამაგიეროს გადამიხდიანო. გულადი რაინდია.

— კუდიანი კაცია. ეშმაკმა იცის, იქნება იქ ქაჯადაც გადაიქცა. იპოვი კი ვისმე იქა?

ვასილი ის იყო ემზადებოდა, უნდა აცოცებულიყო, მაგრამ უცბად შესდგა.

— ლიახს კი შევებრძოლები,—სთქვა შეშინებულმა,—მაგრამ ეშმაკთან ბრძოლა კი არ შემიძლიან.

მაგრამ ამასობაში კიბეც უკვე გადააბეს და მიადგეს სხვენზედ ასასვლელს კარებს. ამაზედ ასვლაც ადვილი არ იყო: წვრილს საფეხურებს სულ ჭაჭა-ჭუჭი გაჭკონდა ყაზახთ სიმძიმის გამო. პირველად ასელა თვით გოლოდამ მოინდომა.

— ხომ ჰხედავ, პან შლიახციჩო, რომ აქ ხუთრობა საქმე არ არის,—სთქვა გოლოდამ.—გინდა მანდ ჯდომა—იჯექი, მაგრამ თავის დაცვა კი არ გაჰბედო; მაინც ხელში ჩაგიგდებთ, თუნდ რომ მთლად ბოსლის დანგრევაც მოგვიხდეს. კარგად, კარგად იფიქრე!

აი ავიდა გოლოდა კიბეზედ და მისი თავი გაუსწორდა სხვენის კარებს; ამ დროს მოისმა უცბად ხმლის შუილი, ყაზახმა საშინლად შეჰკივლა, დატორტმანდა და ჩამოიმხვლა ძირს ორად გადაჩეხილის თავითა.

— შუბზედ ააგეთ, შუბზედა!—დაიწყეს ყვირილი ყაზახებმა.

ბოსელში საშინელი ხმაურობა და უწესობა ატყდა, მაგრამ მაინც პან ზაგლობას ხმა გრგვინვასავით გაისმოდა:

— ჰაი თქვე ავაზაკნო, კაცის-მჭამელნო, თქვენა! ჰაი თქვე წუწკებო! ყველას ასო-ასო აგკეპავთ, თქვე ტარტაროზნო! გამოსცდით, რაინდის მაჯის ძალასა, დამაცადეთ! მშვიდობიანს ხალხს თავს ესხმით ღამე, ბოსელში ამწყვდევეთ აზნაურშვილსა... თქვე ძაღლის დაყრილებო. ამოდით, ამოდით, აბა, ამოდით თქვე დათვებო!

— დაჰკათ, დაჰკათ!—ჰყვიროდნენ ყაზახნი.

— ბოსელს გადავწვავთ!

— ბოსელს მე თვითონ გადავწვავ, თქვე ღორის კუდუსუნებო, მაგრამ თქვენც შიგ ამოგხრაკავთ!

— რამდენიმე ერთად ავიდეთ!—დაიძახა ხნიერმა ყაზახმა.—დაიჭით კიბე, შუბები მიეცით ბერკეტებად! თავზედ ძნად შერული ბუჩოები დაიწყეთ და გასწით ისე... უნდა შევიპყრათ უსიკვდილოდ!

სთქვა ესა და დაიწყო აფოფხვა კიბეზედ. იმას ორი სხვა ყაზახი მიჰყვა უკან. კიბის საფეხურებმა დაიწყეს ლაწა-ლუწი, კიბე სულ მოიზნიქა, მაგრამ ოცზედ მეტი მაგარი მკლავი იმაგრებდა და ამიტომ არ იქცეოდა.

რამდენიმე წუთი კიდევ და სამი გვამი კიდევ ჩამოვარდა ძირს უსულოდ.

პან ზაგლობა, გახურებული გამარჯვებით, ისე ყროყინებდა, როგორც კამეჩი და იმისთანა სიტყვა-პასუხს ისვროდა, რომელიც ჯერ ქვეყანას არ მოესმინა; ყაზახებსაც კი გული გაუსქდებოდათ ამ სიტყვა-პასუხის მოსმენითა, მაგრამ ისინიც გაბრაზდნენ და აღარა ესმოდათ-რა. ზოგი მათგანი შუბებს სხვენს

ატაკებდნენ, ზოგნი კიბეს ებღაუჭებოდნენ და მიდიოდნენ ზე-და, თუმცა იცოდნენ, რომ სიკვდილს ვერ ავცდებითო. ვნახოთ, ყიჟინი მისწყდა უცბად და ბოსლის კარებში თვით ბოგუნი გამოჩნდა.

ბოგუნი თავ-შიშველი იყო, პერანგისა და შარვლის ამარა. თვალები ცეცხლივით ანთებოდა, ხელთ ეჭირა ელვარე ხმალი.

— ზემოდან მოუარეთ, თქვე ძაღლებო, თქვენა!—დაუღრიალა ატამანმა ყაზახებსა. —აჰყარეთ სახურავი და ცოცხალი შეიპყარითო.

პან ზაგლობამაც მოჰკრა თვალი ბოგუნსა.

— აქ მობძანდი ერთი, ვაებატონო!—დაუძახა შლიახტიჩმა.—ცხვირსა და ყურებს დაგაჭრი... კისერს ხელს არ ვახლებ,—ეგ ჯალათის საკუთრებაა. ჰო, რაო? შეშინდი, განა? საწყალი ბიჭი, აღუ?!! ნეკზედ კი არ მიკბინო! შეჰკარით ეგ უწმინდური, ეგა!... გესმით თუ არა, უტვინოებო?... შეწყალება თუ გინდათ, შეჰბოჭეთ-მეთქი ეგა... რაო, ჩამოსახრჩობო, რაო ურიების ტაიჭო? მობძანდი, მობძანდი ერთი და! თავი ამოჰყავი ერთი ამ სხვენზე. რაღას იცდი? გამახარე ერთი! ისე გაგიმასპინძლდები, რომ ტარტაროზი მამაშენი და კუდიანი დედა-შენი სულ ერთად მოგაგონდნენ.

სახურავის ფიცრებმა ლაწა-ლუწი დაიწყო. ცხადი იყო, რომ ყაზახნი მაღლა ასულიყვნენ და სახურავს აგლეჯდნენ ბოსელს.

ზაგლობა მიხვდა ამას, მაგრამ შიშმა მაინც არა წაართვა ძალ-ღონე. სრულიად დაითვრა ომითა და სისხლითა. „მივიკუნჭები კუთხეში და იქვე გათავდება ჩემი სიცოცხლეცა“,—სთქვა გულში. მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა გარედ თოფის სროლა და რამდენიმე ყაზახი ფაცხა-ფუცხით შემოცვივდნენ ბოსელში.

— ბატონო, ბატონო!—განწირულებით ჰყვიროდნენ შემოცვივნულნი,—აქ წამობრძანდით! პან ზაგლობას ჯერ გაუკვირდა, ეს რა ამბავიაო, რადგან ვერაფერს ვერ მიხვდა. მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდა სხვენიდან ჩამოსასვლელს კარებს, ჩაიხედა ძირს— ბოსელი ცარიელია. ფიცრებსაც ზემოდ ლაწი-ლუწი აღარ გაჰქონდა.

— რა ამბავია, რა ამბავია? —ხმა-მაღლა ჰყვიროდა შლიახტიჩი.—ჰო, მესმის. უნდათ ბოსელს ცეცხლი წაუკიდონ და სახურავს დამბაჩებს ესვრიან.

გარედ კი ხმაურობა და ჟივილი უფრო ძლიერდებოდა. იდგა გრიალი თოფისა და ყვირილისა, ჩახა-ჩუხის ხმა რკინისა... „ღმერთო, ომი ხომ არ არის ესა?“ იფიქრა პან ზაგლობამა და მიჰვარდა სარკმელს, რომელიც თვითონ გაეკეთა სახურავში.

ერთი კი გადიხედა და მუხლთ მოეკეცა სიხარულითა. გარედ გაცხარებული ომი იყო ატეხილი, ანუ უკეთ ვსთქვათ, პან ზაგლობამ დაინახა, რომ ბოგუნის ყაზახებს სულ ზურგზედ ბოლი ასდიოდათ. მტერი უეცრად თავს-დასხმოდა და დაეწყო საშინელი სროლა თოფ-დამბაჩებისა, გაოგნებულნი და დამფრთხალნი ყაზახნი გარბოდნენ ღობიდან ღობისკენ, სახლიდან ამბრებისაკენ და იყლიტებოდნენ თითქმის ხელ-გამოუღებლივ. წითელ-ტალავარიანი ჯარის-კაცნი სდევნიდნენ გონებადაბნეულ ბრბოს და არც იმის დროს აძლევდნენ, ერთად მოგროვილიყვნენ, არც ხმლის ამოწვდას აცლიდნენ, არც ასვენებდნენ და ცხენებზედ შესხდომასაც უშლიდნენ. იგერიებდნენ მტერს მხოლოდ ცალკე-ცალკედ თითო-ოროლანი, სხვებს კი დაეყარათ იარაღი და ცდილობდნენ ან ღობეებ ქვეშ გამძვრალიყვნენ, მაგრამ იჭედებოდნენ მარგილებ შუა, ან ღობეზედ მიფოფხავდნენ და ზედ ხტებოდნენ და ჰღმუოდნენ საშინელის დამფთხალ ნადირის ხმითა. საცოდავებს ეგონათ, რომ თვით თავადი ერემია დაგვეცა თავს არწივივით მოულოდნელად მთელის თვისის ძალ-ღონითაო. დრო აღარა ჰქონდათ, რომ გონს მოსულიყვნენ, მიეხედ-მოეხედნათ. ყიჟინი მტრისა, შუილი ხმლებისა, გრიალი თოფებისა ისეთი იყო, რომ დარეტიანებულნი ყაზახნი გარბოდნენ მხოლოდ აქეთ-იქით, იქნებ თავს ვუშველოთ როგორმეო. „ხალხო, თავს უშველეთ!“ გაისმა ყოველ

მხრიდან. „დაჰკა, გააპე!“—ჰყეიროდა აგრედვე მტერია. და დაინახა ბოლოს პან ზაგლობამ პან ვოლოდიევსკი, რომელიც იდგა ალაყაფის კარებთან რამდენისამე ჯარის-კაცითა, განაგებდა იქიდან ყაზახთა ამოწყვეტის საქმეს და მხოლოდ ათასში-ერთხელ გააქანებდა თავის შავს მერანს შენივთებულ ბრძოლისაკენ, ხოლო საცა პან ვოლოდიევსკი გაჩნდებოდა, იქ უთუოდ კაცი უნდა დაცემულიყო ძირს, ხან და ხან სულ ხმა-ამოუდებლივ. ჰხეიი, პან ვოლოდიევსკი ფეხტ-მეისტერია ფეხტ-მეისტერთა შორის, დიდი მეხლმე მეხლმეთა შორის, ნამდვილი მეომარი ხორცითაცა და სულითაც. ომში იმის თვალს არა გამოეპარება-რა, გაასწორებს საქმეს, საცა საჭიროა და მერე ისევ თავის ალაგას დაუბრუნდება, თითქო გამოცდილი კაპელ-მეისტერიაო, რომელიც მხოლოდ იშვიათად მოჰკიდებს ხელს სკრიპკას, ხოლო სხვა დროს გამოცდილს თვალს არ აშორებს თავისს ორკესტრსა.

პან ზაგლობამ დაიწყო საშინელი ბრახუნი ფეხებითა ბოსლის სახურავზედ და ცემა ტაშისა:

— დაჰკა მაგათ, დაჰკა, მოჰკალ! კიდევ, კიდევ, სულ ამოსწყვიტეთ, რომ წამლად არავინ გადარჩეს!

ასე ჰყეიროდა პან ზაგლობა, რომელსაც სულ გადაავიწყდა თავისი ყოფა, მაგრამ პატარა ხანს უკან მისმა თვალმა უფრო სასიამოვნო სანახავი იხილა: აგერ რამდენიმე ათითა და ოცის ყაზახით გარშემორტყმული ელვასავით მიჰქრის ბოგუნი, ხოლო უკან მისდევს პან ვოლოდიევსკი თავის ჯარის-კაცებითა.—„დაჰკა!—შეჰყვირა ვითომ ზაგლობამ,—ეგ ბოგუნიაო,“ მაგრამ იმისი ხმა ვიღამ გაიგონა. ამასობაში ბოგუნი გადახტა ღობეზედ და ვოლოდიევსკიც მისდევს კუდით-კუდსა. ზოგი ეზოშივე დარჩა, ზოგის ცხენი ვერ გადახტა ღობეზედ. უყურებს ზაგლობა და ჰხედავს, რომ ბოგუნიც მინდორშია და ვოლოდიევსკიცა. აგერ ბოგუნიც და ვოლოდიევსკიც თავ-თავის კაცებით გაიფანტნენ მინდვრად: თვითეული თვითეულს მისდევს. ზაგლობას სული შეუგუბდა, ცქერად გადიქცა და თვალები კინაღამ წამოუვარდა ქუთუთოებიდან, ისე აჭყეტდა, რაც

ძალი და ღონე ჰქონდა... რასა ჰხედავს? აი ვოლოდიევსკი დაეწია ბოგუნს, როგორც გაგეშილი ძაღლი გარეულს ღორს დაეწიოს, ატამანი მოტრიალდება და იწვდის ხმალს... „იბრძიან,— ჰყვირის ზაგლობა... ერთი წუთი კიდევ და ბოგუნი დაეცა ძირს ცხენიანად, ხოლო ვოლოდიევსკიმ გადაახტუნა ზედ ცხენი და გამოეკიდა ახლა სხვებს.

გარნა ბოგუნი ისევ ცოცხალია, წამოდგება ზეზედ და მიჰქრის კლდეებისაკენ, რომელიც ბუჩქნარით არის დაფარული.

— დაიჭი, დაიჭი,—გრგვინავს ზაგლობა,—ეგ ბოგუნია!

აგერ მიჰქრის ახალი გუნდი ყაზახთა, რომელიც აქამდე კლდეებს იყო მოფარებული, ახლა კი გამოიმინდვრა და ახალს გზას ეძებს, რომ როგორმე გაჭცევა მოასწროს. ცოტა იმაოზედ დაშორებით მოსჩანან პოლონეთის ჯარის-კაცნი. გუნდი ყაზახთა დაეწევა ბოგუნს, გაიტაცებს და მიჰყავს თან. ბოლოს ყოველივე ჰქრება, რადგან გზა ღრმა ღელეს ეფარება.

ეზოში სრული მდუმარებაა, რადგან პან ზაგლობას ჯარის-კაცნი, ვოლოდიევსკისაგან განთავისუფლებულნი, ეცნენ ყაზახთა ცხენებს და გამოეკიდნენ თავ-გზა დაბნეულსა და ლტოლვილს მტერს.

პან ზაგლობამ ჩამოუშვა კიბე, გამოვიდა გარედ და მიიხედ-მოიხედა გარშემო.

— თავისუფალი ვარ...

ეზოში მრავლად ეყარა ყაზახთა და პოლონელთა გვამნი. შლიახტიჩმა ფრთხილად გაიარა ამათ შორის, ყურადღებით დაათვალიერა თვითეული და ერთგან დაიხარა, გვამს დაუწყო ჩაკვირება.

ერთს წუთს შემდეგ აიმართა ისევ ხელში თუნუქის პატარა კასრითა.

— სავსეა,—კმაყოფილებითა სთქვა ზაგლობამ.

დაეწაფა სასმელს და დაუწყო ხარბად სმა.

— ურიგო არ არის!

კვლავ მიიხედ-მოიხედა გარშემო და ხელმეორედ გაიმეორა, გარნა ახლა უფრო გულადად:

— თავისუფალი ვარ.

პან ზაგლობა შევიდა სახლში და ზღურბლზედ წააწყდა მოხუცის მებოჭკის გვამს. უკან რომ დაბრუნდა, წელი დამშვენებული ჰქონდა ბოგუნის ქამრით, რომელიც სულ ოქროთი იყო მოქარგული, ხოლო შიგ ერჭო დანა და მის ტარში იჯდა დიდი ლალი.

— ღმერთი აჯილდოებს კაცს გულადობისათვის,—სთქვა პან ზაგლობამ,—აი ქამარიცა... მერე თან სავსე ფულითა. ჰაი შე ავაზაკო, ჩამოსახრჩობო! ახლა კი იმედია, რომ ჩვენის ხელიდან ველარ წავა. მაგრამ ეს ვოლოდიევსკი, აბა სეირი ის იყო აი; ვიცოდი, რომ ყოჩაღია, მაგრამ თუ ბოგუნსაც შეებრძოლებოდა, მაგას კი სწორედ ვერ მოვიფიქრებდი. ბოგუნს ქამარზედ შეეძლო ჩამოეკიდნა და ისე ეტარებინა იმისთანა კაცი. დასწყევლოს... მაგრამ არა, ღმერთმა მისცეს ყოველივე სიკეთე! ალბად ვერ იცნო ბოგუნი, თორემ იქვე გაათავებდა. უი, რა ნაირი ჰყარს აქა თოფის წამალისაგან, კაცი ველარ ამოისუნთქებს! ჰმ, რა ნაირ გადავრჩი განსაცდელსა და! ჩემს გაჩენაში მაგ ნაირი ყოფა არ გამომიცდია, მადლობა უფალსა! ვოლოდიევსკის კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბჭობდა ასე ზაგლობა და მერე ჩამოჯდა ბოსლის კარებზედა და დაიწყო ცდა.

მალე გამოჩნდნენ მინდორში ჯარის-კაცნი. რომელნიც უკან დაბრუნებულიყვნე დევნის შემდეგ. მდევართა შორის იყო ვოლოდიევსკიცა. ზაგლობა რომ დაინახა, ცხენი გამოაჩქარა, სასწრაფოდ გადმოიჭრა ცხენიდან და გაეშურა იმისაკენ.

— ვისა ვხედავ, ნუ თუ თქვენა ხართ!—შორიდანვე დაიყვირა ტან-მორჩილმა რაინდმა.

— მე ვარ, მე,—უპასუხა ზაგლობამ. — ღმერთმა მოგცეთ ყოველივე სიკეთე, რომ შემწეობა აღმომიჩინე.

— ღმერთს მადლობა შესწირე, რომ დროზედ გაჭრდი,— უპასუხა ვოლოდიევსკიმ და სიხარულით ჩამოართვა ხელი პან ზაგლობას.

— საიდან შეიტყეთ, რომ ისეთს საფრთხეში ჩავარდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გლეხ-კაცებმა შემატყობინეს, აიმ მეორე სოფლელებმა.

— ოჰ, მე კი მეგონა, რომ სწორედ იმათ გამცეს-მეთქი.

— რა პასუხია! კეთილი ხალხნი არიან ძალიან. თითონაც ძლივს ცოცხლებს გამოუსწვ-იათ, ესე იგი მეფე დედოფალს, ხოლო სხვებს, მაყარ-სტუმრებს რა დაემართათ, არ ვიცი.

— თუ მოღალატენი არ არიან, უთუოდ ყაზახებმა ამოჰხოცეს. ამ სახლის პატრონი აგერა აქვე ჰგდია მკვდარი. მაგრამ, ეჰ, ამას თავი დავანებოთ. ერთი ეს მითხარი, ბოგუნი ცოცხალია? გაიქცა?

— განა ის ბოგუნი იყო?

— მაშა, თავშიშველა, პერანგის ამარა; ცხენიან-კაციანად რომ ძირს დაეცი.

— ხელში დავჭერი. ოჰ, რა მწყინს, რომ ვერ ვიცანი. მაგრამ თქვენა, პან ზაგლობა, კარგი რა მოიქმედეთ?

— რა მოვიქმედე?—გაიმეორა პან ზაგლობამ.—მოდი აქა და ჰნახე!

წაავლო ხელი ვოლოდიევსკის და დაიყვანა ბოსელში.

— დაჰხედე.

პან ვოლოდიევსკიმ ჯერ ვერა დაინახა-რა, რადგან თვალი გაგარეულებული ჰქონდა, ხოლო, როცა თვალი გაუშინაურ-და, ბოსლის სიბნელემ აღარ დაუშალა იქაურობის დათვალიერება, დაინახა უძრავად გაშოტილნი გვამნი და გაჰკვირდა.

— ვინ დაჰხოცა ეს ხალხი?

— მე!—სთქვა ზაგლობამ ისე, ვითომც-და აქ არაფერი ამბავიაო.—თქვენა მკითხევით, რა მოვიქმედე და მეც გეუბნე-ვი: აი!

ახალგაზდა აფიცერმა თავი გაიქნ-გამოიქნია.

— როგორ, რანაირად?

— მე მაღლა ვიყავ და თავს ვიფარავდი, ხოლო ისინი ქვეიდან მომადგნენ იერიშით. ზოგმა ზემოდან შემომიტია, სახურავიდან. არ ვიცი, რამდენს ხანს გასტანა ამ ამბავმა; ბრძოლის დროს მეომარს ავიწყდება ჟამთა-სვლა. ბოგუნი იყო აქ მთელის თავისის ძალ-ღონითა. ახსოვხარ შენ, ვახსო-

ვვარ მეც! როდისმე მოცლილ დროს გიამბობ, როგორ შემიპყრო ტყვედ, რა ცეცხლი გამოვიარე და როგორ ვუხიფათე მერე, ახლა კი ისე ვარ დაღლული, რომ ფეხზე ძლივს-ღა ვდგები.

— რაღა თქმა უნდა,— დაიწყო ვოლოდიევსკიმ,—რომ ძალიან გულადად მოქცეულხარ; ამას გეტყვი მხოლოდა, რომ კარგი რაინდი ხარ, გარნა ცუდი წინამძღოლი.

— პან მიხალ,—უპასუხა შლიახტიჩმა,—ეგ მერე იყოს, ეხლა დრო არ არის. ისევ არა სჯობს შემოქმედს გადვუხადოთ მადლობა, რომ ჩვენ ორთავეს ისეთი გამარჯვება მოგვანიჭა, რომლის ხსოვნა არ გაჰქრება კაცთა შორის.

პან ვოლოდიევსკიმ გაკვირვებით შეჰხედა ზაგლობას. აქამდე ისე ეგონა, რომ მარტო მე გავიმარჯვეო და ახლა კი ზაგლობაც წილს იდებს ჩემს ძლევა-მოსილებაშიო.

ახალგაზდა აფიცერმა შეჰხედა მხოლოდ შლიახტიჩს, გააქნ-გამოაქნია თავი და სთქვა;

— დეე, თუნდ აგრე იყოს.

ერთს საათს შემდეგ ორნივე მეომარნი მიუძღოდნენ წინ თავ-თავიანთ შეერთებულს რაზმებს და მიდიოდნენ იარმოლინცისაკენ.

ზაგლობას ჯარის-კაცთა შორის თითქმის არც ერთი არ იყო მოკლული. რაკი მოულოდნელად დაესხა მტერი, იმათ წინააღმდეგობა არა გაუწევიათ-რა. ხოლო ბოგუნი, რომელიც გამოგზავნილი იყო, ჯაშუშნი და მტრის ჯარის-კაცნი შეიპყარი, იქნება იმათგან შეეტყო რამეო, ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ცოცხალი შეიპყარით, ნუ მოჰკლავთ ტყვეებსაო.

გრ. ყ—მე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იულიოს კეისარი

ხუთმოქმედებიანი ტრაგედია

უილიამ შექსპირისა

ინგლისურიდან

მოქმედნი პირნი:

იულიოს კეისარი.

ოქტავიოს კეისარი,
მარკოს ანტონიოს,
მარკოს ემილიოს ლეპიდოს, } ტრიუმვირნი იულიოს კეისრის სიკვდილ შემდეგ.

ციცერო,
პუბლიოს,
პოპილიოს ლენა, } სენატორნი.

მარკოს ბრუტოს,
კასიოს,
კასკა,
ტრებონიოს,
ლიგარიოს,
დეციოს ბრუტოს,
მეტელოს ციმბერ,
ცინა, } შეთქმულნი იულიოს კეისრის წინააღმდეგ.

ფლავიოს და მარულოს, ტრიბუნები.

არტემიდოროს, ცრუ-ბრძენი კნიდორიდან.

მკითხავი.

ცინა, პოეტი.

მეორე პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუციოს,
ტიციანიოს,
მესალა,
ახალგაზდა კატო,
ვოლუვნიოს — ბრუტოსისა და კასიოსის მეგობრები.

ვარო,
კლიტოს,
კლავდიოს,
სტრატო,
ლუციოს,
დარდანიოს, — ბრუტოსის მსახურნი.

პინდაროს, კასიოსის მსახური.
კალფურნია, კეისრის ცოლი.
პორცია, ბრუტოსის ცოლი.
სენატორნი, მოქალაქენი, დარაჯნი, მხლებელნი და სხვანი.

მოქმედება სწარმოებს უმთავრესად რომში, მხოლოდ შემდეგში სარდისის და ფილიპის ახლო.

მოქმედება პირველი

სურათი I

რომი. ქუჩა.

(შემოდიან **ფლავიუს**, **მარულუს** და რამდენიმე **მოქალაქე**.)

ფლავიუს. შინ წადით ეხლავ, შინა-მეთქი, თქვე ზარმაცებო!
უქმეა განა, და არ იცით, რომ ხელოსან კაცს
ნიშანი თავის ხელობისა საქმის დღეს უნდა
მუდამ თან ჰქონდეს? აბა, შენ რა ხელოსანი ხარ?

1 მოქალაქე. მე დურგალი ვარ.

მარულუს. სად არის მაშ ან სახაზავი,
ან შენი ტყავის წინ-საფარი? რისთვის მორთულხარ
ეგრე მდიდრულად?—შენ ვინღა ხარ, რა ხელობისა?

2 მოქალაქე. მე, ბატონო, კაი ხელოსნების მაწანწალა გახლავარ.

მარულუს. სწორედ მითხარ, რასაც გკითხავ, რა ხელობა გიჭირავს-მეთქი.

2 მოქალაქე. ისეთი ხელობა მიჭირავს, რომ ლუკმა პურს არავისგან დავიყვედრიებ. მე ძველ-ძვულების ოსტატი გახლავარ.

მარულუს. მერე რა ჰქვიან შენს ხელობას, აღარ იტყვი, შე არამზადა?

2 მოქალაქე. ნუ გაცხარდები, მოთმინებას ნუ შემოიცვეთ, თორემ ისევ მე გამიხდები დასაკერებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარულოს. როგორ თუ დასაკერებელი? მე უნდა დამკერო, შე გაუზრდელო, ბრიყვო?

2 მოქალაქე. რატომ, განა შენ კი ვერ დაგჯღანავ!

მარულოს. მაშ მეჯღანე ყოფილხარ.

2 მოქალაქე. ჩემი ხელობა სადგისია. მე უსადგისოდ არავის საქმე-ში არ ვერევი, არც ხელოსნებისაში, არც დედაკაცებისაში. მე ძველი ფეხსაცმელების ექიმი ვარ. როცა გაუჭირდე-ბათ, მოსარჩენად მე მიბარებენ; და რომელ პატიოსან კაცსაც ხარის ტყავი ფეხ-ქვეშ ამოუგრავს, არ იქნება რომ ჩემი ნამუშავარი არ გაეთელოს.

ფლავიოს. მერე დღეს რატომ არა ზიხარ შენს საჯღანოში, რისთვის უძღვი წინ ქუჩა-ქუჩა ამოდენა ხალხს?

2 მოქალაქე. იმისთვის, ჩემო ბატონო, რომ ფეხსაცმლები დავა-ცვეთინო და მეტი საქმე ვიშოვნო. გვინდა კიდევ კეისარი ვნახოთ, იმის ტრიუმფით გავიხაროთ, ვიდღესასწაუ-ლოთ.

მარულოს. რა გამარჯვება გიხარიანთ, რას გმატებთ იგი?
ან ვინ მოხარკე მოჰყავს რომში, რომ ეტლის თვლები
თვის ბორკილებით დაუმშვენოს? ოჰ, კუნძნო, ქვანო!
უარესებო ამ უგრძნობელ, უტყვ საგნებზედაც!
ოჰ, გულ-წამხდარნო რომაელნო! მაშ დაგავიწყდათ,
აღარ გახსოვთ თქვენ პომპეუსი, რომლის გულისთვის
ვინ უწყს რამდენჯერ ციხეებზედ, კოშკის თავებზედ,
თვით საკვამლეებზედ აცოცილხართ, ბობღვით ასულხართ
და იქ მთელი დღე გილოდნიათ ბავშვებით ხელში,
რომ დაგენახათ მომავალი დიდი პომპეუს!
და როდესაც კი გაარჩევდით შორიდან მის ეტლს,
მორთავდით ისეთს მაღალ ყვირილს ყველანი ერთხმად,
რომ თვითონ ტიბრი შემწყვდეული თვის ნაპირებში
მათგან მოცემულ ბანზედ თრთოდა. ეხლა ირთობით,
დღესასწაულს სდებთ და ყვავილებს ჰფენთ იმის გზაზედ,
ვინც მოდის რომში პომპეუსის სისხლით შესვრილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწით, წადით შინ, დაიჩოქეთ, ევედრეთ ღმერთთა,
რომ აგვაშოროს ჭირი, სნება, რაიც უთუოდ
მოჰყვება ესეთს უსაზომო უმადურებას.

ფლავიოს. ჰო, წადით, წადით, მეგობრებო, ჩქარა შეჰყარეთ
თქვენებრ ღარიბნი, ვინც რომ ერთად ტაფაში იწვით,
ტიბრის ნაპირზედ და ცრემლები ჩაურთეთ მის წყალს,
ვიდრე მდინარე არ მისწვდება თვის მაღალ კიდეთ.
წადით, საჩქაროდ შეინანეთ ეგ შეცოდება.—
(მოქალაქენი გადიან.)

ჰხედავ, თვითონ ეს უგრძნობელნიც როგორ აღელდნენ
და დაიშალნენ ხმა-გაკმენდით სირცხვილეულნი!—
მე ასე წავალ, შენ იქ წადი, კაპიტოლისკენ
და თუ ქანდაკნი ნახო სადმე დართულნი, მოხსენ
მოკაზმულობა.

მარულოს. ნებას გვაძლევს კი? ხომ იცი რომ დღეს
ლუპერკალიის დღეობაა.

ფლავიოს. არა უშავს-რა.
ნურა ქანდაკზედ ნუ დავტოვებთ ნიშანს კეისრის
გამარჯვებისას. ქუჩა-ქუჩა დავივლი ყველგან
და უბრალო ხალხს ვუბრძანებ, რომ სახლში წავიდეს.
ერთად რომ ნახო თავ-მოყრილი, შენც აგრე ჰქმენი.
თუ წვერს წავაჭრით ახლად შესხმულ კეისრის ფრთებსა,
მაშინ ვერ იფრენს ისე მაღლა; უამისოდ კი
ავა ზეცაში, თვალთ ხედვიდან დაგვეკარგება
და მონობაში გვიყოლიებს შიშით შეპყრობილთ.

(გადიან.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი II.

იგივე ადგილი. მოედანი.

(შემოდიან ლიტანიით და მუსიკით: **კეისარი, ანტონიოს** სარბენლად გამზადებული, **კალფურნია, ზორცია, დეციოს, ციცერო, ბრუტოს, კასიოს,** და **კასკა.** თან დიდი **ხალხი** მოსდევს. ხალხში **მკითხავიც** არის.)

კეისარი. კალფურნია!

კასკა. სუ! კეისარი რაღასაც ბრძანებს.

(მუსიკა გაჩუმდება.)

კეისარი. კალფურნია!

კალფურნია. აქ გახლდივარ მე, ბატონო ჩემო.

კეისარი. ანტონიოსის გზაზე დადგე, რომ იწყებს რბენას. — ანტონიოს!

ანტონიოს. მეც აქ გახლდივარ.

კეისარი. არ დაგვიწუდეს,
სული შენსე კალფურნიას შენის სრბოლის ყმის.
ძველთ ასე უთქვამთ, თუ უშვილოს შეესებაო
ამ წმინდა რბენის დროს მსრბოლელი, ცალსრჩენსო
უშვილობის სენს.

ანტონიოს. მესმოება. რომ კეისარი
ისურვებს რასმე, აღსრულებაც თან უნდა მოჰყვეს.

კეისარი. აბა, დაიწუთ, სწრე ერთ წესსა ნუ გამოსტოვებთ.

(მუსიკა უკრავს.)

მკითხავი. კეისარო!

კეისარი. ეს ვისი ხმაა?

კასკა. გაჩერდით უცბად,
ჩუმდა-მეთქი!

(მუსიკა გაჩუმდება.)

კეისარი. ვინ მეძახის? ხალხიდან მომწვდა
მე კიდისიც ხმა მუსიკაზედ უფრო ძლიერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეისართო. კეისარი აი ყურს გიგდებს,
გამოდი, ვინ ხარ.

მკითხავი. გაუფრთხილდი მარტის იდებსა. *)

კეისარი. ვინ ლაპარაკობს?

ბრუტოს. ეს, ბატონო, მკითხავი გახლავს
და მოგახსენებს გაუფრთხილდე მარტის იდებსა.

კეისარი. სახე მაჩვენეთ, აქ მომგვარეთ.

კასიოს. აბა, მმობილო,
წინ წამოდეგი, კეისარს სურს შენი დანახვა.

კეისარი. რასაც ამბობდი ეხლა ჩემზედ, განიმეორე.

მკითხავი. უნდა უფრთხილდე მარტის იდებს.

კეისარი. ოცნებით არის
გატაცებული, დაეხსენით და გაიარეთ.

(მუსიკის ხმა. **ბრუტოსისა** და **კასიოსის** გარდა ყველანი გადიან.)

კასიოს. ხომ წახვალ რბენის სანახავად?

ბრუტოს. არა, არ წავალ.

კასიოს. გთხოვ რომ წახვიდე.

ბრუტოს. როდი მიყვარს თამაშობანი,
ანტონიოსის ცხოველ სულსა მოკლებული ვარ.
მე გაგშორდები, არ დაგიშლი დროს-გატარებას.

კასიოს. ბრუტოს, ბოლო ჟამს ვეღარ ვამჩნევ შენს უოფა-ქცევას
იმ სიყვარულსა, რასაც ხანგრძლივ ჩვეული ვიყავ
და უცნაურად მეპყრობი შენს ერთგულ მეგობარს.

ბრუტოს. მაგას ნუ ამბობ, ნუ, კასიოს. თუ მოღრუბლული
დავიარები, ჩემშივეა მაგის მიზეზი.
უკანასკნელ ჟამს მე მაღელვებს სხვა-და-სხვა ფიქრი,
პირადად ჩემი საზრუნავი, რაიც იქნება
ჩემს მოქმედებას ეჩვსა ჭფვენდეს, მაგრამ ამისი
ნუ ეფიქრებათ ნურაფერი ჩემ კარგ მეგობრებს,
რომელთა შორის კასიოსიც ჩარიცხულია;
ნურც მიაწერენ სხვა რამ მიზეზს ამ უკმეხობას,

*) მარტის თვის ნახევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასიოს. მეშინიანო! მაშ გეტყობა არ გიამება
ხელმწიფედ დასმა კეისრისა.

ბრუტოს. არ მიამება,
არა, კასიოს, თუმცა დიდად მიყვარს მე იგი.—
ახლა ეს მითხარ, რად მაჩერებ ამდენ ხანს აქა?
იქნება გინდა საჭირო რამ შემატყობინო.
თუ გწადს რამე სასარგებლო ჩვენის ქვეყნისთვის,
არ შევუდრკები, დამერწმუნე, თვითონ სიკვდილსაც,
დავხვდები მედგრად და ნებას კი არავის მივცემ,
ოდნავაც არის შეეხოს ჩემს პატიოსნებას.
ამას თუ ვტყუი, ღმერთთა რისხვა იყოს ჩემს თავსა!

კასიოს. ოჰ, ეგ სიკეთე შენში არის, მე კარგად ვიცი,
ისე, ვით ვიცნობ შენს გარეგანს სახიერებას;
პატიოსნების შესახებვე მსურს გითხრა რამე:
თუ არ იმას, რომ თავის თავსვე საბრალო ბრუტოს
რაღასაც ებრძვის და ვერ იცლის მეგობრებისთვის.

კასიოს. დიდად შემცდარვარ მაშ მე, ძმაო, და ამ შეცდომამ
ბევრი ძვირფასი მოსაზრება, დიდი ზრახვა
დამამარხვინა ღრმად გულშივე. ეს მითხარ, ბრუტოს,
შეგიძლიან, რომ დაინახო შენივე სახე?

ბრუტოს. ეგ რა კითხვაა! ან ჩემს სახეს ვით დავინახავ,
თუ არ გამომკრთალს სხვა რამე უცხო საგნიდან.

კასიოს. შენ მართალს ამბობ, სამწუხაროც ეგ არის სწორედ,
არა გაქვს სარკე იმგვარი, რომ გამოგიკრთომოს
ეგ ღირსეული პიროვნება აწ დამალული;
შენსავ აჩრდილსა ვერა ჰხედავ. მე დავსწრებივარ,
მინახავს, როგორ რომაელნი წარჩინებულნი,
გარდა უკვდავის კეისრისა, რასაკვირველია,
შეწუხებულნი ამ დროინდელ მძიმე უღელ ქვეშ
ამბობდნენ, ნეტა თვალ-ხილული იყოს ბრუტოსო.

ბრუტოს. რა განსაცდელში გსურს ჩამაგდო, გამაგებინე,
რომ მაძებნინებ ჩემში იმას, რაიც არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასიოს. მაშ მოგმზადე მოსასმენად და რაკი იცი,
რომ უსარკეოდ კერ განიცდი შენს ბედისწერას,
მაგვარი სარკე თვით გაჰხდები და მოგრძალებით
გახვენებ შენში მას, რაც ჯერის და კი კერა ჭსდგა.
მაგრამ ამას გიხოკ, გულში ეწყი ჯერ გაიტირო:
სხვების დატანჯით რომ მიეკერძეს თავის შეძენას,
ოკეად გამქრალთან, გამომქრალთან დამეგობრება,
მიღალატება და გათელვა პირობათა,
რომ გბრიეკებულს დაჰკეცხო თავზედ სარცხვილი,
ან კართობდე სხეს სიქკეხ მასხარასავით,—
მაშინღა მხოლოდ გაეროსდება გმირთეს შენ ჩემგან.
(საყვირის ხმა და ხალხის ყვირილი მოისმის.)

ბრუტოს. ეს რა ხმა ისმის? მეშინიან რომეელებმა
თავის სედმეწოფედ კეისარი ჯერ ირჩიონ.
თუ რასმე ჭფიქრობთ შენ და სხვანი ჩვენს ცხოვრებაზედ,
გეკრაფერს გიტეკი, მაგრამ მე რომ მეკითხებოდეს,
ჯერ ოფიცის კარჩეკ ისეთს ოფიცს, რაც შეიით თრთი
წინაშე შენის მზგავსიასკე. კეისარივით
თავისუფალად ჯერ მე შობილი, აგრეთკე შენც,
ერთის სჯმედით კიო გამოზრდილნი, ზამთრის სიცივეს
ჩვენ ორივეზედ უკეთესად ის ჯერ ითმინს:
ერთხელ ავდარში, ქარიან დღეს, როდესაც ტიბრი
გადმორებულია თავის ნაპირებს ეთმებოდა,
კეისარმა მე მკითხა, ბა, ჯერ გაბედიო
ჩემთან ერთად ამ ტოფიანს წყალში ჩახტომას
და იმ ნაპირზედ გადეცურკას? მერწმუნე, ბრუტოს,
ისე ჩაცმული გადეკეშკი და მეკიძსე,
მომეკეი-მეთქი; ისიც მომკეს. ორივემ მედგრად
მოკუსკით მკლავი ავზარიებულის მდინარის ტალღებს,
ავეცით ზეით განრისებული წყალთან ბრძოლითა,
მაგრამ კედრემდე მიკაღწიეთ დანიშნულს ადგილს,
მესმის კეისრის ხმა: მაშველო, გიდეშებიო!
და როგორც ჩვენს წინაპრებს ენას დედმა

მოსუცსა ანქაზს სტატა სული და ტრიალის ცეცხლს
გადაარჩინა, ისე ტაბრის ტალღებისაგან
დონე-მთისდაღა კეისარი მე გამოვისხენ.
კმელ ეს კაცი ღმერთი ყოილის და კასიოს კი
რალაც ქმნილება სატრფიკი, რომელიც უნდა
ორგულად წელში მოისროს, თუ კეისარი
ადიდებს თავის ძალიკს დაჭნეკს. ერთხელაც კიდევ
ესმინაში უოფნის დროსა ტიბა შესდა
და მე თვით ჩემის თვალით ვნახე, რომ ცხენსებდა;
დიახ, ეს ღმერთი ცხენსებდა; მას ლიხარ ტუნებს
განშორდა მთი თეთრებს და თვით იმ თვალთა,
რომელთა ელვა ძრწოლასა ჭეშარის ქვეყნიერებას,
ბრწყინვა დაჭკრეს; თან მომესმა მე მისი ენესა
და იმ ენითა, რომელის ნათქვამს გაფაცებით
უურს ადევნებენ რომაელნი, წიგნებში სწერენ,
მიგნაგებული იმახოდა სნეულ ბავშვიეთ,
მსგავი რამეა, ტიტინიოს! ოჰ, ღმერთო, მიკვირს,
ვით შეიძინა ესე ხუსტმა ეს ძალიერება
და ამ დიდებულ ტის-ქვეშეთსა დაეპატრონა.

(კიდევ საყვირის ხმა და ხალხის ყვირილი.)

ბრუტოს. კიდევ საერთო უკიროლის ხმა! ეს ნიშნია
უთუოდ მისი, რომ კეისარს ახლის დიდებას
აძლევენ რასმე.

კასიოს. დეგიეთ კი გადაეფოფხს
გიწრო ქვეყანას და მის დიდრონ მუხლების ქვეშე
ერთი ბეწონი დაეტევათ და იმიზე გზრუნავთ
მხოლოდ, სიფლავეს მიეგებროთ უღირსსა სიდმე.
ხშირად თვის წერის ბატონია ადამიანი
და დამცირება ჩვენი ისეც ჩვენი ბრალია
და არა ბედის კვრისგადაესა, ძვირფასო ბრუტოს.
კეისარი და ბრუტოს! იკი რითია მეტი?
შენისზედ ძალიერ რად გაისმის იმის სახელი?
დასწერე ერთად, არა შენის შენი ნაკლებად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად წარმოსთქვი და ერთგულად ტუჩთ მოუსდებათ.
ისწორე, ბიჭო, თანხმად თუ არ ვიწრიალებ;
თუნდ მის სისწორეთ, თუნდა შენით რომ გამოიხმონ,
სიჭოლად სუფთა მიანც მოკლენ ამ ქვეყნად.
მაშ ეს მიტომაც, უკეთა დღეთებს ერთად გაფიცებ,
რომელმა სიზრდამ კეისარი ისე გაზარდა,
გაიძახეთ?! ოჰ, დროებავ სიოცხლეგულო!
ოჰ, რომო, შენში კეთილშობილთ თესლი ამოსწუდა!
დიდ წარღვნის შემდეგ რადის იყო, რადის მომხდარა,
რომ უკეთესთ მხოლოდ გაისმოდეს ერთის სისხლი!
ვინ გაბედავდა დღემდის რომშეც ეს ითქვა, მისი
ვერცხლი კეთილება მხოლოდ ერთ კაცს შემორტყმიანო?
ახა, ეს რომი ხდარ არის, თუ იგი მხოლოდ
ერთად-ერთ კაცის სიდიადეს-ღა გადაქცეულა.
ორთავ გესმენია უფროსთაგან, რომ ჭ ოდესღაც
ერთ სხვა ბრუტოსსა უცხოურია; ის თურმე რომში
როგორც ეშმაკს ვერ ითანდა, ისე სძულიაფეს.

ბრუტოს. შენს სიყვარულში მე, გაიოს, ეჭვი არა მაქვს;
იმისიც მიგხვდი, რა გწადიან, რას ლაი ჩეგან;
მისუფან გეტყვი, თუ რას ვფიქრობ უოველ ამაზედ,
ამ ჩვენს დრო-ყამიზედ. ჯერეთ კი გთხოვ დიდის ვედრებით,
რომ მოთმინება იქონიო. რაიც შენ მითხარ,
მე განვიხილავ, და შემდეგში რაც გაქვს სათქმელი,
მისიც მოისმენ ყურადღებით; დროსიც ვიპოვი
მაგ მძიმე სიქმის გასისინჯად და სიფხიზლედ.
ამ ყამიდე კი დარწმუნებით იმყოფებოდე,
ვთიქრობ, რომ ბრუტოსს უყვარს
უბრალო გულით ვედრა სადმე, ვიდრე რომის ძვდ
მოჭმონდეს თავი და იტანდეს ამ სისტიკ ბედსა,
რაც ამ უწყალო დროებამ ჩვენ წილად გვარგუნა.

გაიოს. მიხარიან, რომ ჩემმა სუსტმა სიტყვებმა შესძლეს
მაგდენი ტეხილის გამოკვეთა ბრუტოსისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუტოს. გათავებულა თამაშობა და კეისარიც
აგერ ბრუნდება.
კასიოს. როდესაც კი გამოივლიან,
სახელს დასწვდი კასკას; იგი გვიამბობს ყველას
თავისებურად დაძმარებულ კილოთი, თუ რამ
შესანიშნავი მომხდარა დღეს.
(შემოდის **კეისარი** თავის ამალით.)
ბრუტოს. ჰო, კარგი ვკითხავ,—
მაგრამ, კასიოს, შეხე ერთი, კეისარს როგორ
მრისხანებით მოუჭმუხნავს, უღელავს შუბლი;
სხვანიც ყველანი რაღასგვანაც დამფთხლებსა ჰგვანან;
არც კალფურნიას შერჩენია ლოყებზედ ფერი
და ციცერონსაც ისე ცეცხლებრ უბრწყინავს თვალნი,
როგორც გინახავს კაპიტოლში, როს სენატორნი
ჰკადრებენ რასმე წინააღმდეგს.
კასიოს. კასკა გვიამბობს
ჩვენ ყოველიფერს.
კეისარი. ანტონიოს!
ანტონიოს. რა გსურს, ბატონო?
კეისარი. იმას ეცადე, გვერდით სრული ხალხი მეხვიოს,
გულით სადანი და ღამით ძილ-გაუტეხელნი.
ეგ კასიოს კი პირ-ხმელია, სულ მშიერსა ჰგავს
და ბევრსაც ჰფიქრობს; მაგისთანებს უნდა ერიდო.
ანტონიოს. ნუ გეშინიან, კეისარო, შენ კასიოსი,
ეგ ღირსეული, ნიჭით სავსე რომაელია.
კეისარი. ცოტა რომ მოსქო მაინც იყოს!.. მე როდი ვშიშობ,
მაგრამ შიში რამ ჩემს სახელს რომ ეკარებოდეს,
არა კაცთაგანს ისე არ მოვერიდებოდი,
როგორც მაგ პირხმელს, ჭყინტლ კასიოსს. ეგ ბევრს
ჰკითხულობს,
თვალებს ადევნებს ყოველისფერს და საიდუმლო
არა არის-რა ისეთი, რომ გამოეპაროს.
არც უყვარს შენებრ, ანტონიოს, დროს-გატარება;

მუსიკატა სძაგს; მეორად ნასვა მას ბარზად დიმიდს
და თუ შეამჩნევ, ამასაც უმს, ნამდვილად,
თითქო რცხვენიან, გულიმება კით კეკადრეო.
მგეგვარი სახლი რადა იტანს, რომ იმის გვერდით
ამაზედ დადი იყოს კინმე. ია ამიტომ
არიან-მეთქი სიშიშარნი; ჭა, სიშიშარნი
არიან, კამბობ, სიზოგადოდ და არა ჩემთვის,—
მე კეისარი მეშიშება.—ხმ მარჯვნიით მოდი,
მარცხენა ყურით რადა მესმის და სწორედ მითხარ,
შენ რაღას ჭეშმარიტ კასიოსზედ, რა აზრისა ხარ?
(კეისარი მთელის ამალით გადის. კასკა უკან დარჩება.)

კასკა. შენ სასულიზედ დამწიე, მეგობი, გინდა მეითხო რამე?

ბრუტოს. რა მოხდა ნეტა დღეს ისეთი, რომ კეისარი
დაბრუნდა ხვრე მოწუენილი?

კასკა. შენტი აქ არ იყავ?

ბრუტოს. რომ ვუოფილიყავ, კითხვით ადარ შეგაწუხებდი.

კასკა. კეისარს გვირგვინი მიართვეს და იმან ასე სულით ითქვა. სულხმა რომ ეს დაინახა, სიხარულით ყვირილს მოჰყვა.

ბრუტოს. მეორედ რაღაზედ იო ყვირილი?

კასკა. ისევ იმაზედ.

კასიოს. სამჯერ მოისმა სმაურობა, მესამედ რაღაზედ ჭყვირდნენ?

კასკა. ისევ იმაზედვე.

ბრუტოს. როგორ, გვირგვინი გან სამჯერ მიართვეს?

კასკა. სამჯერ, მაშ! და სამჯერვე ითქვა, თუმცა თანდათან თითქო უფრო სული ზედა რჩებოდა. ეოველ ჯერ ატყვებისაზედ ჩემი ზეტიოსანი მეზობლები ღრიალს მორთავდნენ სიხმე.

კასიოს. კინ მიართვა გვირგვინი?

კასკა. ანტონიოსმა.

ბრუტოს. გეთმე, ჩემო კასკა, დაწვრილებით ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასკა. რომ ჩამომდგრმოო, უკეთესერს კერ გაიმბობთ; მასწავრობად მომეწვენა და უარვდებ კარგად არ მიმიქცევია. ის ვინახე მხოლოდ, რომ მარკოს ანტონიოსმა კეისარი მიართვა,—ნამდვილს პრტი კი ჭკვიდ ის გეორგიანი, ბაწყვინტელს იყო—და, როგორც გითხარით, კეისარმა პირდა, თუმცა შეკუტეც, რომ დიდის საამოვნებით დადგამდა თავზედ. მეორედაც მიართვა და იმან კიდეც პირდა, მაგრამ ისე მეჩვენა, თითქო თითები გეორგიანს ზედ კერობა. მესამედაც მიაწოდა და იმან კიდეც უარი სთქვა. ყველ უარის თქმაზედ სალი ჭვეორდა, დაბებერებული სელებით ტანსა სცემდა და თავის ოფლიან ჩაჩებს ძღდა ისრადა. ჭაო და კეისარმა გეორგიანზედ უარი სთქვაო, იმოდენა ოშხეირი ამოუშვეს პირდან, რომ კეისარი კინდან დაიდრჩო; გულს შემოუარა და ძირს დეცა. მე ამ ამბავზედ სიტყდაც კი კერ გავბედე: პირი რომ დამეღო, სუნნელებით ამეკსებოდა.

კასკა. მოიცა, თუ ღმერთი გწყმს, მართლა კეისარს გულს შემოუარა?

კასკა. იქნე მოედანზედ წაიქცა, პირზედ დეცა მოადგა და ენა ჩაუგარდა.

ბრუტოს. რა გასაკვირველია, იმას ბნედა სჭირს.

კასკა. არა, კეისარს კი არა სჭირს ბნედა, ჩვენა გვჭირს, ჩვენა ვართ, ჩვენა, დაბნედილნი, შენტა, მეც, კასკეც?

კასკა. არ ვიცი მაგას რაზედ ამბობ, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ კეისარი გულ-შემოყრილი ძირს დეცა. ის წუწკი სალი ისე უგრაგდა ტაშს, ან ისე უკეთესებდა, თითქო თეატრის მსახიობის უფერებს და ხან აწონებს იმას თამაშობს, ხან უწუნებსო. თუ იმას გსტეფოდე, კეკეც ნუდარდეგრს დამიკერებთ.

ბრუტოს. რა მობრუნდა, რა სთქვა?

კასკა. რაკი დაინახა, რომ სალს იმას უარი იამა, სანამ დაცემოდა, დაწია სიმახეზედ, მთხოვა, გული გადმეღება მისთვის და დაიძახა, უკეთ გამეკერიო. მე რომ უბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ხელოსანი ვყოფილიყავ, ჯოჯოხეთი გამიჩინეთ ბინად წუწკ ხალხთან ერთად, თუ ეს თხოვნა სიტყვა-სიტყვით არ შემესრულებინა. მასუკან დაეცა; რო მობრუნდა, სთქვა, თუ გაწყენინეთ რამ, ვთხოვ თქვენ მაღალ-პატიოსნებას, ეს ჩემ სისუსტეს მიაწეროთო. ჩემ გვერდით სამმა თუ ოთხმა უნამუსო დედაკაცმა წამოიძახა, ვაი საბრალოო! და გულიანად შეუნდეს ყოველისფერი. მაგრამ ისინი რა ხალხში ჩასაგდებნი არიან; ღვიძლი დედები რომ ხანჯლით დაეხოცა, იმასაც კი აპატიებდნენ.

ბრუტოს. მაშ მაგ ამბის გამო იყო ისე შეწუხებული?

კასკა. ჰო.

კასიოს. ციცერომ ილაპარაკა რამე?

კასკა. ილაპარაკა ბერძნულად.

კასიოს. რა სთქვა?

კასკა. თქვენი სახე ნუღარ მენახოს ჩემს დღეში, თუ გამეგოს რამე. ვისაც ესმოდა, თავებს იქნევდნენ და ერთი-ერთმანეთს უღიმოდნენ; ჩემთვის კი, ხომ იცით, ბერძნული რა ხილიც არის. კიდევ სხვა ახალ ამბავს გეტყვით: მარულოსსა და ფლავიოსს კეისრის ქანდაკებიდან მორთულობის მოგლეჯისათვის პირში ბური ჩასჩარეს. მშვიდობით! კიდევ ბევრი სისულელე მოხდა, მაგრამ ყველას ხომ ვერ მოვიგონებ.

კასიოს. კასკა, ამაღამ ვახშმად ჩემთან ვერ მოხვალ?

კასკა. არა, სხვაგანა ვარ მიწვეული.

კასიოს. ხვალ სადილად?

კასკა. ხვალ მოვალ, თუ ცოცხალი ვიქნები, შენ შენს გუნებას არ შეიცვლი და შენი სადილიც ჭამად ეღირება.

კასიოს. მაშ, კარგი, გელი.

კასკა. აგრე იყოს. ეხლა კი მშვიდობით.

(გადის.)

ბრუტოს. რა უგემური რამ შეიქმნა და სკოლაში კი
როგორი მკვირცხლი ბავშვი იყო, ხალისიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასიოს. დღესაც ეგეთი არის სწორედ, თუ კი რომ შეხვდა
სასახელო რამ საქმე, თავის გამოსადები.
უკმეხად, ზლაზვნით ეკიდება თითქო ყველაფერს,
თუმც უკმეხობა ესე არის სანელებელი
რომ უფრო კარგად მივხვდეთ იმის გონიერ სიტყვას.

ბრუტოს. ეგ მართალია.—ეხლა უნდა გამოგეთხოვო
და ხვალ თუ გინდა ლაპარაკი ჩემთან, მე მოვალ,
ანუ შენ მოდი, შინ მოგიცდი.

კასიოს. კარგი, მე მოვალ.
სანამ იფიქრე, ყველაფერი ასწორ-დასწორე.—
(ბრუტოსი გადის.)
ბრუტოს, სავსე ხარ შენ სიკეთით, პატიოსნებით,
თუმც შესაძლოა, როგორც ვხედავ, წმინდა ლითონი
ეგე წაბილწონ, და ამისთვის საჭირო არის
კეთილშობილ სულს გარს ეხვივნენ თვისნივე მსგავსნი.
ვინ არის ისე მტკიცე, რომ არ მოიხიბვლოდეს?
კეისარი მე არა მწყალობს, ბრუტოს კი უყვარს.
მაგრამ ბრუტოსიც რომ ვიყო მე, იგი კასიოს,
მაინც ვერას დროს კეისარი ვერ მიმიმხრობდა.
ამაღამ უნდა ბარათები სარკმლით შევუგდო,
სხვა-და-სხვა ხელით დაწერილი, ვითომ მრავალ პირთ
სხვა-და-სხვა გზით მიეწოდოთ. ამ ბარათებში
ყველგან იმ აზრსა გავატარებ, რომ ბრუტოსისა
დიდი იმედი აქვთ რომაელთ და თან კეისრის
თავმოყვარებას შევეხები გაკვრით როგორმე.
მაშინ გვიფრთხილდეს კეისარი, კარგად გამაგრდეს,
თორემ მირს დავცემთ, ან უარესს დღეს შევეყრებით. (გადის.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი III

იგივე ქალაქი. ქუჩა.

(ჭექს და ელავს. სხვა-და-სხვა მხრით შემოდიან **კასკა** ხმალ-ამოღებული და **ციცერო**.)

ციცერო. ოჰ, გამარჯვება! შინ მიჰყევ შენ კეისარს, კასკა?
რად დაღალულხარ, რად ხარ ეგრე სახე-შემკრთალი?
კასკა. შენ კი არ გაკრთობს ეს ამბავი? ვერ ჰხედავ, მთელი
ქვეყნიერება ისე ძრწის, ვით სუსტი ქმნილება.
მე ბევრს ავდარსა დავსწრებივარ, მინახავს, როგორ
გაავთრებულ ქარს გაუპია მაგარი მუხა;
აზვირთებული ოკეანეც მინახავს ბევრჯერ
ამაყად პირზედ სიცოფით ქაფ-მოკიდებული,
რომ საბრძოლველად სწვდებოდა თვით მაღლა ღრუბელთა,
მაგრამ აქამდის ცეცხლის წვიმას არ მოვსწრებივარ.
ანუ სასტიკი ძმათა-ბრძოლა არის ზეცაში,
ან ღმერთნი კაცთა ურცხვის ქცევით განრისხებულნი
ცეცხლით დაღუპვას უპირობენ ცოდვილს ქვეყანას.
ციცერო. სხვა რაღა ნახე საკვირველი?
კასკა. კიდევ ერთ მონას,—
შენ კარგად იცნობ იმას სახით—ზე აეშვირა
მარცხენა ხელი სრულიად ცეცხლ-მოკიდებული;
ოც მაშხალის ტოლს ანათებდა, მაგრამ უვნებლად
რჩებოდა, თითქო ალი არც კი მოხვედრიაო.
კაპიტოლს ახლო შემხვდა კიდევ მე ერთი ლომი,—
მას აქეთ აღარ ჩამიგია ხმალი ქარქაშში—
შემომხედა და გამიარა უკმეხად გვერდზე,
ისე რომ არა უვნია-რა. მერე მივაწყდი
ერთგან ასამდე გაფითრებულს, დამფრთხალს დედაკაცს,
რომელთაც ფიცით დამაჯერეს, ჩვენ თვით ვნახეთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცნი მაკალნი ქუჩა-ქუჩა ცეცხლ-მოდებულნი.
გუშინაც სწორედ შუადღისას ღამის ფრინველი
ჩამომჯდარიყო მოედანზედ და გაჰკიოდა.
როცა ამდენი სასწაული ერთბაშად ხდება,
ნურავინ იტყვის, ბუნებრივი მოვლენაა,
თავის მიზეზი ყველას აქვსო; არა, მერწმუნე,
უბედურებას ნიშნავს რასმე, კარგს არ გვიქადის.

ციცერო. ჰო, უცნაური დრო დაგვიდგა, მაგრამ კი ზოგჯერ
კაცთ უყვართ ახსნა მოვლენათა თავისებურად
და მებნა ისეთ მიზეზისა, რაც არ არსებობს.—
ხვალ კეისარი კაპიტოლში მოვა?

კასკა. ჰო, მოვა.
თითონვე უთხრა ანტონიუსს, რომ ეს გაცნობოს.

ციცერო. მშვიდობით, კასკა! ეს ავდარი და მრისხანე ცა
როდი უხდება სეირნობას.

კასკა. მშვიდობით იყავ.

(ციცერო გადის, შემოდის **კასიუს.**)

კასიუს. ვინ არის აქა?

კასკა. რომაელი.

კასიუს. კასკა, შენა ხარ?
ხმაზედ გიცანი.

კასკა. უურ-მახვილი ყოფილხარ სწორედ.—
კასიუს, ჰხედავ, რა ღამეა?

კასიუს. კარგურ კაცთათვის
ეს ჩინებული ღამე არის.

კასკა. კვლავ ვის უნახავს
მუქარა ცისა ესეთ რისხვით?

კასიუს. მას, ვინც კი იცის,
რომ ეს ქვეყანა ბოროტებით არის აღსავსე.
მე ქუჩა-ქუჩა დავდიოდი ამ ღამეს
გულ-გაღეღილი შეუმკრთალად, როგორაც მხედავ
და შიშველ მკერდსა ზეცის რისხვას მედგრად ვუშვერდი.
არ შევეპოვე თვით ელვასაც, როდესაც იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა აპობდა ცას წამის-წამ ლაჟვარდ ნათელით
და გადმონატყორც ისართათვის მიდებდა მიზნად.

კასკა. რად გიკვირია, ერთი მითხარ, ცათა გამოცდა!
არ იცი განა, რომ კაცთ მართებთ შიში და ძრწოლა,
როს ყოვლად შემძლე ღმერთნი ჩვენდა გასაოცებლად
ჰგზავნიან ზეცით ნიშნებს შიშის მომასწავებელთ?

კასიოს. შენში ვერ ვხედავ მე სიცოცხლის ნაპერწკლებს, კასკა,
რაც გულში უნდა უღვიოდეს ყოველ რომაელს,
ან მიმალული თუ გაქვს სადმე! სუსტი ხარ, სუსტი;
თრთი ფერ-მიხდილი, გაშტერებით შეჰყურებ ცასა
და გიკვირს მისი მრისხანება, ღელვა-მუქარა.
რომ დაუკვირდე მიზეზს ყოველ ამ ქარ-ცეცხლისას,
ნახო, თუ სულნი ქვეყნად რისთვის მიდი-მოდიან,
რისთვის დაჰკარგეს ფრინველთ და მხეცთ მათი იერი,
რად დასულელდნენ ხნიერნი და ბავშვნი დაბრძენდნენ,
ყველა საგანი და ნივთი რად გადასხვაგვარდა,
ბუნება თვისი რად იცვალა და რად მიიღო
შესაზარელი, საოცარი ფერი და სახე,—
მაშინ მიხვდები, ცამ ეს მისთვის მოიმოქმედა,
რომ მათის ნიშნით გააფრთხილოს, შიში მოჰგვაროს
და დაანახვოს ამ ქვეყანას მომავლის სარკე.
ეხლა კი, კასკა, მე შენ ერთ კაცს დაგისახელებ,
სწორედ ამ საშიშ ღამის მზგავსსა: იგი ჰქუხს, ელავს,
საფლავებს არღვევს, კაპიტოლში ბრდღვინავს ლომივით;
თუმცა პირადად ვერ გვაჯობებს ვერც შენ და ვერც მე,
მაგრამ საშიშრად გარდაქმნილა სასწაულებრივ
და ამ უცნაურ ღამის ჭექა-გრგვინვას გვაგონებს.

კასკა. შენ კეისარზედ ლაპარაკობ, არა, კასიოს?

კასიოს. ვინც უნდა იყოს, სულ ერთია. ეს არის, რომ დღეს
მამაპაპური შეგვრჩენია რომაელთ მხოლოდ
სისხლი და ხორცი, ვაჟკაცობა სადღაც გამქრალა.
ვაი, სირცხვილო! ჩვენ ვსულდგმულობთ დედათა სულით
და უღელ ქვეშე ვიტანჯებით ქალაჩუნურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასკა. მართლა, ხვალ თურმე აპირობენ სენატორები
ხელმწიფედ დასმას კეისრისას. ნება ეძლევა,
რომ იტალიის გარდა ყველგან ზღვასა და ხმელზედ
სამეფო გვირგვინს თავს იდგავდეს.

კასიოს. მაშინ მე ვიცი,
სად გავუკვალავ გზას ამ მახვილს; მაშინ კასიოს
თავის თავს თვითვე გამოიხსნის მონობისაგან.
ოჰ, ღმერთნო, სუსტნი ამ საქმისთვის გაამძლიერეთ,
ბოლო მოუღეთ მტარვალობას, დაამხეთ პირქვე!
ძლიერსა და მხნეს ვერ შეხუთავს ვერც ქვის სიმაგრე,
ვერცა კედელი სპილენძისა, ვერც საპყრობილე
წმინდა ჰაერსა მოკლებული, ვერც ბორკილთ ჯაჭვი;
ცხოველი სული ჰპოებს ღონეს მათგან დახსნისას.
მე ვიცი, მაგრამ, მსურს, იცოდეს მთელმა ქვეყანამ,
რომ ძალა შემწევს ამ მონობის მოსაშორებლად.
(ჰქუხს.)

კასკა. აგრეთვე მეცა: ყოველ მონას თვის ხელთ უპყრია
თავის გამოხსნის იარაღი.

კასიოს. მაშ კეისარი
რაღამ გარდაჰქმნა ჩვენს მტარვალად. საბრალო სული!
არ იკისრებდა იგი მგლობას, რომ რომაელნი
ცხვრები არ ვიყოთ; შვლებად გვსახავს და ჰბამავს ლომსა.
ვისაც საჩქაროდ სურს ანთება დიდის ცეცხლისა,
უნდა მიმართოს მცირე ჩალას. მერე ეს რომი
სხვად აღარ ვარგა, თუ არ ნაფოტ-ჩალა-ბულადა,
რომ ესეთ ცეცხლის შუქს აყენებს უღირსს კეისარს!
მაგრამ რას ვშვრები, ვისთანა მაქვს ეს ლაპარაკი?
იქნება ერთ-ერთ ყურ-მოჭრილ და მორჩილ მონასთან,
მაშინ ამ თქმისთვის ხომ მომთხოვენ პასუხი გავცემ.
მერე რა! ხმალი გვერდს მარტყია და შიშს არ ვუკრთი.

კასკა. შენს წინ კასკა სდგას, მაბეზღარი არ არის იგი
და არც ეწყობა მითქმა-მოთქმას. აი ეს ხელი;
ეცადე ქვეყნის მორჯულებას, მედგრად იბრძოლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც შენთან ვარ; კასკა უკან არ ჩამორჩება.

კასიოს. პირობა იყოს მაშ შეკრული. იცოდე, კასკა,
რომ რამდენიმე რომაელი კეთილშობილი
დავიყოლიე ერთ დიდებულ საშიშ საქმისთვის;
ეხლა ისინი პომპეოსის კართან მელიან.
დრო მარჯვე არის, ქუჩა-ქუჩა არავინ დადის
ამ საშიშ ღამეს, თითქო განგებ შეფერებულსა
ჩვენს სისხლის მწყურვალ, ცეცხლ-მოდებულ განაზრა-
ხებთან.

კასკა. პატარა მიდეგ, ვიღაც მოდის აქეთ საჩქაროდ.

კასიოს. ეგ ცინა არის, ჩვენთაგანი, ნაბიჯზედ ვატყობ.—
(შემოდის ცინა.)
სად მირბი, ცინა?

ცინა. მე შენ გეძებ. ეგ ვინ არის,
მეტელოს ციმბერ?

კასიოს. არა, ცინა, ეგ არის კასკა
წილ-ნადებული ჩვენს საქმეში.— იქ მელიან მე?

ცინა. დიდად მიამა.— რა საშიში ღამე დაგვიდგა!
უცნაურს ამბავს დასწრებიან ზოგნი ჩვენგანნი.

კასიოს. მელიან-მეთქი, მე შენ გკითხავ.

ცინა. ჰო, როგორ არა.—
ოჰ, ნეტა ბრუტოს 'კი მოიმხრო ამ ჩვენ საქმისთვის.

კასიოს. ნუ გეფიქრება, ჩემო ცინა; შენ ეს ქაღალდი
პრეტორის სელზედ ისე დასდე, ბრუტოსმა ნახოს;
ესეც სარკმელში შეუსროლე და ეს მესამეც
ძველი ბრუტოსის ქანდაკს წმინდა სანთლით დააკარ;
მასუკან მოდი პომპეოსის კართან, იქ გვნახავ.
დეციოს ბრუტოს, ტრებონიოს, ხომ იქ არიან?

ცინა. სულ იქ არიან მეტელოსის გარდა ყველანი
და ისიც შენსას წამოვიდა. მაშ დავაშურებ
და, როგორც მითხარ, ამ ქაღალდებს ისე გავფანტავ.

კასიოს. მერე უთუოდ პომპეოსის თეატრთან მოდი.
(ცინა გადის.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, კასკა, უნდა თავის სახლში ვნახოთ ბრუტოსი
გათენებამდე. სამი წილი მისი ჩვენია,
ამ ნახვის შემდეგ სრულად უნდა დავისაკუთროთ.

კასკა. ოჰ, ბრუტოს მეტად მიჩნეული ჰყავთ რომაელთა:
ჩვენ რომ ბოროტი მოვიქმედოთ, ქვეყანა დაგვგმობს,
მაგრამ იმისი სახელი ამ ბოროტს გარდაჰქმნის
რაღაც თილისმით სათნოებად და კეთილ საქმედ.

კასიოს. შენ სწორედა სჯი მასზედ, იმის ღირსებაზედაც
და ისიც გესმის, თუ მის შველას ვით ვსაჭიროებთ.
ეხლა წავიდეთ, შუაღამე გადასულია,
უნდა ბრუტოსი გავაღვიძოთ, სრულად მოვიმხროთ.

(გადიან.)

ი. მაჩაბელი

(შემდეგი იქნება)

———8———

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი

დიდი ხნის გამოცდილებამ და საქართველოს წარსულის ისტორიის ცოდნამ ერეკლე მეფე დაარწმუნა, რომ ძლიერნი თავადნი ფრიად მავნებელნი იყვნენ სამეფოს ერთობისათვის. ამ მოსაზრების გამო, როდესაც კი მეფეს გარეშე მტერთაგან მოცალეობა ეძლეოდა, მისი უმთავრესი საზრუნველი, სხვათა შორის, გაძლიერებულ თავადთა დაუძლურება და დამონავება იყო. კიდეც შეასრულა გონიერმა მეფემ ერთ-მთავრობისთვის სასარგებლო საქმე, მაგრამ ციხე ყოველთვის შიგნიდან გატეხილა: დიდის შრომითა და ღვაწლით სისრულეში მოყვანილმა საპოლიტიკო საქმემ ამაოდ ჩაიარა სამეფო სახლის წევრთა არევ-დარევისა გამო და ნაცვლად სარგებლობისა დიდი უბედურება მოახვია თავს ქვეყანას. რომელსამე ძლიერს თავადს რომ შეჰმუსრავდა, ჩამორთმეულს ყმა-მამულს უბოძებდა თავის ერთ-ერთ შვილსა საუფლისწულოდ. ვახტანგი არაგვზედ, იულონი ცხინვალში, ფარნაოზი მარტყოფში და სხვ. პატარა მეფეებად ჰსახავდნენ თავიანთ თავსა და მეფის მოურავებს არაფერში არ ემორჩილებოდნენ. არავის და ქსნის ერისთავები დაუძლურებულნი, დანიავებულნი იყვნენ ესრეთის პოლიტიკით; მუხრანბატონის და დიასამიძის სახლი ვახტანგ VI შემდეგ ჯერ წელში არ იყო გაშლილი; ციციანთ საგვარეულო დაქსაქსული იყო და დანარჩენთა თავად-აზნაურთა საგვარეულონი, ურთიერთ შორის ბრძოლით დაქანცულნი, უძალონი იყვნენ და არავითარი შიში არ იყო იმათი.

მხოლოდ ერთი ამილახვარი იყო ქართლ-კახეთში ძლიერი თავადი, სამი საუკუნის განმავლობაში სამეფო ოჯახთან მოყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით დაკავშირებული და მკვიდრად დაბინავებული, დიდის მთა-ბარის და ყმა-მამულის შემოსავლით ზურგ-გამაგრებული: ამილახვრის ოჯახი საქართველოს სამეფოში თითქოს ცალკე სამეფო იყო. ხშირად ქართლის მეფე შურის თვალით უყურებდა ამილახვრის ოჯახის დიდს შეძლებასა და დოვლათსა და ხშირად სამეფოს ხსნა მტერთაგან ამილახვარზედ იყო დამოკიდებული. საკმაოა დავასახელოთ: თაყა ამილახვარი (1420—1470), ბარძიმ ამილახვარი (1544—1590), პაპუნა (1591—1624), ანდუყაფარი (1625—1630), იოთამი (1631—1658), გივი I (1659—1694), ვახტანგი, გივი II, ოთარი და სხვ. მრავალნი, რომელთა დროშის ქვეშ თავს იყრიდა მთელი ზემო-ქართლის ჯარი და ამილახვრის ბრძანებით მოქმედებდა ბრძოლის ველზედ,—და მაშინ დავრწმუნდებით, რომ თუ ძლიერ ბაგრატ IV-ს (1027—1072 წ.) უფრთხობდა ძილსა გალაღებული ლიპარიტ ორბელიანი, არც ერეკლეს და თეიმურაზს აფიქრებდა ნაკლებად ძლიერება გივი ამილახვრისა (1723—1742—1754 წ.).

ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლების შემდეგ (1724 წ.), თითქმის ოც და ხუთის წლის განმავლობაში ამილახვარი ერთი უმთავრესი დიდებულთაგანია ქართლ-კახეთის ისტორიაში. ამისათვის ერეკლეს ნიშანში ჰქონდა ამოღებული ამილახვრის დაუძლურება: ამისი მიზეზი ხომ პირდაპირ ჰღაღადებდა კიდეც საქვეყნოდ. ვახტანგ VI სამეფო ოჯახი და ამილახვარნი იყვნენ დამოყვრებულნი. ამისათვის გივი და დემეტრე ამილახვარნი იდუმალ ცდილობდნენ ვახტანგ VI ერთ-ერთი შვილის გამეფებასა და მიწერ-მოწერაცა ჰქონდათ.*) ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლების შემდეგ, რაკი სპარსელები მომხრეობდნენ ნაზარ-ალი-ხანის შთამომავლობას (კახეთის სამეფოს მემკვიდრეთ), გივი ამილახვარი მიემხრო ოსმალებს იესე მეფის გამო; მაგრამ დარწმუნდა თუ არა გივი, რომ ოსმალნი სპარსელებზე უარესი მტერნი იყვნენ ქართლისათვის, ერთს ღამეს შეეტყუა ოსმა-

*) იხ. Переп. грузин. царей съ рус. государ. 198, 203 და 190 გვერდი; აგრეთვე ქ.-ცხ. 339 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს გორის ციხეში სამოცის რჩეული მხლებლით და ერთიანად ამოჟლიტა (ქ.-ცხ. 338 გ.). ამ საქმით თავზარ-დაცემულმა ოსმალებმა ტფილისი საჩქაროდ დაცალეს და გაეშურნენ ჯავახეთისაკენ, ქართლზე ავლაც ვეღარ გაბედეს გივის გამო. გივი მიეხმრო შაჰნადირს და ქალი მიათხოვა (თამარი თეიმურაზ იასესძის, შემდეგ ანტონ I-ის დანიშნული), თუმცა უნებლიედ. მაგრამ რაკი შაჰნადირმა 1735 ოქტომბრის 25 ქართლის მეფობა უბოძა მამადულის-ხანის შვილს ალექსანდრეს (ალიმირზას) და კახეთისა თეიმურაზ ერეკლეს (ნაზარ-ალი ხანის) ძეს, გივი გაბრაზდა და კვლავ ვახტანგ VI-ის შთამომავლობის გამეფების საქმეს შეუდგა. გივი ებრძოდა სპარსელებს—თეიმურაზის მომხრეებს 1740—1745 წელთა შორის და თავი მოიხარა მხოლოდ თამარ დედოფლის ვახტანგის ასულის (თეიმურაზ II მეუღლის) თხოვნის შემდეგ. თეიმურაზმა და ერეკლემ გივს ჩამოართვეს გორის მოურაობა და ამილახვრობა (ესე იგი ამილახვართა ოჯახის უფროსობა); გაუორგულეს ბიძაშვილები—ჯერ ამირინდო, მერე რევაზ აეთანდილის ძენი. ბოლოს დემეტრეც, ახალ-დაბის ციხეში გამაგრებული 1744 წ. (375 გვ. ქ.-ცხ.; 1745—1747 წ. იყო მხოლოდ; მერე ამირინდოს უბოძეს. ქ.-ცხ. 376, 408 გგ.). ამილახვრობა და გორის მოურაობა უბოძეს გივის ბიძაშვილს დემეტრეს გიორგისძეს († 1723 წ.), რა კი მოსარჩლედ ძლიერნი თავადნი ჰყვანდათ სამეფო კარზედ. გივის და დემეტრეს ბებია თამარი იყო ნაშობი როდამისა (ვახტანგ V მეუღლე), ყაფლან ორბელიანის ასულისა; გივის მეუღლე ბანგუა იყო სარდლის ლუარსაბ ორბელიანის ასული; დემეტრეს მეუღლე მარიამი—ასული დიმიტრი რევაზისძე ორბელიანისა. მარიამის ძმები—ყაფლან, ვახტანგ მეფის კარზედ დიაღ დიდად ექომაგებოდნენ.

დემეტრე ამილახვარი ორი წლის მეტი არა ყოფილა ამილახვრად, 1747 წ. ჩამოართვა ერეკლემ ეს უფროსობა და ამირინდო აეთანდილისძეს უბოძა, რაკი დემეტრე მწუხარებით

იგონებდა გივის მოტყუებით სპარსეთში ტყვედ გაგზავნას და აბდულ-ბეგს მხარს უჭერდა. ამგვარად ერეკლე მეფემ ზურგი შეაქცია დემეტრე ამილახვარს, მაგრამ დრომდე: 1750 წ. გივი ამილახვარი რომ დიდის მორჩმით და სახელით დაბრუნდა ტფილისში, დემეტრე წელში გაიშალა. აი ამ დროს ერეკლემ და თეიმურაზმა ისევ წყალობის თვალით დაუწყეს მოპყრობა გივს და დემეტრეს და მოყვრობა ჩამოაგდეს ერთმანერთში: ერეკლეს პატარა ქალი ელისაბედი (დაიბადა 25 მარტს 1750 წ.) დემეტრეს შვილს გიორგიზედ (დაიბადა 1748 წ.) დანიშნეს. გივს ტფილისის მოურაობა უბოძეს და ქარ[illegible]ლში აღარ გაუშვეს. ამ გვარად ერეკლემ დააწყნარა ძლიერი ამილახვარი, დიდის სიმდიდრის პატრონი მთელ საქართველოში. გიორგის და ელისაბედს ჯვარი დასწერეს 1759 წ. ამის შემდეგ დიდის მოხერხებით შეაერთა ერეკლემ ქართლ-კახეთის სამეფო და ერთ-მეფე იქმნა 1762 წლიდან. რომ რუსეთში მყოფთა მოწინააღმდეგეთა დასი შეესუსტებინა და აღედგინა დაკარგული საქართველოს კათოლიკოსობა, ერეკლემ კვლავ მოიწვია ანტონ I რუსეთიდან. 1764 წ. ოქტომბერში მოახდინა მღვდელთ-მთავართა კრება „განმართვად ქრისტეანებრიეთა წესთა“ ანტონის მეთაურობით და დაიმტკიცა ქართლ-კახეთის მეფობა. სპარსეთი უძლური იყო ამ დროს, ოსმალეთს საქმეები აწეწილი ჰქონდა ევროპაში, ლეკნიც ალაგმულნი იყვნენ. ამის გამო ერეკლე დაადგა სამეფოს ეკონომიურად გაძლიერების გზასა.

1763 წ. დემეტრეს მეუღლე დაწვა ლოგინზედ ტფილისში, საკუთარ სახლში, ანჩისხატის ჩრდილოეთის მხრივ მტკვრის ნაპირად, და, ვიდრე ლოგინს აილაგებდა, სახლი ჩაინგრა მტკვარში და მხოლოდ მესამე დღეს იპოვეს საბრალო მარიამი (შობიდან 33 წლისა) ნანგრევებში საშინლად დასახიჩრებული. ამ დროს დემეტრე ჭალაში იყო და იქ გაუმჟღავნეს ეს უბედურება. მიცვალებულის წასასვენებლად სამთავისში დემეტრემ გამოგზავნა საგვარეულო ლაშქარი და თვით კი შვილებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესაობით მოეგება საბაჟოს თავს, ოკმის მინდვრის პირად, მრავალ სამღვდელოთა დასით კირილე სამთავნელ ეპისკოპოსიანთ. მიცვალებულის დასაფლავებას დაესწრო ერეკლე მეფეც თავის ამალით. ამის შემდეგ ელისაბედი ჭალაში დარჩა, მაგრამ მხოლოდ ცხრა თვე; მერე დაბრუნდა მამასთან ტფილისში და ფეხი აღარ დაუდგამს ჭალის არე-მარეზე. ახალგაზდა ცოლ-ქმარნი, გიორგი და ელისაბედი ბედნიერად სცხოვრობდნენ 1765 წ. გაზაფხულამდე. ამ დროს დემეტრე ამილახვარი ერეკლე მეფესთან იყო სტუმრად ტფილისში. უცებ, მეჯლი'შის დროს დაიძახეს მდევარი—არიქათ, ავჭალისკენ ლეკის თარეშში გადიარაო!—ვინ ცხენით და ვინ ქვეითი—ეცნენ ყველანი დიდებისაკენ. დემეტრე მოაჯდა ცხენს და გაექანა; ჯერ ვანქის საყდარს არ გასცილებოდნენ, რომ დემეტრეს წამოეწია გაქანებული ცხენი და თხრილში გადავარდა ცხენიანად: დემეტრეს თავი გაუტყდა საშინლად და მხარი ამოვარდა. ეს შემთხვევა 1765 წელს გაზაფხულზედ მოხდა. ულონოდ მყოფი დემეტრე იქვე ვანქის ეზოში შეაბრუნეს და სომხის ეპისკოპოსთან დააწვინეს და რამდენიმე დღე ისე უგონოდ იყო, რომ ქვეყნიერობისა არა გაუგია-რა. შემდეგ გონსმოსული დემეტრე თავის სახლში გადაიყვანეს და ორ თვემდე იწვა ლოგინში. ამ ავადმყოფობის დროს სანახავად დაიარებოდნენ მთელი დიდკაცობა, მაგრამ ერეკლე მეფემ კი არ ინახულა და არც ელისაბედი გააწუწანა სანახავად. სწორედ ამ დროს ათქმევინა ერეკლემ უარი თავის ქალს ელისაბედს—ჩემს ქმარს (გიორგი ამილახვარს) კაცობა არა აქვსო. ამისთვის ერეკლეს განკარგულებით ანტონ კათალიკოზმა კრების განაჩენით ელისაბედი განაშორა გიორგი ამილახვარსა და სხვას მიათხოვეს. ესრეთი თავზარ-დამცემი განაჩენი მეფისა და კათალიკოზისა ჯერეთ ისევ ავადმყოფ დემეტრეს გაუმძღავნეს ორმა არქიმანდრიტმა და ორმა სახლთ-ხუცესმა. ამ ამბავზედ დემეტრემ მწარე ღიმილით ჩაიცინა—„რომელნი ღმერთმან შეაუღლა, კაცნი ნუ განაშორებენ“-ს რაღა უყვესო?—ჰკითხა დემეტრემ არქიმანდრიტებს და სახლთ-ხუცესებს. ბოლოს მძიმედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიოხრა—„თუ არ მოვკვდე, ყველეს გადავუხდი ჩემს გაბი-აბრუებასაო“. ეს მუქარა ერეკლეს უამბეს და ეს იყო და ეს: ერეკლე ხელზედ დასახვევ მიზეს-ღა ეძებდა დემეტრეს შესამუსრავად და ეგ მიზეზიც მალე გამოტყვრა.

მეფე ვახტანგ VI რომ რუსეთში გადასახლდა 1724 წ. სხვათა შორის მისს სახლობაში ითვლებოდა ჯერეთ ყრმა პაატა ბატონიშვილი, ვახტანგის უკანონო შვილი, ღვიძლი ძმა მეისტორიე ვახუშტი ბატონიშვილისა. პაატა სასწავლებლად მიაბარეს რუსეთის თოფჩიხანო სამხედრო სკოლაში. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (1737 წ. 26 მარტს, ასტრახანში), პაატა გაიპარა და ევროპაში გავიდა. თითქმის თორმეტი წლის განმავალობაში მოიარა განათლებული ევროპის საუკეთესო სახელმწიფონი—გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, შეისწავლა ზედმიწევნით სამხედრო თოფჩიხანო მეცნიერება артилерійская наука და სტამბოლზედ ტფილისში მოვიდა—1751 წ. შემოდგომაზედ. აქ მეფე თეიმურაზი დიდის პატივით დაუხვდა, უმასპინძლა და საცხოვრებლად ერთი სასახლეთაგანი მიუჩინა ანჩხატის ჩრდილოეთით, მუხრანიანთ ხიდის ყურზედ. პაატა ბატონიშვილი, რასაკვირველია, აბდულა-ბეგის (თავის ბიძაშვილის) პოლიტიკის განმგრძობი იყო, მოვიდა საქართველოში ვითარც ქართლის სამეფო ტახტის მეძიებელი და დიდის საიდუმლოებით მოქმედებდა. თეიმურაზს და ერეკლეს კი პაატას მოსვლა უხაროდათ კიდეც—თოფჩიხანის საქმეს მოვაწყობინებთ ევროპულად და მტრებს ადვილად მოვიგერებთო. პაატას კი აზრადაც არ მოსდიოდა თეიმურაზის და ერეკლეს მოხმარებოდა რითიმე; პირიქით, მტრებს უქეზებდა და თვით ერეკლეს სახიფათო გზაზედ უმართავდა ხელსა. 1753 წ. იანვარში თეიმურაზმა და ერეკლემ გაილაშქრეს ნუხის ხანს აჯიჩალაბეზედ და განჯაში ჩასულებმა პაატა ბატონიშვილი დაიბარეს, რაკი შეთქმულობის გზას ადგა მეფეების სამტროდ. პაატა არ წავიდა. ამისათვის მეფეების ბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით დაიჭირეს და მეტეხის ციხეში დააპატიმრეს და ყარაული დაუყენეს. ერთის წლის შემდეგ (1754 წ. აპრილში) ერეკლემ გაათავისუფლა პაატა, წაიყვანა კახეთში და პატივით ამყოფებდა თავისთან. მაგრამ პაატა ოსტატურად გაეპარა ერეკლეს და იმერეთში ამოჰყო თავი და ძლიერ თავადებს შეეფარა—ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა: მეფე სოლომონმა გაიმარჯვა და ტახტზედ დამკვიდრდა. ამისათვის პაატა გავიდა რუსეთში და ახლა იქიდან იწყო თეიმურაზის და ერეკლეს სამტროდ მოქმედება ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილთან ერთად. ამ დროს ანტონ კათალიკოზიც ახალი მისული იყო რუსეთში. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ (1761 წ.) გონიერმა ერეკლემ ანტონ კათალიკოზი დაიბარა რუსეთიდან და საიდუმლოდ სთხოვა—თან წამოიყვანე პაატა ბატონიშვილიო და შეგვარიგეო. ამგვარად დაშალა ერეკლემ თავის მოწინააღმდეგეთა დასი რუსეთში. წელიწად ნახევარიც არ გავიდა, რომ პაატა ბატონიშვილი კვლავ შეუდგა თავის დიდი ხნის განზრახვის სისრულეში მოყვანასა და ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულობას მიჰყო ხელი.

პაატა ბატონიშვილს დიდი ნათესაობა ჰყვანდა ქართლში: ციციშვილთან, თაქთაქიშვილთან და ამილახვართან პაატა შინაური კაცი იყო, სული და გული გაერთებული ჰქონდა. ეს სამივე ძლიერი თავადნი გულ-ნაკლული იყვნენ ერეკლეზე. ამ გარემოებით ისარგებლა პაატამ და კიდეც ამათ გაანდო თავისი საიდუმლო განზრახვა.

ამ დროს დემეტრე ამილახვარი ჯერ წელში არ იყო გაშლილი, მწუხარებისაგან მეტად დაძაბუნებული იყო: ჯერ ცოლის ისე უბედურად დაღუპვამ, მერე საქვეყნოდ მეფისაგან მიყენებულმა შეურაცხებამ და ახლა ორი-სამი თვის განმავლობაში ავადყოფნამ, სულ ორი წლის განმავლობაში ასე თავდატეხილმა ამდენმა უბედურებამ დემეტრე წელში მოხარა და უკეთესის მერმისისათვის ყოველივე იმედი გაუქარწყლა.

ამიტომ დემეტრემ ურჩია პაატას, თავი დაანებე მაგ საშიშს განზრახვასაო, ან არა-და ძალიან ფრთხილად მოიქეციო. „ესრე ძრიელი ჯერ ერეკლე არა დროს არ ყოფილაო“, ეუბნებოდა დემეტრე. მაგრამ პაატამ ყური არ უგდო: ქართლ-კახეთში ვინც კი თავისიანი ეგულებოდა, ყველას აცნობა და ეხვეწებოდა, მზად იყავითო და ხელი მომიმართეთო. პაატას მარჯვენა ხელი იყო ახალგაზდა არდაშელ თაქთაქიშვილი. ესრე გადასწყვიტა პაატამ—ან გამეფებულიყო, ან მომკვდარიყო; მაგრამ ვიდრე იგი საქმეს შეუდგებოდა, ერეკლემ უკვე დაწვრილებით გაიგო მისი განზრახვა.

პაატა და არდაშელ ელისბარის ძე თაქთაქიშვილი რომ დიდს სამზადში იყვნენ და ჰფიქრობდნენ როგორ ამოეწყვიტოთ ერეკლე თავის ცოლშვილითაო—ამ გარემოების დამსწრე იყო თურმე ერთ-ერთი მოსამსახურე თაქთაქიშვილისა; მაგ მოსამსახურეს კოლი გამზრდელი—ძიძა იყო ერეკლეს ძის ორის წლის თეიმურაზისა (შემდეგ კათალიკოზი ანტონ II). ქმარმა ცოლს უამბო ყოველივე, ძიძამ—დარეჯან დედოფალსა. შეიქნა ალიაქოთი. ჭკვიანმა ერეკლემ, ყიზილბაშთა მბრძანებლების თვალ-წინ აღზრდილმა და გამოცდილმა—იმ ღამესვე დაპერინა პაატა ბატონიშვილი და მამა-შვილნი თაქთაქიშვილები, ციციშვილი და ამილახვარი დემეტრე.

ორი კვირის განმავლობაში ერეკლემ სრულიად გამოიძია და შეიტყო შეთქმულთა თავდარიგი; მოახდინა საერო კრება და განსასჯელად წარუდგინა დამნაშავენი. კრებამ ყველა მათგანს სასჯელი გადაუწყვიტა. ესრეთი საერო კრების გარდაწყვეტილება უნდა აღესრულებინათ 15 ქრისტეშობისთვეს ხუთშაბათ დღეს. ახლო-მახლო სოფლებიდან დიდი ხალხი მოაწყდა ქალაქსა, წინადღითვე ტევა აღარ იყო.

გათენდა ხუთშაბათ დილა, ცა მოღრუბლულიყო და ქვემო ნიავი მოსისინებდა. ავლაბრის კლდეზედ აუარებელი ხალხი—ქალი და კაცი გადმომდგარიყო, კლდის ფერდობი მთლად ხალხით შეფენილიყო. მტკვრის გამოღმა ავლაბრის ხიდიდან ანჩისხატის ტაძრამდე ხალხით ავსილიყო და ელოდნენ დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშავეთა დასჯის შესრულებასა. დაბლა მოკრიალებულ რიყეზედ წინა დღითვე მოეტანათ ოთხ ურმამდე წალამი და კოშკივით დაედგათ და გარშემო ერთ ურმამდე თივა შემოეყარათ. მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და სუფრაჯი ზურაბი იყვნენ დადგენილნი საერო კრების განაჩენის აღსასრულებლად. იგინი დილიდანვე შესდგომოდნენ განაჩენის წესიერად აღსრულებასა; ცხენ და ცხენ აქეთ-იქით ტრიალებდნენ რიყეზედ და ხელქვევითთა აძლევდნენ სხვა-და-სხვა განკარგულებასა. აგერ მოიყვანეს დამნაშავენი ამ რიგით: პაატა ბატონიშვილი, ელისბარ თაქთაქიშვილი, მისი შვილი ახალგაზდა არდაშელი, გლახა ციციშვილი, 15 წლის ამილახვარი ალექსანდრე და მისი მამა დემეტრე. დამნაშავენი მწკრივად რომ დააყენეს და მათ წინ შედგა მდივანბეგი ქაიხოსრო ხელში განაჩენით, ირგვლივ მთელ იმ არე მარეზე დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. ქაიხოსრომ წაუკითხა დამნაშავეებს საერო კრების განაჩენი და გამოუცხადა სასჯელი; ამის შემდეგ წინ წამოაყენეს პაატა ბატონიშვილი, რომელსაც იქვე მდგომმა ჯალათმა ერთის ხმლის შემოკვრით თავი გააგდებინა; ელისბარი ორმა ჯარის კაცმა შეიყვანა წალმის კოშკში და ამოუქოლეს კარი წალმითვე, მისცეს ირგვლივ ცეცხლი და დასწვეს; ამავე დროს ელისბარის შვილს მარჯვენა ხელი მოაჭრეს და თვალები დასთხარეს; გლახა ციციშვილს ენა მოაჭრეს, ალექსანდრე ამილახვარს ბარძაყის ძარღვები დაუჭრეს; დემეტრე ამილახვარი სახედარზედ შესვეს და ისე აატარა-ჩამოატარეს რიყეზედ. (ქ.-ცხ. 506 გვ.) ყოველივე ეს ისე მარდათ, ერთსა და იმავე დროს შესრულდა, რომ ხალხმა ვერც კი მოასწრო რიგიანად დაენახა ყველაფერი.

მიწასთან გასწორებული, ქვეყანაში გამოწყვეტილი დემეტრე ამილახვარი ჩაიკეტა სახლში და გარეთ აღარ გამოდიოდა. ოთხი წელიწადი გაატარა ანჩისხატის გვერდზე თავის სახლში ყარაულებით გარშემორტყმული. ერეკლემ ამით არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთავა სასჯელი დემეტრეს: მთელი ყმა-მამული ჩამოართვა და თავის შვილებს ჩააბარა საუფლისწულოდ: ჯერ ლევანს, მერე ალმასხანს, მერე ფარნაოზს და ბოლოს იულონს. დემეტრე სცხოვრებდა დიდს ძველ სასახლეში, მომდურავი თავის ბედისა. მისი შვილი კუნთებ-დაჭრილი ალექსანდრე ფრანგის ბერმა მოარჩინა მეშვიდე თვეზედ, და ამის შემდეგ მამასთან სცხოვრებდა 1770 წ.

ერეკლე მეფემ რამდენჯერმე მიუგზავნა კაცი დემეტრეს—„ჩვენ რომ შევრიგდეთ, ჩვენი შვილები ველარ მორიგდებიან და ერთმანეთს ამოსწყვეტენო; გირჩევ წახვიდე საითმე, ჩემის ხარჯით გაგისტუმრებო“. დემეტრე უარს უთვლიდა—სიცოცხლითვე მკვდარი საცა უნდა ვეგდო, ვის რას დავუშავებ, მე წასასვლელი არსაით არა ვარო.—„შენი ნებაა, მაგრამ არეულობა რომ მოხდეს და აგიტეხონ რამე, ჩემი ბრალი არ იყოსო“, ასე მოიხადა ბრალი ერეკლემ.

1770 წ. თიბათვეში ჭირიანობა გაძლიერდა და ამის გამო ტფილისის მცხოვრებნი აქეთ-იქით გარბოდნენ და იხიზნებოდნენ. ამ დროს ტფილისში მყოფი ალექსანდრე ამილახვარი, შობიდან ოცის წლისა, გაიპარა ერთის მსახურით, ახნაურიშვილის ბენიამენით მამის ჩუმად. იოანე და ნიკოლოზი სხვა ძმებით ჰალას ძველ სასახლეში იყვნენ. ალექსანდრეს დიღმის წყალზედ თეთრ-დუქანთან ყარაულები დახვდნენ და არ უშვებდნენ. „ჭირიანობას გამოექეცოო, უნდა გავიხიზნოვო“, მიუგო ალექსანდრემ და თავისი ვინაობა დაუმალა. აიარა დიღმის მინდორი, მუხათ გველდი და მცხეთამდე მთელი ღამე იარა; მეორე დილით ისევ ბნელოდა, რომ ძეგვში ავიდა; აქ პატარა ჩაიძინა. მზის ამოსვლისას ადგა და უგზო-უკვლოდ გაუდგა გზას და საღამომდე გომში მივიდა; აქ ყანაში დაიმალა (დამდეგ მკათათვე იყო); გათენებისას მეტეხში გადვიდა, გზაში ყველა ერიდებოდა ჭირიანიაო. ხიდისთავის ბოლოზედ გაეიდა ურმით მტკვარში, ავიდა კვერნაჯზედ, გადმოხტა გორს და გადაეშვა ტირიფანაში ჰალისაკენ; მაგრამ გზა აერია და რის ვაი-ვაგლახით ბერბუკში მივიდა. მეოთხე დღეს ჩავი-

და ჰალაში და ნახა თავისი ძმები დიდს სიღარიბეში, უფროსი ძმა იოანე ქართლისაკენ წასულიყო აზნაურიშვილებში პურის მოსაგროვებლად. მეორე საღამოს ალექსანდრემ გაიყოლა ნიკოლოზი და გასწია იოანეს საძებნელად, ჩამოხდნენ ბერბუკში; ალექსანდრე აქ დარჩა და ნიკოლოზი იოანეს მოსაძებნად გაგზანა. მეორე დღეს იოანე მოვიდა გახარებული. წავიდნენ ცხენით ფხვენისში აზნაურ ბარამთან. აქედან ცხინვალში ავიდნენ. აქ მოვიდა მსახური ბენიამენი და უამბო ტფილისში როგორ ეძებდნენ ალექსანდრეს ვერის ბაღებში.

ცხინვალიდან სამივ ძმები რაჭაზედ გადავიდნენ სოლომონ მეფესთან, რომელმაც აღუთქვა წყალობა—სადაც გინდათ, სოფელს მოგაცემთო. მე ერეკლეს ორჯერ ვთხოვე დაებრუნებინა თქვენთვის ყმა და მამული და პატივი არა მცაო. იმერეთში არ დადგნენ. მეფე სოლომონის წერილებით და კაცით ჩერქეზეთში გადავიდნენ სამნივ ძმანი ორის მსახურით. ჩერქეზ ბატონთან სამი დღე დარჩნენ, რაკი შინ არ იყო, ყიზლარში ყოფილიყო. გავიდნენ მოზდოკში, ყიზლარში. აქ ჩერქეზ ბატონმა სამი ცხენი მისცა იოანეს და ნიკოლოზს და კაცი აახლა დერბენდამდე. ძმები ტირილით გაშორდნენ ერთმანეთს. იოანემ და ნიკოლოზმა სპარსეთისკენ გასწიეს; ალექსანდრე კი უნდა წასულიყო მოსკოვში. ასე მოილაპარაკეს ძმებმა და გაშორდნენ ბედის საცდელად.

ალექსანდრე ორი კვირა დარჩა ყიზლარში; აქედან წასული მეხუთე დღეს ასტრახანში მივიდა. ასტრახანში ორი თვე დარჩა და მხოლოდ 21 დეკემბერს 1771 წ. წავიდა მოსკოვში. აქ იწყო ბატონიშვილ ალექსანდრე ბაქარის ძესთან და სხვ. ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედება და 1779 წ. პეტერბურგში დაბეჭდა რუსულად წიგნი „Исторія Георгіанская о юношѣ князѣ Амилахваровѣ“ ქართულიდან თარგმნილი И. С. მიერ *). სადაც ირაკლის მოიხსენებს ეიმარცა სისხლის მსმელსა და ბოროტებით აღსავსესა დესპოტსა. ორჯერ კიდეც შე-

*) ამ წიგნის ქართული ავტოგრაფი დღეს აქვს თ. ივანე გივის ძე ამილახვარს. პირი გადაწერილი მაქვს მე.

უშალა ხელი ერეკლეს: ერთი 1772 წ. და მეორედ 1780 წ. 1783 წ. ივლისის 28 დადგენილი ტრაქტატი ერთის მხრივ ნაყოფი იყო რუსეთში მოწინააღმდეგე დასის მოქმედებისა. ამაზედ მერე იყოს.

დემეტრე ამილახვარი ასე უმწეოდ დარჩენილი და გაბეზრებული, ტფილისიდან ჭალაში ავიდა მხოლოდ 1771 წ. იანვარში. აქ ჭალაში ორი წელიწადი გაატარა დიდის მწუხარებით. ამ ხნის განმავლობაში ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ დემეტრე ამილახვარს მაგდენი დანაშაული არა ჰქონდა რა და სინანული დაიწყო. ბოლოს 1773 წ. იანვარში მიბძანდა ჭალაში და ნახა მწუხარებისაგან ჩამომხმარი დემეტრე ამილახვარი. მეფემ ბოდიში მოითხოვა—„რაც შეგცოდე, მაპატიეო; შენი ყმა და მამული ისევ მიიღეო“.—შვილები აქეთ-იქით დამეღუპნენ და ყმა მამულს რაღას ვაქნევო. ჩემს ასე უსამართლოდ დაღუპვას თუ ღმერთი გაპატიებს, მე მიპატიებია. ერეკლემ აასრულა თავისი მეფური სიტყვა და შემდეგის ოქმით დაუბრუნა ყმა და მამული: „ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო ასლან და ბოქოულ ლუარსაბ. რაც ამ ნუსხაში აზნაურიშვილი, ამათი ყმა ციხეები, გლეხი სომეხი, თუ ქართველი, ზვარი—ეწეროს, ხელი აუმართეთ, ამილახვარის შვილს დიმიტრის მიაბარეთ, სხვას ხელი არავისა აქვს, ამისათვის გვიბოძებია. იანვარის 20, 1773 წ.“.

ა. ქ. ცალქალამანიძე თავისის ყმითა და მამულითა.
ა. ქ. ნამორაძე თავისი ყმითა და მამულითა.
ა. ქ. ზაზა ზედგინიძე.
ქ. ფხვენისის გალავანი.
ა. ქ. იალღუზიშვილი თავისი ყმითა და მამულითა.
ა. ქ. ბედიანაშვილები თავისის მამულით.
ა. ქ. ზედგინიძე თავისის მამულითა.
ა. ქ. გიოგასშვილი თავისის მამულითა.
ქ. გორს რაც ნამზითვი კაცები არიან.
ქ. ტინისხიდი.
ქ. დუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძევერას:

ა. ქ. ზედგინიძე თავისის ყმითა და მამულითა.

ა. ქ. ჯაფახაშვილი თავისის ყმითა და მამულითა.

ატენს:

ა. ქ. მარჯანიძე და ზვარი.

ერეკლე

დემეტრე ამილახვარმა ზედაც არ დახედა ამ ოქმსა. თუ ჩემს შვილებს თვალით დავინახავ—ხომ კარგი, თუ არა, რას ვაქნევ ყმასა და მამულსაო. თავის შვილს გიორგისაც (გოგიას) ესევე ათქმევინა. ამ რიგად დემეტრემ ახლო არ მიიკარა მეფე ერეკლე და ყოველივე კავშირი შესწყვიტა მასთან და უმძრახი მოკვდა 1793 წ. დამლევს. მეფე ერეკლე კი, საპოლიტიკო მოსაზრებით იძულებული, მაინც ეფერებოდა დაუძლურებულს ამილახვარს და ჰპირდებოდა შვილების დაბრუნებასა. 1774 წ. 11 მარტს დემეტრეს შვილს გიორგის უნიშნავს წელიწადში ექვს თუმანს და ულუფას. აი თვით ერეკლე მეფის წერილი: „ქ. მდივანო ედიშერ: ამილახვრის შვილს, დემეტრეს შვილის გოგიასათვის გაგეჩენია წელიწადში ულუფას გარდა შენის ანგარიშის თხუთმეტის თავიდამ ექვსი თუმანი, რომ წელიწადში ეს ექვსი თუმანი ასე უნდა აძლიო. მარტის, აჱ, ქჯს უჱბ. ქ. ულუფა სხვა იქნება.

ერეკლე

ერეკლე მხნედ და გულწრფელად შეუდგა დემეტრეს შვილების მობრუნებასა, მაგრამ ამაოდ: რუსეთში ალექსანდრე ამილახვარი ნებიერად ცხოვრებდა მდიდარ ნათესავებთან და ერეკლეს ჯაერის ამოყრის იმედს არა ჰკარგავდა.

იოანე და ნიკოლოზ დემეტრესძე ამილახვარნი დიდის პატივით იქმნენ შეწყნარებულნი სპარსეთში. ნიკოლოზს უბოძა ყეენმა ხანობა ამადანისა, ჯმა და მამული, სახანო ჯამაგირი (ასი თუმანი) და ისპაანის უპირველესი მოურაობა. ნიკოლოზმა ცოლი შეირთო და ძალიან დიდი საცხოვრებლის პატრონი შეიქმნა. ამგვარივე მოურაობა და ჯამაგირი იოანესაც ჰქონდა. 1772 წლიდან დაწყებული სიკვდილამდე მეფე ერეკ-

ლე ცდილობს მათს დაბრუნებასა; სპარსეთისაკენ ყოველ მიმავალს—ვაჭარს, დესპანს, მოგზაურს—ყველას წერილებს ატანს იოანე და ნიკოლოზ ამილახვრებთან და ურჩევს დაბრუნებას სამშობლო ქვეყანაში და ამ შემთხვევაში ერეკლე მეფე დიდს საპოლიტიკო ნიჭს იჩენს. იმერეთის მეფე სოლომონი ერეკლეს წინააღმდეგია დიდის ხნიდან; მათს დაახლოვებასა და დაკავშირებასა არღვევდნენ საპოლიტიკო მოსაზრებით ორივე მეფეების კარზედ მყოფნი უცხო კაპიტნები და ღენერალ-მაიორები. 1780 წ. ივლისის გასულს მეფე ერეკლეს გაუორგულდა ერევნის ხანი ასან-ალი-ხან და ხარჯი აღარ მოსცა (ორი ათასი თუმანი). ერეკლე ჩავიდა დამდეგ მარიამობისთვეს და სამი თვის განმავლობაში თავრიზიდან—აზრუმამდე—არდაველამდე დაიმორჩილა ყველა სახანოები. თვით ერევნის ხანს ოთხიათასი თუმანი ყოველ-წლიური ხარჯი დაადო. აი ამ სანატრელ დროს, როდესაც ის-ის იყო ერეკლეს უნდა გამოეცხადებინა თავისი თავი მთელი ადრიბეჟანის (თავრიზს აქეთ) მბრძანებლად (497, 509—510 გვ. ქ.-ცხ.), რაღაც ეშმაკის მანქანებით გაჩნდნენ იმერეთში, სოლომონ მეფესთან მეფე ბაქარისძე ალექსანდრე და ალექსანდრე ამილახვარი, მოვიდნენ ქართლის სამზღვარზედ და იწყეს გადაბირება ქართლის თავადაზნაურთა. ამის გამო, გაიგო თუ არა ეს ჭეშმარიტი სამეფოს უბედურება, ერეკლე იძულებული შეიქმნა საჩქაროდ გამობრუნებულიყო და სოლომონ მეფესთან მორიგებულიყო. აი ამ დროის წერილი მეფე სოლომონისა დაუთხან ამილახვართან (ძმა დემეტრესი): „დაუთხან. ქ. მის ბრწყინვალებას ძმას ბატონს ამილახორს მეფე იმერთა სოლომონ მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. მერმეთ წიგნი გებოძათ და რაც გებძანათ ყოველივე სრულებით ვისმინეთ და სხვა ჩვენს სიტყვას, ამბავს ეს თქვენი გამოგზავნილი კაცი მოგახსენებს სრულებით ბატონო“ მეფე იმერთა სოლომონ.

ზევიდან აწერია: „ქ. მის ბრწყინვალებას ამილახორს დაუთხანს მიერთვას“. ერეკლემ იცოდა კარგად, რომ დემეტრეს ნათესაობას არ ეძინა დღე-ღამ და მისს სამტროდ მოქმედება ქართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, იმერეთში, რუსეთში და სპარსეთში. ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლემ მოიხარა თავი წინაშე ისტორიულ ბორეტებისა და იწყო მიწერ-მოწერა თავის საპოლიტიკო მტრებთან საზღვარ გარეთ და ყველას უწვდიდა შესარიგებლად ხელსა.

სპარსეთში მყოფნი იოანე და ნიკოლოზ ამილახვრები ერეკლესთვის საჭირონი იყვნენ ერთის მხრივ მაინც მტერთა დასაჩუმებლად. სოფ. ქალაში ბატონიშვილების რიგრიგად ცხოვრებამ ამილახვრები შეაწუხა ნივთიერად; ბოლოს იულონი გაუარშიყდა რევაზ ამილახვრის ქალს სალომეს და ჯვარი დაიწერა კიდეც ივლისის 6-ს 1778 წ. ამ დამოყვრებამ უფრო გაამწვავა დანარჩენ ამილახვრებს შორის მტრობა-მოშურნეობა. 1784 წ. ნოემბრის 8-ს ერეკლე მეფე სწერს სპარსეთში მყოფს იოანე ამილახვარს ძმებით:

„ჩვენ მაგიერად ამილახვარის შვილებს იოანეს და ნიკოლოზს მოკითხვა ეუწყოს. მერმე ამას წინად თქვენ წიგნი მოგეწერათ, აქა თქვენს ქვეყანაში მოსვლა და ცხოვრება სადმე გინდათ. დიახ რიგიანი საქმე მოგინდომებიათ. ახლა ჩვენც ასე გწერთ რომ წამოხვიდეთ აქ, ამ ქვეყანაში მოხვიდეთ, ნურას კაცისაგან საფიქრებელი ნურა გექმნებათ რა. ღვთის მოწყალებით აქ მოხვალთ და ქრისტეანობაში მოაწევთ, არა გაგიჭირდებათ რა, თქვენს ქრისტეანობას უფიქრელად თაყვანსა სცემთ და კიდეც დარჩებით, ასე იცოდეთ. აღიწერა გიორგობისთვის ჩ, ქჳს უობ (1784 წ.). თქვენი წიგნები მოდის ამ ქვეყანაში მოსლვა, თქვენს ძმას ნიკოლას ყმაწვილობა(?) ექნა. როცა ჩვენი კაცი მოვიდეს, რაც გინდა გამოართვი სადმე გინდათ. ვინცავინ თქვენი ნათესავები და თავისიანი არიან—გვეხვეწებიან; ჩვენც გვიამება რომ აქ მოხვიდეთ და თქვენ სამშობლოს ქვეყანაში იცხოვროთ, ამისთვის გწერთ ამისთანა წიგნსა. |ერეკლე|".

გავიდა სრული წელიწადი და პასუხი ვერა მიიღო-რა მეფე ერეკლემ. ბოლოს უთხრეს, რომ თქვენი წერილი ამილახვრებს არ მისვლიათო. ამისათვის 1785 წ. ნოემბრის 24 ხელ-ახლავ

სწერს: „ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატივცემით სახსოვარს და არაოდეს არ დასავიწყარს, მისს ბრწყინვალებას ამილახვარ ოვს ბატონს იოანეს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ამას წინად თქვენგან ჩვენთან მოსვლის წადილი გავიგონეთ და მაშინვე წიგნი მოგწერეთ, რომ თქვენცა და რომელნიც თქვენთან აქაურნი იმყოფებიან თავადისშვილი თუ სხვანი, ჩვენთან მოსვლა არ დაგეგვიანებინათ. თქვენგანვე მოწერილის წიგნით გამოგვიცხადდეს რომ ჩვენგან მოწერილი წიგნი აო მოგსვლიათ. კიდევ ბეჯითად გწერთ თქვენცა და ვინცავინ მანდ აქაურნი იმყოფებიან რომ არ დაიგვიანოთ ჩვენთან მოსვლა და ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენგან ნიადაგ ღირსებისაებრს პატივისცემას, წყალობას და სიკეთეს ჩვენის შეძლებით არ დაიგდებით არც ერთი, რომ თქვენს გაძლებინებას არ ვეცადნეთ. გიორგობისთვის კდ, ქკს უოგ (1785 წ.) თქვენც კარგად იცით ჩვენის ქვეყნის შეძლება: რითაც შეძლებით თქვენი ამხანაგნი რჩებიან, თქვენც იმათთან უნდა დასჯერდეთ ერეკლე“. ესრე წრფელის გულით ეპატიჟებოდა მეფე ერეკლე ამილახვრებს სპარსეთიდან მოსვლასა, მაგრამ არ იქნა: ამილახვრები მაინც ვერ ენდობიან. ამ ხანებში იოანე და ნიკოლოზი დიდს ნივთეულობას გზავნიან თავის ნათესავებთან; სულით და გულით უნდათ სამშობლოში წამოსვლა, მაგრამ ვიღაც შეჰჩენიათ და უშლის, აბრკოლებს წამოსასვლელად.

თ-ე რა ცხოველი ნათესავთადმი სიყვარულით სავსე გრძნობა ასულდგმულებს იოანე ამილახვარს სპარსეთში, ამას დავინახავთ შემდეგი წერილიდან, რომელსაც თავის დას თათიას სწერს სპარსეთიდან 1786 წ. 1 მარტს: „თათიავ. ქ. შენი ჰირიმე, ჩემო სიცოცხლე! რატომ აგრე მომიძულე, ამდენს ხანს ერთი შენი წიგნი არ მომაშველე? ხომ იცი ჩემი მაცოცხლებელი შენი მშვიდობა და შენი წიგნია. ამით მეცხრეჯერ წიგნი მომიწერია და არც ერთის პასუხი არ მომსვლია. ღმერთმა ასე შენი მტერი შეაწუხოს, როგორც ამდენის ხნის შენის ამბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსმენობით მე ვიყო. არ ვიცი რა ვქნა, ვისთან წამოვიდე, მენი წიგნი თუ არ მომივა? ვარ ასე გაშმაგებული. ვაიმე თუ შენც მომიძულე! მაგრამ არ დავიჯერებ, ამას ვფიქრობ და ნუგეშს ვცემ ჩემს თავს, ალბად წიგნს ბევრს მომწერდა, მაგრამ გზაზე დაკარგულა მეთქი. ახლა თუ დამიბარებ და შენი წიგნი მომივა უთუოდ წამოუსვლელი არ დავსდგები... ბატონსაც დავუბარებივარ, ოქმი მომივიდა, მაგრამ შენს წიგნს ველი. თუ შენი წიგნი არ მომივიდა, მოგიკვდები და შენმა მზემ ჩემისთანა შენთვის მკვდარს ვერავის იშოვი და ნება შენია". მერე გვერდზე აქეს მიწერილი: „ბატონს ჯაფარიძის ქალს, სარდლის დედას, შენთვის და ჩემთვის დედისაგან ნამეტნავად ამაგდარს ძუძუს კოცნას მოვახსენებთ. ღმერთმა ჩვენც გადაგვახდევინოს მაგათი ამაგი". ზევიდან აწერია; „ჩემო ხელმწიფევ! გებრალებოდეს შენთვის მკვდარი იოანე. მარტს ა, ქკს უოდ (1786 წ.). წიგნები გიორგის ჩემს ძმასთან გამოგზავნე, ის მე გამომიგზავნეის. ორი სამი დაწერე, ერთიც არის მომივა, კაი ხელი არ მინდა ის შენის ხელით დაწერილი მეყოფის, სხვა არ მინდა. ცხინვალელს სომეხს მურადაშვილს არუთინას ერთი უცხო თვალი გამოვატანე ტფილვენთან და ჩემს ძმას გიორგისთან".—იოანე თითქოს ჰგრძნობდა სიკვდილის მოახლოებასა და ამის გამო ეხვეწება ყველა ნათესავს „წიგნი მომწერეთ და სიცოცხლე მომიმატეთო". ამის შემდეგ ექვსი თვეც ვეღარ იცოცხლა და თეისთავგან დაუტირებელი მიიცვალა თეირანში ენკენისთვის 22-ს 1786 წ. მესამე ძმა ევგენიც იქვე მახტისში მოკვდა. დარჩა მარტო ნიკოლოზი ცოლით და ქალ-ვაჟით.

ერეკლე მეფემ გაიგო იოანეს და ევგენის სიკვდილი და იფიქრა—რაკი ნიკოლოზს ძმები დაეხოცნენ, მარტო ველარ გასძლებს და სამშობლოში დაბრუნდებაო; მაგრამ მიდიოდნენ თვეები, წელიწადები და ნიკოლოზი არ მოდიოდა. ასე გაიარა ექვსმა წელიწადმა. 1792 წ. ერეკლესთან მოვიდა აღამაჰმადხანის ელჩი—„სპარსეთის ერთგულებაზე ხელს ნუ იღებ, რუ-

სეთს ნუ ეკედლებიო; რუსეთი შენიც მტერია და ჩემიცო, შენი ქვეყნის ბოლოს მომღები ეგ არისო". მაგრამ ერეკლემ ელჩი დააბრუნა და დააბარა—სწორე პასუხს ჩემის ელჩის პირით მოგართმეო. ერეკლემ მოახდინა დარბაისელთა კრება, თუ რა პასუხი შეეთვალა.

ამ დროს მოვიდნენ იმერეთის თავადნიც და გაერთებას, ძველებრ შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე ერთ-მთავრობის აღდგენას თხოულობდნენ. მოახსენეს მეფეს—„თუმცა თქვენი ქალის შვილია, მაგრამ სოლომონ II სუსტი კაცია და მტრის მოგერებას ვერ ახერხებსო". ამ ფრიად მშვენიერ და ქვეყნის განმამტკიცებელ წინადადებას დიდად მხარი დაუჭირეს სოლომონ მსაჯულმა, ზაზა ანდრონიკაშვილმა, ოთარ ამილახვარმა და მეტადრე ჭაბუა ორბელიანმა, მაგრამ გაიჭერა დარეჯან დედოფალმა ჩაშალა საქმე და მოხუც ერეკლეს კრებიანად ზედ გადუარა.

რუსეთსაც მრავალი მომხრე აღმოუჩნდა კრებაზე და ერეკლემ უარი შეუთვალა აღმაჰმად-ხანს. ელჩებად გაგზავნა 1793 წ. შამშადილის მოურავი სოლომონ თარხნიშვილი და მიმბაში იოსებ იოთამისძე ბარათაშვილი (წინად ამ იოსებს მიჰქონდა ხოლმე ერეკლეს სიგელები იოანე და ნიკოლოზ ამილახვრებთან). აი ამ ელჩებს ერეკლემ წერილი კვლავ გაატანა ნიკოლოზ ამილახვართან — „მოდი ყმა და მამულსაც მოგცემ და ჩემს ქალსაც შეგრთავო". ნიკოლოზი მაინც ვერ ენდო და ერეკლეს საფლავში ჩაჰყვა თან ეს აუსრულებელი საწადელი. გავიდა ექვსი თუ შვიდი წელიწადიც.

1801 წ. რომ რუსებმა ფეხი მოიკიდეს საქართველოში, სპარსელებს ელდა ეცათ. ამისათვის ბაბახანმა განიზრახა დიდი ჯარის შეყრა და რუსების განდევნა საქართველოდან. ამისათვის 1802 წ. ბაბახანმა საიდუმლოდ გაგზავნა ნიკოლოზ ამილახვარი ახალციხისაკენ, რათა ამ მხარეში გაეძლიერებინა რუსეთისადმი მძულვარება და საომრად ფეხზე დაეყენებინა; აქედან უნდა გადასულიყო იმერეთში და აქაც აეშალა მთელი იმერეთი რუსების გასაძევებლად. მაგრამ ნიკოლოზ ამილახვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მოსვლა ახალციხეში და მისი საიდუმლო განზრახვა გაიგო საქართველოს მთავარ-მართებელმა პავლე დიმიტრის ძე ციციშვილმა. დაიბარა დიმიტრი (ვგონებ მამა პოეტის გრიგოლისა) ელისბარის ძე ორბელიანი (ნიკოლოზის დედა მარიამი იყო დიმიტრის მამიდა) და წერილი მიაწერინა ნიკოლოზთან ახალციხეში; მაგრამ პასუხი რომ ვერა მიიღეს-რა, მერე საიდუმლოდ გაისტუმრა ახალციხისაკენ ერთის რუსის კაპიტნით. დიმიტრის ჰქონდა დავალებული უთუოდ ჩამოეყვანა ნიკოლოზ ამილახვარი ციციშვილთან, და ამისათვის ყოველივე საშუალება ეხმარა. „სახანო ჯამაგირს და თავის ყმა-მამულს მივცემო“, ჰპირდებოდა ციციშვილი. რუსის კაპიტანმა იცოდა ეს დავალება და თავის მხრივ ამას დავალებული ჰქონდა ციციშვილიდან დიდის საიდუმლოებით: „თუ ნიკოლოზ ამილახვარი გაჯიუტდეს და დიმიტრი ორბელიანის ცდამ ამაოდ ჩაიაროსო, და ვერ მოახერხოს ამილახვარის წამოყვანაო, მაშინ არას გზით ცოცხალი არ გაუშვაო და მოკალიო“.

გასჩრა დიმიტრის მოციქულობამ: დაითანხმა ნიკოლოზ ამილახვარი და თან წამოიყვანა. ტფილისში რომ ჩამოვიდნენ, ციციშვილი ქვეით, შირვანისაკენ წასულიყო. ნიკოლოზმა გასწია შემახიისაკენ. აქ ციციშვილმა უთხრა: წადი ქართლში, ამ ორ კვირაზე მოგბრუნდები და დანაპირებს აღგისრულებო. ციციშვილი ბაქოში მოკლეს 1806 წ. თებერვლის დამდეგს და დარჩა ნიკოლოზ ამილახვარი ასე მოტყუებული. ცოლშვილი, იმოდენა შეძლება დასთმო, მოვიდა თავის სამშობლოში და ცარიელ-ტარიელი იყურება აქეთ-იქით. სახანო ჯამაგირს ვიღა ჩიოდა: თავისი ალალი ყმა და მამულიც (1800 წ. საქართველოს მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა დაუბრუნა ნიკოლოზის ძმას გიორგის მთლად ყმა და მამული; *) გიორგი მოკვდა უძეოდ 1802 წ. და დამარხა ოთარ ამილახვარმა) სადაო გაუხდა; მთელი თორმეტი წელიწადი იდავა და ძლივს ჩაიბარა. ამ დავამ გაიარა საქართველოს მართებლების — გუდოვიჩის, ტორმასოვის, რტიშჩევის და მარკოზ პაულიჩის ხელში. აქ შეირ-

*) 1800 წ. 15 სექტემბერს გიორგი მეფემ თავის შვილებით დაუბრუნა იასე თაქთაქიშვილს მთლად ყმა და მამული, ერეკლე მეფისაგან ჩამორთმეული 1765 წ. სოფ. ხვითში და კუხირეთში.

თო აბაშიძის ქალი ნინო, რომელთანაც ეყოლა ორი შვილი: იოანე და ალექსანდრე. ნიკოლოზი მიიცვალა 1817წ. აპრილში. ესრე დასრულდა ის საშინელი დრამა, რომელიც 1765 წ. 15 ქრისტეშობისთვეში დაიწყო ავლაბრის რიყეზედ.

1785 წ. ერეკლე მეფისაგან სხვათა შორის ვაგზავნილი იყო იოანე და ნიკოლოზ ამილახვართან სპარსეთში ტფილისელი ეჯარი აღა-ტერ-შმოვანი. იოვანემ და ნიკოლოზმა თავის ძმასთან და სხვა ნათესავებთან გამოატანეს აღა-ტერ-შმოვანს დიდძალი ნივთეულობა, რაც კი რამ ჰქონდათ,—ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი და თითონაც ებირობდნენ მალე წამოსვლასა. აღა-ტერ-შმოვანმა ეს ნივთეულობა არ გადასცა კუთვნილებისამებრ, ვგონებ ერეკლეს ბრძანებით, ვიდრე თვით ამილახვრები არ მოვიდოდნენ. რაკი იმ რამდენსამე თვეზედ იოანე იქვე, სპარსეთში მიიცვალა, ნიკოლოზი დარჩა და ველარ გაბედა წამოსვლა. ნიკოლოზი რომ მოვიდა ტფილისში 1805 წ. შემოდგომაზედ, აღა-ტერ-შმოვანს მოჰკითხა გამოტანებული ნივთეულობა—ჩამაბარეო. მაგრამ სომეხს სიხარბის მადა აეშალა და სრულიად გაიკმარა ეს ამბავი: შენ ჩემთვის როდის რა მოგიბარებიაო. გაიმართა ამაზედ დავა, დავა გაუთავებელი და ბოლო მოუღებელი. ნიკოლოზი უმტკიცებს და ამტყუნებს აღა-ტერ-შმოვანს, რომელიც გაჭირვებისაგან გაცოფებული სხვა ღონეს ველარას ჰპოვებს და ნიკოლოზს აბეზღებს რუსის მართებლობის წინაშე: „ნიკოლოზ ამილახვარი მოღალატე კაცია და გაბარვას აპირებს სპარსეთშიო, აბა გაუჩხრიკეთ ბარგი თუ საბუთი არ უპოვოთოო“. 1806 წ. ოქტომბერში პოლიცია დაესხა თავს ნიკოლოზს, გაუჩხრიკეს სახლი და ქონება, და რაც ქაღალდები აღმოჩნდა ერთის ყუთით სულ წაიღეს. ამ ქაღალდებს გაჰყვა თან ნიკოლოზის საბუთებიც აღა-ტერ-შმოვანთან სადავო ნივთებისა, რომელნიც ხელთ იგდო ცბიერმა სომეხმა დაჭრთამულ პოლიციის მოხელეთა შემწეობით. ასე ჩამწარდა ნიკოლოზს თავისი სიცოცხლე და სანანურად გაუხდა სპარსეთიდან სამშობლოში მობრუნება და ცრლშვილის ღალატი.

ზ. ცხვედაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ძ მ

*)

კარაქი და ერბო

ბლომა და კარგის ერბოს მოსამზადებლად შემდგარნი სოზოგადოებანი. ჩვენ აქ გვსურს მკითხველების ყურადღება მივაქციოთ ერთს მოვლენას, რომელმაც ამ ბოლოს დროს დიდი გავლენა იქონია ერბოს მომზადების და მისი ღირსების განვითარებაზე და ამასთან, რასაკვირველია, ძროხების პატრონების მდგომარეობაზედაც. 1870 წელს შვეციაში დაარსდა ერთი საზოგადოება იმ აზრით, რომ მოამზადოს ბევრი და კარგად შესანახავი ერბო გარედ ქვეყნებში გასაგზავნად და ამ საზოგადოების მიხედვით, ახლა დაარსებულია მრავალი ამისთანავე საზოგადოება სხვა-და-სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით სკანდინავიაში და გერმანიაში. ამ საზოგადოების წყობილება და ორგანიზაცია ისეთი შესანიშნავის და განსაკუთრებითის ხასიათისაა, რომ ჩვენთვის ცუდი არ იქნება მისი გაცნობა.

აი როგორ მოქმედობს ეს საზოგადოება: რადგანაც ბევრი ერბოს მოსამზადებლად ძნელია ერთ ადგილას შეგროვება და შემუშავება ამისთვის საჭიროა რძის რაოდენობისა, ამისათვის საზოგადოებამ მოიფიქრა შემდეგი: საზოგადოებას თავის ბინად ამორჩეული აქვს რომელიმე ადგილის ანუ მხარის შუაგული ნაწილი; ამ ადგილის გარშემო დაფუძნებულია ეგრედწოდებული ფერმები, რომლებიც ერთი-ერთმანეთზე ისე არიან დაშორებულნი, რომ ყველას თავისი საკუთარი შესამუშავებე-

*) «მოამბე» № XII.—1885 წ.

ლი მასალის შოვნა შეეძლოს. ამ ფერმათა გარეშემოც და იმავე პირობებში დაფუძნებულია რძის მოსატანი ადგილები (bureaux de reception de lait). ვინც ამ საზოგადოებაში მონაწილეობას მიიღებს, იმან თავისი რძე უნდა მიიტანოს რომელსამე რძის მოსაგროვებელ ადგილში, სადაც ამ რძეს ნაღებსა ხდიან, რასაკვირველია, რომელისამე განვითარებულის საშუალებით. იმათ, ვინც ნაღების მოხდაზე მუშაობენ, აგრედვე დაველებული აქვთ თითონვე იპოვნონ, ადგილობრივი მოთხოვნილების დაგვარად, ნაღებ-მოხდილი რძის გამოსაყენებელი საშუალება, და ნაღები კი დაუყოვნებლივ და შესაფერის სიფრთხილით უნდა გაგზავნონ დაახლოვებულ ფერმებში, სადაც მოწყობილია ორთქლით სამუშაებელი სადღებლები და სადაც უნდა შეიდღიბოს ყოველი მის ახლო მდებარე ბიუროებიდან გამოგზავნილი ნაღები. ყოველი ადგილის ნაღები ცალკეა შედღებილი, რადგანაც ანგარიში მოგროვილი ერბოს რაოდენობაზე ხდება და ნაღებში ფასი ეძლევათ იმის ვარაუდით. ეს ფერმები აქ მომზადებულ ერბოს ჰგზავნიან უმთავრეს ფერმებში, სადაც საზოგადოების ცენტრია და ეს ფერმა დაველებულია აქ მოტანილი ერბო გაასაღოს, რის გამოც მთავარი ფერმა ყოველთვის რომელიმე დიდი ქალაქის ახლოა.

ამ საზოგადოებათა შორის ყველაზე უძველესი და ყველაზე უფრო შესანიშნავი არის ეგრედ-წოდებული ფერმების აქციონერული საზოგადოება (Société par action des fermes des provinces du Cac Mülar), რომლის დედა-ფერმა დაფუძნებულია სტოკგოლმში. აი რას მოგვითხრობს ამ საზოგადოების შესახებ ფლეიშმანი, რომელმაც 1874 წელს თვითონ დაათვალიერა ეს ფერმა. ზემოდ აწერილი წყობილება ამ საზოგადოებას ნებას აძლევს თავისი მოქმედება გაავრცელოს არა თუ რამდენიმე სოფლების საზოგადოებაზე, არამედ მთელ ხეობაზე. როგორც ვსთქვით, საზოგადოების ცენტრი და მმართველობა მოწყობილია იმ ადგილების შუაგულში, რომლებიც მასთან არიან შეკავშირებულნი; ფლეიშმანი ამბობს, რომ როცა ის ამ შუაგულის ფერმაში იყო, ეს ფერმა შესდგებოდა შემდეგის შენო-

ბისაგან შემდეგის მოწყობილებით: ერთი შენობა დანიშნული იყო ერბოს გასაყიდავად და 1874 წლის აგვისტოს თვეში ამ ფერმაში მზადდებოდა და მოდიოდა 297,5 კილო ერბო ყოველ დღე (18,6 ფუთი). ამ შენობის გარდა, აქვეა დიდი ოთახი, სადაც სადღვებლებია მოთავსებული. ამ დროს აქ მუშაობდა ექვსი ორთქლით სამუშავებელი სადღვებელი, სამი გადასაზელი და ერთი დიდი ორთქლითვე სამუშავებელი ამერიკული ერბოს გადასაზელი სტოლი. აქ ნაღები იდღვებებოდა დასაწყისში 12° ტემპერატურით და დღვება თავდებოდა 25—35 წუთში; მუშაობის დროს სადღებლის ღერძი ტრიალებდა წუთში 80—120 ჯერ. მეორე შენობაში მოწყობილი იყო ორი დიდი ნაღების გასაცივებელი აუზი (ამ დროს ცენტრიფუგები ჯერ შემოღებული არ იყო და ამის გამო ნაღებს ხდიდნენ შვარცის საშუალებით). ამას გარდა იყო კიდევ ერთი ოთახი, სადაც სახმარებელი ჭურჭელი ირეცხებოდა და შრებოდა. ეი როგორ დაარსდა ეს საზოგადოება: 1865 წელს ერთს აგრონომს, რომელიც მიწვეული იყო ერთი გაღარიბებული მამულის მოსავლელად (მამული სტოკგოლმის ახლო მდებარებდა) აზრად მოუვიდა დაეფუძნებინა რამე დაწყობილობა, რომ ბლომად ერბოს მომზადება შესძლებოდა. რადგანაც ამ მამულში მომზადებულმა ერბომ კარგი გასავალი მოიპოვა, ამისათვის ეს წყობილობა მალე ნამდვილ ქარხნად გადაიქცა და 1870 წლის წინადვე დაფუძნებული იყო პატარა ქარხანა ერბოს ბლომი მოსამზადებლად. გამოსავალიც და შემოსავალიც სასარგებლო აღმოჩნდა და ამის გამო ამ დროს რამდენსამე პირთ აზრად მოუვიდათ დაეფუძნებინათ ზემოდ მოხსენებული ფერმების საზოგადოება დიდის თანხით. ეს აზრი განხორციელდა 1870 წლის 1 ოქტომბერს და თავისი მოქმედება დაიწყო ზემოდ მოხსენებული ქარხანის გამოყიდვით, რაც იაფად არ დაუჯდათ. ქარხანაში თავისი მოწყობილებით მისცეს 120,947 ფრანკი. საქმე ჩაჰბარდა სამ კაცს, რომლებსაც ყველას ერთად დაუნიშნეს სასყიდლად 14,062 ფრანკი და წმინდა მოგებაშიაც წილი დაუდვეს. ამ მოგებაში წილი ედვათ აგრედვე ყველას

იმათაც, ვისაც რძე მოჰქონდა ამ საზოგადოებისათვის. პირველ წელსვე 13,086 ლიტრი რძე იყო მოტანილი შესამუშავებლად და ამ პირველ სამ თვეში რძეს აგროვებდნენ 35 სხვა-და-სხვა ადგილას (bureaux de reception de lait), სადაც ნაღებსა ხდიდნენ და ამ ადგილებში მოხდილი ნაღები იღვიძებოდა, როგორც მთაავარ ფერმაში, ისე სხვა ოთხ ფერმაშიაც, რომლებიც სხვა-და-სხვა შესაფერ ადგილებში იყვნენ დაფუძნებულნი, რომ ნაღები მალე მისვლოდათ და გზაში არ დაზიანებულიყო. რაც შეეხება ნაღებ-მოხდილ რძეს, ეს სხვა-და-სხვა გვარად იყო მოხმარებული თითონ რძის შესაკრებ ადგილებშივე და ადგილობრივი მოთხოვნილების დაგვარად. 1871 წელს საზოგადოებამ გადასწყვიტა მარტო ნაღების ყიდვა და ნაღებ მოხდილი რძის მოხმარება და გამოყენება რძის პატრონებს დაუტოვა.

თითონ რძის მოსაკრეფი ბიუროები, რომლებშიაც ფერმერებიც იღებდნენ მონაწილეობას, ორგვარად მოეწყო: ზოგში მარტო ნაღებსა ხდიდნენ და ნაღებ-მოხდილ რძეს ისევ პატრონებს უბრუნებდნენ და ზოგში კი ნაღების მოხდის გარდა ნაღებ-მოხდილი რძიდან ყველს ამზადებდნენ. პირველ ბიუროში ერთი ოთახი დანიშნული იყო ნაღების მოსახდელად, ერთიც ჭურჭლის გასარეცხად და მესამე სადგომი იყო იმ პირისათვის, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ეს საქმე. მეორე გვარ ბიუროებში ამ ოთახების გარდა ერთი ოთახი დანიშნული იყო ყველის გასაწურად და დასაჭყავად, ერთი ოთახი ყველის დასამარილებლად, ერთიც ყველის შესანახავად და გასაყიდად და უკანასკნელი ერთი პატარა ოთახი ჭურჭლის შესანახავად. ეს შენობები ზოგან ნაქირავები იყო და ზოგან, სადაც ქირაობა არ შეიძლებოდა, საზოგადოებისაგან იყო აშენებული.

რადგანაც ნაღებს ყიდულობდნენ მოკრეფილ ერბოს ვარაუდზე და რადგანაც ცოტა ნაღების შედღვება მოსახერხებელი არ იყო, ამის გამო საზოგადოება 26 ლიტრი ნაღების ნაკლებს არა ყიდულობდა ერთი პირისგან. აქედან ცხადია, რომ ნაღების გაყიდვა (ანუ რძის მიტანა) მხოლოდ იმათ შეეძლოთ, რომლებსაც 20 მეწველ ძროხაზე ნაკლები არა ჰყვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ და ამის გამო ამან გამოიწვია ეგრედ-წოდებული ხანგრძლივობის ანუ ამხანაგობის დაარსება იმ ოჯახობათა შორის, რომლებსაც ნაკლები ძროხები ჰყვანდათ და არ შეეძლოთ უამისოდ საზოგადოებაში მონაწილეობა მიეღოთ.

იმ ბიუროებში, სადაც, ნაღების მოხდის გარდა, მჭლე ყველსაც ამზადებდნენ, დაწესებული იყო, თითო კილო ნაღებ-მოხდილ რძეზე, ფასათ 4,16 სანტიმი; რადგანაც თითო კილო ყველის მომზადებას საზოგადოდ უნდება 15 კილო ნაღებ-მოხდილი რძე, ამის გამო ყველი ჯდებოდა 42,5 სანტიმი და საზოგადოება ამ ყველს ექვსი თვის შემდეგ ჰყიდდა 66 სანტიმად, მაშ ყოველ კილოგრამზე (2,44 გირვანქა) საზოგადოებას მოგებად რჩებოდა 3,5 სანტიმი. ამას დავუმატოთ დარჩენილი შრატის ფასიც, კილოგრამზე $^1/_2$ სანტიმი, და გამოვა, რომ ქარხანის სრული მოგება თითო კილოგრამ ყველზე ადის 11 სანტიმამდინ, რაც სრულიად საკმარისი იყო ამ ქარხანის მოწყობის და ხარჯის გასაძღოლად. ბევრნი უფრო სხვა ნაირად და უფრო სარგებლიანად ხმარობენ ნაღებ-მოხდილ რძეს, ან თავისავე საზრდოდ და ან ხბორების და ღორების საკვებად; ამგვარად ამოღებული ფული თითქმის 5—9 სანტიმს შეადგენს თითო კილო ნაღებ-მოხდილ რძეზე.

ზემოდ მოხსენებულ საზოგადოებას 1871 წელს უკვე ხუთ ადგილს ჰქონდა ერბოს მოსამზადებელი ქარხანა; ქარხნების მმართველთ ჯამაგირი ბევრი არა ჰქონდათ (140,5 ფრანკი) მაგრამ ამას გარდა წილად ჰქონდათ 20% წმინდა მოგებისა. გადაზელილ და გასუფთავებულ ერბოს ბოჩკებში სდებენ (ბოჩკები ორი ტანისაა მიღებული, ერთში ჩადის 25,5 და მეორეში 42,5 კილო) და ასე ჰგზავნიდნენ სხვა ქვეყნებში. ამ საზოგადოებისგან მომზადებული ერბო მშვენიერად ინახება, რის დასამტკიცებლადაც ფლეშმანს ის მაგალითი მოჰყავს, რომ ორი თვით შენახული ერბო ლონდონის ბაზარზე იმავე ფასად გაიყიდა, როგორც სრულიად ახლად მომზადებული კარაქი.

რადგანაც ამ საზოგადოების მნიშვნელობა ყველასთვის ცხადი შეიქმნა და, მაშასადამე, მცხოვრებლებისათვისაც, ამისა-

თვის ამ საზოგადოებას სხვა, შორი ადგილებიდანაც მოუწვიდა თხოვნა მონაწილეობის მისაღებად. საზოგადოებამ თავისივე სარგებლობისათვის და საქმის გაფართოებისთვის გადასწყვიტა ხელი მოემართა სხვა-და-სხვა საზოგადოების დაარსებას, როგორც თანხით, ისე ჟურნალეულობით და აღუთქვა ახლად დაარსებული საზოგადოებისგან მომზადებული ერბოს გასაღება. 1871 წლის დამლევში 16 პირობა იყო შეკრული ამ საფუძველზე სხვა-და სხვა ახლად დაარსებულ საზოგადოებასთან ერბოს მოსამზადებელი ქარხნების გასახსნელად.

ამ წელს ამ საქმემ თავის აქციონერებს მისცა 10,5% ნაღდი დივიდენდი, იმის მიუხედველად, რომ წმინდა სარგებლიდან გამორიცხული იყო 20% ინვენტარის კრედიტის შესამცირებლად, 10% სარეზერვო თანხად და 20% ადმინისტრაციის სასარგებლოდ.

ამ საზოგადოების მოქმედებამ მალე მიიპყრო მთელი ქვეყნების ყურადღება და ამავე საზოგადოების მაგალითით გამხნევებულთა მალე მიჰბაძეს მთელს შვეიცარიაში და ახლა იქ რამდენიმე საზოგადოებაა დაარსებული იმავე გვარი და იმავე საქმისთვის; მთელ ქვეყანაში მოეწყო მრავალი ერბოს მოსამზადებელი ქარხანები, რომლებშიაც ყოველ დღე ზოგში 500 და ზოგში 2000—3000 კილო ერბოს ამზადებენ საქვეყნო ვაჭრობისათვის. შვეიცის მიჰბაძეს აგრედვე გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან და ამის გამო ეხლა ეს პრინციპი ძალიან არის გავრცელებული რძის მრეწველობაში და განსაკუთრებით, რასაკვირველია, იქ, სადაც რძე რძედვე კარგად ვერ იყიდება.

მხრგარინი ანუ ხელოვნური ერბო. ყოველ გვარ ცხიმოვან ნივთიერებათა შორის, რომლებიც გამოსადეგნი არიან ადამიანისათვის, როგორც საჭმელი, მხოლოდ ერბოსა აქვს ის განსაკუთრებითი თვისება, რომელიც მას დიდ ღირსებას აძლევს სხვა-და-სხვა გვარ გამოსაყენებლად. პირველი ღირსება მისი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ერბოს ისეთი კარგი კონსისტენცია აქვს, ისე ჩვილია, რომ ადვილად წაეცხობა პურს; ერბოს ამ ღირსებას სხვა ვერავითარი ცხიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი ნივთიერება ვერ უდრის; ამ თვისებას მეტ-ნაკლებად მოკლებულნი არიან სხვა ცხიმოვანი ნივთიერებანი. ამას გარდა, თუ ერბო წამხდარი არ არის, მაშინ მშვენიერი, სასიამოვნო და წმინდა გემო აქვს, რასაც აგრეთვე მოკლებულნი არიან ძროხის ქონი, ცხვრის ქონი, ღორის ქონი, ბატის ცხიმი და სხვანი. ესენი ან ძალიან გამაგრებულნი არიან, მშრალი გემო აქვთ და ან სრულიად გათხელებულნი არიან ზეთივით.—ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ქონს რაღაცა უკანა-გემო აქვს (arriere-gout), რომელიც კარგად დახასიათებულია ყოველ გვარი ქონისთვის და რომელიც იქნება დამოკიდებული იყოს რამე თავისუფალ სიმჟავეზე. ამისგამო მხოლოდ ერბოა (რძიდან მომზადებული) იმისთანა განსხვავებული ცხიმოვანი ნივთიერება, რომლის ჭამაც არა თუ პირდაპირ შეიძლება დიდის სიამოვნებით, არამედ იხმარება განსაკუთრებით და მხოლოდ სხვა-და-სხვა ნაზი საჭმელების მოსამზადებლად და ქადა-ნაზუქი პურის გამოსაცხობად.

სამწუხაროდ, ცხოვრების მოთხოვნილების გამრავლებამ ერბოს ხარჯვაც გაამრავლა და ამისგამო მას ფასი მოემატა და თანდათან კიდევ ემატება; რასაკვირველია, ეს მოვლენა გამოწვეულია იმ კანონისაგან, რომელსაც პოლიტიკურ ეკონომიაში მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უწოდებენ. სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ერბოს ფასი, განსაკუთრებით დიდრონ ქალაქებში თანდათან ძვირდება, მატულობს. იმ გარემოების გამო, რომ წლიური ერბოს გამოსავალი არ ჰყოფნის ხალხის მოთხოვნილებას, აგრეთვე იმის გამოც, რომ ზოგიერთისთვის ერბოს ფასი ძნელი მისაწდომია და კიდევ იმის გამოც, რომ ერბოს სიძვირემ გამოიწვია მისი სხვა-და-სხვა გვარად გაყალბება ქონისა თუ სხვა ცხიმოვანი ნივთიერების შერევით—ყველა ამან სწავლულებში აღძრა სურვილი ეპოვნათ რამე ამ ერბოს ბადალი; რასაკვირველია, თუ ნაპოვნი იქნებოდა იმისთანა ცხიმოვანი ნივთიერება, რომ მცირე ფასი ჰქონოდა და ღარიბი და შეუძლებელი ხალხისათვის ადვილი საშოვნი ყოფილიყო, ამას დიდი გავლენა ექნებოდა სახალხო ეკონომიაზე; ერთის

სიტყვით, თუ შესაძლებელი იქნებოდა „ხელოვნური ერბოს" მომზადება რამე სხვა ცხმოვან ნივთიერებისაგან, მაშინ, სახალხო სარგებლობის გარდა, ამ ნივთიერებას უფრო კარგი გასავალი ექნებოდა და ამასთანავე ერბოს გაყალბებაც შემცირდებოდა. ამით ხალხის საზრდოებას კარგი სამსახური გაეწყოდა და არც რამე დააკლდებოდა ერბოს მომზადებას. ამას, რასაკვირველია, ის შედეგიც ექნებოდა, რომ ზოგი ნაწილი იმ რძისა, რომელიც ერბის მოსამზადებლად იყო ნახმარი, თითონ ხალხშივე დარჩებოდა მის საზრდოდ. მეორეს მხრით ამ ძებნამ ის შიშიც აღძრა, რომ ვაი თუ ამგვარმა ხელოვნურად მომზადებულმა ერბომ უფრო გაამრავლოს ბუნებითი ერბოს გაყალბება და ან თითონვე ერბოს მაგივრად გაყიდვა. ეს შიში რომ მართლიც გამომდგარიყო, მაინც ცდა და პოვნა სასურველი იყო; უმისოდაც ხომ ერბოს გაყალბება გავრცელებული იყო.

ბევრი ცდისა და გამოკვლევის შემდეგ შენიშნეს, რომ ხელოვნური ერბოს მოსამზადებლად კარგი და გამოსადეგი მასალა მხოლოდ ძროხის ქონია, თუმცა კი ერბოსა და ქონს შორის დიდი განსხვავებაა და ეს განსხვავება ერთის მხრით იმაში მდგომარეობს, რომ ერბო უფრო ცოტა სტეარინს შეიცავს, რის გამოც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დნება, ვიდრე ქონი; მეორეს მხრით განსხვავება იმაშიც მდგომარეობს, რომ ერბო შეიცავს იმისთანა ადეილად ასაორთქლებელ ცხიმოვან სიმჟავეთა გლიცერიდებს, რომლებიც ქონში სრულებით არ მოიპოვებიან. როგორც უკვე ვიცით, ამ გლიცერიდების გადაგვარება ანუ განაწილება არის მიზეზი ერბოს დამძაღებისა, თუმცა ამასთანავე მარტო ესენი შეადგენენ ერბოს გემოს და არომატს.—იქნება კარგად რომ ეძებნათ, ქონზე უფრო კარგი ცხიმოვანი ნივთიერება ეპოვნათ, რომელიც უფრო დაახლოვებული ყოფილიყო ერბოზე, მაგალითად სიმინდის ქონი ანუ ზეთი, რომელსაც უფრო ჩვილი კონსისტენცია აქვს და გემოც კარგი და სასიამოვნო, რისგამოც ამ ქონს ხშირად ხმარობენ ერბოს გასაყალბებლად; ეს ქონი ხშირად გემოსაც უკეთებს იმისთანა ერბოს, რომელსაც რომელიმე მიზეზის გამო ან წა-

მხდარი აქვს და ან სულ მოკლებულია. სამწუხაროდ, ეს ქონი ცოტად არის გავრცელებული, მაშასადამე, ძვირია და აი, ამისგამო ქონი ამჯობინეს ხელოვნური ერბოს მოსამზადებელ მასალად.

ქონის ხელოვნურ ერბოდ გადასაქცევად საჭიროა მას გამოსცილდეს დიდი ნაწილი მისი სტეარინისა და ამის მაგივრად მიემატოს ცოტაოდენი ის ცხიმოვანი ნივთიერება, რომელიც ერბოს აძლევს სასიამოვნო სუნსა და გემოს, ესე იგი სტეარინის მაგივრად ქონს უნდა მიემატოს ადვილად ასაორთქლებელ სიმყავეთა გლიცერიდები, რომლებიც ბუნებით ერბოში მოიპოვებიან. კარგა ხანია, რაც ეს სურვილი განხორციელებულია და ეხლა მრავალ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ამერიკაში, ავსტრიაში, გერმანიაში და რუსეთში დაფუძნებულია მრავალი ქარხანები ხელოვნური ერბოს მოსამზადებლად, რომლის წარმოებასაც კარგა დიდი ადგილი უჭირავს ერბოს ვაჭრობაში.

ქონიდან ხელოვნური ერბოს მოსამზადებელი საშუალება მოგონილია საფრანგეთის ქიმიკოსის მეჟ-მურიესაგან (Mège-Mouriés), რომელმაც პირველი ქარხანა ნაპოლეონ III შემწეობით დააფუძნა 1870 წელს, ომის წინად. ეს ქარხანა მალე გაუქმდა და დაიკეტა პრუსიასა და საფრანგეთ შორის ომიანობის გამო. ამის მიუხედველად 1872 წელს პარიჟში დაარსდა ერთი საზოგადოება 800,000 ფრანკი თანხით (Societé anonyme d'alimentation) და მეჟ-მურიესაგან გამოგონილი საშუალებით ხელოვნური ერბოს მოსამზადებლად.

ხელოვნური ერბოს მომზადება ორ ფაზად (ხანად) იყოფება, რომლებიც ერთმანეთისგან განირჩევიან: 1) პირველი ფაზა ოლეო-მარგარინის მომზადებას შეიცავს და 2) მეორე ხელოვნური ერბოს ანუ მარგარინის მომზადებას.

1) ოლეო-მარგარინის მომზადება. ამის მასალა, როგორც უკვე ვსთქვით, ძროხის ან ხარის ქონია, რომელსაც უნდა გამოსცილდეს მისი კანი და სხვა უცხო სხეულები. ამის შემდეგ ქონი უნდა დადნეს, დაკრისტალდეს, სტეარინი გამოცალოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ოლეო-მარგარინი დარჩეს, რომელიც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დნება, ვინემ ქონი. ცხოველის დაკვლის უმალვე ქონი უნდა ამოიჭრას და დაუყოვნებლივ გადაკეთდეს. თუ გარემოება ნებას არ იძლევა, მაშინ ქონი შენახული უნდა იყოს ან ძალიან გრილ ადგილას და ან ცივ წყალში. პირველ შემთხვევაში ქონი კაპებით ჩამოკიდებული უნდა იყოს ხარისხებზე ცივ ოთახში, სადაც ტემპერატურა 2—4° უნდა იყოს, ესე იგი იმ ტემპერატურის მიჯნებში, რომელთა შორისაც უვნებლად შენახვა შესაძლებელია.

მეორე შემთხვევაში, როცა ქონი ცივ წყალში უნდა შეინახონ, ასე მოიქცევიან: ამოჭრის უმალვე ქონს ჩაჰყრიან ცივ წყალში, შიგ კარგად გარეცხაენ, რომ ამით ქონს მოშორდეს ის ნივთიერება, რომელიც უფრო მალე ლპება და მალე აფუჭებს ქონსა, მაგალითად სისხლი. აწონილ ქონს ჩაჰყრიან 3—4°-იან წყალში, შიგ რამდენჯერმე ამოავლებენ; წყალი, რასაკვირველია, გაწითლდება სისხლით, მაშინ ამ წყალს გადაასხამენ და ამას რამდენჯერმე გაიმეორებენ, ვინემ წყალი სრულიად გამჭვირვალი და უფერული არ დარჩება. ამის შემდეგ ქონს ცივ წყალში გაუშვებენ და თუ ეს წყალი მუდმივ ასე ცივია, მაშინ ქონი კარგა ხანს შეინახება. შემდეგ, როცა დროა, გადადნობას შეუდგებიან და ამ გადადნობის წინად ქონი უნდა დაიკეპოს, დაიკუწოს და ან დაისრისოს; აქ საჭიროა, რომ ქონის ბუტკების გარსი დაიგლიჯოს, თითონ ქონი ცომივით დაიზილოს რომ შემდეგ ადვილი შესაძლებელი იყოს მისი გადადნობა და მოშორება იმისი, რაც ქონი არ არის: ძარღვები, ქონის ხიჭი და კანი. ამისათვის ხმარობენ ერთგვარ წისქვილს, რომელიც შესდგება ორი წყვილი, ერთმანეთზე წყვილად დამდგარი ქლიბის დაგვარი ცილინდრებისგან. ერთი წყვილი, ორივე ერთის დიამეტრისა ერთმანერთის გვერდით ტრიალებენ სხვა-და-სხვა სიჩქარით (წუთში 80—100 ჯერ ტრიალებენ). ამ ცილინდრებს მთელს სივრცეზე აქა-იქ, ერთ სიმორეზე ასხია იმავე მასალის კბილები. მეორე წყვილ ცილინდრებს უფრო წვრილი კბილები აქვს, რომლებიც ერთმანეთზე უფრო დაახლოვებულნი არიან

და მათი ტრიალიც უფრო აჩქარებულია წუთში 250—300 ჯერ. ქონი ჩაყრილია ჯერ პირველი წყვილი ცილინდრების შუა, სადაც, რასაკვირველია, იგლიჯება და ისრისება და აქედან გადადის მეორე წყვილში, სადაც უფრო ძალიან და სრულიად ისრისება, ასე რომ აქედან გამოსული ქონი ცომს მიემსგავსება. დასასრესი მანქანა შეიძლება სხვა გვარიც იყოს, ოღონდ კარგად აასრულოს თავისი დანიშნულება.

ასე მომზადებულ ქონს ახლა დაადნობენ. ამისთვის ამ ქონს ჩაჰყრიან ქვაბში, რომელშიაც თბილი მარილ-წყალია; ამ წყალის ტემპერატურა ისეთი უნდა იყოს, რომ ქონი დადნეს, მაგრამ არც ისე მაღალი, რომ ქონი გაფუჭდეს; საჭიროა, რომ ქონი მალე დადნეს და რაც შეიძლება დაბალ ტემპერატურაზე; ყველაზე კარგი და შესაფერი ტემპერატურა იქნება 65—80°.

ქონს წყალში ჩაყრის დროს უნდა მიემატოს ცოტაოდენი, მხოლოდ რამდენიმე გრამმი პოტაში, ესეიგი ნახშირ-მჟავე კალიქვა; ეს ქონი და მარილ-წყალი, რასაკვირველია, ხანდისხან კარგად უნდა აირიოს, რომ მალე დადნეს. როცა ქონი სრულიად დადნება, გამჭვირვალე შეიქნება და დაიწმინდება, მაშინ მის ქვეშ-მყოფ მარილწყალს და იმ ხიჭს, რომელიც ქონის დადნობით არის დალექილი, გამოუშვებენ ქვაბის ქვეშ-მყოფი ონკანიდან და ქონს ერთხელ გარეცხენ თბილი წყალით, რომელსაც აგრედვე ცალკე გამოუშვებენ და ბოლოს ქონსაც გადაასხამენ ცალკე ჭურჭელში, რომელიც აგრედვე გამთბარია ცხელი წყალით, რომ ქონი არ გაიყინოს. ორი თუ სამი საათის შესვენების შემდეგ, ქონს კიდევ გამოეცლება შერჩენილი ხიჭი, დაიწმინდება და ასე დაწმენდილს ჩაასხამენ პატარ-პატარა თუნუქის ოთხკუთხ ბადიებში ანუ აუზებში, რომლებშიაც ჩადის 20—40 ლიტრი; ეს აუზები დაწყობილია თბილ ადგილას, სადაც ტემპერატურა 25—30° უნდა იყოს; ეს ტემპერატურა ქონის დადნობის ტემპერატურაზე ცოტა დაბალია და ამის გამო ქონი ცოტ-ცოტაობით, ნელ-ნელა და წყნარად გაიყინება ანუ, სწორედ ვსთქვათ, დაკრისტალდება. ასე დაკრისტალებული ქონი ხელში რომ ავიღოთ და ან პირში ჩავიდვათ,

მაშინ ჩვენ ვიგრძნობთ, რომ იმაში ურევია რაღაცა ნივთიერება, თითქოს ხორხოშელა ანუ ქვიშა ერიოს ერბოსავით ჩვილ სხეულს. 24 საათით შესვენების შემდეგ ამ ქონს აუზებიდან ამოიღებენ (აუზი ღრმა არ არის, ოთხკუთხ ტაფასა ჰგავს) და გადაიტანენ იმ ოთახში, სადაც გიდრავლიური საქაჯავი სდგას. აუზებიდან ამოღებული ქონის კვერებს ტილოს ბოხჩებში გახვევენ და რიგრიგად დააწყობენ საქაჯავის პლატფორმაზე; ყოველ თითო ან ორ წყობას დახურავენ 40°-დინ გამთბარ ლითონის (მოკალული რკინისა) დახვრეტილ ფირფიტას; ამაზე კიდევ დააწყობენ ბოხჩებში გახვეულ ქონს და დახურავენ ისევე გამთბარი ფირფიტით და ასე ბოლომდის, ვიდრემ საქაჯავი არ გაივსება; ახლა გამოქაჯას დაიწყობენ ჯერ ნელ-ნელა და მერე უფრო ძრიელ. ამით ბოხჩებიდან ანუ პარკებიდან გამოიწურება ყვითელი, ქარვის ფერი დამდნარი ქონი, რომელსაც 35—40° ტემპერატურა აქვს. ეს არის ოლეო-მარგარინა. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ეს გაიყინება და ან სქელი ცომივით გასქელდება და ახლა ამ მდგომარეობაში დიდ ხანს შეინახება სრულიად საღად. ამის გამოხვალი შეადგენს ქონის 50%.

შიგ ბოხჩებში დარჩება თეთრი, მაგარი ქონი, რომელიც სტეარინია და რომლის რაოდენობაც აიწევს 25%-დინ. ამ სტეარინს ან გაჰყიდიან და ან სანთლების მოსამზადებლად მოიხმარებენ.

ასე მომზადებული ოლეო-მარგარინი სრულიად მტკნარია, პირში დნება და გემო და სუნი ცუდი არა აქვს; ეს ნივთიერება კარგი და საღი საზრდოა და აქედან ამზადებენ ეგრედ წოდებულ ხელოვნურ ერბოს ან მარგარინს.

2) სელოვნური ერბოს ანუ მარგარინის მომზადება. ოლეო-მარგარინის ხელოვნურ ერბოდ გადასაქცევად საჭიროა მას იმისთანა ნივთიერება შეერიოს, რომელსაც ერბოს გემოსი და სუნის შეძენა შეეძლება. ამისთვის სხვა-და-სხვა ნივთიერებას ხმარობენ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რძისა ან ნაღების და ხან ერბოს შერევაზე მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას. ამ ნივ-

თიერებათა შერევა წარმოადგენს დღვების წინაალმდეგს, თუმცა კი ხშირად დღვებითვე სრულდება. აქ საჭიროა ამ ქონს გამოცლის მაგიერად ერბო შეერიოს. ამ საქმეს, როგორც ვსთქვით, ან სადღვებელში დღვებით ახერხებენ და ან ამ გარემოებისათვის მომზადებული ცენტრიფუგებით.

პირველ შემთხვევაში შესადღვებად ხმარობენ გოლშტინიურ სადღვებელს, რომელშიაც ჩაასხამენ 300 კილო (ან მეტნაკლებს) გამდნარ ოლეო-მარგარინს, 75 კილო ერბოს და 100 ლიტრ რძეს (ხან ერბოსა და რძის მაგივრად 150 ლიტრ ნაღებს ხმარობენ); ამ ნარევს ტემპერატურა დაახლოვებით 30° უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ შეუდგებიან დღვებას, რომელიც გრძელდება ერთი საათი. ახლა ერბო კარგად არის შერეული, მაგრამ თუ ამას ახლა სადღვებლიდან უბრალოდ ამოვიღებთ, მაშინ ერბო და ოლეო-მარგარინი ერთმანეთს გამოეცლებიან და ამით ძთელი მუშაობა სრულად ჩაიფუშება. ამის ასაცილებლად საჭიროა, რომ მოგროვილი ხელოვნური ერბო, ანუ უფრო სწორედ რომ ესთქვათ მომზადებული ემულსია, ერთბაშად და უცებ გაცივდეს და ამასთან ისეც დაწვრილმანდეს, წვრილმან სფერებად გადაიქცეს, რომ ნამდვილი ერბოს შეხედულობა მიეცეს. ამას ასე ახერხებენ: სადღვებლის ერბოს გამოსაშვებ ონკანს მიმართული აქვს კარგა განიერი მილი, რომელშიაც ჩამოდის ცივი ყინულიანი წყალი ორი ან სამი ატმოსფერის ზედაწოლით და ონკანის გაღების შემდეგ ეს წყალი ერევა აქედან გამონავალ ხელოვნურ ერბოს, ანაწილებს წვრილ-წვრილ სფერებად და ამავე დროს ერთბაშად აცივებს; ამის გამო სადღვებლიდან გამოსვლის შემდეგ ამ ერბოს სტრუქტურა აღარ შეიცვლება. ონკანიდან ასე გაცივებული ერბო ჩადის ერთს აუზში და აქედან ცივი წყლის ნაკადულის ჩუხჩუხით გატაცებულია და მოგზაურობს ცივ წყალთან რამდენსამე ხანს ხის აუზებში, მანამ არ ჩავა ხისავე დიდ აუზში და წყალის პირას მოიკრიფება. აქედან ამას ქაფქირებით ან საცრებით ამოიღებენ, რომ წყალი გასცილდეს და ჰაჰყრიან ერთ დიდ აუზში, რომელსაც ძირი დახვრეტილი აქვს და ზედ და-

გებულია რამე წმინდა ნაქსოვი (ბატისტი) აგრეთვე შერჩენილი წყალის გამოსაცლელად. აქ ერბო შეისვენებს 12 საათის განმავლობაში; ეს აუზი, რასაკვირველია, ცივ ადგილას უნდა იყოს მოწყობილი. რამდენადაც წყალი გამოეცლება, იმდენად ამ ერბოს სფერები ერთმანერთს დაუახლოვდებიან, ერბო ასე ვსთქვათ დაჯდება და სხეულს და კონსტიტუციას მოიპოვებს. ამის შემდეგ ამას ერთხელ ან ორჯელ გადაზელენ და ხელოვნური ერბო მზად არის. ასე მომზადებული ხელოვნური ერბო ძალიან კარგი შეხედულობისა არის, ფერი მშვენიერი ყვითელი აქვს, მადიანი, სუნი არომატიული და გემოც ცხადი და სასიამოვნო, ასე რომ ნამდვილ ერბოდან ძნელი გასარჩევია.

როგორც ვხედავთ, მარგარინი ანუ ხელოვნური ერბო ძროხის ქონია, რომელსაც გამოცლილი აქვს უმეტესი ნაწილი სტეარინი და ამის მაგივრად მიმატებული აქვს ერთი მეოთხედი ანუ მეხუთედი ერბო. ეს ერბო უფრო კარგი შესანახია, რადგანაც ის გლიცერიდები, რომლებიც ერბოს ამყარებენ აქ შეცოტავებულნი არიან. ხელოვნური ერბოს მომზადების დროს ყოველთვის ასე ბლომა ერბოს არ ურევენ, ხშირად მხოლოდ ცოტაოდენი რძით სდღევებენ და მაშინ, რასაკვირველია, უფრო დაბალი ხარისხისა იქნება, თუმცა კი ამ შემთხვევაშიც სასიამოვნო საჭმელია. ბუნებითი და ხელოვნური ერბოს შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა:

	ბუნებითი ერბოს საშუალო შედგენილება	საფრანგეთის ხელოვნური	ამერიკის ერბო.
წყალი	14,42 %	12,56 %	11,25 %
ცხიმოვანი ნივთიერებანი .	84,00 —	86,29 —	87,15 —
სხვა ნივთიერებანი . . .	1,58 —	1,20 —	1,60 —

უფრო ვრცელი ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს:

	ბუნებითი ერბო.	ხელოვნური ერბო ერბო შერეული.	ხელოვნური ერბო მარტო რძესთან ნადღევები:
ოლეინი	42,2	39,4	36,4
პალმეტინი და სტეარინი .	50,0	58,6	63,2
კუტირინი, კაპროინი და სხვანი	7,8	2,0	0,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლოს დროს მარიქსმა (Marix) ცოტაოდენად გააუმჯობესა ხელოვნური ერბოს მომზადება: რომელსამე ნაღებ-მოსახდელ ცენტრიფუგში, თუნდ მაგალითებრ ვიქტორია ანუ ლეფელდისა, ჩაუშვებენ რძეს; ნაღებ-მოხდილი რძე გამოდის ზემოთი მილიდან და ნაღები კი გაემგზავრება ცენტრიფუგის ძირისკენ, რომ ცალკე მილიდან გამოვიდეს; ცენტრიფუგის ტრიალის დროს, როცა რძის განაწილება დაიწყობა, აქვე ჩამოუშვებენ გამდნარ ოლეო-მარგარინს, რომელიც ჩამოდის სწორედ იმ ადგილას, სადაც ნაღები გროვდება. ამის გამო ეს კარგად შეერევა ამ ნაღებს და მასთან ერთად ესევე შერეული ქვედა მილიდან გამოვა. რადგანაც ცენტრიფუგის ტრიალით ამ ნარევს დიდი სიჩქარე აქვს მოპოვებული, ამისათვის ონკანიდანაც დიდის სიჩქარით და ენერგიით გამოდის. ამ მილის ახლო აუზში ტრიალებს ყინულით გაცივებული ცილინდრი, რომელზედაც ესხმება ცენტრიფუგიდან გამოსული ნაღებ-ნარეკი ოლეო მარგარინი და მაშინვე ცივდება და ისეთი სტრუქტურა ეძლევა, როგორიც ბუნებითს ერბოს შეეფერება. ამის შემდეგ ამას გადაზელენ და ხელოვნური ერბო მზად არის.

ერბოს გაყალბება და მისი ღირსების გამოკვლევა. ერბოს ხშირად აყალბებენ სხვა-და-სხვა ნივთიერებათა შერევით და, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა ამ გაყალბების შეტყობის ცოდნა. სამწუხაროდ, ყველა ცხიმოვანი ნივთიერებანი ისე ემსგავსებიან ერთმანერთს, რომ ძალიან ძნელია ამ გაყალბების შემჩნევა. ამას გარდა, როგორც უკვე ვიცით, თვითონ ერბოც ქიმიური სხეული არ არის და ამისგამო ყოველთვის ერთგვარი, უცვლელი შედგენილება არა აქვს და ეს უფრო აძნელებს მისი გაყალბების შეტყობას.

ამის მიუხედავად ბევრი და მრავალი საშუალება არის ნაჩვენები ერბოს გაყალბების შესატყობად და ყველა ისინი დაფუძნებულნი არიან იმ გარემოებაზე, რომ ფიზიკური და ქიმიური თვისება ბუნებითი ერბოსი ცოტაოდენად განირჩევა ქონის თვისებისაგან. ჩვენ აქ მკითხველების ყურადღებას მხო-

ლოდ ზოგიერთს მივაქცევთ, რადგანაც მათი ყველასი აწერა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ერბოს გაყალბების შესატყობად ვერც მისი დადნობის ტემპერატურა, ვერც მისი სიმჭირნის შეტყობა ვერას გვიშველის; მაშ ისევ ქიმიურ ანალიზს უნდა მივმართოთ.

ჭვირის და ანყლის საშუალება. ერბოს გაყალბების შესატყობ საშუალებათაგან ყველაზე უკეთესი და ყველაზე საინტერესო აქ მოხსენებული სწავლულების საშუალებაა და ამას კარგი შემწეობა შეუძლიან ერბოს გამოსაცნობად. ჩვენ უკვე ვიცით ქიმიური შედგენილება ერბოსი და ქონისა და აქ კიდევ მოვიგონოთ, რომ ერბოში ურევია 8—9% ისეთი გლიცერიდებისა, რომელთა შემადგენელი სიმჟავენიც ადვილად იხსნებიან წყალში და ადვილადვე ორთქლდებიან. ახლა თუ ჩვენ გამოსაკვლევ ერბოს (პატარა წონას) საპონად გადავაქცევთ კალიქვის ტუტის ხსნილთან ადუღებით და ამ საპონს რამე სიმჟავით გავანაწილებთ, მაშინ გლიცერიდებიც განაწილებული იქნებიან და მათში მყოფი სიმჟავენი გლიცერინიდან განთავისუფლებულნი. ამ სიმჟავეთა შორის ზოგი იხსნება წყალში და ზოგი არა; წმინდა ერბოში იმ სიმჟავეთა რაოდენობა, რომლებიც წყალში არ იხსნებიან, შეადგენენ 86,5—87,5 % და თუ ეს წმინდა ქონი იყო, მაშინ ამ სიმჟავეთა რაოდენობა აიწევს 95—96%-დინ. როგორც ვხედავთ, ამ სიმჟავეების რაოდენობათა შორის კარგა განსხვავებაა და ეს განსხვავება შეადგენს იმ საგანს, რაზედაც ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ერბოს გამოკვლევის დროს, თუ უნდათ შეიტყონ მისი გაყალბება. თუ გამოკვლევის დროს ამ სიმჟავეთა რაოდენობა 88% გადასცილდა, მაშინ უეჭველია ერბო გაყალბებულია ქონის შერევით. რადგანაც 88 და 96 შორის განსხვავება შეადგენს 8-ს, მაშ ამით შეგვიძლიან ვისარგებლოთ მიმატებული ქონის რაოდენობის შესატყობად. თუ წყალში გაუხსნელ სიმჟავეთა რაოდენობა 88-ზე გადამეტებულია, მაშინ ეს ნამეტი უნდა გაიყოს 8-ით და ეს გვიჩვენებს მიმატებული

ერბოს რაოდენობას; მაგალითად, თუ მათი რაოდენობა გამოჩნდა 88,6 ან 90 და 92, მათი გაყალბება ასე გამოიხატება:

1) $88,_6 - 88 = 0,_6$; აქედან გაყალბება $= \frac{0,_6}{8}$

2) $90 - 88 = 2$; — — $= \frac{1}{4}$

3) $92 - 88 = 4$; — — $= \frac{1}{2}$

რაც იმას გვიჩვენებს, რომ პირველ შემთხვევაში ერბოს შერეული აქვს 7,5% ქონი, მეორე შემთხვევაში შერეული ქონის რაოდენობა იქნება 25% და მესამეში 50%.

ამ საშუალებას თავისი ნაკლულოვანება აქვს და ეს ნაკლულოვანება იმაში მდგომარეობს, რომ წყალში გახსნილ სიმჟავეთა რაოდენობა 87,5—88% ყოველთვის ნამდვილი არ არის, ხანდისხან მათი რაოდენობა ამასაც გადასცილდება და ან ნაკლები იქნება. ამისგამო შეიძლება ზოგჯერ ბუნებითი ერბო გაყალბებულ ერბოდ ჩაითვალოს და ან გაყალბებული ნამდვილ ერბოდ.—ეს არის მიზეზი, რომ ჰენერის და ანჟელის საშუალება ჰკარგავს თავის სიმტკიცეს და უტყუარობას და თუ მაინცა და მაინც გაყალბების ჩვენება შეუძლიან, ეს მხოლოდ მაშინ, როცა ერბო ბევრი ქონით არის გაყალბებული.—ამას მეორე ნაკლულოვანებაც აქვს: ძნელი შესასრულებელია. ძალიან ძნელია წყალში გაუხსნელ სიმჟავეთა კარგად გარეცხა და გაშრობა ასაწონავად. ამისგამო ამ საშუალებას სხვა ნაირად ხმარობენ. იმის მაგივრად, რომ წყალში გაუხსნელ სიმჟავეთა რაოდენობა იყოს შეტყობილი, ეხლა იმ სიმჟავეთა რაოდენობას ტყობილობენ, რომლებიც წყალში იხსნებიან. ამ სიმჟავეთა გამოხდა, დისტილლაცია შეიძლება და ამ გამოხდილ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა ადვილია რამე ტუტის ხსნილით. სამწუხაროდ, აქაც ცოტაოდენი დაბრკოლება ჩნდება, რადგანაც დისტილლაციის დროს ადვილად ასაორთქლებელ სიმჟავეთა მთელი რაოდენობა არ გადადის გამოხდილ წყალში. ამისათვის ამ რიცხვსაც გასწორება უნდა და ამ შემთხვევაში ნაპოვნი რაოდე-

ნობა უნდა გამრავლდეს 1,04 კოეფიციენტით, რომელიც, თუ ანალიზი ყოველთვის ერთ პირობებშია მოხდენილი, ყოველთვის ერთი და იგივეა. პირობა იმაში მდგომარეობს, რომ აღებული ნივთიერებიდან $^{8}/_{11}$ ორთქლად უნდა იქცეს და გამოიხადოს.

რაც შეეხება თითონ ერბოს გამოკვლევას, ეს აი როგორ უნდა მოხდეს:

წყლის რაოდენობის შეტყობა. ერბოს შეუძლიან ძალიან ბევრი წყალი შეისვას და ისე, რომ გარეგნობით სრულებით არა დაეტყოს-რა. ამ წყალის რაოდენობის შეტყობა ძნელი არ არის; ცოტაოდენ ერბოს ჩასდებენ შუშის მილში, რომელსაც ერთი ბოლო შეძერწილი აქვს და განაწილებულია ნიშნებად და თბილ წყალში ჩასდებენ, რომ ერბო დადნეს და ასე გაუშვებენ ცოტა ხანს, რომ ერბოს წვეთები კარგად შეიკრიფნენ; მთელი წყალი ერბოს ქვეშ მოგროვდება და თუ იმის ტანი 20% გადასცილდა, მაშინ ცხადია, რომ წყალი შერეული ჰქონია. ეს საშუალება, რასაკვირველია, უტყუარი არ არის და თუ უნდათ უფრო კარგის სინამდვილით წყალის რაოდენობის შეტყობა, მაშინ ეს წყალი უნდა აიწონოს და ამისათვის ისევე მოიქცევიან, როგორც ეს ნაჩვენები იყო რძის წყალის რაოდენობაზე (სურათი 17).

ცხიმოვან ნივთიერებათა რაოდენობა. ამის შეტყობა, რასაკვირველია, ძნელი არ არის; ერბოს ეთერში გახსნიან, რომ წყალი და ხაჭო გამოეცალოს და ამ ხსნილს აწონილ ფიალაში დააშრობენ, 105°-ზე გააშრობენ და ასწონენ.

თავისუფალ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა. თავისუფალ სიმჟავეთა რაოდენობის შეტყობა საჭიროა მაშინ, როცა უნდათ ერბოს დამძაღების ხარისხის შეტყობა. ამისათვის აიღებენ 200 გრამ. ერბოს, დაადნობენ და მიუმატებენ 100 კ. ს. წყალს; კარგად შეანჯღრევენ იმისთანა ჭურჭელში, რომელსაც ძირში ონკანი აქვს; როცა ცოტაოდენი შესვენების შემდეგ ერბო ისევ მოგროვდება, წყალს გამოუშვებენ რამე ჭურჭელში და ერბოს ხელმეორედ მიუმატებენ 100 კ. ს. წყალს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ამასაც შენჯღრევის და დაწმენდის შემდეგ ისევ გამოუშვებენ იმავე ჭურჭელში, რომელშიაც ეხლა მოგროვილი იქნება დაახლოვებით 220 კ. ს. (20 კ. ს. და ან ცოტა მეტი ერბოს წყალია); ამ ნარეცხ წყალს ერთს ან ორ წვეთს გოგირდის სიმჟავეს მიუმატებენ და ჩაასხამენ გამოსახდელ ჭურჭელში (რეტორტა ანუ კოლბა) და აქედან გამოხდიან 200 კ. ს. წყალს, რომელსაც გამოჰყვება თავისუფალ სიმჟავეთა მთელი რაოდენობა. ამის რაოდენობას რამე ნორმალური ტუტის ხსნილით შეიტყობენ.

შაქრისა და ხაჭოს რაოდენობის შეტყობაზე, ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი რძის გამოკვლევის დროს და გამეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

გ. ზეცრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან

III *)

§1.

სახელ-არსებითს მეგრულში, როგორც ქართულშიაც, სრულიად არა აქვს გრამმატიკული ნათესავი. სახელ-არსებითს მხოლოობითს რიცხვში სახელობითის ბრუნვის საკვეცად აქვს ერთ-ერთი ხმოვანი ასო. ნიშანი მრავლობითის რიცხვისა არის სუფიქსი ეფ-ი, რომელიც მოებმის სიტყვის „ტემას“. მაგალითად: **ტანი, ტან-ეფი; ტარი, ტარ-ეფი; სატყვა, სიტყვ-ეფ-ი; ზღმა, ზღმ-ეფ-ი; საქმე, საქმე-ეფ-ი (საქმეფი); ტაშუ (მტკა-ველი), ტაშუ-ეფ-ი; სოკო, სოკო-ეფ-ი** და სხვ. მხოლოობითის სახელობითის ფორმას **პირდაპირ** მოსდევს მეგრულში ამავე რიცხვის ბრუნვათა დაბოლოებანი: ნათესაობითის ბრუნვისა სუფიქსი არის „ში“, რომელიც უდრის ქართულს იმავე ბრუნვის სუფიქსს „სი“-ს*). მიცემითი ს (მეგრ.) = ს (ქართ.); მოთხრ., როგორც სახელ., ანუ ქ (ქარ.) = **ძან**. მოქმედებითი თ (მეგრ.) = თ (ქარ.); წოდებითი არა აქვს მეგრულსა. გადაქცევ. (factit.) **ოთ** (ო) — ქარ. **ად** (ათ)... სხვა-და-

*) „მოამბე“ № XII. 1895 წ.

*) ნათესაობითის ბრუნვის დაბოლოება «სი»-ს უწინ უფრო ვრცელი ხმარება ჰქონდა. ამას გვიმტკიცებს ძველი ქართული, სადაც მას (მაგ. საღმრთო წერილში) ხშირადა ვხედავთ: „ვანი სვიმონისი (10 თ. საქ. მ.). იგივე დაბოლოება ხშირია აგრეთვე სახალხო ლექსებში (ალმასისი „ალმასის“-ს მაგივრად). ასე რომ, მაგ., კაცი, ვგონებთ, ნათესაობ. იყო უწინ კაცისი, რომელიც შემოკლდა შემდეგ „კაცის“-ად. მეგრულ-ლაზური დაბოლოება ნათესაობითისა « ში » ხომ უფრო ცხად-ჰყოფს ამ გარემოებას. ამიტომ რთული სიტყვა მამასახლისი, ჩემის აზრით, „მამასახლისა“-ს გარდასვლა (გარდაცვლა) „მამასახლისი“-ზე არ არის, როგორც ეს ზევრსა ჰგონია, არამედ ძველი პირვანდ. ნათესაობითის დარჩენილი ფორმა: სახლი, ნათ. სახლისი; მამა-სახლისი.

სხვა აზრთა და ცნებათა შეკავშირებანი გამოიხატება მეგრულში ქართულის მსგავსად სხვა-და-სხვა თანდებულებით: მაგალითად, „для человѣка“ ქართულად გამოიხატება ნათესაობითის ბრუნვით და თანდებულით „თვის“: კაცი-სა-თვის. მეგრულადაც ამავე მიზნისათვის იხმარება ნათესაობითი ბრუნვა (უ-„ან“-ოდ) და თანდებული „ო“, „ოთ“: კოჩიშო, კოჩიშოთ. „Въ городѣ“—ქარ. ქალაქ-ში, მეგრულად ქალაქი-შა და სხვ.

ბევრი სიტყვები კი მრავლობითის საწარმოებლად ღებულობენ სუფიქსს „ღეფ-ი“: დღა—მრ. დღალეფი; ტყა, მრ. ტყალეფი და სხვ. ამ წესს ემორჩილებიან თითქმის ყველა ერთმარცვლოვანი სიტყვები, თუმცა აქ გამორიცხვაც არის; მაგალითად, ღუ (ბუ) არ ითქმის: ღუღეფი, არამედ ღუფი; ეე—ვეფი და არა ველეფი, როგორც ა. ცაგარელი ამბობს: წყუ—წყუფი და სხვ. „ღეფი“-ს ღებულობენ სიტყვები: დიდა, მუშა, სქუა (შვილი). ამგვარსავე მრავლობითის დაბოლოებას ღებულობენ სიტყვები პირველის მარცვლის განმეორებით წარმომდგარნი, ამბობს ა. ცაგარელი (ნაწ. § 1, შენიშ. 3). და ამის მაგალითად მოჰყავს ჭაჭა, რომლისაგან მრავლობითს აწარმოებს ჭაჭაღეფი. ამაში პატივცემულ პროფესორს ცაგარელს გ. როზენთან ერთად*) შეცდომა მოსდის, რადგან მოხსენებულ სიტყვას მრავლობითი აქვს პირველის სუფიქსითა, ესე იგი ჭაჭეფი და არას შემთხვევაში ჭაჭაღეფი. პირველის მარცვლის განმეორებით არიან წარმომდგარნი შემდეგი სიტყვები: კაკა, ბაბა, ნანა, პაპა და სხვა. მაგრამ ყველა ესე სიტყვები აწარმოებენ მრავლობითსა პირველის და არა მეორის სუფიქსითა, სახელდობრ—ასე: პაპეფი, კაკეფი და სხვ. რაც შეეხება patronimica-ებს და ამის მაგალითებად მოყვანილ სიტყვებსა, ამაზე უნდა ვსთქვათ შემდეგი: წაჩხურალეფი, ჩვენის აზრით, არ=წაჩხურა+ლ+ეფი; და არც ჯგალარეფი არ=ჯგალა+ლ+ეფი, არამედ ჩვენებულნი ფორმანი (წაჩხურალეფი, ჯგალალეფი) წარმომდგარნი არიან, ვგონებთ, მხოლოობითის ამ ფორმათაგან: ჯგალური, წაჩხუ-

*) იხ. მოხს. დ—რ გ. როზენის: Ueber das Mingrelische, Suanische und Abchasische, Ossetische Spr. გვ. 48.

რული. პირადობის სადაურობა აღინიშნება მეგრულში სუფიქსით **ურა** (ული) მაგალ.: სენაკი, სენაკური, სენაკელი; მარტვილი მარტვილური, მარტვილელი; **ჯვარული, ჯვარელი.** ამისთანა სიტყვები აწარმოებენ მრავლობითს საზოგადო კანონისამებრ პირველის დაბოლოებით, მხოლოდ იმ განრჩევით, რომ ს.-„**ურა**“-ში **უ** მრავლობითს რიცხვში ა-ზე ეცვლებათ. ამ გვარად მრავლობითი ზემოხსენებულ patronimica-ებისაგან იქმნება: სენაკური, მრ. სენაკარეფი და სხვ. ეს „**არ**“ და „**ალ**“, მრავლობითში „**ურ**“ და „**ულ**“-ს ალაგას გამომტყვარნი, ფონეტიკური ცვლილებანი უკანასკნელთა არ უნდა იყვნენ, არამედ—წარმომდგარნი მეორე სუფიქსთაგან (არი, ალი), მით უფრო, რომ ესე უკანასკნელნი patronimica-ების საწარმოებლად ეხლაც იხმარება ზოგს შემთხვევაში, მაგალ. გუფუ (სოფ.), გუფუარი=გუფუელი; მოქვი (ს.) მოქაური=მოქუელი და სხ.

მრავლობითის სახელობითის ფორმას პირდაპირ ებმის მხოლოობითის ბრუნვათა სუფიქსები და ამ სახით იბრუნვის სიტყვა მრავლობითში:

სახ. ჩიტ-ეფ-ი
ნათ. ჩიტ-ეფ-იში
მიც. ჩიტ-ეფ-ის (ს), შემოკლ. ჩიტეფს, ჩიტენც
მოთხ. ჩიტ-ეფ-ქ.
გადაქც. ჩიტ-ეფ-ოთ (ო), ჩიტეფო
მოქმედ. ჩიტ-ეფ-ით

§ 2.

დასართავი სახელი თავად თვისად ისევე იბრუნება, როგორც სახელ-არსებითი, მაგრამ იგი, დაერთვის რა სახელ-არსებითსა, მეგრულში თვითონ სრულიად უცვლელად რჩება, მაშინ როდესაც ქართულში იგი ასე თუ ისე რიცხვში და ბრუნვათა დაბოლოებაში ეთანხმება მის მიერ საზღვრულ სახელსა. *) მაგრამ მეგრულის ანალოგიური მოელენას წარმოგვიდგენს ზო-

*) ამ გარემოებაში როზენი ხედავს ქართული ენის უფრო მაღალ ხარისხზე ასვლას სხვა ქართულ-გვარ ენებთან შედარებით (ნახ. ზემოხ. წიგნ. 84).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი სახალხო კილო ქართულისა, მაგალ. ქვემო იმერეთში გვესმის: ახალი კაცი, ახალი კაცის, ახალი კაცს და სხ. მაგრამ დასართავი სახელი არა ყოველთვის რჩება უცვლელი მეგრულშიაც: იგი იბრუნება, როცა უსახელ-არსებითოდ სდგას მართო და მნიშვნელობით თან შეიცავს რომელსამე სახელ-არსებითსა: დიდიში სიტყვა დასაჯერებელია; ანუ კიდევ იგი იბრუნება (იკანკლედება), როცა იგი ზედშესრული სახელი, როგორც განმავითარებელი (მსაზღვრელი), არა წინ უძღვის სახელ-არსებითსა, არამედ უკან მოსდევს მას. ამ შემთხვევაში ეს ზედშესრული სახელი იბრუნება, ხოლო სახელი არსებითი კი, პირიქით, უცვლელი რჩება, მაგ.

მეგრული:		ქართული:
ზღვა დიდი	=	ზღვა დიდი
ზღვა დიდი-ში	=	ზღვის დიდის
ზღვა დიდის	=	ზღვას დიდსა
ზღვა დიდით	=	ზღვით დიდით და სხვა.

ვითარებითი დასართავი სახელის შედარებითი და აღმატებითი ხარისხნი წარმოსდგებიან ისევე, როგორც ქართულში, ანუ იმ მცირედის ცვლილებითა და სხვაობით, რაიცა თავისითაც მისახვედრია ზემოთ განხილულ მეგრულ-ქართულ ბგერათა (ფონეტიკურად) თანაბრობათა მიერ.

შედარებითი ხარისხი წარმოსდგება დებულებითისაგან, მოგბმის რა თავად ზედშესრულ-სახელსა პრეფ. უ და ბოლოს—შა (ქ. სი), ამასთან დასართავის ხმოვანი დაბოლოება (ი, ე, ო) იცვლება ა-დ: დებულებითი ანუ მარტივი: დიდი, შედარებითი—უდიდ-ა-ში; ჭიჭე, პატარა, შედარ. უ-ჭიჭ-ა-ში, ფართო, შედ.—უფართაში და სხვ. აღმატების ხარისხის წარმოებისათვის საჭიროა წინაუმძღვაროთ დებულებითის ან შედარებითის ფორმას ზმნისზედები: ძალამი, ნაბეტანი და სხვ.: ძალამი დიდი=ძალიან დიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა საგანს მიეწერება რომელიმე თვისება „მცირედ დაკნინებით ან გადიდებით," მაშინ დასართავ-სახელის დებულების ხარისხს ემატება მეგრულშიაც თავსართი „მო-" ხოლო დაბოლოება ეცვლება ე-ზედ, მაგ.

მეგრული:	ქართული:
დიდი—მო-დიდე	= მოდი-დო
ახალი—მო-ახლე	= მო-ახლო
ყვინთელი—მო-ყვინთელე	= მო-ყვინთლო და სხვ.

რომელსამე ვითარებაზე გინა მდგომარეობაზე განსაკუთრებითის ყურადღების მისაქცევად მეგრულს ქართულთან ერთად ძლიერ უყვარს ორჯერ გამეორებული სიტყვები, მაგ.:

მეგრული:	ქართული:
დიდ-დიდი	= დიდ-დიდი
გინძე-გინძე	= გრძელ-გრძელი
მაღალ-მაღალი	= მაღალ-მაღალი
ხოლო-ხოლოს	= ახლო-ახლოს
შორ-შორს	= შორ-შორს

პიროვნებითი ნაცვალ-სახელები ხმაურობენ ასე:

1) მა	= მე
2) სი	= შენ
3) ინა, თინა, ი	= ი, ის, იგი.

მრავლობითი:

1) ჩქე	= ჩვენ
2) თქვა	= თქვენ
3) ინეფი	= „იმები", ისინი, იგინი.

ეს ნაცვალ-სახელები იბრუნვიან ასე:

მა, სი, ი-ნა	= მე, შენ, ის
ჩქიმი, სქანი, იში (ინაში)	= ჩემი, შენი, იმისი
მა, სი, ი-ნას	= მე, შენ, იმას
ჩქიმით, სქანით, ით(ი)შით	= ჩემით, შენით, იმით.

მრავლობითი რიცხვი:

ჩქე, თქვა, ინეფი = ჩვენ, თქვენ, „იმები“ (იმერ.)
ჩქენი, თქვანი, ინეფიში = ჩვენი, თქვენი, „იმების“ („)
ჩქე, თქვა, ინეფს = ჩვენ, თქვენ, „იმებს“ („)
ჩქე-ნით, თქვანით, ინეფით, = ჩვენით, თქვენით, იმებით

კუთვნილებითი ნაცვალ-სახელების მაგივრობას მეგრულშიაც ასრულებს ნათესაობითი ბრუნვა პიროვნებითთა ნაცვალ სახელთა*) და მაშინ იგინი იბრუნვიან, როგორც ზედ-შესრული სახელი. კუთვნილებითი ნაცვალ-სახელების კანკლედობა განირჩევა პიროვნებითი ნაცვალ-სახელების კანკლედობისაგან; აი მაგალითი:

თქვანი = თქვენი
თქვანიში = თქვენისი, თქვენის
თქვანიშის (თქვანის)=(თქვანს,
თქვანც) = თქვენისის=თქვენსს=(თქვენს)
თქვანიშით = თქვენისით და სხვ.

თქმა არ უნდა, რომ ქართულში **ჩემით** და **ჩემისით** ერთი და იგივე არ არის მნიშნელობითა, როგორც მეგრულში **ჩქამით** და **ჩქამიშით**. მაგალ. წინადადებაში **ჩემით** გაკეთდა საქმე და **ჩემისით** გაკეთდა საქმე. წინადადებაში: „იგი **ჩემთან** მოვიდა“, **ჩემ-თან** პიროვნებითი ნაცვალ-სახელია. „ჩემს ძმასთან მოვიდა იგი“, აქ კი „ჩემ“ გინა „ჩემს“ კუთვნილებითია, რადგან „ჩემს“ შემოკლებულია „ჩემის“-საგან, რომელიც თავის მხრით, შეიძლება, წარმოსდგა ფორმისაგან „ჩემისის“.

ჩვენებითი ნაცვალ-სახელები:

ე-ნა, (მოკლედ) **ე** = **ეს**, მოკლედ **ე** ხალხ.
ი-ნა, „ **ი** = **ის**, „ **ი** ხალხ.

*) იქნება დღეს უფრო სწორე იყოს ვსთქვათ, რომ ნათეს. ბრუნ. პირ. ნაცვალ-სახელთა წარმოსდგა კუთვნ. ნაცვალ-სახელთაგანაო.

უმთავრესი კითხვითი ნაცვალ-სახელები მეგრ. არისა:

მეგრულად:	ქართულად:
მინ?, მინუ (ან შემოკლ. მი)=	ვინ?*)
მუ?	= რა?
ნამუ?	= ვინ, რომელი?

ჩვენს მოკლე, ორსიტყვიოს გრამმატიკულ მიმოხილვას მიზნად არა აქვს შეადაროს მეგრულ-ქართული ზმნა ერთმანერთსა მთელის მათის ფორმაციითა და ამ შედარებიდან გამოიყვანოს რამე ზოგადი საგრამმატიკო კანონი. ჩვენთვის საკმარისია ეხლა, ავიღოთ რომელიმე ზმნა და მიმოვნახოთ იგი მეგრულად და ქართულად ერთი მეორის გვერდზე, პარალელურად. აქედან უფრო (ვინემ გრამატიკულ კანონების ჩამოთვლიდან) დაინახება მეგრულისა და ქართულის ზმნის ერთხორკობა და სულობა. ჩვენ მივმართავთ თუნდ ბ. პ. კვ—ის „სწორმეტყველებას“ და იქიდან ამოვწერთ პირდაპირ ქართ. მიმოხვრას იქ მაგალითად მოყვანილ ზმნისას და გვერდზე მივაწერთ მეგრულად მიმოხვრას ამავე ზმნისას.**)

მეგრულად:		ქართულად:
კეთება	=	კეთება

ჩვენებით სახარი (ანუ საზღვრებით სქესი) აწმყო დრო:

მხოლოობითი რიცხვი:		მრაელობითი რიცხვი.	
ქართ.	მეგრ.	ქართ.	მეგრ.
1) ვაკეთებ	= ვაკეთე(ნქ)	1) ვაკეთებთ	= ვაკეთენთ
2) აკეთებ	= აკეთე „	2) აკეთებთ	= აკეთენთ
3) აკეთებს	= აკეთენს	3) აკეთებენ	= აკეთენა

*) ქვემო იმერ. გამოთქმა არ განირჩევა მეგრულისაგან.

*) ვიხოვ მკითხველსა ქვემო მოყვანილ შედარებაში საგრ. ტერმინოლოგიას ამდენი ყურადღება არ მიაქცაოს, რამდენიც თვით ფორმების მზგავსებასა და ერთგვაროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამყო (ქმნილი) უსრული ერთგზობითი სახე:

ქართ.	მეგრ.	ქართ.	მეგრ.
1) ვაკეთე	= ვაკეთი	1) ვაკეთეთ	= ვაკეთით
2) აკეთე	= აკეთი	2) აკეთეთ	= აკეთით
3) აკეთა	= აკეთ, აკეთს	3) აკეთეს	= აკეთეს, (აკეთესგ)

მრავალ-გზობითი სახე

ქართულად:	მეგრულად:	ქართულად:	მეგრულად:
1) ვაკეთი	= ვაკეთი	1) ვაკეთით	= ვაკეთით
2) აკეთი	= აკეთი	2) აკეთით	= აკეთით
3) აკეთის	= ეკეთ, აკეთგ	3) აკეთინ	= აკეთეს, (აკეთესგ).

ნამყო (ქმნ.) უსრული დრო:

ქართულად:	მეგრულად:	ქართულად:	მეგრულად:
1) ვაკეთებდი	= ვაკეთენდი	1) ვაკეთებდით	= ვაკეთენდით
2) აკეთებდი	= აკეთენდი	2) აკეთებდით	= აკეთენდით
3) აკეთებდა	= აკეთენდგ	3) აკეთებდნენ	= აკეთენდეს

ნამყო (ქმნ.) სრული დრო:

1) გავაკეთე	= გავაკეთი	1) გავაკეთეთ	= გავაკეთით
2) გააკეთე	= გაკეთი	2) გააკეთეთ	= გააკეთით
2) გააკეთა	= გაკეთგ	3) გააკეთეს,(-გ)	= გააკეთეს(-გ)

მრავალ-გზობითი სახე:

გავაკეთი — გავაკეთი და სხვ. მეგრულში ისე, როგორც ზემო მოყვანილი.

ნამყო-ოდეს უსრული დრო:

ქართულად:	მეგრულად:	ქართულად:	მეგრულად:
1) მიკეთებია	= მიკეთებუ	1) გვიკეთებია	= გვიკეთებუნა (ანუ მიკეთებუნა)
2) გიკეთებია	= გიკეთებუ	2) გიკეთებიათ	= გიკეთებუნა
3) უკეთებია	= უკეთებუ	3) უკეთებიათ	= უკეთებუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამყო-ოდეს სრული დრო:

1) გამიკეთებია = გამიკეთებუ
2) გაგიკეთებია = გაგიკეთებუ
3) გაუკეთებია = გაუკეთებუ და სხვ.

მყობადი სრული დრო:

1) გავაკეთებ = გავაკეთე
2) გააკეთებ = გააკეთე
3) გააკეთებს = გაკეთენს და სხვ.

მყობადი უსრული დრო:

1) კეთებას დავიწყებ=კეთებას დივიწყა და სხვ.

სათუო სქესი ანუ საიჭვო სახარი:

ა) აწმყო დრო

1) ვაკეთებდე=ვაკეთენდე 1) ვაკეთებდეთ = ვაკეთენდეთ
2) აკეთებდე = აკეთენდე 2) აკეთებდეთ = აკეთენდათ
3) აკეთებდეს=აკეთენდასც 3) აკეთებდენ (დნენ) = აკეთენდანი.

ბ) ქმნილ-უსრული დრო:

1) მეკეთებია, = მიკეთებუდგ-კონი, მიკეთებუდუკონი
2) გეკეთებია = გიკეთებუდ-უ-კონი...

გ) ქმნილ-სრული დრო:

1) გამეკეთებია (გამეკეთა) = გამიკეთებუდ-უ-კონი
2) გაგეკეთებია = გაგიკეთებუდ-უ-კონი...

დ) მყობადი უსრული დრო:

1) ვაკეთო = ვაკეთე
2) აკეთო = აკეთე... და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მყობადი სრული დრო:

1) გა-ვაკეთო = გავაკეთე და სხვ. როგორც (დ) „გა“-ს მიმატებითია.

მიჩემებითი ფორმები ზმნათა:

ესენი მიმოიხვრიან სხვა-და-სხვა დროებზედა და—სქესებით:

ქართული:	მეგრული:
1) ვიკეთებ	= ვიკეთე
2) იკითებ	= იკეთე
3) იკეთებს	= იკეთენს და სხ.
1) მიკეთებ	= მიკეთე
3) მიკეთებს	= მიკეთენს
1) გიკეთებ	= გიკეთე
2) გიკეთებს	= გიკეთენს და სხ.
1) უკეთებ	= უკეთე
2) უკეთებ	= უკეთე
3) უკეთებს	= უკეთე და სხ.

ა) სხმით გარდასვლითი ფორმები:

1) ვაკეთებინებ = ვოკეთებაფუა
2) აკითებინებ = ოკეთებაფუა
3) აკეთებინებს = ოკეთებაფუანს.

ბ) მრჩობელ-სხმით გარდასვლითნი:

1) ვაკეთებინებინებ = ვაკეთებაფუაფუა { ფორმა გასაგები, მაგრამ იშვიათ სახმარი.
2) აკეთებინებინებ = ოკეთებაფუაფუა

ეს მოხსენებული ზმნები (ა, ბ) არა თუ მიმოიხვრებიან სხვა-და-სხვა დროებზედა და „სახრებითა“, არამედ შესაძლოა

ესენი გადატანილი იქმნეს ზმნათა მიჩემებითს ფორმებზედაც, მაგალითად:

1) გიკეთებინებ = გიკეთებაფუა
2) გიკეთებინებს = გიკეთებაფუანს და სხვ.

ვნებითი სახარი (სქესი):

აწმყო და მომავალი:

1) ვკეთდები, გავკეთდები=ვიკეთებუქუ, გევკეთებუქუ, გებკეთებუქუ.

ნამყო უსრული:

1) გავკეთდებოდი=გევკეთებუდი, გებკეთებუდი და სხვ.

ნამყო სრული:

1) გავკეთდი = გევკეთი, ვებკეთი და სხვ.

ნამყო-ოდეს სრული:

1) გავკეთებულვარ=გაკეთებული ვორექ, ვაბკეთებექ და სხვ.

მიმდეობანი

1) მკეთებელი = მაკეთებელი
2) კეთებული = კეთებული
3) გაკეთებული = გაკეთებული

ბრძანებითი სქ.:

აკეთე = აკეთი
აკეთეთ = აკეთით და სხვ.

კითხვითი ფორმის მაგალითი:

1) ვაკეთო? = ვაკეთაო?
2) აკეთო? = აკეთაო?
3) აკეთოსო? = აკეთასაო? და სხვ.

ამ მოყვანილ ზემო შედარებიდან, ეგონებ, ადვილად მისახვედრია, რომ სრულის უფლებითა და სამართლიანად ამბობს სახელოვანი ფილოლოგი ფრ. მიულლერი, „ზმნა ამ ენებისა *) საკვირველად ერთგვარია და ერთმანერთის მზგავსი არა თუ ძირეულის საფუძვლითა, არამედ იმ ელემენტებითაც, რომლებსაც ხმარობს იგი (ზმნა) თავის ფორმების საწარმოებლად“-ო**).

კავშირთაგან უმთავრესი შემაერთებელი კავშირი და= მეგ. დო, მაგალ. ცა და ქვეყანა=ცა დო ქეჟანა; ცხენი და უნაგირი=ცხენი დო უნაგირი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

ქართ.		მეგრ.
ერთი	=	ართი
ორი	=	ჟირი (სამურ. ჟერი)
სამი	=	სუმი
ოთხი	=	ოთხი
ხუთი	=	ხუთი
ექვსი	=	ამშვი
შვიდი	=	შქვითი
რვა	=	რუო, ბრუო
ცხრა	=	ჩხორო
ათი	=	ვითი
ოცი	=	ეჩი
ასი	=	ოში
ათასი	=	ანთასი

*) ე. ი. ქართულისა, მეგრულისა, ლაზურისა და სვანურისა.

**) ნახ. Grundriss der Sprachvissenschaft. III Rand. II Abtheilung. I Hälfte. 199 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებითნი:

ქართ.		მეგრ.
პირველი	=	პირველი
მე-ორე	=	მა-ჟირა
მესამე	=	მა-სუმა
მეოთხე	=	მაოთხა, მაანთხა
მეხუთე	=	მახუთა და სხვ.

„განწვალვითი“ რიცხვითი სახელები:

ნასამალი	=	ნასუმორი
ნახუთალი	=	ნახუთალი და სხვ.

ქართ.		მეგრ.
ოთხ-ოთხი	=	ოთხ-ოთხი
ხუთ-ხუთი	=	ხუთ-ხუთი
ექვს-ექვსი	=	ამშვი-ამშვი, ამშვაშვი.

§ 2.

ზოგიერთი ელემენტები სიტყვათა წარმოებისაჲვის ქართულსა და მეგრულში

(პრეფიქს-სუფიქსები)

ა) პრეფიქსი გა, რომლითაც ზმნები გაუთავებელის სახისა გადიქცევიან ზმნებად გამთავე სახისად, ანუ რომლის შემწეობით სახელთაგან წარმოსდგებიან ისეთი ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ გადასვლას ანუ გადაქცევას იმ ნივთად (საგნად) ანუ თვისებად, რომელიც გამოხატულია სახელებში, რომლებისაგან ეს ზმნები წარმოსდგებიან,—ეს პრეფიქსი გა ერთია მეგრულსა და ქართულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითები პირველის შემთხვევისა:

ქართულ.		მეგრ.
1) კეთება	—გა-კეთება =	კეთება — გა-კეთება
2) ხარება	—გა-ხარება =	ხარება — გა-ხარება
3) თავება(ვათავებ)	—გათავება =	თეება — გა-თეება.

მაგალითები მეორის შემთხვევისა:

ქართ.	მეგრ.
1) გა-ამხანაგება (ამხანაგი)	= გააფხანაგება (აფხანაგი)
2) გა-დიდება (დიდი)	= გა-დიდება (დიდი)
3) გა-ურჯულება	= გა-ურჯულება (ურჯულო)
გა-ზეთება (ზეთი)	= გა-ზეთება (ზეთი)
გა-თავისუფლება	= გა-თავისუფლება (თავისუფალი)
გა-ახლება (ახალი)	= გაახალება (ახალი)
გა-ღმერთება	= გა-ღორონთება (ღორონთი)
გა-ღვინება	= გა-ღვინება —(ღვინი) და სხვ.

ქარ. „გა“-ს უდრის მეგრედვე **გო**:

გა-ჭრა	= გო-ჭეგრვა
გა-ლახვა	= გო-ლახუა

b) ქართულ. პრეფ. **და** = მეგ. **და**:

და-კავება	= და-კგნება
და-გვიანება	= და-გვიანება
და-წუნება	= და-წონება

„**და**“-ს უდრის მეგრულში კიდევ **დო**:

და-ძახება	= დო-ძახება
და-წყობა	= დო-ნწუალა
და-თხრვა	= დო-ნთხორჭა.

c) **ნა** ეს—საბა სულხან ორბელიანის სიტყვით —„ყოველთა მყოფობიდამ გარდასრულთა ართრონი“ ამავე როლს ასრულებს მეგრულ კილოშიაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული:	მეგრული:
ნა-წისქვილევი	= ნა-წისქვილ(ე)
ნა-სოფლარი	= ნა-სოფელ(ე)
ნა-ღვინევი	= ნა-ღვინ(ე)
ნა-ცხენევი	= ნა-ცხენე
ნა-ანგელოზევი	= ნა-ანგელოზე
ნა-კეთები	= ნა-კეთებუ
ნა-თქომი	= ნა-თქუალ(ე)

---

d) პრეფ. „სა“ მეგრულშიაც აწარმოებს სახელებს ადგილისას, დროისას; ჭურჭელთა და სხვ.; კუთვნილებით ზედშესრულ სახელებს სახელ-არსებითაგან, ნაცვალ-სახელებისაგან და სხვ. ნაბოლოვარი ხმოვანის ცვლილებით:

ქართული:	მეგრული:
სა-ქართველო	= სა-ქორთუო
სა-ხელმწიფო	= სა-ხენწიფო
სა-მურზაყანო	= სა-მურზაყანო
სა-აფხაზო (აფხაზეთი)	= სა-აფხაზო
სა-ქათმე	= სა-ქოთომე
სა-ღვინე	= სა-ღვინო
სა-კაბე	= სა-კაბო
სა-სოფელე	= სა-სოფელო
სა-ღმრთო	= სა-ღორონთო
სა-თქვენო	= სა-თქვანო
სა-ბოვშო	= სა-ბოშო
სა-მადლო	= სა-მარდო
სა-გულე	= სა-გურე
სა-წისქვილე	= სა-წისქვილო

ქართული **სა** = აგრეთ. მეგრულ **ო**

სა-თხოვარი = ო-თხუარი (ლი)
სა-ცხენე = ო-ცხენე

ეროვნული ბიბლიოთეკა

e) პრეფიქსის „სი“-ს შემწეობით მეგრულშიაც ზედსართულ სახელთაგან ანუ არსებითთა სახელთაგან გარდაღებითნი (переносныя) სახელნი არსებითნი სწარმოებენ:

ქართული:	მეგრული:
სი-დიდე	= სი-დიდა
სი-მაღლე	= სი-მაღალე
სი-განე	= სი-განე
სი-ნათლე	= სი-ნათელე (სინთე)
სი-მთელე	= სი-ნთელე
სი-გრძე	= სი-გირძე

f) პრეფიქ. **უ**, როგორც უარყოფის (უკუთქმის) ნიშანი, საერთოა ქართულსა და მეგრულში:

ქართული:	მეგრული:
უ-ცხენე	= უ-ცხენე
უ-კისრე	= უ-კისრე
უ-ქუდე	= უ-ქუდე
უ-სახელე	= უ-სახელო
უ-ძუვე	= უ-ძუე

g) პრეფიქსი **მე** მეგრულშიაც აწარმოებს მოქმედთა სახელებს (nomina agentis).

ქართ.:	მეგრ.:
მე-წყლე	= მე-წყარე
მე-უნაგირე	= მე-უნაგირე, მეონანგერე
მე-ჩექმე	= მე-ჩექმე
მე-პურე	= მე-ქობალე
მე-კირე	= მე-კირე
მე-ხორცე	= მე-ხორცე
მე-ქუდე	= მე-ქუდე

h) **მ, მა, მო = მა, მო**

მჭამელი = მაჭკუმალი

მკეთებელი = მაკეთებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზაკვარი = მაზაკვარი (ლი)
მთქმელი = მათქუალარი
მანათობელი = მანათებელი
მა-დიდებელი = მადიდებელი
მო-კეთე = მო-კეთე
მოხელე = მოხელე
მოლაპარაკე = მორაგადე

---

i) სუფიქსი **ება, ობა,** აწარმოებს განყენებულ სახელებს, ანუ საზოგადოდ სახელებს „დამნიშვნელს მოქმედებისა ანუ მდგომარეობისას“:

ქართ.:	მეგრ.:
ბოვშობა	= ბოშობა
ყურზნობა	= ყურზენობა
დიდობა	= დიდობა (დიდი)
ივანობა	= ივანობა (ივანე)
ხუთობა	= ხუთობა (ხუთი)
ჟამობა (სიყმილის დრო)	= ჟამობა (ჟამ-ბადობა)
ჯარობა	= ჯარობა, ჯარალა

---

k) სუფიქსები **ური, ული** (სადაურობის ანუ რანაირობის დამნიშვნელნი) საერთონი არიან ხშირად აგრედვე:

ქართ.	მეგრ.
სოფლური	= სოფელური
ვაჭრული	= ვაჭარული
თურქული	= თურქული
უბედური	= უბედური.

სადაურობისა ანუ ვინაობის დამნიშვნელი სიტყვები ბოლოვდებიან სუფ. **ური** (ელი), რომელსაც ამ შემთხვევაში ქართულში უდრის **ელი**:

მეგრ.	ქართ.
მარტვილური	= მარტვილური: და კიდევ: მარტვილელი
სენაკური	= სენაკური; სენაკელი
ოდიშური	= ოდიშური; ოდიშელი

---

l) ქარ. სულ. **იანი**	= მეგ. **იანი** და უფრო **ამი**
ქვიშიანი	= ქვიშამი
დედ-მამიანი	= დედა-დომუმამი
წყლიანი	= წყარამი
კისრიანი	= კისერამი
წითელ-კაბიანი	= ჭითა-კაბამი
ჩვენიანი	= ჩქნიანი
დიდიანი	= დიდიანი
ერთიანი	= ართიანი
ხუთიანი	= ხუთიანი
m) **იერი, იელი**	= **იერი, იელი**
ხნიერი	= ხანიერი
ჭკვიერი	= ჭკვერი
მადლიერი	= მარდიელი
კაცნიერი	= კოჩანიერი
სულელი	= სუნელი

ებური	= **ებურა, ობურა**
ჩემებური	= ჩქიმობურა
თქვენებური	= თქვანობურა.

ზ. ჭარაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲗᲘᲣᲚᲔᲗᲘ 1804 ᲬᲔᲚᲡᲐ

ისტორიული ამბავი

XII *)

1804 წელს, ოქტომბერში ყოველივე გათავდა; აღელვებული მთიულეთი დაწყნარდა, იარაღი დაჰყარა და შიშითა და კრძალვით მოელოდა თავისს მწარე ბედსა. მთავრობამ თავისი გაიტანა; დარიალის დახშული ხეობა გაიხსნა და ძველებურად, დაუბრკოლებლივ, დაიწყეს მისვლა-მოსვლა მგზავრთა და ვაჭართა. რუსის ახალ-ახალი მხედრობა ხელშეუშლელად მოდიოდა ლინიიდან საქართველოს და იქა ბანაკდებოდა, საცა საჭიროება მოითხოვდა.

მთავარ-მართებელი პავლე დიმიტრისძე კარგს გუნებაზედ იყო, რაკი ბატონიშვილი ფარანაზი, ეს უკანასკნელი იმედი მეამბოხეთა, დაატყვევა და ციხეში უკრა თავი. თუ არ ეს, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ჭაბუკი, ვინღა შეუშლიდა ეხლა ხელს მთავარ-მართებელს, ემოქმედნა ისე, როგორც მისი გუნება და მოსაზრება მოითხოვდა? მართლაც ფარანაზის დატყვევების შემდეგ თ. ციციშვილის წერილებსა და ბრძანებაგანკარგულებათა ძველებური, ჩვეულებრივი რიხიანი და მკაცრი კილო დაეტყო. მის სიტყვა-პასუხს, მოქმედებას და სამოქალაქო და სამხედრო განკარგულებას ემჩნეოდა კვლავინდებური სითამამე, ულმობელობა გამარჯვებულის სარდლისა და მხედართ-მთავრისა, რომელმაც ერთის წუთის წინად საშინელი ქარიშხალი გამოიარა და კინაღამ, ცოტას გასწყდა, მთლად არ ჩაინთქა და არ დაიღუპა სულით-ხორცამდე. ერთი წელიწადი

*) «მოამბე» № XII.—1885 წ.

და სამი თვე-ღა იცოცხლა თ. ციციშვილმა მთიულეთის დამშვიდების შემდეგ და ისე გულს-მოფონებული არასოდესა ყოფილა, როგორც ეხლა, როცა რუსეთისათვის დარიალის კარი გაიღო და ყრუ, მიშავებედებულ ხეობიდან ღისნისა და გამარჯვების იმედმა შეაშუქა მის დარდითა და ნაღვლით სავსე გულში. დიაღ, რაკი ლოდივით შემოწოლილი დარდი მოიშორა, რაკი დანაოჭებული შუბლი გაიხსნა, მთავარ-მართებელმა მხნედ დაიწყო მოქმედება, რომ შემდეგში აღარ გამეორებულიყო ასეთი უსიამოვნო და საშიში ამბაჲი, როგორიც იყო ამბოხება მთიულეთისა.

ოც და ოთხსავე ოქტომბერს თ. ციციშვილმა ბრძანება გაუგზავნა არაგველებს, მთიულებს და კავკასიონის უღელ-ტეხილის სხვა ხეობათა ნაცვლებსა. დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთან ანანურსო,—სწერს მთავარ-მართებელი,—ნაცვლები, თითო სოფლიდან ოროლი მოხუცებული და აგრეთვე ყველასაგან პატივცემული კაცნი, სახელდობრ: პეტრე ჩოხელი და გერანა გუდამაყრელნი; გავა ხორებოვი და ნაცვლისშვილი გიორგი ჩიტაური ჩარტალელნი; დიაჩოქი ცეველური, გიორგი სეტურიძე და პაპუნა მიდელაური—ხადელელნი; ხუთი კომლი ნარიმანიძე, ტონჩაელი ნინია ბურდული, არაგვეთელი აბრამა კობაიძე, ჩირიკელი ლიბასისშვილი კობაიძე, კობოდკორელი ბარათასძე ცხაოტელი, ფიცხელა ჩოხიევი პალიაურელი, მამისა იმედი ჩიპრიკოვი ხანდოელი და მოსახლისშვილი. პირადათ მე თვითონ გამოგიცხადებთ და წერილითაც დაგიმტკიცებთ, რა გადასახადი და ხარჯი უნდა გასწიოთ, რომ გაიგოთ და შეიტყოთ, რა მოვალეობა გაწევთ კისრად. ამას შემდეგ ვერავინ დაგბატანთ ძალას უსასყიდლოდ გააკეთოთ ისა, რისაც მოვალენი არა ხართ და უჯიათსაც ვეღარავინ გიზამთ. ამასთანავე ეხლა გაძლევთ ნებასა საქონელი გარეკოთ იქა, საცა წინად გიძოვებიათ, თორემ თქვენი სიბრიყვე და უზრდელობა თქვენვე ღაგღუპავთ და ცოლშვილიანად შიმშილით გაწყვდებითო. სიტყვას გაძლევთ, ასე ათავებს ბრძანებას მთავარ-მართებელი, რომ თქვენს საქონელს ხელს აღარავინ ახლებსო.[1])

[1]) იხ. Акты, т. II, გვ. 333.

მთიული იმის მთიულია, რომ ჯიუტია და კერპი. მართალია, იარაღი დაჰყარეს, პირდაპირ ბრძოლას ეელარა ჰბედავდნენ, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავდა, რომ მტერს შიგ პირში ჩაუვარდიო. ყოველი მათგანი ამ ჟამად ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, შორს გასცლოდა კარზე მომდგარ მტერსა, მიმალულიყო სამძე მიყრუებულ და გადაკარგულ ალაგას. მთავარ-მართებელი კი ანანურს იბარებდა, აქ მოდით ჩემთან, პირისპირ უნდა გელაპარაკოთ, დაგარიგოთ და ჭკუა გასწავლოთო. ამას ვერ იზამდნენ და აკი არავინ გამოცხადდა ანანურსა. პავლე დიმიტრისძეს ბოღმა მოერია, როგორ მიბედავენ და ჩემს ბრძანებას არ ასრულებენო. „ათი დღეა ანანურსა ვარ, სამჯერ გამოვგზავნე კაცი, გითვლიდით, გამოვგზავნათ ჩემთან ნაცვლები და საპატიო კაცნი და აქამდისინ ვერავისა ვხედავ ჩემს წინაშე, აქამდისინ მიბედავთ ურჩობას. არ მინდა დავანთხიო ქრისტეანეთა სისხლი და ამისათვის უკანასკნელად გწერთ, თუ ხვალვე არ გამოცხადდებით, მაშინ დაინახავთ, რა ბედისწერაა შეეყრებითო“. ამას შემდეგ მთავარ-მართებელი ცოტათი მოტკბება და ასე განაგრძობს: ეგებ ბატონიშვილის ფარნაოზის იმედი გაქვთ და იმიტომ არ გინდათ გამოცხადდეთ. იცოდეთ, რომ ფარნაოზი უკვე შეპყრობილია და ციხეში ბძანდება; თუ არა გჯერათ, ამოირჩიეთ სანდო კაცები და ტფილისს გაჰგზავნეთ, რომ თავიანთის თვალითა ჰნახონ დამწყვდეული ბატონიშვილი. ცოლშვილი შეიბრალეთ, ნუ ჩადგებით იმათს საცოდავობაში და დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთანაო, ამ სიტყვებით ამოლოვებს ბრძანების მთავარ მართებელი.[2])

სულ ორი დღე არ გასულა ამ ბრძანების შემდეგ და მთავარ-მართებელი ხელახლა სწერს მთიულებსა და გუდამაყრელებს, მოურავად დაგინიშნეთ კაცი პატიოსანი და სანაქებო საქციელისა, გრიგოლ კობიაშვილი. ყოველი მისი ბრძანება, მოვალენი ხართ, შეასრულოთ უარის უთქმელად; ვინც კი გაჰბედავს და მის ბრძანებას არ ასრულებს, სასტიკად დაისჯება და იცოდეს, რომ შებრალებას ალაგი არ ექმნებაო. ამასთანა-

[2]) ibid. გვ. 334.

ვეო,—უთვლის თ. ციციშვილი, — უკეთუ კობიაშვილმა შეგვაეიწროოთ და უჯიათი გაგიწიოთ, დაუყოვნებლივ მე მომართეთ საჩივრით და უდანაშაულოდ დასჯილი და დაჩაგრული პარდაპარ ჩემგან მიიღებს დაკმაყოფილებასაო.[3])

აი ასეთს მზრუნველობას იჩენდა მთავარ-მართებელი პირველ ხანს აჯანყების დაწყნარების შემდეგ; ასე განუგებ მოიღრიკა ქედი და წარმოიდგინეთ, მოურავად პატიოსნებით სავსე კაცი დაუნიშნა და, რაც უფრო საკვირველია და წინააღმდეგი „მოხელეობის პრინციპისა“, ატყობინებს წინადვე, მართალია, რიგიანს კაცს გინიშნავთ, მაგრამ, ვინიცობაა, უკანონოდ მოგექცესთ მოურაეი, საჩივარით მე თვითონ მომმართეთო. მთიულებმა არ შეისმინეს მთავარ-მართებელის მოწოდება და არ გამოცხადდნენ მის წინაშე დარიგების მისაღებად. ეტყობა მთიულებმა არ დაიჯერეს მთავარ-მართებლის დაპირება, წინადაც ბევრჯელ დაგვპირებიან ათას სიკეთესა და სითარხნესა, მაგრამ თოვლის ხვეტით სული ამოგვართვეს და ზურგზე მათრახის ცემით ტყავი ავგაძრესო. რაკი ამდენი სიმწარე გამოსცადეს და მრავალი შეურაცხება აიტანეს აღვირ-ფხსნილ კაპიტან-ისპრავნიკებისაგან, აგრე ადვილად აღარ ენდობოდნენ მთავარ-მართებლის დაპირებას. განსაკუთრებულ ურჩობას იჩენდნენ გუდამაყრელნი, რომელნიც, არამც თუ არ დაწყნარდნენ, არამედ კიდევაც გაჰბედეს და საქართველოს სამხედრო გზა, რის წვითა და დგვით აღდგენილი და შეკეთებული ჯარის-მიერ, რამდენსამე ალაგას ჩახერგეს და გაანიავეს. ციციშვილმა რომ შეიტყო ასეთი თავხედობა გუდამაყრელებისა, თავი მოიკლა და სწორედ ცეცხლი დააფრქვია პირიდან სიბრაზითა. მართალია, დავიწყებას მივეცი თქვენი დაუდგრომელობა და გაპატიევთ დანაშაული,—სწერს პაველე დიმიტრისძე გუდამაყრელებს, მაგრამ მესმის, რომ საძაგელი და მაწანწალა ხალხის

[3]) ibidem, გვ. 335. აქვე ნუსხაა მოყვანილი, რა ფასი უნდა იღონ მთიულებმა ნივთების გადმოზიდვაში საქართველოს სამხედრო გზით. მაგალითებრ ლარიდან სტეფანწმინდამდე 9—10 ფუთის გადატანაში უნდა აიღონ 2 მან., ცარიელის ცხენის ქირა კი 1 მან. და სხვა. Акты, т. II, გვ. 334.

ჩაგონებით ისე იქცევით, თითქოს თქვენი თავის დაღუპვა გწადიოდეთ. ამბავი მომიტანეს, რომ სანგლები გაგიკეთებიათ, კვლავინდებურად არც ახლა გინდათ მიიღოთ ისპრავნიკი, არა გსურთ სახელმწიფო ამუნიცია (ჯარის-კაცთა ნივთეულობა) გადაზიდგადმოზიდოთ, თუმცა ნუსხა ქირისა ყველა სადგურზე ჩემის ბრძანებით გაკრულია და შიგ დაწვრილებითაა აღნიშნული, თუ რისა რა ფასი გერგებათ. ფასი ისეთივეა დაწესებული, როგორიც განჩინებული იყო საქართველოს მეფეთა დროსა. რომ მოხელეთ არ შეგაწუხონ, ბძანება გავეცი, არავინ გაჰბედოს და უკანითი არ მოგაყენოს და ახალი კაპიტან-ისპრავნიკი განგიწესეთ. ვფიცავ უზენაესსა, უკეთუ ამ წერილის მიღების შემდეგაც, სისულელეს [4]) არ მოიშლით, არ მიიღებთ ისპრავნიკსა, არ გამოიყვანთ კაიშაურს ბეგარაზე 150 ცხენსა სამის დღით, მაგდენსავე მარჭფად, დაგაწიოკებთ და ქვას ქვაზე არ დავტოვებ თქვენს ადგილ-მამულში. ჩემი ბრალი აღარ იქნება, თუ დაიღუპებით თქვენისავე უგუნურების წყალობით და აგრედვე იმის გამო, რომ ჰპყოლიხართ ბოროტ კაცთა ჩაგონებას. უკეთუ დაწყნარდებით და დამშვიდდებით, მაშინ მე თქვენი მფარველი მამა გავხდები, ხოლო უკეთუ არას გამიგონებთ და კვლავინდებურად არ მოიშლით ურჩობას, იცოდეთ, არ დაგინდობთ და ისე მოგექცევით ვითარცა მძვინვარე მხეცი, თქვენს ჩასანთქავად მოვლენილი [5]). ესთხოვ ყოვლად მოწყალე ღმერთსა, ასე ათავეს პავლე დიმიტრის ძე ამ შესანიშნავს და საშინელს ბრძანებას, რომ კეთილ გზაზე დაგაყენოთ და მით დაგიფაროთ სისხლის-ღვრისა, და ქონება და ცოლ-შვილის დაღუპვისაგან [6]).

არ იქნა, არა ეშველათ-რა, არ მოისვენეს გუდა-მაყრელებმა, არ დაანებეს თავი „სისულელეს“ და ხან-დაზმით ასტეხდნენ ხოლმე აურ-ზაურს. მთავარ-მართებელი თ. ციცი-

---

[4]) დედანში ასეა: дурачество.

[5]) დედანში ასეა: увидите во мнѣ лютаго звѣря, на пагубу вашу стремящагося.

[6]) იხ. Акты, т. II, გვ. 336—337.

შვილი უკვე განისვენებდა წიაღსა შინა აბრამისასა, საქართველოს განაგებდა მოხუცებული გრაფი გუდოვიჩი. 1804 წლის აჯანყების შემდეგ ბევრმა დრო და ჟამმა გაიარა, მაგრამ გუდამაყრელნი თავისას არ იშლიან, ეურჩებიან მთავრობის განკარგულებას და ვერ მოახერხეს. რომ დაჰმორჩილებოდნენ თავიანთ მწარე ბედსა. ჩვენა გვგონია, რომ ამ დაუდგრომელობისა და გაუგონლობის მიზეზი მარტო ურჩობა და კერპობა არ არის. მთავრობამ ისეთი მძიმე ტვირთი დააფალა ამ მწირისა და ხრიოკის ქვეყნის მკვიდრთა, რომ ძალიანაც სდომოდათ მოეგოთ გული მთავრობისა, ვერ მოახერხებდნენ. ისიც დასამალი არ არის, რომ ფიცხელი ბრძანება მთავარ-მართებლებისა—ნუ შეაწუხებთ მთიულთა, ქირაში პირნათლად გაუსწორდითო, მხოლოდ ცარიელი სიტყვა იყო, ქაღალდზე გამოხატული; მისი ამსრულებელი კი ძვირად თუ მოიპოვებოდა. მაშინდელ დროსა. ქვემოდ მოყვანილი საჩივარი გუდამაყრელებისა ცხადად ამტკიცებს მათ მწარე სვე-ბედსა და მოხელეობის თავ-გასულობას. გუდამაყრელნი სთხოვენ გრაფ გუდოვიჩსა, 1807 წელსა, მფარველობა და პატრონობა გაგვიწიეო. დასამტკიცებლად იმ აზრისა, რომ წესი და რიგი მართვა-გამგეობისა, რამაც გამოიწვია მთიულეთში ამბოხება და არეულება, შეუცვლელი დარჩა და მთავარ-მართებელი თ. ციციშვილის სიკვდილის შემდეგაც მდაბიო ხალხის, განსაკუთრებით მთიულთა სამწუხარო მდგომარეობა ისევ წინანდებური იყო, მოვიყვანთ გუდამაყრელების საჩივარს თითქმის შეუცვლელად. მართალია, საჩივარი დიდია, მაგრამ იმდენად საყურადღებოა, ისეთის კარგის ქართულითაა დაწერილი, ისე სავსებით ასურათებს მათს გაჭირვებულ ყოფას და ისე მკაფიოდ და პირდაპირაა აღნიშნული მიზეზი მათის ურჩობისა, რომ ვერ მოვითმინეთ და აგერ მოგვყავს აქა: „რა რუსეთის უძლეველის მხედრობისა საქართველოში გადმოსვლა დაიწყო, მოახსენებენ გუდამაყრელნი გრაფ გუდოვიჩს, მას აქეთ ყოველთვის გულს-მოდგინედ გვემსახურნია. როდესაც ჩვენის ქვეყნიდამ ცარიელის ხარის ან ცხენის გამოსვლა შეიძლება,

ყოველთვის არ დაგვიზოგავს და როდესაც არც ცხენი და არც ხარი გამოვა, ჩვენის ზურგით გვიმსახურნია. თუმცა ხელმწიფე მოწყალებით ქირის ბოძემის ბრძანებს, ჩვენ არა გვეძლევა-რა; ამ წარსულს ჟამებში მთის გასაწმენდად რომ დაგვიძახეს, იასაულად მთიული ქავთარაშვილი იყო, მაშინვე ნიჩებით დავემზადენით,—გუდამაყრელთ რომ ვერა ვაჩუქეთ-რა, *) დაგვემუქრა ზარბაზნებს მოგიყენებინე და სალდათსაც გამოვართმეინებო; წამოვიდა მთიულეთის გზაზედ. ერთი ჩვენი სოფლის კაცი ჩაბალაური შემოყროდა, დაეჭირა, მთიულეთს მიეყვანა, თუ რამ ზურგთ კიდებოდა, ისიც წაერთმევინა, გათენებამდინ ბოძზედ მიეკრა, ანანურასაც მიეწერინებინა: გუდამაყრელნი მთის გასაწმენდად არ გამოვიდნენ, ბუნტობენო, **) და რომელიც გუდამაყრელნა კაცნი ნახოთ, დაიჭირეთო; ერთი გუდამაყრელიც ანანურს მოეხელებინათ და იქ დაეჭირათ. ჩვენ რომ ესენი გავიგონეთ, შევშინდით და ველარ გამოვედით. მასუკან ამბავი მოგვივიდა, ჯარი და ზარბაზნები მოდის თქვენ წასახდენადაო და სალდათსაც ითხოვენო; ვიცით, რომ რუსეთის უძლეველ მხედრობის წინააღმდეგობას ვერ შევიძლებთ, ჩვენს ცოლ-შვილში დახოცას, ტყეში და მინდორში ჩვენი ყათლანი ვარჩივეთ. ***) მრავალ გვარი მწუხარება გვადგა, ყოველივე რომ თვითოეულად მოგახსენოთ, შეუძლებელია და გაგრძელდება. რაც ჩვენი დებულება არის, იმის უარი არც შეგვიძლიან და არც უარს ვიტყვით. ცხვარში ერთი ორად თეთრს გვთხოვენ და სხვას არას გვიჭერენ. ვითხოვთ, რომ რაც ჩვენს მამა-პაპათ უმსახურნიათ და განწესება ჰქონიათ, ისე გვიმსახურეთ ჩვენის მოურავის ხელითა; ჩვენის ქვეყნისა მრავალნი დაუნაშავებელნი აზნაურნი და გლეხნი საპყრობილეში დაიხოცნენ,—ეხლაც რვა თვეა ერთი ჩვე-

*) ესე იგი, რაკი ქრთამი არ მივეცით იასაულსაო.

**) დედანში ესე სწერია.

***) რუსულად ასე უთარგმნიათ: и потому вмѣсто того, чтобъ быть умерщвленными въ средѣ нашихъ женъ и дѣтей, мы предпочли разбрестись по лѣсамъ и степямъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი სოფლის კაცი ადამ ანანურს დაჭერილი არის, ყაზახისათვის თოფი გისროლიაო; არც ყაზახი ჩანს მოჩივარი და არც მკვდარია, მტერობით დაბეზღებული არის; ვითხოვთ უბრალო სული განთავისუფლდეს. ამას წინათ ორი მცხეთელი კაცი ვიღასაც მოეკლა, გუდამაყრელთ შემოეწყმა სახელდობრივ, გაიგონეს—მაშინვე გარდასცვივდნენ: ახლა კაპიტან-ისპრავნიკმა იასაული დაგვიყენა,*) ის კაცები საცა იყვნენ, უნდა თქვენ გუდამაყრელთ დაიჭიროთ და მოგვცეთო; ჩვენ იმათი დაჭერა არ შეგვიძლიან, მთაში ჩვენ ერთმანეთს გერ დავეწერთ.**) ამ საქმეზედ მცხეთელები ჩვენ დაუნაშავებელად გზას გვიკვრენ, გვიჭერენ, გვცრცვიან, საგურამოში ცხვარი გვიდგა, გვტაცებენ და გვაწუხებენ; ქალაქში აღარ გაგვატარეს. ჩვენი ქვეყანა უნაყოფო და მწირი ადგილია, საერისთოში ვისაც მუშაობით სულადი აგვიღია, ანანურშიაც არ გვანებებენ, ტომრებს გვხევენ. თუ ბარიდამ არა შევიტანეთ-რა, რით ვიცხოვროთ,—ვითხოვთ ჩვენს მწუხარებას სისუბუქე მისცეთ".[7])

ასე გარკვევით აღნიშნეს თვისი მწუხარება გუდამაყრელთ. რა თქმა უნდა, ამ გვარსავე ყოფაში იქნებოდნენ ჩაცივნულნი დანარჩენნი მთიულნიც და მაშ რაღად ურისხდება მთავარმართებელი ამ მწირისა და უნაყოფო ქვეყნის შეილთ, რად ემუქრება, მოვალ, დაგაწიოკებთ და ქვას ქვაზე აღარ დავტოვებ თქვენს მიწა-წყალში და, რაც უფრო სამწუხარო და გულ-დასაწყვეტია, ასე გონიერულად, დალაგებით და მოფიქრებით თხოვნის მიმრთმეველთ თ. პაველე დიმიტრის ძე მხეცებს ადარებდა. როგორც უკვე ზემოდ მოვიხსენიეთ, მთავარმართებელმა ხელმწიფესა სთხოვა დანაშაული ეპატივებინა მეამბოხეთათვის, სხვათა შორის იმიტომაც, რომ მეამბოხენი ეი-

*) ეხლანდელი ეკზეკუცია.

**) კურსივი ჩვენია. დამორჩილებულის ერის ენისა და ჩვეულების უცოდინარობაა ზნეირად ხალხზე მიზეზი გამწვევებულის ურთიერთობისა მთავრობასა და მკვიდრთა შორის, აი როგორც ამ შემთხვევაში.

[7]) იხ. Акты, т. III, გვ. 107—108.

თომ ველური, განადირებული ხალხია და აბა ამისთანა უგონო ხალხს რა მოეთხოვებაო.

გუდამაყრელების ურჩობა, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებდა საქმის მსვლელობას. მთავარ-მართებელი, დაბრუნდა თუ არა ანანურიდან ტფილისს, იმის ზრუნვას მიეცა, რომ ამბოხების მეთაურნი და სულის ჩამდგმელნი ხელთ ეგდო და ბატონიშვილ ფარნაოზიევით ციხეში დაემწყვრია. ყველაზე უწინარეს საჭირო იყო დაეტუსაღებინა მთიულეთის მეამბოხეთა მეთაურნი და შემდეგ ისინიც, ვინც მხარი მისცა და ზურგი გაუმაგრა ამ მეთაურთა. ამ საქმეშიაც დიდი სამსახური გაუწიეს მთავარ-მართებელს ერისთვიანთა. ისე მარდად ღა სანაქებოდ, როგორც ერისთვიანი, ვერავინ მოიქცეოდა ამ საძნელო საქმეში, რადგან არც ყახახთა უფროსთ და არც სხვა დანარჩენის ჯარის გამგებელთ არა ჰქონდათ ადგილის შესაფერი ცოდნა. დამარცხებულნი მეამბოხენი, დამფთხალ ცხვრის ფარასავით, გადიღუპნენ მთიულეთის მიუვალ კლდე-ხეობებში და ამის გამო მათი იქ მოძებნა და შეპყრობა სწორედ დიდ გმირობასა, მხნეობასა და შრომა-გარჯასა თხოულობდა. არც ერთი და არც მეორე ერისთვიანთ არ დაუშურნიათ, ოღონდაც ვასიამოვნოთ უხვად ჯილდოს გამღებელს მთავარ-მართებელს და მოვიგოთ იმისი გული. მაგრამ, როგორც ეტყობა, მეამბოხეთა მეთაურების შეპყრობა სასურველის სისწრაფით ვერ მოუხერხებიათ და ამიტომაც გულ-ფიცხმა თავადმა ციციშვილმა, მიუხედავად ერისთვიანთ ასეთის განუსაზღვრელის ერთგულებისა, ბევრი მწარე სიტყვები აკადრა და ჩაამწარა უხვად გაღებული წყალობა. „უმთავრესი მეამბოხენი ლევან ნაზგაიძე და „დეკანოზი“ შიო ბურდული,—რომელთაც ხელთ მრავალი საყურადღებო წერილები აქვთ, თქვენს საკუთარ სოფელ ჟამურში იმალებიან, სწერს თ. ციციშვილი თ. მიხეილ ერისთავსა;—ოთხი ათასი კომლი ყმა გაყიდ და ვერ მოგიხერხებიათ მოიმორჩილოთ ერთი საკუთარი სოფელი. ნუთუ გგონიათ, მთავრობა იმისათვის არსებობს, რომ ძალით დაამშვიდოს ხოლმე თქვენისავე უზომო და უგვანო ხარჯის აკრეფის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბოროტებული გლეხობა?" მიიღო თუ არა ეს ბრძანებაო, განაგრძობს მთავარ-მართებელი, დაუყოვნებლივ უნდა შეიპყრო ზემორე აღნიშნული მეამბოხენი და ანანურს წარმოადგინო.[8]) რაც თ. მიხეილმა ვერ მოახერხა, ის შეასრულა თ. შანშე ერისთავმა. ოც და ცხრა ნოემბერსაო, მოახსენებს თავადი შანშე მთავარ-მართებელს, ჯარი შევკრიბე და გავსწიე ჟამურს ნაზგაიძისა და ბურდულის დასაჭერად, რომელსაც აქ დეკანოზს ეძახიან. ბურდული ჩემ მისვლამდე გუდს გაქცეულა და ხელში შემრჩა მხოლოდ მღვდელი მამუკაშვილი, პირველ კაცად მიჩნეული სრულიად მთიულეთსა. მღვდელი შევიპყარი. შეპყრობილმა თავდები მომცა, რომ, საცა უნდა იყვეს, თუნდა ქვესკნელში, წავალ და მოვიყვან ბურდულსაო. თუ სიტყვას ვერ შეასრულებს და ბურდულს ვერ დაიჭერს, თვითონ ამ მამუკას წარმოუდგენ თქვენს ბრწყინვალებასაო, იწერება თავადი შანშე.

ამავე მოხსენებაში სხვაც ბევრი რამეა საყურადღებო. ის სოფელი, სადაც „დეკანოზი" შიო ბურდული იმალებოდა და აგრედვე მეორე, სადაც მრავალი ავაზაკი თავ-შესაფარსა ჰპოულობდა, სულ ერთიან გადაუწვიო, ბრძანებს თავადი შანშე. შიოს განაყარი ძმა ჟამურში შეეპყარი და ტფილისს გამოვისტუმრე, დავიხსენი სამი ტყვე და ერთიც თოფიანად გაქცეული ჯარის კაცი და ოთხივენი ქალაქს გამოვგზავნეო. რაც კი რამ მოტაცებული და წაღებული ჰქონდათ მეამბოხეთ, სულ წაეართვი და ტფილისს გამოვგზავნეო. ამასაც არ დასჯერდა თავადი შანშე და მთელი ერთი სოფელი, სახელდობრ ქვედა იფნევი, ოსებით დასახლებული, ცეცხლით გადუბუგავს.[9])

---

[8]) ibid. გვ. 335.

[9]) ibid. გვ. 335. რუსულად უკანასკნელი ალაგი ბუნდათაა მოხსენებული, ასე რომ ადვილად ვერ მიხვდება ადამიანი, თ. შანშემ მარტო სოფელი გადაწვა, თუ ამ სოფლის მკვიდრნიც ცეცხლის ალმა ჩაწოჭა. აი რუსულად როგორაა ეს ადგილი: „поселенныхъ въ нижнемъ Ипневѣ Осетинъ—разбойниковъ, бѣжавшихъ изъ заключенія въ Ананурѣ, всѣхъ предалъ огню". ძნელი დასაჯერებელია, რომ თ. შანშეს თვით ხალხი დაეწვას ცეცხლში.

როგორც თვით ომი, მახვილი, თოფი და ზარბაზანი იმდენ ზარალს ვერ აძლევს ხალხს, რამდენი ნაწევრიც მოაქვს ომის გათავების შემდეგ მოვლენილ გადამდებ სენსა და ჭირსა, ისე მთიულეთს მოუვიდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჭირის და სენის ალაგი დაიჭირა ისევ ულმობელმა ადამიანმა. დამარცხებულმა მთიულმა იარაღი დაჰყარა, იმალებოდა მიუვალ ალაგას; უპატრონოდ დატოვებულ სოფლებს მიესივნენ და მრავალ მათგანს ისეთი მწარე დღე დააყენეს, როგორც დაემართა თ. შანშე ერისთვის რაპორტში აღნიშნული იფნევსა და ქამურსა. აკტებში მარტო იფნევი და ქამურია მოხსენებული, მარტო ამ ორ სოფელს არგუნა ბედმა, რომ შთამომავლობას სცოდნოდა მათი მწარე ხვედრი. სხვა სოფელთა სახელი წყვდიადითაა მოცული, მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი მათგანი ნასოფლარად გადიქცეოდა, ისე ჩვეულებრივი ამბავი იყო მაშინდელ დროს ურჩობისათვის სახლისა და კარის დანგრევა—აოხრება, რადგან თვით ადამიანის სიცოცხლე და მისი წვითა და დაგვით შეძენილი სარჩო-საბადებელი აგრე რიგად არა ფასობდა. რომ ეს მოსაზრება სიმართლესა და ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, აქ მოვიყვანთ მართლის მოყვარე მოხელე ლოფიცკის მოხსენების ერთს ადგილს. ლოფიცკიმ, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მთელი ოთხი წელიწადი დაჰყო სხვა-და-სხვა სამსახურში, ვრცელი მოხსენება მიართვა იმპერატორ ალექსანდრესა საქართველოს შესახებ და აი რას ამბობს მეცამეტე მუხლში; „გენერალი თ. ციციშვილი დაბრუნებისათანავე ერევნიდან გაეშურა ოსეთს, რათა დაესაჯა ისინი, ვინც დაამარცხა რიწკინის პოლკი. ციციშვილის რაზმმა მრავალი სოფელი აოხრა, დაწიოკა და ტყვედ წაიყვანა მრავალი გლეხთა სახლობა (мужичьи семейства). აძოდენა ხალხი დაამწყვდიეს გორის ციხეში და, რადგან საქმარის საზრდოს არ აძლევდნენ და ციხეში საშინლად ციოდა, სულ ერთიანად გასწყდა.“[10])

[10]) იხ. Акты, т. III, გვ. 1—8 და 3. ლოფიცკი იმ აზრისაა, რომ ოსებს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ ამ საქმეშიო და სხოლიოში შენიშნავს: ხალხის მითქმა-მოთქმას რომ დაუგდოთ ყური, დამნაშავენი თ. ერისთვიანი არიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ძნელია და თითქმის შეუძლებელი ადამიანმა გაითვალისწინოს, რამდენი სოფელი ააოხრა მთავარმართებელის მხედრობამ, რამდენი ოჯახი დედა-ბუდიანათ ჩაამწყვდია გორის ნესტიანსა და ცივს სატუსაღოში, სადაც შიმშილით ამოსწყვიტეს დატყვევებულნი. ცხადი მხოლოდ აქ ერთია, რომ მსხვერპლი მრავალი იყო.

ცხინვალი და საპყრობილენი საქართველოსი 1804 წლის დამლევს სავსებით აივსო შეთქმულთა და მეამბოხეთაგან. ბრალიან და უბრალოს, დამნაშავეს და უდანაშაულოს, ერთის სიტყვით, ყველას, ვისზედაც კი მცირე ეჭვი შეიტანეს, სანდო და საიმედო არ არისო, წესიერად ვერ ერთგულობს რუსის მთავრობასაო, თავი უკრეს სატუსაღოებში. თელავს, სიღნაღს, გორსა და თვით სატახტო ქალაქ ტფილისსა, ალაგი აღარ იყო, სად წაეყვანათ და სად ჩაესხათ შეპყრობილნი და გაბაწრულნი. მოხელეთ გონება დაჰკარგეს, ამოდენა ხალხი სად მოვათავსოთ და ან იმდენი ჯარის-კაცი სადაა, რომ ამათ უყარაულონო. ციხისა და სატუსაღოს ყარაულობა აგრე ძნელი არ არის, ერთსა და ორს შეიარაღებულ ჯარის-კაცს შეუძლიან მოუაროს და უპატრონოს, მაღალ გალავნით შემოზღუდულ საპყრობილეს, მაგრამ საქმეს ის აძნელებდა, რომ ხშირად ყარაულს აყენებდნენ სოფლად რომელსამე დიდებულ თაეადიშვილს, ამბოხებაში შენიშნულს და მისი საქმე კი ჯერ-ჯერობით გამორკვეული და გარჩეული არ იყო და არ იცოდნენ, ჩავსვათ ციხეში, თუ თავი დავანებოთო. გმინვა და დრტვინვა დატრიალდა ხელ-ახლად საქართველოში. სამოცდაცამეტი კაცი უკვე დაჭერილი იყო, 260 კაცზე ეჭვი ჰქონდათ აღებული და ხან-დაზმით სამაზრო ქალაქს, ან თვით ტფილისს იბარებდნენ ჩვენების ჩამოსართმევად და პირის-პირ წასაყენებლად. დარწმუნებული არავინ იყო, რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ იმასაც არ წაიყვანდნენ, თავისუფლებას არ მოუსპობდნენ და ცოლ-შვილს არ გამოასალმებდნენ. დატყვევებას ასე თუ ისე გაუძლებს ადამიანი, როცა წინადვე იცი, რამდენი ხანი უნდა გაატარო ოთხ-კედელ შუა, რისთვის შეგიპყრეს და რა დანა-

შაული მიგიძღვის მთავრობის ან მოყვასის წინაშე. ხოლო დატუსაღება, თავისუფლების მოსპობა აუტანელია, რაცა არ იცი, რა მოგელის, რამდენი ხანი იქნები გამოსალმებული წუთი-სოფელს, ან დაუბრუნდები კიდევ ოდესმე მზესა და მთვარესა, საყვარელ ცოლსა და შვილსა, მეგობრებსა და მოკეთესა, თუ არა. სულის შემხუთავია ასეთი ყოფა, გულ-ჩამთუთქავი და დამღუპველი.

1802 და 1804 წელთ მომხდარმა ამბოხებამ მთავრობა დაარწმუნა, რომ ქართველებს ახალი წეს-წყობილება მაინცა და მაინც ავრე რიგად არ ეპიტნავებათ და შემთხვევას ეძებენ თავიდან მოიშორონ მძიმე ტვირთიო. ქართველებმაც იცოდნენ, რომ მთავრობის წარმომადგენელთ უკვე გაიგეს მათი აზრი და სურვილი, რომ, თითო-ოროლას გარდა, ყველანი უკმაყოფილონი ვართ ახალის წეს-რიგითაო. მაშასადამე, როცა მთავრობა შეუდგა ამბოხების და აღრეულობის მოთავეთა ძებნას, საფიქრებელი იყო, რომ დამნაშავედ მთელ საქართველოს იცნობდნენ და, მაშასადამე, მთელს ქვეყანას, მთელს ქართლ-კახეთს უნდა ეგო პასუხი. რაკი ასეთი იყო საქმის ვითარება, მაშ ვიღას უნდა ჰქონოდა იმედი, რომ გადარჩებოდა დატყვევებას, სატუსაღოს, სამმართველოში თრევა-ხეტიალს, და ვინ იცის, ციმბირისკენაც, ამ საშიშნელს ქვეყნისაკენ გამგზავრება-გასეირნებას? არავის. შეპყრობა ან დაბარება ქალაქს რომელისამე ნაშანში ამოღებულისა ისეთის სასტიკობით სწარმოებდა, როგორც შეეფერებოდა მაშინდელს შავ-უკუღმა დროსა. მაშინ სამოქალაქო მართვა-გამგეობა მეტის-მეტად სუსტობდა, პირველობდა და პარპაშობდა სამხედრო უწყება და ესეც თავისებურად ასრულებდა თავისს მოვალეობას, უცბად, მოულოდნელად თავს დაესხმოდა რომელისამე სოფელს „კამანდა“ აფიცერის მეთაურობით და, ვიდრე შეშინებული, გულ-გახეთქილი, დაფეთებული სოფელი გონს მოვიდოდა, ეს რა ღვთის რისხვა გვეწეოაო, უკვე ჯარისკაცნი შეპყრობილს მიაპანწიალებდნენ ქალაქისკენ ჩვენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსართმევად საიდუმლო კომისიაში, რომლის მარტო-ორღენ ხსენებაც კი თავ-ზარსა სცემდა მაშინდელ ქართველობას.

ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელის საიდუმლოებით იქნებოდა მოცული მთავარ-მართებლის მიერ დანიშნული საიდუმლო კომისია. ცხადისა და საჯარო სამმართველოებისა რომ არა ეყურებოდათ-რა მაშინდელ ქართველთ, საიდუმლოდ ნაწარმოების საქმისას რას გაიგებდნენ? დიდი და პატარა დარწმუნებული იყო, მთავარ-მართებელმა „საიდუმლო კომისია“ ჩვენდა დასაღუპავად შემოიღო და გულის ჩქროლით ელოდა თვითოეული აუცილებელ განადგურებას—დანახვებას.

რომ არავინ დაგვწამოს, ვითომ განზრახ ვაზვიადებთ საქმეს, აქ მოვიყვანთ მართლ-მსაჯულების მინისტრის თ. ლოპუხინის წერილიდან ერთ ალაგს საიდუმლო კომისიის შესახებ. გენერალ-ლეიტენანტმა გლაზენაპმა სთხოვა თ. ლოპუხინს, საშინლად გაჭიანურდა საქმე საიდუმლო კომისიაში, ბევრი უდანაშაულოდ იტანჯება საპყრობილეში და ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება მალე გაათავონ საქმე, რომ დროზე მოელოს ბოლო ერის მწუხარებასაო. მრავალნი სრულიად უდანაშაულოდ იტანჯებიან საპყრობილეში და ზოგმაც, რომელსაც მართა ლია დანაშაული მიუძღვის მთავრობის წინაშე, მაგრამ დიდს ხანს სატუსაღოში ყოფნით გამოისყიდა თავისი შეცოდება და მით შეწყალების ღირსნი არიანო. ამის პასუხად აი რასა სწერს მინისტრი ლოპუხინი საქართველოს ახლად დანიშნულ მთავარ-მართებელს გრაფ გუდოვიჩსა: აზრი გენერალ-ლეიტენანტის გლაზენაპისა, რომელიც ამბობს, გაუქმდეს საიდუმლო კომისია, რომლისაგანაც საქართველოს ერი თრთის და კანკალებს [11]) ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენე და მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და ბრძანა, საქმე საპყრობილეში დამწყვდეულთა შესახებ მალე გათავდეს და,

---

[11]) იხ. Акты, т. III, გვ. 8. დედანში აზრი ესეა გამოხატული: „По освобожденіи такимъ образомъ безвинныхъ и по удаленіи виновныхъ изъ предѣловъ Грузіи, *самую Комиссію, въ трепетъ Грузинскій народъ приводящую, уничтожить*“.

ვინც უდანაშაულო აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთო. ასეთი იყო აზრი გენერალ-ლეიტენანტის გლაზენაპისა საიდუმლო კომისიის შესახებ; ამ აზრს მართლ-მსაჯულების მინისტრი შეუცვლელად იმეორებს თავის წერილში და, როგორცა სჩანს, თვით ხელმწიფისათვისაც მოუხსენებია, საიდუმლო კომისია გულს უხეთქავს ქართველობასაო.

საიდუმლო კომისია დაარსა ტფილისსა საქართველოს მთავარ-მართებელმა თ. პ. დ. ცერცვაძემა თებერვლის ორს, 1805 წელსა. თავმჯდომარედ კომისიისა დაინიშნა საქართველოს გამგებელი სტატსკი სოვეტნიკი ტარასოვი და წევრებად საქართველოს უმაღლესის მმართველობის ექსპედიციების უფროსნი: ხორჟევსკი და ნაგელი. კომისიას უხდა გაეჩხრიკა და გამოეძიებინა, ვინ მოახდინა აღელვება 1804 წელს საქართველოში. ამასთანავე მთავარ-მართებელმა გარდასცა კომისიას განსახილველად და მსჯავრის დასადებად მრავალი ჩვენება, რომელიც ჩამოერთმია სხვა-და-სხვა დროს საქართველოს გამგებლად ნამყოფს გენერალ-ლეიტენანტ თ. ვოლკონსკის. თ. ცერცვაძემა მისცა უფლება აგრედვე კომისიას, დაებარებინა და ჩვენება ჩამოერთმია იმათთვისაც, ვისაც საჭიროდ დაინახამდა თვით კომისია. პირველად კომისიას სულ 73 ჩვენება გარდაეცა, მაგრამ თვითონაც დაინახა საჭიროდ გამოეკითხა საქმის ვითარება და გარემოება 260 კაცისათვის, ასე რომ კუთხე აღარ დარჩა ქვეყნისა, საცა არ მისულიყო ბრძანება კომისიისა, ესა და ეს კაცი აქ გამოჰგზავნეთ ჩვენების ჩამოსართმევად, პირის-პირ სალაპარაკოდ, ან მანდვე ადგილობრივ გამოჰკითხეთ საქმის ვითარება, დაატუსაღეთ სამაზრო სატუსაღოში, ყარაული დააყენეთ ამა და ამ კაცის სახლ-კარსა, რომ არსად გაიქცეს და სხვა ამგვარი.[12]) აქტებში მოყვანილია სახელი და გვარი უმთავრესის მეამბოხეებისა და ჩვენც არ შეგვიძლიან, რომ მათი სახელი და გვარი არ ამოვწეროთ აქა. შეიძლება, ბევრის მათგანის შვილი, ან შვილის-შვილი დღესაც ცოცხალი იყოს და

[12]) ibidem, т. II, გვ. 355 და т. III, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებით იგონებდეს საქართველოს წარსულს შავ-ბნელ ამ-ბავს, თვისთა მამა-პაპათაგან გაგონილსა და ნაამბობს.[13])

1, თ. დიმიტრი ვახვახიშვილი; 2, თ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; 3, თ. გრიგოლ ვახვახიშვილი; 4, თ. ნინია ვაჩნაძე; 5, თ. ივანე ჯანდიერიშვილი; 6, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე. უკანასკნელი ხუთი თავადიშვილი შეიპყრეს დემურჩასალოს, ბატონიშვილ ფარნაოზთან ერთად. 7, თ. ლუარსაბ მაჩაბელი (თვითონ ეახლა კამისიას); 8, თ. სოლომონ ამირეჯიბი (დაიჭირეს სოფ. ავლევში); 9, თ. სოლომონ დავითაშვილი (იმერეთის მეფეს გამოუგზავნია); 10, ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილა. (კაცი დიდად სწავლული და წოდებული ფილოსოფოსად, (იხილე მოსე ჯანაშვილის საქართველოს ისტორია, გვერ. 493—494), აზნაურნი: 11, გრიგოლ ნათალიშვილი; 12, ზაალ კობიაშვილი; 13, იაკობ აუშტროვი; 14, სიმონ ბუჩიძე; 15, ივანე დიანოვი და 16, ზურაბ თავყელიშვილი. ეს აზნაურშვილნი და ბერი ანდრონიკაშვილი ფარნაოზთან შეიპყრეს. 17, აზნაური შალვა ჟურული, დაუჭერია და წარუდგენია თავ. გიორგი ამილახვარს; 18, სიმონ ანდრეევი (დაუჭერია თავ. ელიზბარ ერისთავს). 19, აზნაური გრიგოლ ქარუმიძე და 20, მღვდელი ბესარიონ ალექსეევი; თვითონ გამოცხადებულან. 21, სომეხი აღა ყორღანაშვილი (ყაზახებმა შეიპყრეს); 22, ლეკი ჰამზა ხასანოვი (დაიჭირეს ს. ქარელში); 23, თათრები: ჰუსეინა შარიფა და 24, ნური მაჰმადა ყურმანოვი; 25, ქართველები: იოსებ ჯანაშვილი; 26, ლომია გულაშვილი და 27, ჟანა ბამაშვილი. (არა სჩანს, ვინ შეიპყრა.) 28, თათარი აბდულა ჰასან-ოღლი; ქართველები: 29, გოგია მაისურაძე; 30, გოგია გაბაშვილი, 31, იოსებ ცალქალამაძე; 32, თ. ფარსადან თუმანიშვილი; 33, აზნაური სარათა მამაცაშვილი და 34, პოტა პიჩაერიძე. ესენი ბატონიშვილ ალექსანდრეს დასში ყოფილან და იმის მომხრეობისათვის შეუპყრიათ 35, გოგია დავითაშვი-

[13]) ჩვენ პირად ვიცნობთ მოხუცებულს დურმიშხან ჟურულს, რომლის მამას შალვას მონაწილეობა მიუღია 1804 წლის ამბოხებაში.

ლი; 36 აზნაური იაკობ ბატიკაშვილი; 37 მთიული ბერდია გაბიდაური და 38, კიპიო მირაბოვი. ეს ოთხნი მთიულთა დასისანი არიან. 39, აზნაურნი: სოლომონ დივანოვი და 40, ზაალ ახუცეროვი; 41, სომეხი სტეფანე აბოოვი და 42, თათარი იბრაჰიმ ჯაფარ-ოღლი. ესენიც ალექსანდრე ბატონიშვილის დასისანი არიან. 43, თათარი ახუნდი ტარიევრდი ყორჩიბაშევი (თვითონ გამოცხადებულა); 44, ქართველი გოგია სინაშვილი, დაიჭირეს ფარნაოზთან. ქართველები: 45, დიმიტრი დავითაშვილი; 46, ბერი ფოცხვეროვი; 47, გრიგოლ თამაზოვი; 48, გიორგი ხუცაიძე; 49, გლახა ზურაბოვი; 50, თაგაურელი დუდარა ახმეტოვი; 51, ოსი ლევან ტაპაევი; 52, თაგაურელი სოლო ფუხაშვილი; ოსები: 53, პეტრე ყულუმბეგაშვილი; 54, ივანე როჩახოვი; 55, ბაგი გულდაროვი; 56, დჟერი ბეკოევი; 57, დჟალი კონოევი; 58, კეჟი კონოევი და 59, ჩობი ქობულოვი. ესენი დაიჭირეს ფარნაოზთან. 60 ქართველი თარიმან ბასტანაშვილი; თათარები 61, ჰასანადალიევი; 62, ატაკიში ალი-ოღლი; 63, მაჰმად გუმეტოვი და 64, ნურსი კაბაკეტოვი. 65 თ. ზაქარია ბებურიშვილი. ესენი დაიჭირეს იმისთვინ, რომ უნახულიათ ალექსანდრე ბატონიშვილის ჯაშუშნი და მთავრობას კი არ გამოუცხადეს. 66. თ. სიმონ ბებურიშვილი, თვითონ გამოცხადდა. 67. ბატონიშვილი ფარნაოზი; 68, თ. გიორგი ორბელიანი; 69, აზნაური იოსებ ზედგინიძე და 70, აზნაური ფირან ბაგრატოვი[14]). დარჩა კიდევ მოსახსენებელი სამი; ეს სამი ალბად იყვნენ: ქეთევან ირაკლის ასული, ბატონიშვილი იულონ და ერთიც მათი ერთერთი მხლებელთაგანი.

საიდუმლო კომისიის მოქმედება მეტის-მეტად გაჭიანურდა. გადაჭრით ვერავინ იტყოდა, როდის გაათავებდა თავისს საქმეს და წარუდგენდა იმის მოხსენებას, თუ ვინ როგორ უნდა დასჯილიყო ხელმწიფე იმპერატორის ღალატისათვის, ჯერ მთავარმართებელს და შემდეგ თვით იმპერატორ ალექსანდრე პირველ-

[14]) იხ. Акты. т. II, გვ. 336.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. კამისიას უნდოდა თვისი სახელწოდება „საიდუმლო“ გაემართლებინა და არავის შეეტყო, რა კეთდებოდა და რა ამბავი იყო მის ხშირ-ხშირს კრებაზედ; ამიტომ მარტო თვითონ უნდოდა ემუშავნა და არავინ მოხელეთაგანი არ მიეწვია დასახმარებლად. პირველად ასე ჰფიქრობდნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია მარტო ჩვენ გავუძღვეთ ამოდენა საქმეს სხვის დაუხმარებლადაო და ორი მდივანი მიიწვიეს სამუშაოდ: ოლენიჩი და პლახოტინი. წელიწადზე მეტი იმუშავა კამისიამ; წელიწადზე მეტი მთელი საქართველო ძრწოდა შიშით ამ გაუგებარისა და არა ჩვეულებრივის დაწესებულების წინაშე, მაგრამ მაინც ბოლო ვერ მოელო მის მოქმედებას, ვერ შეიტყეს ქართველებმა, რა სასჯელი მოგვისაჯეს ღალატისათვისაო; ვერ შეიტყეს, ვინ როგორ დაისჯება, ვინ განთავისუფლდება და გადარჩება ცოცხალი აშმორებულ ციხე-სატუსაღოთა ჰავასაო. საქმის მსწრაფლად მსვლელობას ხელი შეუშალა სულ უბრალო გარემოებამ. თავმჯდომარე კამისიისა ტარასოვი ბოროტმოქმედებისათვის მთავარ-მართებელმა სამართალში მისცა და შინ, რუსეთს გაისტუმრა. დარჩა კამისია უთავმჯდომაროდ; სხვა მაზედ უმფროსი მოხელე მაშინდელ საქართველოში არავინ მოიპოვებოდა და ამის გამო საშინლად ბრკოლდებოდა საქმე. ბედმა დატუსაღებულთ მარტო ეს უბედურება არ აკმარა; წევრი კამისიისა ხორჟევსკი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა; დარჩა მარტოდ-მარტო ნაგელი და, აბა, ეს ერთი კაცი, თავიც რომ მოეკლა მუშაობით და ორისავე წევრის საქმეც რომ თვითონ ეკისრა, მაინც ხომ კამისიას ვერ შეადგენდა და, მაშასადამე, დაპატიმრებულთა შესახებ რა აზრს წარმოსთქვამდა, ან რას წარუდგენდა მთავარ-მართებელს? ერთხელ კიდეც გაჰბედა ნაგელმა და დაეკითხა თ. ციციშვილს, შეიძლება რომ ორმა წევრმა ჩვენი აზრი კამისიის სახელით წარმოგიდგინოთო? მთავარ-მართებელი ამ დროს ბაქოსაკენ იყო გალაშქრებული და პასუხიც არ აღირსა ნაგელსა. [15])

[15]) იხ, Акты, т. III, გვ. 9—10.

ასე ზოზინითა და უთავ-ბოლოდ მიდიოდა საქმე, ვიდრე საქართველოს გამგებლად და ამასთანავე საიდუმლო კომისიის თავს-მჯდომარედ დაინიშნებოდა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ლიტვინოვი.[16]) ლიტვინოვმა ჩამოართვა ნაგელს ყველა ქაღალდები შესახებ 1804 წლის აღელეებისა საქართველოში, კომისიის მიერ შემზადებული ოქმები და მარტო თვითონ შეუდგა მუშაობას. საქართველოს ახალ გამგებელის ასეთმა საქციელმა მეტად აღელვა და ააშფოთა ნაგელი და ავადმყოფობისაგან განკურნებული ხორჟევსკი; ორივენი ადგნენ და შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფს კოჩუბეის უშველებელი რაპორტი გაუგზავნეს, წელიწადზე მეტი ვიმუშავეთ, თავი მოვიკალით, თვალები ჩავიწყალეთ, საქმე თითქმის გავათავეთ და, თუ ვერ წარვადგინეთ, სადაც ჯერ არს, მიზეზი ის იყო, რომ თავმჯდომარე არა გვყამდაო; ამას არ მიჰხედა ახალმა გამგებელმა ლიტვინოვმა, ხელიდან გამოგვგლიჯა მზა-მზარეული, გაკეთებული და დამთავრებული საქმე და ისე წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს, თითქოს იმისი ნამუშევარი იყოს. იმედი გვაქვსო, ათავებენ ასე რაპორტს ხორჟევსკი და ნაგელი, რომ ჩვენი ღვაწლი დაუჯილდოველი არ დარჩება, რადგან ვმუშაობდით ისეთ დროსა და თვით ბედნიერ დღეებშიაც, როცა ყოველ მოხელეს კანონით შეუძლიან თავისუფალი იყოს და მოისვენოს მუშაობისაგან.[17]) ვინ იცის, რა დიდ ჯილდოს მოელოდნენ საიდუმლო კომისიაში მუშაობის გულისათვის ხორჟევსკი და ნაგელი და ის კი არა თუ ლიტვინოვმა პირ-ცარიელნი დასხა, მათი გაკეთებული არხეინად მიითვისა და მით უმაღლესი მთავრობის მადლობა დაიმსახურა, მისი გული მოი-

---

[16]) ბევრმა, შეიძლება, არ იცოდეს, რა დიდი ალაგი იყო სამოხელეო იერარქიაში საქართველოს გამგებელობა. ეს თანამდებობა იყო მეოთხე კლასისა და უდრის ეხლანდელ გუბერნატორებისადგილს. იხ. Акты, т. III, გვ. 709—710.

[17]) ibid. т. III, გვ. 10. ამ რაპორტის დასასრული რუსულად ასე: „...уповаютъ, что не останутся безъ уваженія труды, столь долгое время ими по сей части предпріемлемые, которые употреблены были ими въ такіе присутственныхъ дней часы и въ самые даже праздники, когда, по законамъ, служенію статскому упражненіе опредѣляющимъ, предоставлена имъ свобода отъ трудовъ и отдохновеніе“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო. მაშ, აბა, რაღა საკვირველია, რომ ასეთი უსამართლობა ხორჭევსკიმ და ნაგელმა ვერ მოითმინეს და შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენეს. საქმე ასე და ასე იყო და გთხოვთ დაუჯილდოვებელი არ დაგვტოვოთო; ერთის სიტყვით, სწორედ ისე, როგორც ქართველები იქცეოდნენ და თავ-პირს იმტვრევდნენ ერთმანეთის შეცილებით, ესა და ეს სამსახური მე გავუწიე მთავრობასა და ღირსი ვარ ჯილდოსი და ჩინ-ორდენებისაო.

ლიტვინოვმა სულ სხვა თვალით შეჰხედა 1804 წ. საქართველოში მომხდარ აჯანყებას. ხორჭევსკი და ნაგელი გულ-მოდგინედ მუშაობდნენ, იკვლევდნენ და სჩხრეკდნენ საქმესა, ვის რა დანაშაული მიუძღვის მთავრობის წინააღმდეგ; მუშაობდნენ იმ გულ-მოდგინებით, რომლითაც ასეა განთქმული მოხელე, ბიუროკრატი, თავით-ფეხებამდე გაღვენთილი ფორმალიზმით, რომელთათვისაც ხშირად საქმის ვითარებას კი არა აქვს ძალა და მნიშვნელობა, არამედ ფორმას, გარეგნობას. ლიტვინოვი სხვა ჯურის მოხელე იყო და აკი ამისთვისაც სულ სხვა ფერი, იერი და ხასიათი მისცა აქ აღწერილ ამბოხება-აღრეულობას. იმ ერს რა უნდა მოეთხოვოსო, მოახსენებს ლიტვინოვი რუსეთის თვით-მპყრობელს, როგორ უნდა დასჯო ისინი, ვის ენაზედაც სიტყვა „სამშობლო“ არ არსებობსო. ხუმრობაში არ ჩამოგვართვათ, სწორედ ასე სწერია ლიტვინოვის მოხსენებაში. მსურველს შეუძლიან თავისის თვალით იხილოს ეს ალაგი აქტების მესამე ტომის 104 გვერდზედ, სვეტი პირველი, 30 სტრიქონი ზემოდან. ამისათვის ჩვენც იძულებულნი ვართ სიტყვა-სიტყვით ვსთარგმნოთ ეს შესანიშნავი და თან საკვირველი ალაგი, სხოლიოში კი ამოვწეროთ თვით დედანი. ლიტვინოვი მასხარად იგდებს ქართველთ, დასცინის, პოლიტიზიის ველურ ხალხს ადარებს, რომელმაც სამშობლო კი არა, თვლაც არ იცის რიგიანად. ოლიმპიურის მედიდურობით ზემოდან დასცქერის, სიბრალულით შეჰყურებს და ამასთანავე მოშიშარსა და გესლიანის ენით ჰსურს შეჰბღალოს წმიდათა-წმიდა ერისა და წაართვას ისა, რის წართმევაც ყოვლად შეუძლებე-

ლია. მართლაც, განა იმ ერს ერი ეთქმის, რომელსაც სახელის, სიტყვა სამშობლოც ვერ შეუქმნია? ასეთი ერი ხომ ნადირთა ხროვა, ან ბალღთა კრებულია და აბა რა სამართალი, რა კეთილ-გონიერება იქნება, რომ ვინმემ დასაჯოს ბავშვი, სანთელზე თითი რად დაიწვიო. რომ მეორედ აღარ დავუბრუნდეთ ლიტვინოვის ზნეობისა და ხასიათის დასურათებას და სამუდამოდ ავარიდოთ პირი და თვალი, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ საქართველოს გამგებელი ლიტვინოვი ის ლიტვინოვია, რომელიც, შეწუხებული, სულ შეხუთული სამეგრელოს ჭაობიანის ჰაერით, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა მთავარ-მართებელ თ. ციციშვილს, ბოლო მოუღეთ ჩემს ყოფნას ამ წყეულ ქვეყანაში და შინ დამითხოვეთო. ვინ იცის, ეგებ სამეგრელოს ჭაობებმა ცუდ გუნებაზე დააყენეს ლიტვინოვი და ამის გამოჯავრებული მთელს საქართველოზე იყარა ჯავრი?!

ლიტვინოვმა სამს კატეგორიად დაჰყო მეამბოხენი. პირველში მოაქცია ისინი, ვინც აჯანყების მეთაურად იცნა და რომელნიც, თუმცა დაჯილდოვებულნი იყვნენ ჩინებით და ორდენებით, მტერს ეხმარებოდნენ და სცდილობდნენ ღალატით მტრისთვის გარდაეცათ ციხე-ქალაქნი, ან თვით რუსის მხედრობა დაელუპათ. მეორე კატეგორიაში მოჰყვნენ ისინი, ვინც შეჰფიცეს რუსეთის იმპერატორს ერთგულება, ბატონიშვილ ფარნაოზს მიემხრნენ, მაგრამ შემდეგ შეინანეს თვისი ცოდვანი, დაბრუნდნენ სახლში და საპატიმროებში სხედანო. მესამე კატეგორიას ლიტვინოვმა აკუთვნა ისინი, ვისაც ჯერ ერთგულების ფიცი არ მიეღოთ, ვინც გაჰყვნენ მხოლოდ ბატონიშვილ ფარნაოზს და შემდეგ ან თავისის ნებით გამოცხადდენ, ან ფარნაოზთან იქნენ დაჭერილნი. ციხეში ესენი იმისთვის ჩაუსხამთ, ამბობს ლიტვინოვი, რომ ეშინოდათ, ვაითუ მიწერ-მოწერა არ შესწყვიტონ ბატონიშვილებთანაო.

პირველ კატეგორიაში სულ ხუთი კაცი მოაქცია ლიტვინოვმა და მათი დანაშაულიც შემოკლებით ანუსხა. თ. დომიტრი ვახვახიშვილმა, ამბობს ლიტვინოვი, ორჯელ შეჰფიცა

ერთგულება ხელმწიფე იმპერატორსა, მაგრამ მაინც ღალატ
ვერ აიცილა თავიდანა. ბატონიშვილ ფარნაოზს აჩრდილივით
თან დასდევდა და გვერდიდან არა შორდებოდა, ბაგრატიონთ
გვარისათვის თავს არა ჰზოგავდა და ოდეს ფასანაურს მთიუ
ლებმა ორი ბაირაღი მოიტანეს, სხვებთან ერთად თ. ეახვახი
შვილმაც ხელი შეახო ბაირაღსა და წარმოსთქვა, სულს დავ
ლევ ბატონიშვილ ფარნაოზის ერთგულობაშიო. ნაკლები და
ნაშაული არც თუშების მოურავის შვილს თ. დიმიტრი ჩო
ლოყაშვილს მიუძღვისო, ბრძანებს ლიტვინოვი. ბატონიშვილ
ბაგრატს ამის მამის სახლში დაუტოვებია ერთი ბაირაღი, რო
მელიც თ. დიმიტრიმ ფარნაოზს მიართვა. ალექსანდრე ჭავჭა
ვაძის ჩვენებით, ეს ბაირაღი ფშავში ერთის გლეხისთვის მიუ
ბარებიათ, და შემდეგ სად მიეფარა, აღარავინ იცისო. თ. დი
მიტრიმ სხვებთან ერთად მთიულების ბაირაღზე დაიფიცა, არ
გიღალატებთ და თქვენთან თავს მოვიკლავო. ჩოლოყაშვილმა
შეისყიდა სამი ხევსური და უხდოდა მოეკვლევინებინა ტარა
სევიჩიო. თვითონ ჩოლოყაშვილმა უარი სთქვა, არავინ მომი
სყიდია ტარასევიჩის მოსაკლავთაო, მაგრამ მოწმებმა ფიცით
აჩვენეს, რომ ეს მართალიაო. თ. სვიმონ ქობულაშვილმა ოთხ
ჯერ შეჰფიცა ხელმწიფეს ერთგულება და მიინც ღალატით
შეჰლახა თავისი სახელიო. იოსტოს ბერი ანდრონიკაშვილი—
გაბრიელ ყაზბეგის თანდასწრებით ხალხს უკითხავდა საარსე
თის შაჰის ფირმანებს, სადაც ეწერა რუსების გაყლეტის ამბა
ვი. გაბრიელ ყაზბეგი პირში წავუყენეთ იოსტოს ანდრონიკა
შვილს, და აღმოჩნდა, რომ მშვიდობიანებში იოსტოსი ბატო
ნიშვილ ალექსანდრესა და ფარნაოზს იხსენიებდა და ხელმწი
ფე იმპერატორს კი არა. ფურცელი, რომელზედაც ჩამოთვლი
ლი იყო სამეფო საგვარეულო სახლი, ძირს დაანარცხა და
ამით შეურაცხად ჰყო იმპერატორი. ამას გარდა, პურსა და
ღვინოს ბლომად უზიდამდა მეამბოხეთა. მაგრამ ყველას გადა
აჭარბა აზნაურმა ზაალ კობიაშვილმაო, ამბობს ლიტვინოვი.
მთიულების დეკანოზებმა დაიფიცეს, იყავ ჩვენი ერთგული და
მტერი რუსებისაო და ზაალსაც უკისრნია ასეთი ფიცი. დუ-

დარუკოს წერილებსა სწერდა, რუსეთი არ შემოუშვა სწავლა თელოშიო. რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში რუსების წინააღმდეგ. ბატონიშვილი ფარნაოზი გუდამაყარს რომ ავიდა, ზაალ კობიაშვილს ხალხი შეეყარა და დიდის ამბით დაჰხვედროდა. მთიულეთიდან რამდენჯერმე ბარს ჩამოსულა, რუსებმა მთიულეთი აიკლესო და ხალხს აგულიანებდა, გამხნევებით და მტერს შებრძოლეთო. დუშეთის აკლების დროს, ზაალი ებრძოდა რუსებს და შემდეგ ხალხი გაიტაცა და მთიულეთს ავიდა. ზაალი და გლახა ჭილაძე ყველას აგულიანებდნენ რუსები გაჟლიტეთ, ბაბა-ხანისაგან დიდი წყალობა მოგივათო, ამის გულისთვის ერთს თოფი აჩუქა და მეორეს ხუთი მანათი. ერთის სიტყვით, პირველი მეამბოხე და აღელვების უმთავრესი ამტეხი იყოვო. ასე ათავებს ლიტვინოვი თავისს ატესტაციას [18]).

საქართველოს გამგებელსა და საიდუმლო კომისიის თავმჯდომარეს ლიტვინოვს თითქოს შიში შეჰპარვია გულში, ვაი თუ პეტერბურგში ჯეროვანად არ დააფასონ ჩემი ახირებული აზრი ქართველების შესახებ, ვაი თუ არ ასწონ-დასწონონ ჩემი მოხსენება და ქების მაგიერ საყვედურიც მითხრანო, ან შეიძლება თვით განსვენებულის, საქართველოს მთავარ-მართებელად ნამყოფის თ. პ. დ. ციციშვილის აჩრდილი ელანდებოდა და ყურში ჩასძახოდა სამარიდან, მეც ხომ ქართველი ვარ ჩამომავლობით და არა ერთხელ მითქვამს საჯაროდ, განგებამ გამომგზავნა ჩემის სამშობლოს აღსადგენად და აბა რა საფიქრებელია, რომ ჩემს მშობელს და დამბადებელ ერს სიტყვა სამშობლო არა ჰქონდესო. ეჭვი არ არის, ვიდრე ულმობელად დასწიხლავდა იმ ერს, რომლის გამგებელად იმპერატორმა ალექსანდრემ დაიყენა, ლიტვინოვი ბევრჯელ იფიქრებდა და მოისაზრებდა, რომ არც წვადი დაეწვა და არც შამფური, ე. ი. ქართველებისთვისაც გული მოეშხამა და თან პეტერბურგისთვინაც ეამებინა. ამის გამო ლიტვინოვი შორიდან იწყებს თავისს მოხსენებას. ჩემს მოვალეობად მიმაჩნიაო,

[18]) იხ. Акты, т. III, გვ. 104—105.

ამბობს ლიტვინოვი, აღვნიშნო ის მიზეზები, რამაც გამოიწვია საქართველოს თავადიშვილთა საქციელი. ამ მიზეზების დაწვრილებითი განხილვა და გარჩევა დაგვარწმუნებს, რომ მეამბოხეთა საქციელი შეეფერება მათს ზნეობას, ჩვეულებას და ქამთავითვარებასა, მაშასადამე შესაძლებელია ეპატივოთ იმპერიის საწინააღმდეგო მოქმედებაო. საქართველოს ერი დიდ ხანს ითელებოდა მეზობელთაგან, ბევრჯელ მტვრად ქცეულა და სულერთიანად გალეწილა მათ ფეხთა ქვეშე. სუსტი მეფენი ვერ ახერხებდნენ დაეცვათ, ეპატრონათ და მოევლოთ თავიანთ ქვეშევრდომებისათვის; აქედან ის წარმოსდგაო, ამბობს ლიტვინოვი, რომ თვით ქვეშევრდომნი მეფეთ არ ენდობოდნენ და არ კ იმედი ჰქონდათ, რომ გაჭირვებაში გვიპატრონებენ და შეიძლებენ ძლიერის ხელით მტერი შემუსრონო. ყოველი ქვეშევრდომი იძულებული იყო თავის თავისათვის თვითონ ეზრუნათ და ასე ამ ნაირად გადაეჩვია ნელ-ნელა პატივის ცემით მოპყრობოდა სამეფო ძალას. ამას გარდა ხელმწიფობა ხშირად იყოფოდა, იგლეჯებოდა, მრავალის ხელში გადადიოდა და ამ გვარად მკვიდრი უნებლიედ ჰკარგავდა პატივისცემას ხელმწიფების ერთობისადმი. აბა ის ხელმწიფება რა ხელმწიფებაა, როდესაც ერთის კაცის ხელში არ არის და დანაწილებულია მრავალთა შორის.

რაკი ხელმწიფებამ თვისი ძალა და პატივი დაჰკარგა, რაკი ვერ შეიძლო და ვერ შეინარჩუნა მიმზიდველი ხასიათი, მკვიდრიც მცირე უკმაყოფილების გამო, ბრძანებს ლიტვინოვი, უნამუსოდ და უსირცხვილოდ სტეხავდა ფიცსა და ჰკარგავდა ერთგულებას. [19]) ამასთანავე ქართველებს დიდად მოჰქონდათ თავი, რომ ასეთი მათი საქციელი საუკეთესო ხერხი და იარაღია საქართველოს დახსნისათვის და კეთილდღეობისათვისაო. ბატონიშვილთა უთანხმოება და ერთმანეთ შორის დავი-დარაბა საბუთს აძლევდა ქართველობას, ასე მოქცე-

[19]) დედანში ასეა: „при малѣйшемъ неудовольствіи присягу и вѣрность мѣняли безъ всякаго стыда, поставляя сіе спасительнымъ средствомъ“. Акты, т. III, გვ. 104.

ულიყო. უმთავრესი დამნაშავენი სპარსეთს გარბოდნენ და იმალებოდნენ თავხედობას (дерзость) იჩენდნენ, რომ ჰბედაედნენ და პირობას უდებდნენ თავიანთ მეფეებს, ასე და ამ ნაირად თუ მოგვექცევით, სამშობლოში დავბრუნდებითო.

ლოტვინოვი ამბობს: „სამშობლოს სიყვარული, რომელიც ისეთის ძლიერებით იძვრის კეთილ-გონიერთა გულში, საქართველოს მცხოვრებთათვის უცნობი და გაუგებარი გრძნობაა. ასე გასინჯეთ, სიტყვა სამშობლოც კი არ არსებობს ქართულს ენაში. ერთსულობა და თანხმობა უცხო ხილია მათთვის. კერძობით და პირადობით გატაცებულნი არიან და თავიანთ სარგებლობად ის მიაჩნიათ მხოლოდ, რომ უწესობა სუფევდეს და კერძოდ არავის საქმე არ მოეწყოს რიგიანად და კეთილად. აქედანა სჩანს, რომ თვითპყრობლობა და თავ-ქვიფობა ერთადა თავსდებოდა ამ ქვეყანაში. ცხადია, შეუძლებელი იქმნებოდა გეჭონოდა იმედი, რომ ეს ერი წესსა და რიგს დაადგებოდა და დაიცავდა ერთგულებას ახალის ხელმწიფის წინაშე, როდესაც თავის საკუთარის ღალატსაც არა-რად აგდებდა.“[20])

აქ მოხსენებულს ისიც უნდა დავუმატოთ, ამბობს ლიტვინოვი, რომ აჯანყებას ხელს უწყობდა იმ დროინდელი გარემოებანიო. მთიულნი და მთის სხვა ტომნი აჯანყდნენ, რუსეთიდან შემოსასვლელი გზა საქართველოში სრულიად შეიკრა, ბაბა-ხანი უხვად გზავნიდა ფირმანებს საქართველოში და აქეზებდა ქართველებს ასაჯანყებლად. ამას გარდა, ხმა გავრცელდა, რომ მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი მოჰკლეს ერევანსა და მთელი მისი მხედრობა ყიზილბაშებმა გაჟლიტესო. აი

[20]) Акты, т. III, გვ. 104. აი თვით დედანიც „Любовь къ отечеству, столь сильно дѣйствующая въ сердцахъ благомыслящихъ, жителямъ Грузіи неизвѣстна, даже названіе отечества на грузинскомъ языкѣ не находится; единодушіе и согласіе для нихъ чужды; подвизаемы единою личностію, находили выгоды въ безпорядкѣ и разстройствѣ другихъ. Изъ сего положенія обстоятельствъ видно, чуо самодержавіе и своеначаліе были совокупны въ одномъ правленіи, то можно ли было имѣть надежду, чтобы народъ сей, слѣдуя положительнымъ правиламъ, могъ хранить вѣрность къ новому Государю, когда поставлялъ за ничто измѣнить своему природному“? ლოტვინოვის მოხსენების ნაწყვეტი ნ. დუბროვინსაცა აქეს მოყვანილი. იხ. მისი ამოერ-კავკასია—Закавказье, გვ. 372.

სწორედ ამ საშინელ დროს ბატონიშვილები გაჩნდნენ საქართველოში და რაღაზედ უნდა გვიკვირდეს, რომ ჯერ მტკიცედ არ მოქცეულნი ქვეშევრდომნი რუსობას გადაუდგნენ, სცდილობდნენ ბატონიშვილების გული მოეგოთ, მათის წყალობით დაეხსნათ თავი თვისი და ცოლშვილი აკლება დაწიოკებისა და განადგურებისაგან და დაემსახურებინათ მათი წყალობა. რუსის მხედრობაზედ სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. არ იცოდნენ რა დახელოვნებულია ჩვენი მხედრობა ბრძოლაში და რა მამაცია ბრძოლის ველზედა. ქართველებს ეგონათ, რაკი ჯარის რიცხვი მცირეა, მაშასადამე უთვალავი მხედრობა სპარსეთისა ერთის შეტევით გაანადგურებს და ამისათვის რუსებისაგან აღარავითარს დახმარებას და შემწეობას აღარ მოელოდნენო. აქედან ცხადათა სჩანსო, ბრძანებს ლიტვინოვი, რომ ერთისა და იმავე დანაშაულისათვის ხელმწიფის წინაღმდეგ რუსი და ქართველი ერთ-გვარად ვერ დაისჯება. [21]) რაც ტანჯვა, უმადურება და ვაი-ვაგლახი გიმოიარეს საპყრობილეში დატუსაღებით, იმითიც საკმარისად განიბანენ შეცოდებისაგან დამნაშავენი, ხოლო უდანაშაულონი დამშვიდდებიან და ჭკუას დაეხმობიან მომავალშიო.

დასასრულ, გავბედავ და ვიტყვიო, ამბობს ლიტვინოვი, რომ ბატონიშვილების რუსეთს გამოგზავნამ, ბოლო მოუღო ყოველსავე ამბოხებას, ხოლო რუსის მხედრობის გამარჯვებამ და ჯარების გამრავლებამ საქართველოში უიმედობა ქართველებს იმედათ შეუცვალა, დაუდგრომლობა მათი გაჰქრა და ეხლა ისე ერთგულობენ რუსებს, როგორც წინედ ბატონიშვილებსაო. თუ კი ხელმწიფე იმპერატორის წყალობით გაბედნიერდნენ ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი და თ. ჭავჭავაძე—(ალბად ალექსანდრე იგულისხმება)—ეს უმთავრესი დამნაშავენი ამბოხება-აღრეულობისანი, იმედია, რომ დაუშრეტელი წყალობა ხელმწიფისა უნუგეშოდ არ დასტოვებს დანარჩენ დამნაშავეთაცა, რომელთაც უკვე საშინელი სასჯელი აი-

[21]) რუსულად ასეა: „По одинаковымъ преступленіямъ равному съ Россіянами отвѣту подлежать не могутъ“.

ტანეს ციხე-სააპტიმროებში, მით უმეტეს, რომ ესენი მხოლოდ მოთავეთა ჩაგონებითა ჰმოქმედებდნენო. ერთად-ერთ იმედათ ტანჯულთ დარჩენიათ მხოლოდ დიდებული მონარქი, ეს კაცობრიობის გამაბედნიერებელი და თავის ქვეშევრდომთა მამა, რომლისაგანაც მოწიწებით ელიან მოწყალებას, რასაც ასე ჩვეულია მისი ლმობიერი და დავრდომილთათვის სიბრალულით სავსე გული.

ასე მოიხსენია და შეამკო მაშინდელი ქართველები დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა ლიტვინოვმა. ის ქართველები, ვინც დაჟინებით გაიძახოდნენ, სამშობლო უნდა აღვადგინოთ და ამ აზრის განსახორციელებლად ფასანაურში მთიულთაგან მოტანილ დროშაზე ფიცულობდნენ: გავწყდეთ და ჩვენი გვიტანთოთო, ლიტვინოვის სიტყვით, ღირსნიც კი არ აღმოჩნდნენ დასჯისა, რადგან ვითომ არც კი იცოდნენ, რას ჰმოქმედობდნენ და, ასე გაშინჯეთ, სიტყვა „სამშობლოც“ კი არა აქვთ თავიანთ ენაშიო.

ასე ცვალებადია დრო და ჟამი.

ლიტვინოვის შემდეგ თვით მთავარ-მართებელმა გრაფმა გუდოვიჩმაც გაუგზავნა თავისი აზრი მართლ-მსაჯულების მინისტრს თავად ლოპუხინს, ღირსნი არიან შეწყალებისა მეამბოხენი გარდა იმათი, ვინც პირველ კატეგორიაში მოჰყვა, და ზალლ კობიაშვილისაო. არქიმანდრიტი იოსტოს ანდრონიკაშვილი კი, რადგან ერთგულების ფიცი არ მიეღო, ერთ მიყრუებულ მონასტერში გაიგზავნოს ცოდვათა მოსანანიებლადო.[22])

ნ. დუბროვინის სიტყვით, ლიტვინოვის აზრი ხელმწიფეს შეუწყნარებია და ყველა დამნაშავეთათვის უპატიებია დანაშაული.[23]) ან კი რა სამართალი მოითხოვდა, რომ დაესაჯათ ისინი, ვინც ჭკუა-გონებით ჩვილ ყრმათაგან არ განირჩეოდნენ და ვინც არ იცოდნენ, რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როცა

[22]) Акты, т. III, გვ. 105—106,
[23]) იხ. Д—на Зак. გვ. 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსის მთავრობის წინააღმდეგ იარაღი აისხეს და ომი გამოუცხადეს, ჩვენი ქვეყანა ჩვენ გვინდაო.

მართალია. ნ. დუბროვინი მოგვითხრობს, რომ ყველა დამნაშავე იმპერატორმა შეიწყნარაო და დანაშაული აპატიაო, მაგრამ ჩვენ ეს ამბავი სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. საბუთიც გვაქვს ხელთა. აკტების მეორე ტომში მოთხრობილია, რომ ჰაბუკი ალექსანდრე ჭავჭავაძე, სულ 16—17 წლისა, ტამბოვს გაისტუმრეს დასაბინავებლად. იმპერატორს დიდად სწყენოდა ალექსანდრეს ღალატი, რადგან არ მოელოდა, რომ გარსევანის შვილი, დაჯილდოვებული მათის იმპერატორებითის უდიდებულებისობის კარის კამერ-პაჟის ხარისხით და, რაც უფრო საკვირველია, ნათლული თვით იმპერატორისა, იკადრებდა ასეთს უკადრის საქმეს და ნათლიას თავის საქციელით ცუდს გუნებაზედ დააყენებდა. გარსევანს თხოვნით მიუმართავს ხელმწიფისათვის, მაჩუქეთ შვილი, აპატიეთ დანაშაულიო. იმპერატორი ალექსანდრე რესკრიპტით უბრძანებს მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს, დიდი ღვაწლი მიუძღვის გარსევან ჭავჭავაძეს რუსეთის წინაშე და ამისათვის მიპატივებია მისის შვილისათვის დანაშაული, მით უმეტეს, რომ ყმაწვილია და უთუოდ სიყმაწვილით მოუგიდიხდა, რომ ბატონიშვილს ფარნაოზს მიეხრო და მღელვარებაში მიიღო მონაწილეობაო. ალექსანდრე პირველმა სამის წლით გაუჩინა ალექსანდრე ჭავჭავაძეს ყოფნა ტამბოვს და თანაც იმედს არა ჰკარგავდა, რომ კეთილგონიერებით და კარგის ყოფა ქცევით დანაშაულს გამოისყიდდა და არა თუ ხელ-ახლად დაიბრუნებდა ძველს წყალობას, არამედ ახალსაც მრავალს შეიძენდა. 1805 წ. შემოდგომაზე კამერ-პაჟი ალექსანდრე ჭავჭავაძე შტაბს-კაპიტანმა ჟლეკოვმა გადაატარა კავკასიის ქედზედ, მიიყვანა ქალაქ გეორგიევსკში და იქიდან წაიყვანა ტამბოვს. გზაში ტუსაღს მუდამ თან ახლდა ერთი ოფიცერი და ორიც შეიარაღებული ცხენოსანი ყაზახი. ღამ-ღამობით ან დღისით დასვენების დროს, შტაბს-კაპიტანი ჟლეკოვი თხოულობდა თორმეტ ჯარის-კაცს. ასეთი იყო ბრძანება თ. ციციშვილისა. სიფრთხილეს თავი არა სტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაო, და ალბად მთავარ-მართებელიც იმიტომ ფრთხილობდა, რომ შეპყრობილი მემამხილე არ გაქცეულიყო და მომავალში კიდევ არ აეტეხა მთავრობისათვის ვაი-ვაგლახი და რაიმე უსიამოვნება. [24])

ს. ფრონელი.

P. S. ამით ვათავებთ საქართველოში აღრეულობის ამბავს 1804 წელსა და ძველთა რომაელთა მიხედვით ვიტყვით ჩვენც: feci quod potui. ვიტყვით ბგრედეე, რომ ჩვენ არც მოცალეობა და არც განზრახვა გვქონია, მეცნიერულად გამოგვეკვლია სგანი ამ ისტორიულის ამბისა. ჩვენი განზრახვა და აზრი იყო მცირედადაც აგვეხადა ფარდა იმ საშინელის ისტორიულის დრამისათვის, რომელსაც სამართლიანად ეწოდება ხანა საქართველოს სპპოლიტიკო თვით-არსებობის მოსპობისა. რაც შესაძლო იყო, მეცადინეობა არ დავიშურეთ, რათა სავსებით დაგვეხატა სურათი ჩვენთა წინაპართა სულის კვეთებისა, ვცდილობდით ჩაგვეხედა მათის სულის სიღრმეში და გადაგვეშალა მკითხველის თვალწინ მათი ავიცა და კარგიცა, საქმენი საგმირონიცა და საამუგონიც. ბევრი მოღვაწე მაშინდელის შავითა და ბნელით მოსილის დროისა ავად და მწარედ მოვიხსენიეთ, ბევრს მათგანს კი სიყვარულითა და ნეტარებით ვადევნებდით თვალსა და ყურსა: მათი სიხარული ჩვენც გვახარებდა და მწუხარება გვაწუხებდა.

ბევრის მაშინდელ ავის მოღვაწის შვილი და შვილი-შვილი დღესაც ცოცხალია, მაგრამ ჩვენ განზრახ არავის წყენა არ გვინდოდა. ესეთი განზრახვა მიუტევებელ ცოდვად მიგვაჩნია და, არც ეხლა, არც შემდეგ ამას ვერ ვიკადრებთ. თუ

---

[24]) იხ. Акты, т. II, გვ. 337. რამდენადაც ვიცით, ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდად დაწინაურდა სამსახურში. იყო კამანდირად სახელ-განთქმულ ქვედა-ნოვგოროდელების დრაგუნთა პოლკისა. მიიღო ბოლოს ჩინი ღენერალ-ლეიტენანტისა და ბოლოს თვით სახელოვანი პოეტი დაუსიმამრდა რუსის სახელოვან პოეტს გრიბოედოვს. ალექსანდრე ჭავჭავაძის გენერალ-ლეიტენანტობას იხსენიებს პ. იოსელიანი. იხ. მეფე გიორგის ცხოვრება. გვ. 113.

ავნუსხეთ ყოველივე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდეთ ჩვენი წარსული, დიდებულია და თავ-მოსაწონებელი იგი, თუ სამარცხვინო და სათაკილო. ძველს სათაკილო ამბავს, ძველს უბედურებას, დღეს ისტორიით გამომჟღავნებულს, ვაჟ-კაცურად უნდა დავუხვდეთ; გული არ გავიტეხოთ და მხნედ შევუდგეთ წამხდარის საქმის გარიგებას, გამოტრიალებას: ჩვენ ღრმად გვწამს ბედნიერი მერმისი და მომავალი ჩვენის პატარა ქვეყნისა, რომელმაც ამდენი ჭირი და ვარამი გამოიარა და ეს ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა გვაბედვინებს თამამად, მოურიდებლად ავს ავი ვუწოდოთ და კარგს კარგი. თუ ჩვენ მიერ მოთხრობილ ამბის წაკითხვის შემდეგ მკითხველს ის აზრი გაურბენს თავში, ფიქრი არ არის, მართალია ბევრი შეცდომა მოსვლიათ ჩვენთა მამა-პაპათა, მაგრამ თვით ამ შეცდომათა შესწავლა-გათვალისწინება მოგვცემს ძალას აღარ გავიმეოროთ მომავალში მაგისთანა შეცდომანიო, მაშინ ჩვენს თავს ბედნიერად ჩავთვლით და, სრულიად საესებით ვიქმნებით დაჯილდოვებული ამ მცირედის შრომისათვის.

რომ მეორედ აღარ თაგეჭირდეს განმეორება, ეხლავე ვამჯობინებთ ვსთქვათ, რომ ასეთისავე ხასიათისა იქნება ჩვენ მიერ განძრახული შემდეგი ისტორიული ამბებიცა: „საქართველოს ვიცე-კანცლერი სოლომონ ლეონიძე“, „ბატონიშვილი ალექსანდრე“, „ტოტლებენი საქართველოში“, „სამეგრელოს უკანასკნელნი დღენი“, „იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II“, „სპარსეთის შაჰი აღა-მოჰმედ-ხანი“, „ბაბა-ხანი და საქართველო“, „მთის არწივი შამილი“ და სხვანი.

ა. ფ—ლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე
თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. სვიმონ წერეთლის მიერ,

„ამ ბოლოს დროს ბევრმა თქვენგანმა არა ერთხელ მომმართა და მკითხა, რას ჰნიშნავს ის გარემოება, რომ სატახტო ქალაქების ზოგიერთი გაზეთები ჰბეჭდავენ წერილებს, რომლებშიაც თავს იჩენს რაღაცა არა-მეგობრული დამოკიდებულება და სისტემატური დევნა საზოგადოდ აქაურებისა, ჩვენებურებისაო. მე მარწმუნებდნენ, რომ როგორც თავად-აზნაურობა, ისე დანარჩენი ხალხი შეშფოთებული და შეძრწუნებულია იმის გამო, რომ ზოგიერთი, ვითომ-და გავლენიანი გაზეთი ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა; შეძრწუნებულია მით უფრო, რომ ასეთი ამხედრება, საყოველთაო აზრით, სრულიადაც არაფრით არ გამოგვიწვევია. ვინც მომმართა ასეთის სამწუხარო გარემოების გასაგებად, მოკლედ და გადაწყვეტით მოვახსენე, რომ სატახტო ქალაქების გაზეთების კავკასიელ კორესპონდენტების ნაწერებში, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ არის მომართული, სრულიადაც არ იხატება არც აზრი რუსეთის მთავრობისა, არც თვით რუსეთის საზოგადოებისა-მეთქი. ამასვე გავიმეორებ ახლაცა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი გადაწყვეტილი პასუხი სრულიად გაჰფანტავს ყოველგვარს ეჭვს, თუ რომ ეს ეჭვი ჩვენს თავად-აზნაურთაგანს ვისმე აწუხებს კიდევ იმის შესახებ, რა მნიშვნელობა და ხასიათი აქვს ერთისა ან ორის გაზეთის ჩვენ წინააღმდეგ ასე ამხედრებას.

„ბატონებო! თუ ღრმად ჩავუკვირდებით ჩვენს საკუთარს ისტორიას, ჩავუკვირდებით ჩვენსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიას, არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ უმაღლესი მთავრობა და თვით რუსეთის საზოგადოება, მაშასადამე, ჟურნალ-გაზეთობაც მხოლოდ სიყვარულითა და ნდობით გვეპყრობიან და არა სხვაფრივ. ის ხომ ყველამ ნამდვილად იცის, რომ ჩვენ, ქართველები, დამორჩილებული ხალხი არა ვართ, არამედ ჩვენის ნებით შევუერთდით ჩვენსავე ერთმორწმუნე ერს რუსეთისას. ის ვინ არ იცის, რომ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ენისათვის თავ-განწირულებით ვიბრძოდით წინააღმდეგ ძლიერთა მტერთა, რომელნიც ყოველ მხრივ გვავიწროებდნენ. ყოველივე ესე დიდს ღვაწლსა თხოულობდა, დიდ სისხლის ღვრად დაგვიჯდა; მაინც მიუხედავად იმისა, რომ ბედი ჩვენი მუდამ ცვალებადობდა, არ დავეცით იმ მუსლიმინთა ბრბოთა უსწორო ბრძოლაში, რომელთაც შიშსა და მორჩილებასა ქვეშე ჰყავდათ აღმოსავლეთი და რომელთაც დასავლეთშიაც ძლევა-მოსილებით შესწდეს ფეხი. ყოველივე, რაც კი ჩვენთვის ძვირფასი იყო და რისთვისაც ბედის წინაშე ასეთის მორჩილებით ვხიდავდით საუკუნეთა განმავლობაში მოწამებრივს გვირგვინსა და ქრისტეს ჯვარს, შევირჩინეთ და ხელ-შეუხებლივ მოვიტანეთ მე-XIX საუკუნემდე. აქ კი ჯვრისა და სახარების მტრებთან საუკუნოების განმავლობაში ბრძოლით დაქანცულთ ჩვენ მივმართეთ თხოვნით ერთმორწმუნესა და ძლიერს სახელმწიფოს, რათა ჩვენის ისტორიულის სამკვიდროთი მიეღეთ თვისსა მაღალსა მფარველობასა ქვეშე. რუსეთის დიდსულოვანთა მონარქთაც, რომელნიც მუდამ სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდნენ ქრისტეს მორწმუნე საქართველოს და აფასებდნენ მისს ღვაწლს ქრისტეანობისა და კაცობრიობის წინაშე, ისმინეს ხმა ჩვენის ერისა, ამ ქრისტეანობის მტკიცე ბურჯ-სიმაგრეთა მაშინ მთელს აღმოსავლეთში, რუსეთის დიდს ოჯახში მიგვიღეს და შეგვმოსეს მისთა ნამდვილთ ძეთა უფლებითავე. იმ დღიდან, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ვიდრე დღევანდლამდე, მთავრო-

ბის აზრი ჩვენ შესახებ არაფრით არ შეცვლილა, მით უფრო, რომ მიზეზი არა მიგვიცია-რა; ჩვენ მუდამ რუსეთის მონარქების ერთგულნი ქვეშევრდომნი ვიყავით. მშვიდობიანობის დროს მუდამ რუსეთის იმპერიის ერთგულნი და თავ-გადადებულნი მამულის-შვილნი ვიყავით, ხოლო ომის დროს რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედრობასთან ერთად ვღვრიდით სისხლს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ამრიგად ჩვენცა და ჩვენნი მამა და პაპანიც მუდამ მონაწილეობას ვიღებდით რუსეთის მხედრობასთან ერთად და ერთად ვიღწვოდით ჩვენის საერთო მამულის სასახელოდ. მაშასადამე, ცილს გვწამებენ ისინი, ვინც ამბობენ, რომ ჩვენ სანდო ხალხი არა ვართ, რომ ჩვენ სახელმწიფო ცხოვრების მთავარს აზრსა და საფუძველს ვმტრობთ და ამიტომ უნდა გავიწროვებდეთო. ცილს გვწამებენ როგორც ჩვენ, აგრედვე მთავრობასა და რუსეთის ერსაც, როდესაც ამბობენ, რომ ეს მათი აზრიაო...

„იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ასეთს უსამართლობასა სწერენ და ასე მტრულად გვეპყრობიან, თავი მოაქვთ მხოლოდ პატრიოტებად; ისინი ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველნი, რომ ჩვენს კალამს ამოქმედებს ღრმა მამულისშვილური გრძნობა და გულწრფელი ზრუნვა მამულისათვისაო. მაგრამ სურვილი მათი აღუსრულებელი რჩება. ის პატრიოტი არ არის და არც მამულისშვილური სიყვარული აქვს, ვინც დაუღალავად ცდილობს შეასუსტოს, ან-და სრულიად მოსწყვიტოს ძირიანად საუკუნოების განმავლობაში არსებული ძმობა და სიყვარული, რომელიც საერთო მამულის შვილთა შორის არსებობს. პირიქით, ჭეშმარიტი და მტკიცე მამულისშვილი უნდა ცდილობდეს, რომ უფრო მეტად გაუდგას ფესვი, გააძლიეროს სიყვარული და ნდობა, რომელსაც მთავრობა ჰგრძნობს,—განამტკიცოს ერთგულება, რომელიც მუდამ გვქონია რუსეთის მონარქებისადმი, მშვიდობისა და მოქალაქეობის სიკეთის ჩვენდა მომნიჭებელთადმი.

„ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ მწერალ ვაჟბატონებს ამოქმედებს არა მამულის სიყვარული, არა პატრიოტო-

ბა, არამედ პირადი მოსაზრებანი, თავის კერძო ინტერესები. საკმაოა მხოლოდ წაიკითხოთ მათი ნაწერები და დარწმუნდებით, რომ ამ ვაჟბატონებმა სრულიად არ იციან ჩვენი წარსული, არ იციან ჩვენი აწმყო; დარწმუნდებით, რომ ის საბუთები, რომლებზედაც თავიანთს მსჯელობას ამყარებენ, ან განზრახ შერჩეულია, ან-და პირდაპირ მათთვე შეთხუზული. ხოლო ასეთს საშუალებას მიჰმართავენ ხოლმე გულ-მანკიერნი ავტორნი იმ შემთხვევაში, როცა უნდათ რისთვისმე დაჰფარონ, რა ნამდვილმა მიზეზმაც აიძულა იგინი ხელში კალამი აეღოთ. მე ნამდვილად ვიცი და ეჭვიც არა მაქვს, რომ სატახტო ქალაქების გაზეთების მეთაურებმა რომ იცოდნენ, რა სარჩულიც უდევს კორესპონდენტების ნაწერებს, თვით ისინივე ზიზღით შეაქცევდნენ სამუდამოდ ზურგს. მაშ ასე, ბატონებო, ნუ მიაწერთ ნურავითარს მნიშვნელობას მათს ნაწერებს და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ როგორც მთავრობა, ისე თვით რუსეთის საზოგადოებაც, კეთილის თვალით გვიცქერის თავად-აზნაურობასაც და მთლად აქაურ მცხოვრებთაც. დასამტკიცებლად ამისა გაძლევთ სიტყვას, რომ, როდესაც მაისში რუსეთს წავალ, ჩამოგიტანოთ ნამდვილი ცნობა, რომელსაც, იმედი მაქვს, უფრო სარწმუნო და სანდო კაცებისაგან შევიტყობ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო მიმოხილვა

ზრდა ჩვენის ლიტერატურისა.—50-იანი წელნი და მის შემდეგნი ათეულნი.—რით იჩინა თავი 80-იანმა წლებმა?—ერთი მისი სამსახურიცა.—საერო კილო ჩვენს პოეზიაში.—როგორ ასურათებენ ჩვენს ცხოვრებას ახალნი მწერალნი?—ვინ გვაძლევს იმედს?

უკეთესობის ცხადია, რომ ჩვენი ლიტერატურა დღეს ის ადგილი არის, რაც იყო ამ ორისა და ორმოცდა ათის წლის წინად. ამ ხანში ეს ლიტერატურა სჯამოდ, შესამჩნევად გაიზარდა, წინ წაიწია, შეიგნო და ღრმად გასდგა მან თვისებები. რაც აკლდა ჩვენს ცხადს მწერლობას თვისის ადორძინების პირველს ხანს, მე-50 წლებში, ის შეგვსო მე-60 წლებმა; რაც მესამოცე წლებს დაკლდა, ის შეათვა, ის შესძინა 70-ნმა წლებმა და ამ რიგად მიდიოდა წინ ჩვენი ობლად დარჩენილი მწერლობა, თუმცა დიდის ტკაცათა და ზოზინათ, მაინც წინ მიდიოდა, ძალ-ღონეს იკრებდა, სიღრმე-სიგანეს ჭმატულობდა.

თუ 50-იანის წლებში მწერლობას გაუჩნდნენ: გ. ერისთავი, გრ. ორბელიანი, დავ. არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე, გრ. რჩეულიშვილი, ივანე გერესელიძე, კახ. ორბელიანი რ. ერისთავი და სხვა მწერალნი და არსებულად-ისტორიკოსნი (ნ. ბარათაშვილი არც სულითა და არც ხორცით არ ეკუთვნის 50-იან წლებს და სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში), სამაგიეროდ, მე-60 წლებში ლიტერატურას მიეშენებნენ: იოანე ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი. 70-ან წლებში გამოჩნდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ფურცელაძე და სერ. მესხი. განსაკუთრებით, მესხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწია მზრუნველობა ქართველს მწერლობის მით, რომ საკმაოდ დადასტნის ამისაგებლად გაზ. «დროებასა», რომელიც პირველად კეთრში ერისულ ობებლობად, მერე კეთრში სამყარო და ხალხს, თუ არა გსტდებით, 1877 წლიდან, ოთხელ-დღე.

მე-80 წლებიც არ ჩამორჩა უკან წინანდელ ათეულებსა; მან გამოაცოცხლა ასპარეზზედ არა ერთი და ორი ნაწერი ბელეტრისტა, რომელთა-შორისაც უპირველესი ადგილი დაიჭირა ილ. ყაზბეგმა. ილ. ყაზბეგის ნაწერებში ცხოვრება ისტება საკისით, ჭეშმარიტის სახელოვნობით შემოქმედობით, ისეთ-ისეთის კალმის-მასმით, რომ ზოგიერთს კეთილ მწერალს-მხატვარსაც გაუჭირდება.

ილ. ყაზბეგს მხრში ედგნენ 80 წლებში სხვა ბელეტრისტებიც, რომლებიც, თუმცა ისეთის დიდის ნიჭისანი და ამისათ ნაყოფიერნი არ იყვნენ, კარნა ჩვენს ცხოვრებას ასურათებდნენ საკმაო სიმხატვრო სიმართლით და ზოგჯერ ჭეშმარიტის შემოქმედობით. ზოგი მათი ნაწერი ადგილდილი ნიჭით და მადლიანობით. ეს მწერლები არიან: ნ. ლომური, ეგ. გაბაშვილისა და სოფ. მგალობლიშვილი. ეის არ წაუკითხავს «ბატარა ქაჯანა», რომელიც 1881 წელს დაბეჭდა ანთ. ჯუღელის «წყაროში», ან «ალი» მისივე, დაბეჭდილი 1879 წელს ყორნად «იკერიაში». ვგრძელებ «ღვინის გადაჩეხა», ეგ. გაბაშვილისა (დაბეჭდა ვ. გუნიას «კალენდარში» 1889 წელს, «ორ-ენა და ქუჩა» («იკერია» 1882 წელს), ან «ცისფერის ქორდა» («ნობათი» 1884 წელი)? ისმის დრომ დაჭბედა ისინი მწერლები. ამ დრომ ითხოვა უსუსტესი მწერალიც კი, რომ. ეროსთვის, რომელმაც სწორედ ამ სანებში შეჭქმნა თავისი შესანიშნავი «სამშობლო სვეტიცხოვლის» და ორიგინალი სხვა საკვირველი ლექსი.

ერთი შესანიშნავი ღვაწლი მოუძღვის კიდევ ამ 80-იან წლებს და ეს ღვაწლი უსათუოდ სასწორის ადგილს მოიპოვებს. ეს ის ღვაწლი გახლავთ, რომ მაშინ იწყო ზრდა უკვე ფეხ-ადგილმა წინანდელ მოღვაწეთა მხნეობით სავრცხინო გრძნობამ, მამულის-მოყვარეობამ, რომელსაც ისეთის ძალერებით ემსახურებოდა სათავარი კალამი ილ. ყაზბეგისა ბელეტრისტიკაში, ხალხი სან-დაზმულს მწერლობაში მრავლად ებეჭდებოდა სხვა-და-სხვა მწერალთა ნაწერები ზემოხსენებულის გრძნობის გასაძლიერებლად, გასამტკიცებლად, გამოსაკვ-

ლეკვად. ამას ზედ დაერთო აუტიღებელი ყოველ ამისთანა შემთხვევაში სურვილი საქართველოს წარსულის ცხოვრების შესწავლისა, გაოცვალისწინებისა და მომავლის მოყვარეობის დაფუძნებისა წარსულზედ, ისტორიის შესწავლაზედ.

ამ ორგვარმა მიმდინარეობამ იჩინა თავი მაშინ ჩვენს მწერლობასა და ცხოვრებაში. ერთი მიმდინარეობა ის იყო, რომ ეწვათ უტქვრადნენ წარსულს, აქ საგნოეს გერასა ჭედავდნენ, მას შესწავლასაც კი თითქმის ურს ჭეოფდნენ და საზოგადოებას უქადაგებდნენ, წან იცქირებოდეთ, მერმისისა და მომავალისათვის იზრუნეთ, იდეალი აქ უნდა ეძებოთ და არა სიფდავთა-შორის, წარსულში, სცა გერას გაეზიით გერც ჩვეის სასწაულებელსა და გერც გულისა და გრძნობის სიწურთნელსაო. მეორე მიმდინარეობა სულ სხვასა ჭედავდებდა: წარსულის შესწავლა, წარსულის გკლევა, წარსულის ცხოვრების ნათლად გათვალისწინება, დაგანსვენებს, რა გიყვეთ და რა ვალია კრთოთ; აქ ბევრი საგულისხმო რამ მოიძებნება ჩვენის წარმატებისა, გონება-გრძნობის გაფართობისა და მომავლის მოყვარეობის გაძლიერებისათვის, თვით-ცნობიერების ადრდავისათვისაო.

ჩვენ არ მოვისენიებთ, კინ ჭედავდა ან ერთს მიმდინარეობასა, ან მეორესა, მით უმეტეს, რომ ასეთნი ბედავნი თითქმის არც იყვნენ. გიტყვით მხოლოდ, რომ ამ ორმა მიმდინარეობამ ნათლად ახანა თავი და მომავალი ისტორიკოსი ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურისა გვერდს გერ აუვლეს ამ შესანიშნავს გარემოებას.

ასე იყო, თუ ასე, ასეთმა მოძრაობამ დაგვახდოვა 50-ახ წლებსა, რომლის ისტორიის საყვარელის მასალის ცემა უფრო ძალიან იყო, ვიდრე 60-ახსნა და 70-ახ წლებში, როდეს განთავისუფლების რეფორმებმა მთლად და სავსებით გაბატონა ჩვენი მაშინდელი მოღვაწენი. ამ მოძრაობამ, ამ ისტორიის შესწავლის ფრთა-გაშლილმა სალამმა და წარსულის სურვილმა, წარსულის ტრფიალებამ, არამც თუ დაგვახდოვა 1850-ახ წელთა მოღვაწეებს, რომელთა შორის ზოგი ისევ ცოცხალი იყო და კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს დიდის თავ-დადებითა, როგორც დამ. ბაქრაძე, მიუსედავად ყოველგვარ უცნაურის მითქმა-მოთქმისა, არამედ სადი გასდო წარსულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნეს და მე-19 საუკუნეს შორისაც. მთელი გუნდი ახალგაზრდობისა მხნედ და ერთგულად შეუდგა წარსულის სწავლას, წარსულის კვლევას. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტები რუსეთის უნივერსიტეტში და სისტორიო განყოფილებანი სასულიერო აკადემიებში სატრფიალო შეიქმნა ჩვენის ახალ-თაობისათვის მაშინ და, ხომ მოგეხსენებათ, რომ ნაყოფიცა ამისი არა მცირედი სჩანს დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიხარულოდ...

მწერლობაში, სიტყვა-კაზმულს მწერლობაშიაც ხომ იჩინა თავი ამ მიმართულებამ, იმოდენად იჩინა თავი, რომ იგი ხშირად ჰკლებდა და ზარალს აძლევდა თვით შემოქმედობას, ხელოვნებას, სამხატვრო სიმართლეს. არამც თუ ალ. ყაზბეგი გაიტაცა ასეთმა გზამ და ცეცხლებრ მგზნებარე კაბადონები დასწერინა მამულის მოყვარეობისა, არამედ ბევრნი სხვანიცა. გადაათვალიერეთ მაშინდელი მწერლობა, ორიგინალი და ნათარგმნი, მეტადრე პიესები, რომელიც იწერებოდა დაახლოვებით იმ ხანებში და დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენი მოსაზრება სიმართლეს არ არის მოკლებული.

რა მოგვიტანა ახლა შემდეგმა ათეულმა, ამ ჩვენმა 90-იანმა წლებმა? რა შესძლვნა ამ დრომ მწერლობას, რა ახალი შესამატი შეჰმატა და რა ფერი დასდო, რა მიმართულება მისცა ან მწერლობასა და ან ცხოვრებას?

ვიდრე ამის პასუხს მოგახსენებდეთ, ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა ვსთქვა ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას გამოჩენაზედ ჩვენს სამწერლო ასპარეზზედ. ეს ორი ნიჭიერი მწერალი ეწვია ჩვენს მწერლობას 80-იან წელთა გასულს, მაშინ, როცა ერთი ათეული თავდებოდა და მეორე იწყებოდა. ამიტომ ისინი ეკუთვნიან ერთს ათეულსაცა და მეორესაცა. მამულის-მოყვარეობის კილო ერთის ნაწერებშიცა სჩქეფს და მეორისაშიც. ისტორიული კილოც მოიპოვება მათს პოეზიაში. მაგრამ მათი მნიშვნელობა უფრო სხვა არის. მათს პოეზიას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, სხვა ფერი სდევს, სხვა წყალი და ჯავარი ემჩნევა, რაიცა მრიელ აახლოვებს ერთმანერთთან ამ ორს მწერალსა და ალ. ყაზბეგს, იმ განსხვავებით მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდ, რომ ესენი ისტდნენ მის ნაკლსა, ზოგჯერ გადაწარბებულს საბჭერიოტო ტენდენციას მდაბიოთა იდეალიზაციას და ერთგვარობას და ერთმა—ბიჩინამ—თვისას ძალიერას დარიგით გაგვტნო სულდა გულდა, დარდა და მწუხარება თქვენ-სკენ-სურთ, ხან საგუთრად მათი, ხან საზოგადოდ მდაბიოთ, მაგრამ ისე კი, რომ მათი გრძნობა გაატარა თვის საგუთარს გულში, იქ დაწმინდაგა, დაბრწყინდა, ეგრეთმედლის, საგატბრად გრძნობა-ზრახის ბრძმედში გატარა და ისე მოგვიძღვნა. ხოლო მეორეგან—ვაჟა-თქმულებან—თვისას ძალიერას ენიგით გაგვითვალისწინა თუშ-ფშავ-ხევსურნი და ამისაც სამსჯავროში ხერხად ისეც ის გზა აქვს, რაც ბიჩინას. მას შემოქმედობის სიადვილოდ ისეც ისეთია, რაც ბიჩინასი. ორისავე მშის შემოქმედობა, უსარი წერასა ამაზეა დამუშავებული, რომ ერთიცა და მეორეც ისე უვეყანს, საყოველთაო-საკაცობრიო, კაცთ-მოყვარულს ზრახს თვით მდაბიოთა გულშიაც ეძებენ, ან მათს გულდვიძლში ასვლენ და, როცა ეს ზრახა განსხვავებულს ფერს მიიღებენ ამ ორგანიის გამო, მხოლოდ მაშინ მოგვიძღვნიან სოლმე უკვე თვისის გრძნობით დაწმენდილს, დაბრწყინებულს.

მოვიყვანთ ორივეს მაგალითს.

ჩვენ კიცით, რომ საყვარელი ხალხთისის ქვეყნისა ყოველად კანონიერი და მდელი, წმიდა გრძნობაა. პოეტს უნდა, გსთქვას, გვაჩვენოს, როგორია ეს გრძნობა გაუნათლებელს, მდაბიო ადამიანის გულში. პოეტს შეუმჩნევია, რომ ეს გრძნობა იღვიძებს უფრო ტყეობაში და ან გვისტყვის ტყეს, რომელსაც თავისი ქვეყანა ჰგონდეს და სწუხს მისთვის. ტყე—მდაბიოთა ენა—შესტკბრის თრინველთ და ნადვილ-ხასე გრძნობით ეკითხება, მაამებო, თრინველნო, ჩემს ქვეყანაში

წყაროში კიდევ დიანო?
მზე, მთვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდევა ჰკრთიანო?
თავზედამც შემოგველები,
ჩემო ქვეყანავ მთიანო!

ვრა მგონია, იოს კიმე ესეთი გულ-ქვკვა ადამიანი, რომ მთლად ეს ხატვრა დაქსი, და თუნდ ეს ხატვრა ხანა მისი, წაი-

კითხოს და ჟრუანტელმა არ დაუაროს ტანში, ტკბილმა გრძნობამ სამშობლო ქვეყნის სიყვარულისამ ჟრჟოლა არ მოჰგვაროს.

ან აი კიდევ მაგალითი. პოეტს უნდა მტკიცე ხასიათის ადამიანი დაგვისურათოს. ჩვენ, განათლებულებმა, ათასნაირად ვიცით, რომ მტკიცე ხასიათი დიდი საქმეა, რომ ის ჰქმნის ისტორიას, დიდებულს საქმეს. ეს იცის მდაბიომაც, მაგრამ იცის თავისებურად. და აი ეს ჩვენთვის უკვე თავ-მომაბეზრებული აზრი როგორ არის დასურათებული იმავე მდაბიოს პირითა ერთს ლექსში, რომელსაც ეწოდება «მუხა»:

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
განმარტოებით მდგომარე!
ერთი შენ გპოვე გულისა,
ქვეყანა შემოვიარე!
დაღონებული, მტირალი,
მიწყივ შენკენ ვარ მთარე.
მე მიყვარს შენი სიბერე,
მუდმივი დაღრეჯილობა,
დახავსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ-შლილობა...
შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო,
ბუნების ფერის-ცვლილობა!
რაც უნდა ქარი ჰქშუოდეს
და ელვა იკლაკნებოდეს,
მთა-ბარი ირეგვებოდეს,
ხილ-ხული იხოშებოდეს:
ლერწამი მიწას ეკვროდეს,
მშველი ტყეს ინაბებოდეს,
ზარ-დაცემული მხეცი-რამ
ჰწკალზედ კლდის ეხში ღმუოდეს,
ამაყად ელი ავდარსა,
ქარს არ უყადრებ თავსაო,
ელვა და ჰექა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო!
არ ივლებ ბაი-ბუადა
ხალხის ულმერთოდ ქრასაო!
საფლავიმც აუყვავდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაც გვაუწყა მცნებაო:
„კაცი იშობვის ერთს დღესა
და ისევ ერთს დღეს კვდებაო“.
კარგი ქაბუკი სიკვდილსა
არროს არ შეუდრკებაო.

ეს ზაჩანას ლექსებია. ვაჟა-ფშაველას შემოქმედობის ხასიათიც ეს არის. მხოლოდ იქ ლირიკა უთმობს ადგილს ეპიკას. პოეტს უნდა, მაგალითად, აქოს ჯვარი თუშ-ფშავ-ხევსურთა და ამას ახერხებს მდაბიოს პირითა და ისეთის სიტყვებით, რომელიც თვით ერის გულიდან არის ამოზიდული:

არწივთა მაღლის მთისითა,
ნეტავ, რად უნდათ მქებარი!?

მთლად ის ლექსი, საიდანაც ეს მეტაფორა არის, დაწერილია საერო კილოთი. ამ ლექსში მოთხრობილია კრწანისის ამბავი, მაგრამ ისე კი არ არის მოთხრობილი, როგორც, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის პოემაში «ბედი ქართლისა». სრულიადაც არა. აქ პირველი ადგილი უჭირავს ერს. ერი რას ჰფიქრობდა მაშინ, ერი რას ამბობდა, რას ჰგრძნობდა ან ურჯულოთა შემოსევის შესახებ, ან ჩვენის ჯარისასა, ან მეფისასა.

უხდება ბებერს არწივსა
შეჭმუხვნით შუბლი მკვახეა!

სწერია იქ ერეკლე-მეფის შესახებ. ესეები და ბევრი ამისთანავე ხალასი ოქრო, წმინდა პოეზია, მისი დაუფასებელი მარგალიტებია, თვით ერის ზღვა-გულიდან ამოტანილი პოეტის-მიერ. და, რაც უფრო ძნელია, იშვიათი ამბავია, ჯერ პოვნა და მერე ამოღება ზღვის ძირიდან ამისთანა მარგალიტებისა, მით უფრო დიდის ნიჭის მოწამეა ასეთი საქმე, მით დიდია გაოცება ჩვენი, მით უფრო ძვირფასია ნიჭი საერო მგოსნისა.

აი, ახლა მოგახსენებთ, რაც მოგვიტანა ამ ჩვენმა ათეულმა, 90-იანმა წლებმა. როცა გზა გაიკვალა, ახალ-ახალი ჰანგები შემოვიდა პოეზიაში, ახალმა სიომ დაჰბერა ცხოვრებისამა და თავი იჩინა ბელეტრისტიკაში, აღ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველა-ზაჩანას ნაწერებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია, ცხადია, ჩვენთვის, ჩვენის მწერლობისათვის საჭირო იყო ეს ზემოხსენებულ მწერალთა მეგვანსი მწერალნი. განსდგენ კიდეც ასეთნი მწერალნი. ესენი არიან: გე. ნინოშვილი (ანორაუკვე) და შ. არაგვისპირელი, რომელნიც მთელად და სავსებით ეკუთვნიან დღევანდელს პეუკუნს, 90-იან წლებს.

სამწუხაროდ, გე. ნინოშვილი მალე დაჭკრგა ჩვენმა მწერლობამ. მაგრამ ისიც, რაც მან დაწერა, რაც მან შეჭქმნა, საკმაოა, რომ შესამჩნევი ადგილი დაიჭიროს ჩვენს ლიტერატურაში. გე. ნინოშვილის ნაწერებში, როგორც არაგვისპირელისაშიც, გურ შეჭსდებით სრულიად ესრედ-წოდებულს პატრიოტულს ტენდენციას. ნინოშვილმა და შ. არაგვისპირელმა, როგორც მათის წინამორბედებმა, ნ. ლომსაძემ, გე. გახარიელისამ და სოფ. მგალობლიშვილმა, სრულად ჯუჭრეს გეგრდი ამისს და მთელის თვისის ძალ-ღონით, მთელის თვისის ნაწილ, რომელიც საკმაოდ შესამჩნევია ზემოსაც, მიჰმართეს დღევანდელის ჩვენის ცხოვრების, ჩვენის მდაბიო ხალხის, გაუნათლებელის სოფლელის ხალხის დასურათებას. სოფლის ხალხი: თავად-აზნაური, მღვდელი, გლეხი, ჯაბრი,—სულ ბუნების შვილნი, უსწავლელნი, უწერწერნი, ბაძით მცხოვრებნი, ან იმ წესსა და ადათსედ, რომელიც მიძ-პაპათაგან მომდინარეობს დედის, ჯრელის ტოტებითა, ან რომელიც ახლა იწყებს მდინარეობასა, გარეშე ეკრთხოვლის სწავლა-განათლებისა,—ეი უმეტესად ის სფერა, ის დიდი სფერა და ასპარეზი, რომელიც არის მათის დაკვირვებისა და შემოქმედობის საყვარელთა მოედანი.

ჩვენთვის საჭირო იყო ჩვენის თავის დანახვა, ჩვენის თავის ცნობა. უნდა გვცოდნოდა და დღესაც დიდად საჭირო გიცოდეთ ჩვენი ავი და კარგი, ჩვენი ყოფა-ცხოვრება, უფრო კი სოფლად, რადგან ქართველობა, უმეტესობა მისი აქა სცხოვრობს. ავი კარგ, თუ კარგი კარგ, ეს უცილობელად საჭირო. და ეი ამ დიდსა, საჭიროსა და კანონიერს სურვილს უძღვებიან ჩვენი ახალი ბელეტრისტები 90-იან წლებისა. საკუთრად გე. ნინოშვილსა და შ. არაგვისპირელს მსურს აქაც ეს ჩინა პოეტთა წელთა მწერალნიც, რომელნიც, სხვადასხვანაირად, დღესაც განაგრძობენ თავიანთ

სამსახურს მწერლობისა და ლიტერატურისათვის, სხლვნელად ქრონოთ-გითხრების შეფერებით, შესაბამობით.

ასალი მწერალნი, რომელთა რიცხვს კეკუთხიან დუტუ მეგრელიცა, «ბნელოს» ავტორი მელანიცა და რამდენიმე სხვანიც, შეუდგნენ ამ ასალის სიწმიერების დაკმაყოფილებას; ესე იგი, როგორც სჩანს იმათის ნაწერებიდან, ცდილ აქმო გაგვცნობ დღევანდელი ჩვენი სოფლური ცხოვრება, დღევანდელის ჩვენის ქართველობის უოფა. ცდილ აქმო გაგვაცნობ და დაგვისურათოს, მეტ-ნაკლების ნაწყითა და უნარით, რასაკვირველია, რა აწუხებს ჩვენს სალსს დღეს, რა სენი სჭირს, რა ბერასა ჭკრძნობს მასი გული, რას ეტანება და სხვ. და სხვ. ჩანებულად გაუძღვა ამ საქმეს განსვენებული გეგ. ნინაშვილი. გურიის ცხოვრება საკუთით გაგვითვალისწინა, გაგვაცნო და ასე დაგვისურათა, რომ უკეთესის ნდომა მეტის-მეტი აქ ნებოდა. მასი «ქრისტინე», «პალოსტომის ტბა», «სიმონი», «ჩვენის ქვეყნის რაინდი» მხატვრობით შემკული, დასურათებული ცხოვრებაა გურიისა. არა ნაკლების ნაწილი უძღვება დღესაც ამაკე ჩვენს საწარმოებას შ. არაგვისპირელიცა, რომელიც ასურათებს ქართლის სოფელს, ქართლელ სალსის საბეჩავს, სულის მოძრობას. მასი «ჩემო შენიანო», «ყველა დაკარგე», «ეს არის ჩვენი ცხოვრება», «და-ძმა», უფრო დასაწყისი, და ზოგიერთი პატარ-პატარა თხზულოგიური ტიპუდი, სამხატვრო კალეკციაა ჩვენის ცხოვრებისა. არც გადაჭარბება, არც ზომიერების დაუცველობა, არც იდეალიზაცია და რომანტიზმით გატანება, რაიცა ასე უშლის ხელს, სხვათა-შორის ეკ. გაბაშვილისას, არც ნამეტანი რეალისტობა და ბრუტალიტობა, ამ ორს მწერალს არ ეტყობა. მათი მოთხრობა მიმდინარეობს საკვირველის ბუნებრივობით, სიმარტივით, სიმხატვრო სამართალს გვერდ-ულუკვლად, სხვ დიდისა და ჭეშმარიტის დრამატიზმით, სხვ ლმობიერებითა და მომქმედია გმირთა შებრძოლებითა, ვეთა და მავნებელთა გადუჭარბებელის შეჩვენებით და შერისხვით. ასეთსავე სასიათს შეომქმედობასს არ არის მოკლებული ზოგიერთი ნაწერი დუტუ მეგრელისაც, რომორც, მაგალითად, «კოკია და ჭანა» და ორიად-სიმორად კიდევ სხვა, იმათ გარდა, სადა ტენდენცია თეუჭების შთაბეჭდილებას, სადა იდეალის დასურვით გატაცებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მწერალი სტალინს დაგვისურათოს ასეგვაზრა, ღირსი მაამებისა და ყოველდის თანაგრძნობისა. ეს სენი ტენდენციაით წერასა ბეჭერსა სჭირდა წინადაც და ბეჭერსა სჭირს ახლაც. ზოგიერთს ჩვენს ბელლეტრისტს ვრ უნდა თითქო მიიღოს სასეში, რომ იდეების დასტეკვა, ისეთის კეტების დასურათება, რომელნიც მასაბამაენი არიან, არა თუ მათთვის არის სამხელო, არამედ უფრო დიდის ნაჭის მწერალთათვისაც კი. ამას გარდა, ზოგიერთს ჩვენს ბელლეტრისტს, სასზოგადოდ, ძალიან უყვარს დასურათება განთლებულის კეტებისა, ნასწავლ ემაწვილ-კეტობისა და ჩვენი კრიტეკაც, ბ-ნ კეტს წერადების სასიათ, ურჩევს კიდეც ჩვენს ბელლეტრისტებს, ასურათეთ ინტელიგენციასა. ჩვენის ფიქრით, ამისთანა ბელლეტრისტების სურვილი ამაო, ფუჭია და კრიტეკის მიერ ამისთანების რჩევა ხომ სრულიად შაუფუძნებელია. დასურათება შეიძლება მხოლოდ ამისთანა ცხოვრებისა, ამისთანა ხასიათების კეტთა, სცა ფორმები და ტიპები უკვე ყალიბივით ჩამოასხა, უკვე დამთავრდა, დასრულდა. ხოლო ჩვენში სულ ატიპიდა-ორმოცი ინტელიგენტი ძალიან გაკვიეთებს, მათი ცხოვრება დღეწამეით მიმოიქცევის და ჭქვანობს და, ვაი, რა უნდა ჭნახოს ამისთანა სფერში ტიპიური, სურათად დასახატავი, უკვლასათვის გასაგები, ნატნობი ბელლეტრისტმა, თუნდა დიდის ნაჭითაც იყოს ალჭურვილი? სიდუხლო ხასიათების სატეკა, ან ხასიათის გაზათ, ან განთლებულთა, ან მოდგეწეთა სფერიდან კვლ ჩვენში შეიძლებელია და უკვლამ, ვინც ამისთანა სჭმეს მოჭედა სული, ვერა მოახერხა-რა. მოახერხა მხოლოდ ის, რომ დაგვისტეკა რაღაც მგონალი, ხორც-შეუსხმელი სურათი, უფრო თოკა, მანკეენი, რომელიც აეტორის პირითა დაპირაკობს, კიდრე ტიპსხლი, მომქმედი ხორც-შესხმული ადამიანი. ისეც ვა-გზაზედ დამდგარნი, ვიის ხასიათების შემთვისებელნი ნასწავლთა და განთლებულთა შორის კიდეც შესაძლოა რაოდენადმე ნაჭეერად დასურათდეს. ამ მხრივ რომ შეეხედოთ ჩვენის ბელლეტრისტების ნაწერებს, ვნახავთ, მართლა, რომ ვინც ესრედ წოდებულს «ტიპიურ ტიპსა» ჭხატავს, ეს კიდეც ჭნა, ჭნა, ტიპად გამოდის რამე, სერხდება რამე, ხოლო ვინც სადუხლო კეტის თუ ქალის დასახატავს სტალინობს, იმის სულ უფუძნება ნაწერობები. ასეთებია ზოგიერთი ნაწერები კვ. გაბაშვილისა, დუტუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრელის და ზოგიერთის სისვისება. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, «ქართველთანათესაო ენის», არტურ ლეისტისა, ნაშრომი, «ივერიის» კრიტიკოსის მიერ, დაუმთავრებელი მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, დაბეჭდილი «მოამბეში», ჯერჯერ ნაშრომი მასიკნება, სუსტი მოთხრობანია. ამ დაუმთავრებელის მიზეზია მოთხრობა ჩანაფიქრ დასწერა ალ. ყაზბეგმა, მაგრამ ძალიან სუსტი იყო. ეს მოთხრობა «განვიცდელი» ერქვათ.

უსამართლობა იქნება, რომ არ მივაქციოთ ყურადღება იმ მწერლობაზე, რომელიც სულ ახლა-ახლა გამოჩენილან, 90-იან წლებს ეკუთვნიან და ცნობილს იმედსაც არ იძლევიან შემდეგისათვის. ესეთია ვრცელი: დ. კლდიაშვილი, ვეტერან «სოფლიდან მოწერილების», ან. ერისთავისა, ოთხმანი კაცი, ვეტერან რამდენისმე, თუმცა ტენდენციით დატვირთული, მაგრამ არა უნაკლოდ დაწერილის მოთხრობისა და ფერით კარგის დეტალის ბრწყინვალე, გვაკ-თეშველის კალამზედ, ლალიანი, ვეტერან «თეთრალის დაკლებისა», რომელშიაც ერთი სცენა ნათლობისა და სიზოგადოდ მთლად ბევრელი ნახევარი მოთხრობისა სრულიად არის დაწერილი, თ. რაზიკაშვილი, შ. მდივანი, ვეტერან მეგრელი ცხოვრების სცენებისა «მშვიდობით», რეკაზე თვალწინაშეილი, რომელსაც ეტუობა ნიჭი დაკვირვებისა, ან დაკვირვებაშეილი, დამწერი ორიოდე სიტყვიერად ნოველისა, და ორიოდ სამიოდე კიდევ სხვანი.

«სოფლიდან მოწერილები» სრულიად გასწორია და გასინჯული «ივერიაში» ბ-ნმა კიტამ, თუმცა ზოგიერთს მის მოსაზრებას, წერილის დასწორებისა გამოთქმულს, არ ვეთანხმებით. ხოლო მის მიერ სხვა-და-სხვა წერილებში დადგენილ მსჯავრს ყველ დავეთანხმებით ვერც შესწყნა დალიანისა, ვერც თ—ისა და ვერც რევაზ თვალწინაშეილის მოთხრობათა და ნაწყის შესწყნა. უეჭველ ამათ ცხადად ეტყობათ ნიჭი დაკვირვებისა და არა მცირედი უნარი შემოქმედობისა. თითო-ოროლა სცენა შეგხვდებათ ისეთი, რომელსაც სწორედ ნიშნავს კალმის მოსმის ძალისა. მაგრამ ჩვენი მიმოხილვა ძრიელ გაჭანურდა და ამიტომ ეს შემდეგისათვის დარჩეს.

ე. ყიფშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

კმარა!—მეთვალყურეს სვე-ბედი.—რას ვეძებთ წარსულში.—კრწანისის ამბავი.—თ. რ. ერისთავის იუბილეი.—ცხრათავიანი დევი.—სათავად-აზნაურო სკოლის საქმე.—„ივერიის“ ნაჩვენები გზა.

I

კმარა! მეტად ბევრს, გადაჭარბებით ბევრს დროს ვანდომებთ ერთმანეთის მტრობას, შეჯახებას, ქიშპობას—უსაგნოს, უაზროს, სამარცხვინოს. მომავალი შეუბრალებელი მსაჯულია და სასტიკს, მკაცრს განაჩენს გვიმზადებს.

დროა აგრეღვე ზურგი ვაქციოთ იმათ, ვისაც სიტყვა, ეს ძვირფასი საუნჯე ადამიანისა, გარდაუქცევია უთავბოლო ლაყბობად, მასლაათად,—

„სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართეველად.“—

დროა, სიტყვა საქმედ გარდაიქცეს, სიტყვა იმ წმინდა მოვალეობას შეუდგეს, რომელიც მას მოეთხოვება და რომლის შესრულებაც მას ძალუძს. შევრისხოთ, განვდევნოთ ყოველი სიტყვა არა-წმინდა გრძნობით წარმოშობილი, და გავიხსენოთ კვლავ მხოლოდ ის, რასაც ძალუძს „სული წმინდა“ დაბადოს ჩვენთანა და „გული წრფელი“ განგვიახლოს გვამსა ჩვენსა. ასეთი განახლება კი დღეს ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა. მხოლოდ სრულებით თვალთა ხედვას და ყურთა სმენას მოკლებული ვერ შენიშნავს, რომ დღეს ჩვენი ცხოვრება ის აღარ არის, რაც იყო, რომ ცხოვრება ძირეულად შეიცვა-

ლა. დედა-ბოძი ჩვენის ძველის ცხოვრებისა შეირყა, შესაძლოა თავზედ დაგვაწვეს და თავ-შესაფარი სრულიად მოგვესპოს. ბევრი მხდალი და სულ-მოკლე კიდეც შეიპყრო ამ შიშმა, განშორდნენ თავის მამა-პაპის თავ-შესაფარს და დაიარებიან უგზო-უკვლოდ »ვითა ცხოვარნი გზა-დაბნეულნი.« და აი ამისთანა დროს, ამ ყოფაში, როდესაც წმინდა მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ, გზა-დაბნეულთ გზა-კვალი უჩვენონ, შინ დაბრუნონ, მხარი მხარს მისცენ და შერყეული დედა-ბოძი შეამაგრონ,—თვით ისინი, ვისაც ყველა ეს მოეთხოვება, გზას ასცდენიან, უგუნური სიძულვილით შეპყრობილნი ერთმანეთს შესწყახებიან და—გარედ მტერს ახარებენ, შინ კიდევ თვისსა და ტომს თვალს უყენებენ...

განა ეს მიუტევებელი, მომაკვდინებელი ცოდვა არ არის? განა ეს ღალატი არ არის ქვეყნის წინაშე, რომლისა შეერთებული ძალით სამსახურს აუცილებლად ჰხდის სვინიდისი და წმინდა მოვალეობა?!.

რამდენჯერ ასეთი შავი ფიქრები შეიპყრობს ადამიანს, რომელსაც »მიუწდომელ განგებათა« წუალობით, წილად ჰხვედრია ჩვენის ცხოვრების მეთვალყურეობა, და რამდენჯერ მოუხდება, ღონე-მიხდილმა სასოწარკვეთილებით კალამი ხელიდგან აგდოს. სამწუხაროდ, მეტად დუჩჩირი, მოშავებედებული სურათი წარმომიდგა თვალ-წინ, როდესაც »გონებით ჰაერში გამოვიხატე«—როგორც იტყოდა ერთი ჩვენი, აწ დავიწყებული მწერალი,—ანუ, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, როდესაც თვალი გადავავლე წარსულს წელს. კალამი ხელში აღარ მომყვებოდა იმის აღსანიშნავად, რაც წყვდიადს, უმეცრებას და უნუგეშობას გვიქადის, მაგრამ ჩემდა და მკითხველთა სანუგეშოდ ამ წყვდიადში თვალი მიიპყრო ორიოდ-სამიოდ მზის სხივით გაშუქებულმა ადგილმა და მწუხარე გულში იმედი დაბადა, რომ მწუხრი გადიყრება და განთიადს მოვესწრებით, რომელიც გაჰფანტავს ბნელსა და წყვდიადსა. ასეთ განთიადის მომასწავებელ ნიშნებად, როგორც მკითხველიც მიჰხვდება, უნდა ჩაითვალოს ის ორიოდე ამბავი, რომელის მოწმედ შარშანდელ

წელს ვიყავით. მოგახსენებთ, პირველად, კრწანისის ველზე გადახდილს პანაშვიდს მეფე ერეკლესი და სხვათა ქართველთა, მამულისთვის თავ-დადებულთა სულის მოსახსენებლად.

მე ფიქრად არა მაქვს დაწვრილებით გავახსენო მკითხველს ამბის გარემოებანი. ეს ყველას გულში ისეც ღრმად უნდა ჰქონდეს ჩანერგული, და თუ თესლმა ღრმა ნიადაგი ვერ იპოვა და პირველმა დაბერილმა ქარმა ცხოვრებისამ სრულიად აღგავა, აქ ჩემზედ უკეთ მჭევრმეტყველის მბობაც უბრალოდ ჰაერის ენით ბრგვევა გამოვა. მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მსურს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთს დღესასწაულს, წარსულის გახსენებას, მამა-პაპის ავ-კარგის მოგონებას.

ძნელია, როდესაც კაცი აწმყოში ვერასა ჰხედავს, მახლობელ მერმისს ეჭვის თვალით უყურებს, მომავალ დროთა წყვდიადში გზას ვერ იკვლევს და სასოწარკვეთილებით პირს უკან იბრუნებს, წარსულს უმტერებს თვალს, იგონებს წარსულს დიდებას, ბედს თუ უბედობას და ამ წარსულში ეძებს ნუგეშსა და იმედსა. მაგრამ რას იზამთ? აწმყო ხომ ხიდია, რომელიც აერთებს წარსულს მომავალთან, გავლილ გზას გასავლელთან. ვდგევართ ამ ხიდზე—და აი ქვეშ სდუღს, სჩქეფს, ღელავს ცხოვრების მორევი, და არ ვიცით კი რას გვიქადის: სრულებით გვშთანთქავს ეს მორევი და მოგვისპობს სიცოცხლეს, თუ გაგვრიყავს ისეთს ადგილას, სადაც ბედნიერი და სანატრელი ცხოვრება მოგველის. და თუ აწმყო ვერ ავგაცდენს ამ საშიშს ადგილს, ვერ გვიჩვენებს გზას განსაცდელის ასაშორებლად,—რატომ არ ვიბრუნოთ პირი უკან, რატომ წარსულში არ ვეძიოთ გზა, რომელიც გვიხსნის განსაცდელისაგან და გაგვიყვანს სამშვიდობოს. მერე რას გვასწავებს თუნდ ეს წარსული,—კრწანისის ველზე მომხდარი ამბავი? გავიხსენოთ.

აგერ ჩვენი ნუგეში და იმედი, ჩვენი სახელი და დიდება—მეფე ერეკლე, რომელსაც ჩვენი ახალგაზდა პოეტი ასე საუცხოვოდ გვიხატავს:

მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხრებზედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა.

აგერ მეფის გვერდით მოჩანს შვილი მისი ლევანი, იმედი ქვეყნისა, ისე უდროოდ გამოწირული შეუბრალებელ ბედისაგან!

ერეკლეს მარჯვენა ხელი,
თავის გვერდთ ედგა ლევანი
მამაზედ უფრო გულ-ტკბილი,
თვალ-მარდი როგორც ჯერანი...

აგერ ქვეყნის ერთგულნი გმირნი, მეფესთან ერთად შეზრდილნი, მასთან ჭირში და ლხინში განუყრელნი,

რომელთაც სიყრმე აქციეს
სიბერედ მტრისა ლევაში,
და წამოსულან ნებითა,
რომ მოკვდნენ ქვეყნის წევნაში.

—

თითო ისეთი მოსჩანდა,
როგორც ვეშაპი ცხენზედა,
ზავთი იმათი ზღვას ჰგავდა
კლდე უყელყელებთ მკერდზედა...

განა გულზე სევდა არ მოეშვება და შუბლი არ გაეხსნება ამის გახსენებაზე ყოველს ქართველს, რომელსაც სასოწარკვეთილებაში აგდებს აწყოკ ჩვენი ცხოვრება? განა არ გაიტარებს გულში ასეთს იმედს: არა, ეს დიადი სურათი იმის თვდებია, რომ ქვეყანა, რომელმაც ეგ შემოიქმედა, უკეთესის მერმისის ღირსია...

მაგრამ აგერ სურათი იცვლება. თვალს წარმოუდგება წინ კრწანისის ველი. აგერ შორით მოჩანს მტერი, აქეთ ელის ქართველთა ჯარი, ომსა ჩევული... ასტყდა ომი... მაგრამ აქაც სიტყვა იმავე პოეტს დავუთმოთ:

ცა მოიღრუბლა, მიწამა
ასტეხა გლოვა-ზარია,
სისხლისა მორწყო წვიმამა
ქართველთა მთა და ბარია.

როგორც ღრუბელი მოვიდა
მრისხანედ თათრის ჯარია,
ისეთი ვჩანდით იმასთან,
ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
მაგრამ ვინ იტყვის იმასა,
მტერი გაჰპარებას რიცხვითა,—
ბევრჯელ უტეხავ ქართველსა
კლდეები გულის ფიცრითა..

რასაკვირველია, ქართველთან ერთად თვით მეფე ერეკლესაც უტეხავ „კლდეები გულის ფიცრითა“, მაგრამ კრწანისის ველს რომ დაჰყურებს, ღრმად რაღასაც ჩაუფიქრებია და სახეზედ მწუხარება ეტყობა. მართალია, პოეტის სიტყვით, აქაც:

ერეკლე ცხენზედ ჰშვენოდა
მამაცად მოკქერალია:
უხდება ბებერს არწივსა
შეჰმუხვნით სახე-მკრთალია.

მაგრამ ჰხედავს მეფე, რომ „გაცუდდა ვაჟკაცთ ხელი“, რომ გასწყდნენ სამშობლოს ერთგულნი, და აჰა, გაისმის განწირულის ხმით ბრძანება მეფისა: „მომეცით აზატ-ხანის დროშა“. მეღვრად დაეცა „ბებერი არწივი“ მტერს, დროშას ჰაერში გააქვს ფრიალი, ხელში მოსდევს „წმიდად ნალესი ხმალი“, ვისაც კი ჰკრა—სული დაალევინა. მაგრამ ამაო იყო ვოველიფერი: დამარცხდა ქართველი...

საბრალო მეფევ! ოცნებამ გაგიტაცა, ცბიერი სირინოზის ხმა ნამდვილი სიმღერა გეგონა და ამ ხმით მიყრუებული, მოხიბლული გამოეხიზლდი მხოლოდ მაშინ, როცა შენი ხოშალდი სცილლამ და ხარიბდამ შემუსრეს!.. ძლევა-მოსილო! აზატ-ხანის დროშას რომ ხელი სტაცე, მისი უძლეველი ძალა გწამდა, მაგრამ დაგავიწყდა, რომ ამ დროშაზე აღარ ეწერა ის აღთქმა, რომელიც მას ოდესღაც ბრწყინვალედ ჰხდიდა. მაღლა-მფრენავო არწივო, თვალმა გიმტყუნა და ვერ ჰხედავდი, როგორა ჰშლიდნენ შენი მოყმენი-ქვეშევრდომნი ამ სიტყვებს, რომელიც არა მარტო აზატ-ხანის დროშას, არამედ ყოველ ქართველის გულის ფიცარზე ეწერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდი ნუ ჰხურავს თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა,
ვინაც ცოცხალი მტერს დარჩეს
ყმადა და სასაცილოდა,
ღვთისაგან წყეული იყოს
გვარით საშვილი-შვილოდა.

გმირობას ვინ ჩივის, როდესაც თავზედაც ხელი აიღეს, სირცხვილიც დაივიწყეს, საშვილი-შვილოდ წყევლასაც აღარ მოერიდნენ შენი მახლობელნი და მოყვასნი, შინაურნი თუ გარეულნი; შურმა, მტრობამ და სხვა უწმინდურმა გრძნობამ მაგრად მოიკიდა ფეხი მათ სულსა და გულში, ზოგი ვერცხლმა და ოქრომ გაიტაცა, და იმ დროს, როდესაც მტერი კარს ადგათ, ქვეყანას უბედურებას უქადდა,—ესენი საზიზღარ, სამარცხვინო ღალატს არ მოერიდნენ.

სული სწუხს, გლი შფოთავს, როცა ამას თვალ-წინ წარმოიდგენ! მაგრამ დავივიწყოთ წარსული შეცოდებანი, ნუღარ ვიქნებით, რანიც იყვნენ ესენი, ნუღარ ვიქმთ იმას, რამაც ასეთი აწმყო დაჰბადა, რომ ჩვენც ჩვენს მომავალს უარესი არ ვუანდერძოთ. ღრმად დავიმარხოთ გულში მხოლოდ შემდეგი სურათი: აგერ მთაზე ზის ფრთებ ჩამოყრილი დაღონებული „ბებერი არწივი“, მწუხარედ დაჰყურებს თავის ქვეყანას, და, მის შვილთაგან გულ-ნატკენი და ნაწყენი, მაინც მის მომავალ კეთილდღეობის და ბედნიერების მოგვარებას ფიქრობს.

II

ვიდღესასწაულეთ რ. ერისთაის ორმოც და ათი წლის მოღვაწეობის იუბილეიც. შეეკრიბენით, ჩვენებურად, ქართველურად გული გადეუშალეთ შინაურს თუ გარეულს, ბევრი კარგი და გულის მოსაფხანი სიტყვა ვთქვით. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ყველა ეს შეეხება უფრო გარეგან, ფორმალურ მხარეს დღესასწაულისას. უფრო საყურადღებოა და საგულისხმო მისი არსება, მისი აზრი და მნიშვნელობა. ორმოც და ათი

წელი რომ კაცი უსასყიდლოდ, უანგაროდ იღვწიდეს ქვეყნისათვის, მის წარმატებისათვის,—დიდი საქმეა, და ეს საქვეყნოდ უნდა აღიარებულ იქმნას. ამით თავი უნდა მოჰქონდეს იმ საზოგადოებას, რომელსაც ასეთი მოღვაწე ჰყოლია. ამის დავიწყება,—სხვა რომ არა ვსთქვათ-რა,—უმადურება იქმნება, და უმადურება ხომ უგულობას ჰნიშნავს, და სადაც უგულობაა, იქ არც სიყვარულს აქვს ადგილი, რადგან სიყვარული ღვიძლი შვილია გულისა, გულია მისი მშობელი, აღმზრდელი და მკვებავი. და სადაც სიყვარულს, ამ ბრწყინვალე და მაცოცხლებელს ძალას ქვეყნისას, ფეხი ვერ მოუკიდნია, მუდმივი და მკვიდრი ბინა ვერ აუშენია, ადამიანი, მისი ცხოვრება კერძოდ თუ საზოგადოდ—სხვა ადამიანებთან ერთად, ემზგავსება ნადირთა ხროვას, რომელთა ფიქრი, წადილი და სურვილი მიმართულია მხოლოდ ერთმანეთის შეჭმა-შეყლაპვაზე.

მაგრამ ჩვენ მადლობა გადაეუხადეთ ქვეყნის მოღვაწეს, და ამითი დავამტკიცეთ, ჯერ ერთი, რომ გული გულის აღგილასა გვქონია, მეორე კიდევ, რომ ავისა და კარგის გარჩევასაც მიეხვედრილვართ, და კარგ კაცად მიგვაჩნია ის, ვინც არა მარტო თავის თავისთვის ფიქრობს, არამედ სხვისთვისაც. დღეის იქით ჩვენ თვალს ბჭყვრიალა რამ ველარ გაიტაცებს და ქვეყნის პატივის-ცემას ვერ დაიმსახურებს ის, ვიზედაც ვერ ითქმის:

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი
მკვდარსა ემგზავსოს:—
იყოს სოფლად და სოფელს კი
არა რა არგოს.

ჩვენ სასიქადულო პოეტზე კი სრულებით და საესებით ითქმის, რომ იყო სოფლად და სოფელსაც ბევრი არგო. ეს ბევრი რამ, რასაკვირველია, იმით არ გამოიხატება,—პოეტს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრი უწერია, თუ ცოტა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ საქვეყნოდ ასპარეზზე გამოსულ მოღვაწის, და მეტადრე პოეტის მნიშვნელობა, მთელის თავის სიღრმე-სიგანით, ვერ გაიზომება მხოლოდ ნაღვაწ-

ნამოქმედარის რაოდენობით. ხშირად საკმარისია, პოეტმა ცხოლოდ ერთი ლექსი დაწეროს და ამით უკვდავი სახელი დაიმსახუროს, თუ, რასაკვირველია, ამ ლექსით ხელი მაგრად ჩაჰკიდა იმ „პსიხოლოგიურ მომენტს“, რომელიც იმ დროს მთელს ერს ასულდგმულებს. ასეთი ნამოქმედარი პოეტისა ჰბადავს იმ ძალას, რომელმაც, შესაძლებელია, თუ დრო და ვითარებამ მოიტანა, მთელი ეპოქა შეჰქმნას ქვეყნის მოძრაობაში, ცხოვრების მიმართულებაში, მის სწორე გზაზე დასაყენებლად.—ინგლისის პოეტმა ტომას გუდმა ერთი ლექსი დასწერა და ინგლისმა ძეგლი აუგო პოეტსა. რუე-დე-ლილმა ერთად-ერთი ლექსი შეჰქმნა, რომელსაც „მარსელიეზა“ ჰქვიან და უკვდავი სახელი დაიმსახურა საფრანგეთში. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ორთავემ ხელი ჩასჭიდეს იმ „პსიხოლოგიურ მომენტს“, რომელიც ზემოდ მოვიხსენიე, და ისე მძლავრად, ღონივრად ააჟღერეს ეს სიმი, რომ ყველას თანასწორ აუტოკეს, აუშფოთეს გული. მთელმა ერმა ამ სიმს ააყოლა ხმა ერთბამად, ერთსულად და ერთგულად. ძნელია ასეთი ხმის მიცემა, ასეთი ძალის შექმნა, მაგრამ თუ გამოჩნდა ისეთი მაღლცხებული, რომელიც ხელთ გაძლევს ასეთ ძალას, მაშინ შენ ხელთ არის ცხოვრების ჩარხი და საითაც გინდა, იქით დაატრიალებ...

რაფ. ერისთავმაც შეჰქმნა: „სამშობლო ბევსურისა“ და საკმარისი იყო,—სხვაც რომ არა დაეწერა-რა,—ჩვენ გულში უკვდავი და „ხელთუქმნელი“ ძეგლი აეგო. ღირს-შესანიშნავია ერთი გარემოება. ყველანი, ვინც კი იუბილიარს ულოცავდნენ პირადად თუ წერილით, მის მოღვაწეობის დასახასიათებლად უსათუოდ ზემოდ მოყვანილს ლექსს იხსენიებდნენ. უეჭველია, ყველა ეს მოლოცვა პასუხი იყო გულისა, რომელიც, სჩანს, ერთსა და იმავეს აუტოკებია როგორც შინ, ისე გარედ როგორც შუა-გულ ქართლში, ისე განაპირ და მიყრუებულ სვანეთში. ასეთი ერთსულობა და ერთგულობა—უტყუარი ნიშანია, რომ პოეტს სწორი გზა აურჩევია ქართველის გულამდე მისაღწევად, რომ პოეტის ხმა შორს, ძლიერ შორს მისწდომია, და ამ ხმას ყველგან თანასწორს ბაწს აძლევენ. ეს არის ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პსიხოლოგიური მომენტი, რომელიც,—თუ დრო და ვითარებამ მოითხოვა,—იფეთქებს და ისტორიულ ეპოქას შეჰქმნის ცხოვრებაში. აი ნამდვილი საზომავი პოეტის ნიჭის სიდიადის, მის მადლით-მოსილ ზედ-განვლენისა და ნაყოფის-გამომღებ მოღვაწეობისა. დღესასწაული ამგვარ მოღვაწის პატივსაცემლად მომხსენებელია თვით საზოგადოების წინმსვლელობისა. ამიტომ, ვიმეორებთ, ყოველი ღვაწლი ქვეყნისთვის უნდა დაფასებულ და დაჯილდოვებულ იქმნას.

გვეფიქრება, ეს სიტყვა სხვანაირად არ ჩამოგვართონ და ამიტომ მოვალეობად ვრაცხთ შემდეგი აღვნიშნოთ. მოღვაწეობაც არის და მოღვაწეობაც, და როდესაც რომელისამე მოღვაწის დაფასება თუ მადლობის გარდახდა გვსურს, უნდა ვიქონიოთ სახეში მის ავლა-დიდებაც. გვეფიქრება მხოლოდ სიტყვამ „მოღვაწეობამ“ არ წაგვიტყუოს და ერთი საწყაულით არ მივუწყოთ „ჯაგლაგ ცხენსა“ და მერანს, რომელიც „მირბის და მიგვაფრენს“. კახაბერობა არ ვეწოდოთ მას, ვინც ვერ იზამს კახაბრობას. ყველა ამის თქმას გვაიძულებს შემდეგი გარემოება. აგერ „საქართველოს კალენდარში“ აღნიშნულია მოღვაწეთა შორის ზ. ჭიჭინაძეც, და კალენდრის ფურცლებს ამშვენებს მისი სურათიც და ბიოგრაფიაც. ჩვენ ამაზე არაფერი გვეთქმის. არაფერს ვიტყოდით მაშინაც კი, რომ კალენდრის შემდგენელს აქვე გვერდით მოესვა ახპატელოვი, ისეთივე სურათით და საინტერესო ბიოგრაფიით. ეს გარემოება მხოლოდ ამტკიცებს, რომ მეკალენდრეს თვალთა ხედვის ისარი ძლიერ მოკლე მანძილსა სჭრის. ასეთი ისარი მხოლოდ ბავშვების გასართობად თუ გამოდგება, თორემ ჩვენ ხელსაც არ დავაკარებთ. ჩვენი ფიქრი და ვალალი სულ სხვა არის. ჩვენ ხშირად საზღვარ გადასვლა გვიყვარს. ერთი წამოიძახებს: ეს და ეს საქვეყნო მოღვაწეაო, ჩვენც ავყვებით ფეხის ხმას და ბანს მივცემთ: მოღვაწეა, მოღვაწე!.. მერე? მერე და მზად არის სურათი და ბიოგრაფია, შესაბამი ქებით და დიდებით მის „ღვაწლ-შემოსილობისა“; მერე ღმერთი მიანიჭებს დღეგრძელობას, ორმოც და ათი წელიწადი გაიელის და ამ ბედნიერ დღესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდღესასწაულებთ... მაშინ ხომ ისღა გვეთქმის: „ოდეს ტურფა გაიაფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირად," და ის, რაც რაფიელის დღესასწაულის თაობაზე ითქვა, უსაფუძვლო ოცნებად უნდა ჩაითვალოს. ღმერთმა ნუ ჰქმნას!..

III

შარშანდელ წელსვე ბოლო მოეღო გაუთავებელ, უთავბოლო, არეულ-დარეულ ლაპარაკს, ხშირად უფრო შეუსაბამ მითქმა-მოთქმას სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. როგორც იყო დავძლიეთ ეს ცხრა-თავიანი დევი. ასეთ უცნაურ სახელს ეუწოდებთ ამ საქმეს იმის გამო, რომ უკანასკნელ კრებაზე, რომელმაც სკოლის საქმე გადასწყვიტა, სწორედ ცხრა აზრი იყო გამოთქმული და თავმჯდომარესაგან ცხრა საკითხავი იყო დადგენილი გარდასაწყვეტად. ეს ერთი გარემოებაც ბევრის გამომეტყველი და მომასწავებელია. აქ ერთხელ კიდევ შევიქმენით იმის მოწმად, თუ რა არეულ-დარეულობა, აწეწილ-დაწეწილობა და გამწვავებული უთანხმოება სუფევს მათ შორის, ვინც დღეს ჩვენი საქმეების სათავეში დგანან და ჩვენ ბედ-იღბალს განაგებენ. აქ რომ მხოლოდ ბევრი ჯიუტობა იყო, ჭირეულობა, დასამტკიცებლად იმისა, რომ „არა ჩემი სჯობსო,"— შემდეგიც გვიჩვენებს. როდესაც განსაკითხად და საბოლოდ გარდასაწყვეტად წარმოადგინა თავმჯდომარემ ის საგანი, რომლის გამო ამდენი თავ-პირის მტვრევა იყო, ესე იგი სათავად-აზნაურო სკოლას ისევ ის ხასიათი შერჩეს, როგორიც დღესა აქვს, თუ შეიცვალოსო, თითქმის მთელმა კრებამ აღიარა, რომ სკოლა დღევანდელ კვალობაზე დარჩეს შეუცვლელადაო. ასეთისავე თანხმობით გარდასწყდა ისიც, რომ დღევანდელი ოთხკლასიანი სათავად-აზნაურო სკოლა სრულ გიმნაზიად გადაკეთდეს.

დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გარდაწყვეტილებამ ცხადად დაგვანახვა ჩვენის საზოგადოების კეთილგონიერება. ყოველი სხვა გვარი გარდაწყვეტილება არა საკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილო იქმნებოდა ჩვენთვის. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ სამეურნეო თუ სხვა საპროფესიალურო სასწავლებელი საჭირო არ იყოს ჩვენთვის. მაგრამ იმის თქმა, რომ რაკი ესეთი სკოლები საჭიროა, ამის გულისთვის უკვე არსებული სკოლა დაშლეთო, ისეთი დასკვნაა, რომელიც არ ეთანხმება არც ლოღიკას და არც ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნილებას. ამ აზრს დასაბუთება სჭირია, და როდესაც დრო და გარემოება მოითხოვს, „მოამზე“ დაწვრილებით საბუთებს წარმოადგენს მსჯავრის დასადგენად. ხოლო დღეს კი შეიძლება დავიწყებას მივცეთ ის ეკლიანი გზა, რომელიც დღეს გავლილად უნდა ჩაითვალოს. დღეს მხოლოდ ის უნდა იყოს ჩვენი საფიქრებელი და საზრუნველი, რომ ამ დიდს და საშვილიშვილო საქმეს რიგიანად გავუძღვეთ. ეს ისეთი საქმეა, რომ მკვიდრ და მაგარ საფუძველზე უნდა იქმნას აშენებული, რომ არც ნიაღვრისა ეშინოდეს, არც ქარიშხალის. ამ თავითვე უნდა მკვიდრი ბინა ავუჩინოთ ისეთ ადგილას, სადაც წყარო საზდოებისა დაუშრობლად, უმეტ-ნაკლებად დიოდეს. ასეთს დიდს ზრუნვას ჩვენგან იმიტომ მოითხოვს სკოლა, რომ ჩვენ თითონაც ბევრს მოველით სკოლისაგან. სკოლაა მხოლოდ ჩვენი უმთავრესი ღონე, რომ თავი ვიხსნათ იმ ათასგვარ გაჭირებისაგან, რომელიც ჩვენ დღეს კარს მოგვდგომია. ეს ხმალით შემოსული მტერზე უარესია. უწინ მტრის მოსაგერებლად მკლავი შეგვწევდა, დღეს მკლავის მაგიერ სწავლაა, ცოდნაა საჭირო. მერწმუნეთ, უსწავლელობა, უმეცრება უფრო საშიშარ განსაცდელს უქადის ჩვენს ქვეყანას, ვიდრე უწინდელი მუდმივი მტრის შემოსევა ქვეყნის ასაოხრებლად. ასე თუ ისე, ამ მტრებს შევუძელით და ჩვენი მიწა-წყალი შევირჩინეთ, დღეს კი, ჩვენი უმეცრების გამო, ლამის უთოფ-იარაღოდ, სისხლის დაუღვრელად მამა-პაპის ნაანდერძევი ხელიდან გამოგვეცალოს.

ხომ ხედავთ, საქმე ჩვენი შვილების სვე-ბედს შეეხება, და რომელი მშობელი იქნება, რომ თავის ნაშობის კეთილ-დღეობაზე არა ფიქრობდეს. ნუ დავივიწყებთ, რომ უსწავლელი, უმეცარი შვილი იგივე მკვდარია, ხოლო ხორციელად კი არა,

სულიერად. წარმოიდგინეთ, შვილი სასიკვდილოდ გყავთ გა-
დადებული და გეუბნებიან, რომ ერთად-ერთი ხსნა-ღაა, მშო-
ბლის სისხლი ჩაეშვას მომაკვდავსო. არა მგონია, აღმოჩნდეს
ისეთი გულ-ქვავი მშობელი, რომ არ გაიმეტოს თავი, ოღონდ
შვილს სიკოცხლე დაუბრუნოს. სულიერ სიკვდილისაგან და-
სახსნელად ასეთი მსხვერპლი არ არის საჭირო. საკმარისია მხო-
ლოდ ყველამ თანასწორ შევიგნოთ სწავლის აუცილებლობა
შვილებისავე საბედნიეროდ, და მაშინ საჭიროების გასაძღო-
ლად ღონესაც ვიპოვით. ერთის მხრით საჭიროება, მეორე
ხრით სიყვარული შვილებისა, სიყვარული ნამდვილი, ადამიანუ-
რი,—რას არ შესძლებს ეს ორი ძალა. ერთს მაგალითს მოგი-
ყვანთ. ამერიკაში ამ ოც და ათის წლის წინად დიდი ომი მო-
ხდა, ომს დიდი ხარჯიც მოჰყვა. გათავდა ომი და სახელმწიფოს და-
აწვა კისრად აუარებელი ვალი. ქვეყანას უნდა ეღონა რამ ვალის
თავიდან მოსაცილებლად. ამერიკელმა ქალებმა თითონვე გა-
ნიზრახეს ქვეყნის შველა და აი რა ღონით. გარდასწყვიტეს:
ყველა ოჯახმა, ვინც დღეში სამ თავ საჭმელს მიირთმევს, ორი
იკმაროს, ხოლო მესამის საფასური ყოველ დღე გადასდოს ზე-
მო-აღნიშნულ ვალის მოსაშორებლად. და აი მოხდა სასწაულთ-
მოქმედება: სულ არ გაუკლია ერთს წელს, რომ ქვეყანამ ვა-
ლი გაისტუმრა.

მოგვყავს ეს ამბავი ქართველ-ქალების საგულისხმიეროდ.
ეს, რასაკვირველია, ოცნებად უნდა დაგვრჩეს. იმის იმედ-
ზე ვერ დავდგებით, აცა ჩვენი ქალები სასწაულთ-მოქმედებას
ჩაიდენენო. ჯერ კი უფრო ოცნებას დაშორებული და ხელ-მი-
საწვდენი ღონე უნდა ვეძიოთ.

„ივერიამ“ ორი გზა გვიჩვენა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ,
გაგვახსენა ორი მიეწყებული გზა. ერთია ის განაჩენი, რომ-
ლითაც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ამ რამდენიმე
წლის წინად გაიწერა სკოლისათვის ფონდის დასაარსებლად
ფული. მერე სად მიიჩქმალა ეს დიდის ზარითა და ზეიმით და-
დგენილი განაჩენი? უბრალო, უმნიშვნელო ფარატინი ხომ არ
ეგონათ და ნაგვის კალათში ხომ არ უკრეს თავი? რა დაუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეველი დაბრკოლება ეღობება ამ განაჩენის სისრულეში მოყვანასა? ნუთუ აქაც მხოლოდ ჩვენი ძველებური „სიტყვით მაამე—სიტყვით გაამე“-ს ამბავი გამოვიდა? მაგრამ ეს ხომ თავის თავის მოტყუილებაა. არ შეშვენის თავად-აზნაურობას, არც იმის თქმა, ვითომ ღონე არ მოსდევდეს, რაიმე გარდასახადი ვალად იდვას და ეს მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულოს. მართალია, დიდ გაჭირვებაშია დღეს თავად-აზნაურობა ჩავარდნილი, მაგრამ არც ისეთს ყოფაში არიან, რომ თითო-ოროლა გროშის გამოღება არ შეეძლოთ, მერე ისიც ვისთვის,—თავიანთ შვილებისთვისვე. აქ ყოველი დღევანდელი დანაკლისი ერთი-ათად მეტს მოიცემა ხვალ. იქნება ისე არსად არ იყოს ზედ გამოჭრილი რუსთაველის სიტყვები, როგორც აქ:

რასაცა გასცემ შენია,
რაც არა,—დაკარგულია.

როგორც ჰხედავთ, სიღარიბე და გაჭირვება არაფერი გასამართლებელი საბუთია. აგერ, ავიღოთ თუ გინდ ჩვენი სამღვდელოება, მხოლოდ ტფილისის გუბერნიისა. ეს სამღვდელოება ინახავს სამს სასულიერო სასწავლებელს და ერთ სრულს სემინარიას. როგორ? განა სამღვდელოება თავად-აზნაურობაზე მდიდარია, შეძლებულია მიწით, წყლით, მამა-პაპეული ავლა-დიდებით? სრულებითაც არა. მიზეზი უბრალოა და ადვილი მისახვედრი: სამღვდელოებამ შეიგნო, რომ სწავლის გარეშე მათ შვილებს სხვა ხსნა არა აქვთ, სხვა ღონე არ მოსდევთ ცხოვრების გზის გასავლელად. და აი პირიდან ლუკმა პურს იცლიან და შვილს კი შესაფერ სწავლას აძლევენ, ამ ერთად-ერთ იარაღს აწინდელ ცხოვრების მოედანზე ლელოს გასატანად. თუ თავად-აზნაურობაც ამ გზას არ ადგება, ამის მიზეზი, ვგონებთ, სიღარიბე კი არ არის, უფრო ისა, რომ ძველობიდანვე სხვის ხელში შეყურებას შეჩვეული, ეხლაც სხვისგან მოელის შველას და თავის-თავად ხელის განძრევა კი ეჩოთირება, ეზარება... როდემდის? ერთხელ კი გამოიღვიძებენ, მაგრამ ვაი თუ გვიან-ღა იყოს!..

მეორე წყაროდ სკოლის არსებობისათვის „ივერია“ ასახელებს არწრუნისეულ ქარვასლას, რომელიც ეს ერთი წელიწადია, რაც თავად-აზნაურობამ თავის საკუთრებად შეიძინა. ეს ძვირფასი მამული მართლა რომ ოდესმე დაუშრობელ წყაროდ გარდაიქცევა, ე. ი. მაშინ, როდესაც სულ გასტუმრებულ იქმნება ის ბანკის ვალი, რომელიც ამ ქარვასლას ადევს. ამის გამო დღეს ყოველი ჩვენი ფიქრი, ცდა და ზრუნვა იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ ეს ორი წყარო მუდმივ, დაუშრობელ წყაროდ შეიქმნას, რომ ვერც სიცხემ და ვერც სიცივემ მათი დაშრობა ვერ შესძლოს, რომ იძულებული არ შევიქმნეთ, დღევანდელი ბინა მოვშალოთ და ხვალ სხვის ჩადგმას შევუდგეთ. ჩვენ სიცოცხლეს ამ აშლა-დაშლას მოვანდომებთ, და ცხოვრება ხომ ჩვენ ლოდინში არ იქნება: ჩვენ გავგრიყავს და წაგვლამავს, ჩვენს ადგილას კი სხვები მოვლენ და ისინი ჩაიდგმენ ბინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მიმოხილვა

კარგა ხანია მას აქეთ, რაც განათლებული, ყელამდინ მოყრილი სწავლითა და მეცნიერებით დასავლეთი ევროპა უზომოდ შეუდგა სამხედრო სამზადისსა და თოფ-იარაღს ისხამს. მაინც და მაინც არც აგრე ადვილი მისახვედრია, ვინ ვის ემუქრება, რომელი რომელს ულესავს დანასა; ეს კი ყოველს ეჭვს გარეშეა და დღესავით ცხადი, რომ ევროპის დიდნი სახელმწიფონი, ასე გასინჯეთ, პატარა-პატარანიც კი, საომარს ძალ-ღონეს იკრებენ, ჯარის-კაცთა რიცხვს ამრავლებენ და სამზღვრებზე ციხე-სიმაგრეთა აგებას ეშურებიან. სათითაოდ ყოველს სახელმწიფოს შიში აქვს, მეზობელმა არ მაჯობოს სამხედრო სამზადისში, უკეთესი თოფ-ზარბაზნები არ მოიგონოს და განკითხვის დღეს დამარცხებული არ დავრჩეო. ასეთი ყოფა თითქმის სულსა ჰხდის განათლებულ ქვეყანას, შრომითა და ცოდნის შემწეობით შეძენილ აუარებელ ქონებას ნიათი ელევა და ერის კეთილ-დღეობას ბოლო ეღება. დიდნი სახელმწიფონი, ასე თუ ისე, ვაი-ვაგლახით უძლებენ ამ საშინელ ტვირთსა, მაგრამ პატარა და სუსტ სამეფოთა ცოდვით თვით ქვის გულის პატრონიც შეწუხდება. მცირე სახელმწიფოებს, როგორც მაგალითებრ, საბერძნეთია, ან პორტუგალია, სერბია და თვით იტალია, რომელიც დიდ სახელმწიფოებში თავსა სდებს, ისე გაუჭირდათ საქმე სხვის წახედვით და აყოლით, რომ ლამის დაიღუპნენ. საცოდავ სერბიას, საცა სიმინდის მეტი არა მოდის-რა და ღორების მეტი არა ჰყავთ-რა, ბურთიცით ათამაშებს უნგრეთი, იმიტომ რომ ეკონომიურად დაუძლურებული ადვილად ჩაიგდო ხელში. ხან რა მიზეზს მოუდებს ხოლმე, ხან რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, რომ სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს ეს პატარა სამეფო. შარშან, მაგალითად, ორჯელ უშარა, თქვენებურ ღორებს ჭირი დარევია და ნებას არ მოგცემთ, რომ საჩვენოში ღორები გადმორეკოთ გასასყიდადაო. ადამიანის ენა ვერ იტყვის, რამდენს ეხვეწა და ემუდარა სერბია უნგრეთს, ნუ გვაბრკოლებთ, კარს ნუ უხშობთ ჩვენს საქონელს, ღმერთი-რჯული, ჩვენს ღორებს არავითარი სენი არა სჭირთ, ეს საბაჟოს მოხელეთა მოგონილი ჭორია და მტკნარი ცილის-წამებააო.

ნაკლებად არ იყვნენ გაჭირვებულნი პორტუგალია და საბერძნეთი. პირველი ინგლისმა კინალამ საჯარო ვაჭრობით გაჰყიდა, რადგან ვალის სარგებელს დროზე ვერ უხდიდა ფულის პატრონთ, ამ შემთხვევაში ინგლისის ფულიან კაცებსა და კომერსანტებს. საბერძნეთსაც მუქარა შეუთვალეს ინგლისისა და გერმანიის ბანკირებმა, თუ პირიანად არ იქნებით, სასტიკ ღონეს მივმართავთ და ვალს ისე გადაგახდევინებთო. ესეც არ აკმარეს და ოფიციალურად მოითხოვეს, ელჩების პირით, ნება მოგვეცეს შემოსავალს ჩვენ მიერ დანიშნულმა ფინანსისტებმა უგდონ ყურიო. ეს რომ გამართლებულიყო, რაღა იქნებოდა მაშინ საბერძნეთის საპოლიტიკო თვით-არსებობა?

იტალია კარგი მოზდილი სახელმწიფოა, თითქმის 30 მილიონი მკვიდრი სცხოვრობს ამ სამეფოში, მაშასადამე, გაცილებით დიდია, ვიდრე საბერძნეთი, სერბია, ან პორტუგალია, მაგრამ უზომო შეთოფ-იარაღებამ შესამჩნევად დააქვეითა ნივთიერი კეთილ-დღეობა იტალიელებისა. არა ერთხელ დამუქრებიან იტალიას საფრანგეთის გაზეთები, ჩვენს მტრობას თავი დაანებე, მხარს ნუ აძლევ ჩვენს მოპირის-პირესა—ავსტრიელებსა და გერმანელებსა, თორემ შეგარცხვენთ და კუტრად გამოგაცხადებთო. მართალია, მუქარას საფრანგეთი ვერ ასრულებს სხვა-და-სხვა საპოლიტიკო მიზეზების გამო, მაგრამ ეს რა ნუგეშია იტალიელებისათვის. ხარჯის გამღები მკვიდრი იტალიაში ისე შეწუხდა უზომო გადასახადით, რომ აჯანყებასაც არ დაერიდა და მთავრობას შეებრძოლა, ამაზე მეტის მოთმინება აღარ შემიძლიანო. განსაკუთრებით სიცილიაში გაღარი-

ბდა და გაღატაკდა ხალხი. გამწარებულმა სიცილიელმა იარაღს მოჰკიდა ხელი და მთავრობა იძულებული შეიქმნა იარაღითვე დაეშოშმინებინა მეამბოხენი და ამგვარად დაჰღვარა სისხლი თვისის მასაზრდოებელის მკვიდრისა.

არც საკვირველია, რომ ევროპის დიდსა და მცირე სახელმწიფოებს ასე გაუჭირდათ საქმე მილიტარიზმის წყალობითა. მთელი ნახევარი და ხშირად ორი მესამედი შემოსავლისა სამხედრო სამზადისს უნდება, მაშასადამე, ეს ამოდენა ქონება უნაყოფოდ, უსარგებლოდ იკარგება და იფანტება. ხალხი წვითა და დავით სიმდიდრეს იძენს და მთავრობანი კი იძულებულნი არიან ხალხის ნაამაგდარი წყალში გადაჰყარონ. ევროპის თუნდა მაგალითად ჩვენი სახელმწიფო რუსეთი. წრეულ შემოსავალი ათას სამს მილიონ მანეთზე მეტია ნაანგარიშევი. აქედან 288 მილიონი ჯარისათვისაა გადადებული, 57 მილიონი ფლოტისათვის და 266 მილიონი ვალის სარგებელში უნდა წავიდეს. ვალი კი აღებული იყო მომეტებულ ნაწილად ომ-ლაშქრობით გამოწვეულ ხარჯის გასასტუმრებლად და შეთოფ-იარაღების საჭიროებისათვის. ამავე დროს სწავლა-განათლების სამინისტროს წილად გადადებულია სულ 24 მილიონი. მეტი რა ჯანია, როცა ევროპა თოფ-იარაღში ჯდება, რუსეთიც უკან ვერ ჩამორჩება, როცა სულ ახალი თოფი და ზარბაზანი შემოდის ხმარებაში, ან კიდევ ახალი სისტემის ჯავშნიან ხომალდს ააგებენ, რუსეთიც იმათ ვერ ჩამორჩება უკან. ამგვარად მთელი ევროპა თითქმის თვისის შემოსავლის ნახევარს უნაყოფოდ ჰხარჯავს. კაცი ვერც კი წარმოიდგენს საკვირველით, ვერც კი გაითვალისწინებს ნიშანდობლივ იმ ბედნიერებას, რომელიც რუსეთში მოეფინებოდა, ეს აუარებელი ფული სწავლა-განათლებას და ერის სხვა-დასხვა საჭიროებას რომ მოხმარებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 500—600 მილიონი წელიწადში ამ სახელმწიფოს გლეხ-კაცობაში დატრიალდეს, მის ბედს ვინ არ შენატრებდა! სამწუხაროდ სავალალოდ უფრო ის არის, რომ ბოლო არ უჩანს ამ უბედურს მდგომარეობას. გერმანია არა სჯერდება თვისს ძლიერს მხედრობას.

იმპერატორ ვილჰელმს განუზრახავს ფლოტიც გააძლიეროს და ამისათვის ახალი ხარჯი მოსთხოვოს რეიხსტაგსა. ინგლისს ძლიერი ფლოტი ჰყავს, უფრო მეტად გაძლიერებაც შეუძლიან მისი: შეუდგა კიდეც ამ საქმეს და, რასაკვირველია, პირველობას არავის დაუთმობს. მათი წახედვით საფრანგეთიცა და რუსეთიც დაიჩარჩებიან და ჯიბეს ხელს გაიკრავენ და ასე ამ ნაირად ევროპა შეიარაღების ციებ-ცხელებაში იქნება წელსაცა.

მართალია, ასე ხმალ-ამოწვდილი იყო დასავლეთი ევროპა წარსულ წელიწადსა, მაგრამ მშვიდობიანობა არ დარღვეულა და თოფ-ზარბაზნის გრიალს არ შეუშფოთებია ევროპის მკვიდრნი. მთავრობანი და სახელმწიფონი, გულ-დამშვიდებულნი, რომ შინ ვერავინ გაბედავს ომის ატეხასაო, ცდილობდნენ გარედ გაეწყოთ თვისი საქმენი. თითქმის ყველა დიდ სახელმწიფოს გაუჩნდა ევროპის გარედ საქმე და იქითკენა ჰქონდათ თვალყური მიქცეული. ჯერ იყო და იაპონიისა და ჩინეთის ომმა მიიქცია ყურადღება რუსეთისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისისა; შემდეგ საფრანგეთს მთელი ომი მოუხდა გავასებთან მადაგასკარის კუნძულზედ; ისპანელების ხელ-ქვეითი კუნძული კუბა აჯანყდა და ჯერაც ვერ ჩაუქვრიათ ცეცხლი აჯანყებისა, თუმცა 500 მილიონამდე პეზეტი შეაქსოვა ჯარის მომზადებას და გაგზავნას; აგრეთვე იტალიას აბაშეთში თავ-სახეთქი საქმე გაუჩნდა და, ვინ იცის, გამარჯვებული დარჩება, თუ აბაშელები გააძევებენ თავის სამშობლოდან ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს. არც რუსეთი და ინგლისი იყვნენ მოსვენებით. რუსეთი ჩაერია იაპონელთა და ჩინელთა ომში და გამარჯვებულს ძალა დაატანა, დასჯერდი მცირე კონტრიბუციას და ადგილ-მამულსაო. რადგან ცარიელი სიტყვა დიპლომატიაში და საერთა-შორისო პოლიტიკაში არაფრად ჰფასობს, ამიტომ რუსეთმა გაძლიერა ფლოტი მშვიდს ოკეანეზე და სხვებთან ერთად იაპონიას შეუთვალა, კორეს ვერ მოგცემთ, ბევრიც რომ გსურდესო. ყველაზე ბევრი გაჭირვება ევროპის გარედ ინგლისმა გამოიარა წარსულ წელსა. დიდი ხანია ინგლისს დაეა ჰქონდა სამხრეთ-ამერიკაში ვენესუელასთან

და, რადგან ნება-ყოფლობით ვენესუელა არ ანებებდა სადავო მიწა-წყალს, ინგლისმა ძალით მოინდომა მისი შეძენა. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებმა თავი მოიკლეს ამის გამო, როგორ თუ ინგლისელები ძალ-მომრეობით ჰბედავენ მოქმედებას ჩვენს ქვეყანაშიო. ხელზე დაიხვიეს ნაპრეზიდენტალის მანროეს ქადაგება, რომ ამერიკა ამერიკელთ უნდა ეკუთვნოდესო და სხვას არავისაო და მუქარა შეუთვალეს ინგლისს, მართალია, ერთ სისხლ-ხორცნი ვართ, მაგრამ თუ ვენესუელასთან დავას შუა-კაცების გადაწყვეტილების მიხედვით არ გაათავებთ, იძულებულნი ვიქნებით ომი გამოგიცხადოთო. ინგლისისთვის უსიამოვნო ამბავი ამით არ დასრულდა. სამხრეთ აფრიკაში სძევს რესპუბლიკა ტრანსვაალისა, რომელსაც გარს ინგლისის სამფლობელოები არტყია. ინგლისელები ჰფიქრობდნენ, რომ ეს რესპუბლიკა ჩვენს მფარველობაშია და ჩვენს დაუკითხავად იქ საქმეს სხვა ვერავინ დაიჭერსო. რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ დროს ოქროს მადნები აღმოჩნდა, რის გამოც აუარებელი ინგლისელი და ამერიკელი მიესია ამ ქვეყანას, როგორც ბუზი თაფლსა. მკვიდრნი ბოერები ჰოლანდიის გლეხთა შთამომავალნი მხოლოდ მიწის შემუშავებას მისდევენ, ვაჭრობას და მრეწველობას ბგრე რიგად არ ეტანებიან. ამის გამო თითქო ეშინიანთ უცხო მრეწველ ეაჭრებისაო, საპოლიტიკო უფლებას არ აძლევდნენ. ტრანსვაალში მცხოვრებმა გულმოსულ ინგლისელებმა ჯემსონი დაიბარეს, მოდი გვიშველე, თორემ ბოერები ამოწყვეტას გვიპირებენო. ჯემსონი ტრანსვაალის მეზობლად იყო გამგე ინგლისის ერთის სამრეწველო კომპანიისა, შეჰკრიბა 800 კაცი და რესპუბლიკას თავს დაესხა. ბედმა ხელი არ მოუმართა და რესპუბლიკის პრეზიდენტმა კრიუგერმა საშინლად დაამარცხა და თვითონაც ტყვედ წაიყვანა. ეს ამბავი რომ შეიტყო გერმანიის იმპერატორმა, მილოცვის დეპეშა გაუგზავნა კრიუგერსა და თან ისიც შეუთვალა, რომ მოხარული ვარ, რადგან ავაზაკებს შენის საკუთარის ძალ-ღონით გაუსწორდი და უცხო სახელმწიფო არ მიგიწვევია დასახმარებლადაო.

ინგლისელებმა ცეცხლი მოიკიდეს, ეს რა ამბავია, რომ გერმანიის იმპერატორი ჩვენს საქმეში ერევა, ტრანსვაალისთვის

ჩვენ ინგლისელები, უცხოელები რად ვიქნებით, ხელ-შეკრუ-
ლობათა ძალით, ჩვენს დაუკითხავად იქ არა უნდა მოჰხდეს-რაო
და სხვ. ერთის სიტყვით, ინგლისელები ისე გაწიწმატდნენ გერ-
მანიის იმპერატორის დეპეშით, რომ ომის სამზადისსაც კი შე-
უდგნენ. გერმანიას თავი გაუვიდათ, გაიძახოდნენ ინგლისის
გაზეთები, — ჰკუა უნდა ვასწავლოთ, რომ მეტიჩრობას თავი
დაანებოს და თავისთვის იყვესო. ამის გამო ასტეხეს ბაასი,
სჯობს რუსეთს დავუმეგობრდეთ და საფრანგეთთან მშვიდო-
ბიანად გავათავოთ ყველა სადავო საქმე, თვით ეგვიპტეც კი
დავუთმოთ, ოღონდ მაგის ჯავრს ნუ შეევირჩენთო და დასა-
მტკიცებლად მეგობრობისა, საფრანგეთს სიამოში კიდეც ჩამო-
უჭრეს სადაო ტერრიტორია. გერმანიასა და ინგლისს შორის
ასე მოულოდნელად ატეხილი დავიდარაბა ჯერაც არ დასრუ-
ლებულა და ეჭვი არ არის, რომ როგორც ამერიკასთან, ისე
გერმანიასთან, საქმე მშვიდობიანად დასრულდება და ომს თა-
ვიდან აიცილებენ.

მხოლოდ ორი დიდი სახელმწიფო დარჩა ევროპაში, რო-
მელთაც შინაურს აწეწილ-დაწეწილ საქმეს თვალი ვერ მოა-
შორეს და მთელი თავისი ძალ-ღონე მის გამორკვევას მოან-
დომეს. ეს სახელმწიფონი არიან ოსმალეთი და ავსტრი-უნგრე-
თი. ჩვენ, ქართველებისთვის, ფრიად საყურადღებო ამბები მოჰ-
ხდა ამ ორს სამეფოში; ერთში სომხეთის საქმე იყო გამწვა-
ვებული, ხოლო მეორეში იმ პატარ-პატარა ერთა, რომელნიც
მრავლად სცხოვრობენ ავსტრი-უნგრეთში. პირველის შესახებ
ბევრს არას ვიტყვით, რადგან ჩვენს ჟურნალში უკვე დაბეჭ-
დილი იყო ვრცელი და საფუძვლიანი წერილი ბ-ნის ნ. ნი-
კოლაძისა (აპრილის წიგნი), რომელმაც მაშინვე სთქვა, რომ
ევროპის სახელმწიფონი თავიანთს საკუთარს საქმეს მისდევენ,
ყველგან თავისი გამორჩენა აქვთ ფიქრად და სხვისთვის მაგრე
რიგად თავს არ გაიცხელებენო. სომხებმა თვით უნდა იზრუ-
ნონ თავიანთ ბედის განკარგებისათვისო. ჩვენის პუბლიცისტის
ამ ნათქვამს მხოლოდ თითო-ოროლა ცნობას მივუმატებთ. წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის წლის უკანასკნელ თვეებში გაფანატიკოსებული ოსმალონი დაესივნენ სომხებს და უწყალოდ დაუწყეს ხოცვა-ჟლეტა. არზრუმსა, ტრაპიზონსა, დიარბექირსა, გარუნსა, მარაშსა და ხარფუთსა საშინლად გაჟლიტეს სომეხნი ოსმალოთა და ქურთთა. არ დაინდვეს არც ბავშვები და არც დედა-კაცნი. ამბობენ, რომ ოსმალოთ ამოსწყვიტეს სულ 15,000 სული ადამიანიო; ზოგის ანგარიშით კი 12,000 მეტი არ იქნება გაწყვეტილი. თუნდ ეს ციფირი იყოს მართალი, განა საკმარისი არ არის, რომ ტანში ჟრუანტელმა დაუაროს ადამიანსა?! ევროპამ ეს კი ვეღარ მოითმინა და ენერგიულად მოსთხოვა სულთანსა, ბოლო მოუღე ასეთს უბედურებას, უარაღო ხალხის ჟლეტასა და სისხლის-ღვრასა და, რომ შემდეგში აღარ გამეორდეს ასეთი ამბები, დააჩქარე რეფორმების შემოღებაო. სულთანმა მიიღო ექვსის დიდის სახელმწიფოს რჩევა-დარიგება, და გამოაცხადა, რეფორმებს მივანიჭებ სომხებსა და ამით დავიმშვიდებ აღელვებულთაო. ამ ჟამად ოსმალეთში მშვიდობაა, გულ-შემხარავი ხოცვა-ჟლეტა შესწყდა, დარჩა მხოლოდ ერთი კუთხე, სახელდობრ ზეითუნი, სადაც მეამბოხე სომხებმა თავი გაიმაგრეს და, ასე გასინჯეთ, არამც-თუ გაუმკლავდნენ ოსმალეთსა, არამედ ადგილობრივი მეციხოვნე ჯარებიც დაატყვევეს. მთავრობამ ახალი ჯარები გაჰგზავნა ზეითუნის ასაღებად, მაგრამ დიდის თოვლისა და საზოგადოდ უამინდობის გამო ჯარები ვერ მიუდგნენ ზეითუნს და ამ სახით შეხიზნულ ზეითუნელებს გაზაფხულამდე არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთ. მანამდე კი მათს ბედს ევროპელების კონსულები გადასწყვეტენ, რადგან თავიანთის მთავრობის მინდობილებით სულთანსა სთხოვენ, ნება მოგვეცი, მოველაპარაკოთ ზეითუნის სომაგრეებში შეხიზნულ სომხებს იმის შესახებ, რა პირობით შეუძლიანთ იარაღი აიხსნან და დაჰმორჩილდნენ მთავრობასაო. ეჭვი არ არის, ვინც ასე მამაცად წაიყვანა აქამდე საქმე, შემდეგშიაც ჰკუას არ წააგებენ და სახეირო და სასარგებლო პირობას ჩამოართმევენ სულთანსა.

სალისბერიმ სთქვა ამ დღეებში, რომ ტყუილად ჰგონებიათ სომხებს, ვითომ ინგლისი, ან სხვა ვინმე მათის გულისათვის ომს

გამოუცხადებს სულთანსო. სულთანს უნდა დრო მივცეთ და თითონ ის შემოიღებს სომხეთში რეფორმებსაო. სხვა გზა არ არის ამ საქმის გადასაწყვეტადაო. ასეა დღეს საქმე, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ეს მხოლოდ თვალის ახვევაა და ცარიელი დიპლომატობა. ეს ხომ ყინულზე გაწერილი საქმეა, განა სულთანს აქამდე დრო არა ჰქონდა შემოეღო რეფორმები, თუ კი გული გულობდა?

ოსმალეთზედ ნაკლებს გაჰირვებაში არც ავსტრია-უნგრეთია. მართალია, აქ უდანაშაულო ქრისტიანეთა სისხლი არ იღვრება ნაკადულივით, სახლსა და კარს არავის უნგრევენ, მაგრამ შფოთი და აღრეულობა ჰაბსბურგების იმპერიაში შეუწყვეტელია და მანამდისინ არ შესწყდება, ვიდრე ცნობიერებაში მოსული სლავები თავისას არ გაიტანენ. როგორც ავსტრიელ ნემენცებს, აგრედვე უნგრებს სასტიკი ომი გამოუცხადეს სხვა-და-სხვა წვრილმან ტომთა, დაჟინებით გაიძახიან, ჩვენს ენას და ჩვენც თვითონ ისეთივე უფლება უნდა გვქონდეს მონიჭებული სახელმწიფოში, როგორც თქვენ, ნემენცებსა და უნგრებსა გაქვთო. საყურადღებოა განსაკუთრებით ჩეხების ბრძოლა. აგერ თითქმის 25 წელიწადია, რაც ჩეხები თავ-განწირვით ეძებენ თავიანთ უფლებას, სურთ აღადგინონ თვისი ისტორიული უფლებანი და, რაც დრო და ჟამი გადის, იმდენად მათი საქმე წარმატებაში შედის. ბევრი სასტიკი ღონისძიება იხმარა მთავრობამ, იმასაც კი არ მოერიდა, რომ ჩეხების დედაქალაქ პრაგაში სამხედრო წესი შემოეღო, გააუქმა მრავალი საზოგადოება, მოსპო ნაფიც-მსაჯულთა სამართალი, მაგრამ ასეთის უკანონო და კონსტიტუციის წინააღმდეგის საქციელით რას გაჰხდება და როდემდის დააბრკოლებს ჩეხების წარმატებას? მთავარ-მართებლად ჩეხიას დაუნიშნა გრაფი ტუნი, კაცი სასტიკი და მოძულე ჩეხებისა. გრაფი ტუნი საშინელის სასტიკობით სდევნიდა ჩეხთა მოძრაობასა და მისის წყალობით მთავრობამ სამხედრო წესიც შემოიღო პრაგაში. ჩეხთა სახელოვანმა მამულისშვილებმა და ავსტრიის რეიხსრატის დეპუტატებმა: პროფესორმა ჯჩიცლმა, ვაშატიმ, ჰეროლდმა ულმო-

ბელი ომი გამოუცხადეს გრაფ ტუნს: ან შენ უნდა იბოგინო ბოგემიაში, ან ჩვენაო, ერთად ყოფნა და გაძლება კი შეუძლებელიაო. დეპუტატნი არც ერთ შემთხვევას არა ჰკარგავდნენ, რომ ტუნის მოღვაწეობა ზიზღით და დაცინვით არ მოეხსენებინათ. თვით რეიხსრატში ისეთის სიბრაზითა და მძულვარებით ჰლაპარაკობდნენ როგორც მთავრობის, აგრეთვე ტუნის შესახებ, რომ ხშირად რეიხსრატის კრება თავმჯდომარეს შეუწუეტია, რადგან მათის მწვავე სიტყვების გამო ალიაქოთი ატეხილა.

თვით ბოგემიის სეიმში გრაფი ტუნი ძლიერი იყო, იმას მხარს უჭერდა დეპუტატობა ნემენცებისა, ჩეხიის არისტოკრატია და სტარო-ჩეხები. ამის გამო მლადო-ჩეხების წინააღმდეგობას აგრე რიგად ყურს არ უგდებდა. მაგრამ შარშან სულ სხვანაირად წავიდა საქმე. ახლს არჩევანებზე სტარო-ჩეხებმა პირველობა მლადო-ჩეხებს დაუთმეს. გრაფ ტუნის საქმე ცუდად წავიდა, ხმის უმრავლესობა მლადო-ჩეხებისა იყო და, მაშასადამე, არც ერთი წინადადება მთავრობისა შეწყნარებულ არ იქნებოდა. მლადო-ჩეხებმა ეს გამარჯვება არ იკმარეს, გრაფ ტუნს შეუთვალეს, გასწი, გაგვეცალე, რომ თვალითაც აღარ გიხილოთო. ტუნმა იუკადრისა ესა და, როდესაც სეიმის კრება დაიწყო, თავმჯდომარის შემდეგ წამოდგა სიტყვის სათქმელად. ამ დროს მლადო-ჩეხებმა იხუვლეს და სულ ერთიანად გარედ გავიდნენ: ჩვენს მტერს თვალით ვერ ვუცქერითო. ტუნი სახტად დარჩა და მთავარ-მინისტრს გრაფ ბადენის შეეკითხა ვენაში, ნება მომეცი ეხლანდელი სეიმი დავითხოვო და ახალი არჩევანები დავნიშნოვო. ბადენიმ უპასუხა, ახალის არჩევანებისათვის დრო შეუფერებელიაო. ტუნი მიხვდა, რასაცა ჰნიშნავდა ესა, და იმპერატორს იმავე დღეს დათხოვნის ქაღალდი გაუგზავნა.

მარტო ამ ორის გამარჯვებით არ დასრულდა ჩეხებისთვის წარსული წელიწადი. უფრო შესამჩნევად მლადო-ჩეხებმა გაიმარჯვეს თვით ვენაში. საქმე იმაშია, რომ იმპერატორი თუ როდისმე ჰპატიჟობს თავისთან სადილად რომელსამე დეპუტატს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათუოდ მთავრობის მომხრეს კლერიკალსა, კონსერვატორს, ან მიწის-მფლობელს თავადსა და აზნაურსა. ბადენის ჩაგონებითა და რჩევით შარშან იმპერატორმა მლადო-ჩეხებიც მიიწვია სადილად და მოხუცებული იმპერატორი ღიმილით ელაპარაკებოდა ამ მოუსვენარ აგიტატორებს და მთავრობის მოწინააღმდეგეთა. მლადო-ჩეხების დასის დეპუტატებმა არც საიმპერატორო სასახლეში შეირცხვინეს თავი, პირდაპირ და გაბედვით მოახსენეს იმპერატორსა, ჩვენი კანონიერი სურვილი თუ აღსრულდება, ყურ-მოჭრილი ყმანი ვიქნებით თქვენის უდიდებულესობისაო.

კანონიერი სურვილი მლადო-ჩეხებისა კი ეს არის: მოგვეცით ისეთივე საპოლიტიკო უფლებანი, როგორიც თქვენა გაქვთ და ჩვენს დედა-ენას, ჩეხურს ნურა დაბრკოლება ნუ ექნება ნურც სკოლაში და ნურც ჩეხიის ადმინისტრაციასა და სასამართლოშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

ჩვენი სასიქადულო მღვდელ-მთავარი, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა გარდაიცვალა ქუთაისში 26 იანვარს. ამასწინად ჩვენს ჟურნალში დაისტამბა სტატია, [1]) რომელშიაც ვრცლად არის აღწერილი ამ ნეტარ-ხსენებულის წმინდა ცხოვრება და სახელოვანი ღვაწლი საქართველოს ერისათვის. ჩვენს მკითხველებს, უეჭველია, ახსოვთ ეს აღწერილობა. ამისათვისაც აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია რაიმე ცნობა განვიმეოროთ განსვენებულის ცხოვრების შესახებ.

ხოლო ამ ჟამად შევუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას იმ საერთო გულწრფელს გოდებას, რომელიც გამოიწვია მთელს ქართველობაში ჯერ ავადმყოფობამ და მერე სიკვდილმა საყვარლის მწყემს-მთავრისამ.

არა თუ საქართველოის, არამედ მთელი რუსეთის ამ მეცხრამეტე საუკუნის მღვდელ-მთავართა შორის გაბრიელ ეპისკოპოსს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. იგი იყო აღჭურვილი საფუძვლიანის ევროპულის განათლებითა; იყო ფრიად ნიჭიერი ორატორი, რომლის ქადაგებანი ქართველს ერს ოც და ათი წლის განმავლობაში უნათლებდა გონებას, უწმენდდა გულსა და უმაღლებდა სულსა. მისი მტკიცე რწმენანი და შეურყეველი ხასიათი მუდამ სჩანდა და ცხადად იხატებოდა იმ ბრძოლაში, რომელიც მას წილად არგუნა იმერეთის საეპისკოპოსო კათედრამ: გავიხსენოთ ის თავგანწირვითი ბრძოლა, რომელიც გაბრიელ

[1]) «მოამბე» № VIII—1895 წ.

ეპისკოპოსმა გამოუცხადა თვით საზოგადოების უსამართლო აზრს ბატონ-ყმობის საქმის და აგრეთვე სხვა მავნე ჩვეულებათა და ზნეთა შესახებ; გავიხსენოთ მისი დაუღალავი ბრძოლა ზოგიერთ მის ულირს თანამშრომელთა წინააღმდეგ; გავიხსენოთ, როგორის მხნეობით აღიმაღლა მან ხმა ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენის დედა-ენის დასაცველად; გავიხსენოთ აგრეთვე მისი წინააღმდეგობა ჩვენის „დაბადების“ შერყვნის გამო. ასე იბრძოდა დაუღალავი მღვდელ-მთავარი თვისის სამწყსოის სასარგებლოდ წინააღმდეგ უმეცრებისა და ბოროტებისა მთელი 35 წელი. დიაღ, მთელი 35 წელი იღვწოდა და თანაც იწვოდა გაბრიელ ეპისკოპოსი თვისის სამწყსოსათვის.

სამწყსომაც დაიფასა დიდებული ღვაწლი და შესანიშნავი ნიჭი თვისის სულიერის მამისა და შარშან მოიწადინა ედღესასწაულნა მისის მოღვაწეობის 35 წლის შესრულება. ხოლო მთელის ქართველობის სამწუხაროდ ეს წადილი ვერ შესრულდა თვით მღვდელ-მთავრის ავადმყოფობის გამო.

სამაგიეროდ, ჩვენი ერი, იმედი გვაქვს, ნიშნად თვისის მადლობისა და თაყვანის-ცემისა განსვენებულის სახელის მიმართ, ეხლა გამოიჩენს გულ-უხვობას და აუგებს სასიქადულო მღვდელ-მთავარს საკადრის ძეგლს. ძეგლი ამ შემთხვევაში საჭიროა არა დიდებული განსვენებულის სახელისათვის, რომელიც მან სიცოცხლეშივე შეიძინა თვისის მადლ-მოსილის ნიჭის წყალობით და რომელიც უეჭველად მიუჩენს მას საუკეთესო ადგილს ჩვენს ისტორიაში. ამ სახელს ჩვენ ეხლა ვერაფერს ვერ შევსძენთ, ვერაფერს ვერ შევმატებთ. ძეგლის აგება საჭიროა თვით საზოგადოების სასახელოდ. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა დაუმტკიცოს ქვეყანას და მომავალ შთამომავლობას, რომ საზოგადოებას სცოდნია თვისთა დიდებულ მამულიშვილთა დაფასება, რომ უმადურობა მას არ სჩვევია.

შესაფერი ძეგლი ამ შემთხვევაში იქნება რაიმე დაწესებულება ქ. ქუთაისში ხალხის განათლებისათვის. დროა ამ დიდებულის გვამის წინაშე მოვსთქვათ ის წესი პატივისცემისა, რომელიც მხოლოდ წუთიერია, და შემოვიღოთ ჩვეულებად, რომ

ღირსეულ მოღვაწეთა პატივი და მადლობა გამოვუცხადოთ სამკვიდროდ და საშვილიშვილოდ.

ნეტარ ხარ, ჩვენო დიდ-ბუნებოვანო მწყემს-მთავარო, რომ შენი ვალი შენის სამწყსოს წინაშე სრულიად მოიხადე ამა სოფლად. უეჭველია იმ სოფლადაც სულ შენს სამწყსოზე იფიქრებ და მეოხ ექმნები მას, საქართველოს მფარველის ღვთის-მშობლის წინაშე, რათა სულიერად აღამაღლოს და გონებრივ განანათლოს შენი საყვარელნი შვილნი. შენი სახელი ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება. ვსასოებთ, რომ იგი გაუნათლებს გზას შენს მომავალთა მოადგილეთა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) ქართული კალენდარი 1896 წ.—გ. გუნიას შედგენილი და გამოცემული. ტფილისი, ფასი 50 კაპ.

2) განთიადი.—მოთხრობა ქყისა, თხრგ. თ. სახოკიას-მაერ. ტფილისი 1895 წ. ფასი 1 მან.

3) გმირი რომანდი, მკვლი თქმულება, 3 სურათით, ს. ჯაფარიძის-მაერ. გამოცემა ი. როსტომაშვილისა № 3. ტფილისი 1896 წ. გაგზავნით 15 კაპ.

4) დრომა გონს მოგვადეთ!—შედგენილი ნ. ბარნაბაშვილისმაერ, გამოცემა ი. როსტომაშვილისა № 4. ტფილისი 1896 წ. ფასი გაგზავნით 15 კაპ.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი.

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა №36.

ღვინის დაყენება

შედგენილი

პროფესორის ვ. პეტრიაშვილის-მიერ.

ფასი 2 მან. და 50 კაპ.

იბეჭდება საკუთარს კიოსკში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12	თვით	. . . .	10 მ. — კ.	6	თვით	. . . .	6 მ. — კ.
11	„	. . . .	9 „ 50 „	5	„	. . . .	5 „ 50 „
10	„	. . . .	8 „ 75 „	4	„	. . . .	4 „ 75 „
9	„	. . . .	8 „ — „	3	„	. . . .	3 „ 50 „
8	„	. . . .	7 „ 25 „	2	„	. . . .	2 „ 75 „
7	„	. . . .	6 „ 50 „	1	„	. . . .	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი, „ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ბანკის ქარავანსა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА.“

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

სასოფლო მეურნეობის, გაჭრობის, მრეწველობის, ეკონომიის, სტატისტიკის, ჰიგიენის და სამეთაფლო

ყოველ-კვირეული ჟურნალი

„მ ე უ რ ნ ე“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა იმავე პროგრამით, წესით და ფასით, როგორც დღემდის გამოდიოდა. ჟურნალს 1896 წელს მუდმივს თანამშრომლობას გაუწევენ: თ-დი ივანე ზაქარიასძე ანდრონიკაშვილი, ანატოლი ვუჩინო, გრიგოლ გველესიანი, იოსებ გუნცაძე, არჩილ დარეჯანაშვილი, თ-დი ნიკოლოზ დგებუაძე, თ-დი ალექსანდრე თუმანიშვილი, ნიკოლოზ კურნალი, თ-დი ერმილე ნაკაშიძე, ვასილ სულხანიშვილი, არტემ ფირალოვი, ალექსანდრე შარაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ. ექიმები: გიორგი ბადრიძე, თ-დი ყარამან ჩიქვანი და სხვ.

ჟურნალს დახმარება აღუთქვა ჩვენმა ცნობილმა მრჯოველმა გასაღ შეტრაბუდმა.

რედაქცია ეცდება 1896 წ. უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს უაღრესი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის მეურნეობის დარგიდან ჟურნალს უმზადებს მომავალ წლისათვის ბ-ნი ანატოლი ვუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

ჩ ა ი

მისი მოშენება და დამუშავება.

თარგმანს დამატებული ექნება ბ-ნი ვუჩინოს პრაქტიკული შენიშნები ჩაის მოყვანის თაობაზე საზოგადოდ ქუთაისის გუბერნიაში და განსაკუთრებით ჩაქვში.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჰყონიას სახლი № 10 და წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილებიდან ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ ფულები და დაბარების წერილები: Кутаисъ. Въ редакцію „Меурнэ“.

ჟურნალი ღირს: წელით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭყონია

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წ. ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

ფასი ჟურნალისა:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
— „ ორივე გამოცემა 4 „	— „ ორივე გამოცემა 3 მ.
— „ რუსული 3 მ.	— „ რუსული 1 მ.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქცია აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარელში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ყვარელში, აგრეთვე ქუთაისშიაც და ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; გორში—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; საჩხერეში—მ. ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაკში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი ზოგთა რუსთაველის მხატვრობა უკვე დაურიგდათ ხელის-მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

